

N1, 2008

საერთაშორისო
საგარეო
ჯურისდიქცია

JOURNAL OF
INTERNATIONAL
LAW



თბილისი, TBILISI

OSCE

JOURNAL OF INTERNATIONAL LAW

N1, 2008

საერთაშორისო საგარეო ჯურისდიქცია



ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
International Law Institute, Faculty of Law



Organization for Security and
Co-operation in Europe
OSCE Mission to Georgia

N1, 2008

**საერთაშორისო
სამართლის
ჟურნალი**

**JOURNAL OF
INTERNATIONAL
LAW**

თბილისი, Tbilisi,
2008

„საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“ სამეცნიერო ხასიათის სამენოვანი გამოცემაა. მასში წარმოდგენილია როგორც საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემები, ასევე საქართველოს კანონმდებლობის საკითხები.

ჟურნალი გამიზნულია საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

ჟურნალი გამოიცემა საქართველოში ეუთოს მისიის ფინანსური მხარდაჭერით. სტატიებში გამოთქმული მოსაზრებანი ეკუთვნის ავტორს და შეიძლება არ ასახავდეს ეუთოს პოზიციას.

The Journal is Published with Financial Support of the OSCE Mission to Georgia.
The views expressed in the articles are those of the authors and do not necessarily reflect the official position of the OSCE.

© თსუ

ISSN 1512-0368

დაბეჭდილია ..

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი

ალექსიძე ლევან

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი
(თსუ)

აღმასრულებელი რედაქტორი

ტუშური რუსუდან

(თსუ)

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

ბუტკევიჩი ვოლოდიმერ

ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლო (სტრასბურგი, საფრანგეთი)

ბაბრიჩიძე ბაბა

(თსუ)

დემეტრაშვილი ავთანდილ

(თსუ)

კერესელიძე დავით

(თსუ)

კორკელია კონსტანტინე

(თსუ)

კონარანი ვიგან

ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(სომხეთი)

მამედოვი რუსთამ

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
(აზერბაიჯანი)

პატარაია დავით

(თსუ)

ქურდაძე ირინე

(თსუ)

უგრეხელიძე მინდია

(სტრასბურგი, საფრანგეთი)

ჰანიკაინენი ლაურ

ტურკუს უნივერსიტეტი (ფინეთი)

BOARD OF EDITORS

Editor in Chief

ALEXIDZE LEVAN

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
(TSU)

Executive Editor

TUSHURI RUSUDAN

(TSU)

Members of the Board:

BUTKEVICH VOLODIMIR

European Court of Human Rights
(Strasbourg, France)

GABRICHIDZE GAGA

(TSU)

HANNIKAINEN LAURI

University of Turku (Finland)

DEMETRASHVILI AVTANDIL

(TSU)

KERESELIDZE DAVID

(TSU)

KORKELIA KONSTANTINE

(TSU)

KOCHARYAN VIGEN

Yerevan State University (Armenia)

MAMEDOV RUSTAM

Baku State University (Azerbaijan)

PATARAI DAVID

(TSU)

KURDADZE IRINE

(TSU)

UGREKHELIDZE MINDIA

(Strasbourg, France)

რადკოლუბიისაგან

„საერთაშორისო სამართლის ჟურნალს“ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი გამოსცემდა 1996 წლიდან, საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის, საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლობის, „ღია საზოგადოების სამართლებრივი ინიციატივისა“ და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დახმარებით.

სარედაქციო კოლეგია კიდევ ერთხელ უხდის დიდ მადლობას ამ ორგანიზაციებს ესოდენ მნიშვნელოვანი მხარდაჭერისათვის.

ჟურნალი არ გამოსულა 2005 წლის შემდეგ. საქართველოში საერთაშორისო სამართლის მეცნიერების განვითარებისა და დემოკრატიული პრინციპების განმტკიცების ხელშეწყობის მიზნით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრამ განაახლა ჟურნალის გამოცემა.

ჟურნალის ამ ნომრის მომზადება და გამოქვეყნება შესაძლებელი გახდა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) საქართველოში დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით. სარედაქციო კოლეგია მადლობას უხდის ეუთოს მისიას ამ კეთილშობილურ დახმარებისათვის.

„საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“ პერიოდული სამეცნიერო გამოცემაა, რომელიც გამოქვეყნდება წელიწადში ორჯერ. მასში წარმოდგენილ ნაშრომებში განიხილება საერთაშორისო საჯარო და კერძო სამართლის პრობლემები, საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხები, საქართველოს კანონმდებლობისა და მისი საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკის აქტუალური ასპექტები. ჟურნალი გამიზნულია როგორც საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისათვის, ასევე აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ის გარემოება, რომ ყოველი სტატია, როგორც წესი, ქვეყნდება ქართულ და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე, ზოგჯერ, რუსულადაც, შესაძლებლობას აძლევს წარმოდგენილი საკითხებით დაინტერესებულ ამ ენების მცოდნე უცხოელებს, გაეცნონ ავტორთა მეცნიერულ დებულებებს, ასევე საქართველოს ზოგიერთ კანონსა თუ საერთაშორისო ხელშეკრულებას.

სტატიების წარმოდგენა შეიძლება სამივე აღნიშნულ ენაზე. სარედაქციო კოლეგია უზრუნველყოფს მათს თარგმნას შესაბამის ენებზე.

ჟურნალი თავის გვერდებს დაუთმობს როგორც თეორეტიკოს და პრაქტიკოს იურისტებს, ასევე სტუდენტებს, რომლებიც იკვლევენ საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებს და რომელთა სტატიებში გაშუქებული იქნება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმათა სრულყოფისა და შემდგომი განვითარების აქტუალური პრობლემები, მათ შორის: ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის საკითხები.

ჟურნალში ავტორთა მიერ გამოქვეყნებული შეხედულებები შეიძლება არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის წევრთა აზრს.

FROM THE EDITORIAL BOARD

The Journal of International Law has been published by the Iv. Javakhishvili Tbilisi State University Department of International Law and International Relations since 1996 with the support provided by the UNCHR office in Georgia, the UNDP office in Georgia, Open Society Justice Initiative (OSJI) and the US Embassy to Georgia.

The Editorial Board is honored to convey the appreciation for provision of such an indispensable support, once again, to the above mentioned organizations.

The Publication of the Journal was suspended in 2005. Aiming at promoting the development of the science of International Law and strengthening the democratic principles in Georgia, the Chair of International Law of the Tbilisi State University Law Department renewed publication of the Journal.

The publication of the current volume has become possible with the support of OSCE Mission to Georgia. The Editorial Board expresses the gratitude to the OSCE Mission for this generous contribution.

The Journal of International Law is the scientific periodical, published twice a year. The articles presented cover issues of public and private international law, international relations, important aspects of the Georgian legislation and Georgia's international legal practice. The Journal is intended for experts of international law, as well as for broad circles of readers interested in above mentioned issues.

The fact that each article, as a rule, is published in Georgian and English and occasionally in Russian language as well, provides the possibility for the foreigner readers interested in these topics to become acquainted with the scientific concepts of authors, as well as certain Georgian legislative acts and international treaties to which Georgia is a party.

The articles may be submitted in all the languages listed above. The Editorial Board provides corresponding translation.

The Journal welcomes the contributions from scholars and practicing lawyers, as well as students engaged in research of international law issues, and whose articles [Priority will be given to articles which refer to the pressing problems of enhancement of the norms of the contemporary International Law and their further development, particularly dealing with international protection mechanisms of Human Rights and building civil society.

The views expressed by the authors in the Journal may not correspond to that of the Editorial Board.

შინაარსი CONTENTS

I. საერთაშორისო სამართლის თეორიული პრობლემები

ირინე ქურდაძე , საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის შესახებ მეცნიერული კონცეფციების განვითარების ეტაპები და თანამედროვეობა -----	7
Irine Kurdadze , Stages of Development of Scientific Concepts on Correlation Between International and Domestic Law and Contemporary Events -----	21

II. საერთაშორისო სისხლის სამართალი

ლევან ალექსიძე , აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის საერთაშორისო დამოკის საქმეში ეუთოს გადამწყვეტი როლის შესახებ -----	33
Levan Alexidze , Vital Role of OSCE in Condemning Ethnic Cleansing of Georgian Population in Abkhazia, Georgia, by the International Community -----	40
ქეთევან ხუციშვილი , სუვერენული იმუნიტეტების დაცვამ უნდა გადაწონოს თუ არა ადამიანების დაცვა უფლებათა მასობრივი დარღვევებისგან? -----	47
Ketevan Khutsishvili , Shall Protection of Sovereign Immunities Supersede Protection of Human Beings From Mass Atrocities? -----	65

III. საერთაშორისო საზღვაო სამართალი

ეკა სირაძე , სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქცია შიდა წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში მცურავ უცხო სახელმწიფოს გემზე, საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენციის მიხედვით -----	82
Eka Siradze , Jurisdiction of the Coastal State over the Ship of Foreign State in the Internal Waters and the Territorial Seas in Accordance with the United Nations Convention on the Law of the Sea of 1982 -----	92

IV. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი

ელენე სიჭინავა , „გონიერული ვადის“ მოთხოვნა -----	101
Elene Sichinava , “A Reasonable Time” Requirement -----	115
ნონა კალანდაძე , „შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის შესახებ“ საერთაშორისო კონვენცია და შრომით მიგრანტთა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის მონიტორინგის გაეროს მექანიზმები -----	127
Nona Kalandadze , International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families and UN Monitoring Mechanisms for the Protection of the Rights of Migrant Workers and Members of Their Families -----	141
ლალი ფაფიაშვილი , არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი -----	153
Lali Papiashvili , Some Issues of Juvenile Justice -----	165
გივი მიქანაძე , ომბუდსმენის ინსტიტუტი -----	174
Givi Mikanadze , Ombudsman Institution -----	182

V. საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი

ხათუნა თოთლაძე , „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის ხარვეზები -----	189
Khatuna Totladze , Gaps of the Law of Georgia “On International Treaties of Georgia” -----	199

VI. საერთაშორისო სამართლის როლი არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარებაში

ირაკლი გივიანიძე , ბოლო პერიოდში რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს მიმართ გადადგმული ნაბიჯების საერთაშორისო სამართლებრივი შეფასება -----	207
Irakli Giviashvili , International Legal Assessment of the Recent Steps Taken by the Russian Federation with Respect to Georgia -----	215

VII. დიპლომატიური სამართალი

მარიამ გოცირიძე , ფიზიკური და იურიდიული პირების დიპლომატიური დაცვა საერთაშორისო საჯარო სამართალში -----	222
Mariam Gotsiridze , Diplomatic Protection of Natural and Legal Persons in International Public Law -----	237

დანართი

საქართველოს კანონი დიპლომატიური სამსახურის შესახებ -----	250
--	-----

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის შესახებ მეცნიერული კონცეფციების ბანკითარების ეტაპები და თანამედროვეობა

საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე რთული და აქტუალური პრობლემაა საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში.

თანამედროვე მსოფლიოში მზარდმა ინტეგრაციულმა პროცესებმა ბოლო ათწლეულის განმავლობაში საერთაშორისო და ნაციონალური სამართლის დაახლოება გამოიწვია. ამაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო სამართალი არა მარტო სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობების მოგვარების (როგორც ეს წარსულში იყო), არამედ შიდასახელმწიფოებრივი რეგულირების სამართლებრივ მექანიზმად იქცა. ეკონომიკური, სატრანსპორტო, ინფორმაციული კავშირების უნივერსალიზაციამ, გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გამწვავებამ, მიგრაციის მასობრივმა ხასიათმა და, რაც მთავარია, მშვიდობისა და უშიშროების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების (მასობრივი განადგურების იარაღის წარმოება, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა და სხვა) კონტროლზე აყვანის აუცილებლობამ შექმნა მყარი ობიექტური ბაზა ამგვარი ტენდენციის გაღრმავებისათვის. მსოფლიოში ახალი მართლწესრიგის არსებობა მოითხოვს, ერთი მხრივ, ნაციონალური გადაწყვეტილებების დაახლოებას და, მეორე მხრივ, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საერთო გადაწყვეტილებების მიღებას.

წარმოიშობა მრავალი პრობლემური კითხვა, რომელთა გადაჭრა საჭიროა პოლიტიკური და იურიდიული კუთხით: როგორ შევუთავსოთ სახელმწიფოს სუვერენული უფლებები და საერთაშორისო ორგანიზაციათა უფლებამოსილებები, დასაშვებია თუ არა პირველის შეზღუდვა, როგორ მოვახდინოთ მხარეთა ინტერესების პარიტეტული დაცვა, რა საზღვრამდე შეიძლება საერთაშორისო

ნორმებისა და მექანიზმების გავრცელება, რომლებიც ამ მიზანს ემსახურებიან?

თანამედროვე ეტაპზე, როდესაც საერთაშორისო სამართალს ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმათა კოლიზიის შემთხვევაში, საკითხი, თუ რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, სულ უფრო ხშირად ხდება ცალკეული სახელმწიფოს სასამართლო პრაქტიკის განსჯადი. ეს პრაქტიკა კი, თავის მხრივ, საერთაშორისო სამართლის თეორიაში აყენებს საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის პრობლემას.

წარსულში საერთაშორისო სამართლის მკვლევრები არ იხილავდნენ განცალკევებულად თანაფარდობის პრობლემას, ვინაიდან ამ საკითხს განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა.

თანაფარდობის საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართალში XIX საუკუნიდან მოყოლებული ჩამოყალიბდა 2 მიმდინარეობა: დუალისტური და მონისტური.

დუალისტური თეორიის კონცეფცია ეყრდნობა შემდეგ თეზას: საერთაშორისო სამართალი და შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ორი განცალკევებული სამართლებრივი სისტემაა და, აქედან გამომდინარე, გამორიცხულია რომელიმეს პრიმატი.

დუალისტური თეორია ჩამოყალიბდა XIX–XX საუკუნეებში გაბატონებული პოზიტივისტური მიმართულების გავლენის შედეგად. როგორც ცნობილია, პოზიტივიზმის სკოლა უარყოფდა ბუნებითი სამართლის მნიშვნელობას და სამართალს განიხილავდა როგორც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილ და უზრუნველყოფილ ქცევის წესს. საერთაშორისო სამართლის ნორმად ითვლებოდა მხოლოდ ის ქცევის წესი, რომელიც სახელმწიფოთა მკაფიო (ხელშეკრულე-

ბა) თუ დუმილით (ჩვეულება) შეთანხმებით იქმნებოდა. პოზიტივიზმი ცდილობდა, განემტკიცებინა ბურჟუაზიული სახელმწიფოს პრაქტიკა, დაეცვა მათი სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა. ამ პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობები შიდასახელმწიფოებრივი ცხოვრების შედარებით მცირე საკითხებს მოიცავდა. საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დაპირისპირება ეხებოდა ძირითადად დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობებს, უცხოელთა უფლებებს, ნაოსნობის რეჟიმს. საერთაშორისო პოლიტიკაში შესამჩნევი იყო თავისუფალი ვაჭრობის ტენდენციები. შემდგომში საერთაშორისო კავშირების გაზრდა იწვევს საერთაშორისოსამართლებრივი და სახელმწიფოსამართლებრივი რეგულირების საკითხთა წრის გაზრდას.

გერმანელი იურისტი ტრიპელი 1899 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „საერთაშორისო სამართალი და შიდასახელმწიფოებრივი სამართალი“, აგრეთვე სხვა შემდგომ პუბლიკაციებში¹ იხილავდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალს, როგორც ორ განსხვავებულ მართლწესრიგს, რომელთაც განსხვავებული რეგულირების ობიექტი, სუბიექტი და წყაროები აქვთ.²

ამასთან, ტრიპელი აღიარებს, რომ არსებობს საკითხთა ისეთი წრე, რომელიც საერთაშორისოსამართლებრივი და სახელმწიფოსამართლებრივი რეგულირების სფეროს მიეკუთვნება. ზოგჯერ საჭირო ხდება საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების აღქმა შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, და პირიქით. მისი აზრით, საჭიროა არა რეცეფცია, არამედ ამა თუ იმ დებულების რეპროდუქცია სახეცვლილი ფორმით, „ვინაიდან საუბარია ახალი სამართლის შემოღებაზე სხვა წყაროებთან ერთად, თუმცა შინაარსით ისინი ერთნაირია“, ანუ, ტრიპელის აზრით, თუ საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებს ერთნაირი ან მიახლოებული შინაარსი აქვთ, ერთი სამართლებრივი სისტემიდან მეორე სამართლებრივ სისტემაში ნორმის გადატანა ხდება მხოლოდ შესაბამისი ნორმის ახალ ნორმაში გარდაქმნით, რასაც იურიდიულ ლიტერატურაში, როგორც წესი, გამოხატავენ ტერმინით – „ტრანსფორმაცია“.

ტრიპელის შემდეგ ამ საკითხს იხილავს ცნობილი იტალიელი პოზიტივისტი ჯ. ანცილოტი. მისი აზრით, საერთაშორისოსამართლებრივი ნორმა მოქმედებს მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში, ხოლო

სახელმწიფოსამართლებრივი ნორმა – შიდა ურთიერთობების ფარგლებში. საერთაშორისოსამართლებრივი ნორმები არ ახდენს გავლენას შიდა ნორმების სავალდებულო ხასიათზე, და პირიქით. აქედან გამომდინარე, არ წარმოიშობა კონფლიქტი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალს შორის, თუმცა ერთს შეუძლია მიუთითოს მეორეზე. ისევე, როგორც ტრიპელი, ანცილოტი ამტკიცებს, რომ „საერთაშორისო სამართალი და შიდასახელმწიფოებრივი სამართალი... წარმოადგენენ განცალკევებულ მართლწესრიგს“.

მაგრამ ავტორი იძულებულია აღიაროს, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია, შიდასახელმწიფოებრივ ნორმაზე დაყრდნობით უარი განაცხადოს საერთაშორისო ვალდებულების შესრულებაზე, ასევე იგი თვლის, რომ პრინციპი, რომლის შესაბამისადაც შიდასახელმწიფოებრივი ნორმა სრულიად დამოუკიდებელია საერთაშორისო ვალდებულების შესაბამისობა-შეუსაბამობისაგან, არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ ნორმის განმარტებისას სახელმწიფო ანგარიშს უწევს საერთაშორისო ვალდებულებებს.³

დუალისტურ თეორიათა მიმდევრები სულ უფრო ძლიერდებოდნენ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში და მალე გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს, მაგრამ ისინი არ იზიარებენ ტრიპელისა და ანცილოტის უკიდურეს პოზიციებს. მათი აზრით, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმების მეშვეობით ერთსა და იმავე სფეროს მიკუთვნებულ ურთიერთობათა რეგულირება შესაძლებელია, მაგრამ კოლიზიის წარმოშობის შემთხვევაში წინააღმდეგობათა დაძლევა შეიძლება მხოლოდ დიპლომატიური მოლაპარაკებით ან საერთაშორისო დავის მოგვარების სხვა საშუალებებით, ან საერთაშორისო პასუხისმგებლობის მექანიზმების ამუშავებით. ამ აზრს იზიარებენ გერმანელი იურისტები: უ. შეინერი და გ. დამი, რომლებიც ე.წ. „ზომიერი დუალიზმის“ თეორიას ქადაგებენ.⁴

მოგვიანებით ვრცელდება კოორდინაციის თეორია, რომელიც 1950-იან წლებში ცნობილი გახდა როგორც „ფიცმორისის კომპრომისი“. ამ თეორიის მიხედვით, ორივე სისტემა დამოუკიდებელია, ისინი მოქმედებენ სხვადასხვა სფეროში და, ამდენად, ორივე უზენაესია თავის სფეროში, მაგრამ შეიძლება წარმოიშვას ვალდებულებათა კონფლიქტი, თუ: სახელმწიფომ ვერ შეძლო ნებისმიერ დონეზე ემოქმედა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა შესაბამისად. შედეგი: შიდა ნორმის

იურიდიული ძალა ურყევია, „თუმცა ნამოიჭრება სახელმწიფოს სავრთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობა“.⁵ იმავე აზრისაა მ. რუსო.⁶

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ლიტერატურაში ასევე გავრცელდა მონისტური თეორიის ერთ-ერთი მიმართულება: შიდასახელმწიფოებრივი სამართლის პრიმატი სავრთაშორისო სამართალთან მიმართებით. ამ თეორიის საწყის ელემენტებს ჯერ კიდევ ჰეგელის ფილოსოფიურ ნაშრომებში ვპოულობთ, შემდგომი განვითარება კი მან ძირითადად გერმანულ სავრთაშორისოსამართლებრივ ლიტერატურაში პოვა. მისი მომხრენი, რომლებსაც ხშირად „სავრთაშორისოსამართლებრივ ნიჰილისტებად“ ნათლავენ, უარყოფდნენ სავრთაშორისო სამართლის არსებობას და ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფოს ნება არანაირი გარეშე ძალით არ არის შეზღუდული. ეს თეორია ამართლებდა გერმანული იმპერიის მიზანსწრაფვას, არ შეზღუდულიყო სავრთაშორისოსამართლებრივი ნორმებით. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ორი თეორია: „ძალის თეორია“ და „საგარეო სახელმწიფო სამართლის თეორია“. ისინი ახლოს დგანან ერთმანეთთან საბოლოო დასკვნებით. ორივე თეორიას მივყავართ სავრთაშორისო სამართლის უარყოფამდე სახელმწიფოს შეუზღუდავი ძალაუფლების სასარგებლოდ.⁷

ორივე თეორია აგებული იყო ფაქტობრივად იმ დებულებებზე, რომ სავრთაშორისო ურთიერთობების რეგულირება ხდება მხოლოდ ცალკეული სახელმწიფოს ნების საფუძველზე, რის გარეშეც არ არსებობს მისთვის სავალდებულო სავრთაშორისო სამართლებრივი ნორმა.

სინამდვილეში ეს თეორიები არ შეესაბამებოდა იმდროინდელ რეალობასაც, ვინაიდან XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზეც სახელმწიფოთა თანამშრომლობა სულ უფრო და უფრო ინტენსიურად მოითხოვს ზოგადად ყველა სახელმწიფოსათვის სავალდებულოდ აღიარებული სავრთაშორისო ნორმების არსებობას, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა მათი მოქმედება სახელმწიფოს ინტერესს ან ნებას. ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ სავრთაშორისო სამართალი არის შეუცვლელი. საყოველთაოდ აღიარებული სავრთაშორისოსამართლებრივი ნორმები იქმნებოდა და იქმნება სახელმწიფოთა ნების შეთანხმების საფუძველზე, მათი შეცვლა ან გაუქმება შესაძლებელია აგრეთვე შეთანხმების საფუძველზე და არა ერთი სახელმწიფოს

ნებით. თუმცა ახალშექმნილი სახელმწიფოები ვერ ცვლიან უკვე არსებულ სისტემას, ანუ სახელმწიფო ემორჩილება უკვე არსებულ მართლწესრიგს, რაც მიგვითითებს სავრთაშორისო სამართლის პრიმატზე. ეს არ ნიშნავს, რომ ცალკეული სახელმწიფოები არ არღვევენ სავრთაშორისოსამართლებრივ ნორმებს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ამართლებს ნიჰილისტურ თეორიებს სავრთაშორისო სამართლის სფეროში.

ამიტომ ავტორთა უმრავლესობა ამ დროს აქტიურად ქადაგებდა სავრთაშორისო სამართლის იურიდიულ სავალდებულობას და ამტკიცებდა ამას პრაქტიკის მაგალითებით. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დროს არსებობდა უამრავი მეცნიერი, რომლებიც აღიარებდნენ სავრთაშორისო სამართლის ობიექტურ არსებობას და გარკვეული ნორმების ცალკეულ სახელმწიფოთა ნებაზე მაღლა დგომას.⁸

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ვრცელდება მონისტური თეორიის მეორე მიმართულება – სავრთაშორისო სამართლის პრიმატი შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე.

ჰ. კელზენი კატეგორიულად უარყოფდა ბუნებითი სამართლის რაიმე კავშირს პოზიტიურ სამართალთან. იგი იხილავს სამართალს, როგორც ნორმათა ჩაკეტილ იერარქიას. ამ ნორმატიული სისტემის შიგნით ყველა სამართლებრივი ნორმა ერთიანია. ეს ნორმები, მათ შორის სავრთაშორისოსამართლებრივი, არეგულირებს ურთიერთობებს ინდივიდებს შორის. „თუ სავრთაშორისო სამართალი ავალდებულებს და უფლებამოსილს ხდის სახელმწიფოს, ეს ეხება ინდივიდებსაც, ანუ იმ ინდივიდებს, რომლებიც სახელმწიფო ორგანოებს წარმოადგენენ. ამ ქცევის წესს სავრთაშორისო სამართალი ადგენს არა პირდაპირ, არამედ ეროვნული მართლწესრიგის მეშვეობით“. ეს უკანასკნელი კი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც ახორციელებენ სავრთაშორისო სამართალს სახელმწიფო ორგანოებში. ამ გაგებით სავრთაშორისო მართლწესრიგი ახდენს საკუთარი ნორმების შესრულების დელეგირებას ეროვნული სამართლისადმი. ჰ. კელზენის აზრით, სამართლის ამ ერთიან სისტემაში სავრთაშორისო სამართალი უფრო მაღლა დგას, ვიდრე ეროვნული სამართალი. სწორედ სავრთაშორისო სამართალი განსაზღვრავს ეროვნული სამართლის მატერიალურ შინაარსს. ის ეროვნული სამართლის (ამასთან კონსტიტუციური ნორმების) საფუძველია. სავრთაშორისო მართლწესრიგი მნიშვნელოვანია მხოლოდ როგორც უნივერსალური მართლწესრიგის ნაწილი.⁹

ნაშრომში – „საერთაშორისო სამართლის პრინციპები“ – კელზენი ამტკიცებს, რომ საერთაშორისო სამართალი უმაღლესი მართლწესრიგია, რომლის შეზღუდვა დაუშვებელია, ის თვითონ ზღუდავს ნაციონალურ მართლწესრიგს. ნაციონალური მართლწესრიგის მოქმედების სფეროს შეზღუდვა საერთაშორისო მართლწესრიგის მნიშვნელოვანი ფუნქციაა. ეროვნული მართლწესრიგის მნიშვნელოვან მახასიათებლად კი ავტორი მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ეროვნული მართლწესრიგი მხოლოდ საერთაშორისო მართლწესრიგს ემორჩილება.

ჰ. კელზენის მიერ შექმნილი სამართლის უნივერსალური სისტემის ყველა სამართლებრივი ნორმის საგანი ინდივიდის ქმედებაა, თუ შიდასახელმწიფოებრივი ნორმა უშუალოდ არეგულირებს ინდივიდის ქმედებას, საერთაშორისო ნორმა არეგულირებს მათ ნაციონალური მართლწესრიგის მეშვეობით. სწორედ ნაციონალური მართლწესრიგი განსაზღვრავს, თუ რომელ თანამდებობის პირს ან სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ აამოქმედონ ეს ნორმები. მაშასადამე, კელზენის აზრით, საერთაშორისო სამართალი საერთაშორისოსამართლებრივი ნორმის მოქმედების „მატერიალურ ელემენტს“, ხოლო შიდასახელმწიფოებრივი „პერსონალურ ელემენტს“ განსაზღვრავს. ამ თვალთახედვიდან საერთაშორისო სამართლის ნორმები არ მოითხოვს „ტრანსფორმაციას“, თუ ეს სპეციალურად არ არის გათვალისწინებული თვით საერთაშორისოსამართლებრივი ნორმით. ნორმის გადატანა ხდება უშუალოდ და ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის „დელეგირებას“ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიმართ. ეს არის არა ტრანსფორმაცია, არამედ სამართლის შექმნის პროცედურის ფაზა, რომლის ფორმაც ერთიანია.¹⁰

ამგვარად, კელზენი უარყოფს დუალისტურ თეორიას, რომელიც, მისი მტკიცებით, გამომდინარეობს სუვერენიტეტის დოგმიდან, რომლის მიხედვითაც „საერთაშორისო სამართალი ქმნის უფლება-მოვალეობებს მხოლოდ სახელმწიფოთათვის და არა მისი ორგანოებისა და მოქალაქეთათვის“. ამით კელზენი უპირისპირდება დუალისტურ მიდგომას და აცხადებს, რომ საერთაშორისო სამართალი შიდასახელმწიფოებრივ მართლწესრიგთან ერთად ქმნის ერთიან სისტემას – სამართლის უნივერსალურ სისტემას.

კელზენის თეორია სამართლებრივი ნორმების პირამიდული იერარქიისა და საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართ-

ლებრივი სისტემების ერთიანობის შესახებ საერთაშორისო სამართლის პრიმატის მონისტური თეორიის კლასიკურ მოდელად იყო აღიარებული, მაგრამ მას არცთუ ისე ბევრი მიმდევარი ჰყავდა.

მონისტურ თეორიას იზიარებენ არა მარტო პოზიტივისტები, არამედ სოლიდარისტებიც, მაგრამ თუ ჰ. კელზენი იერარქიის ბოლოს უზენაესი ნორმის იურიდიულობის იქით არ მიდის და ამ „ძირითადი ნორმის“ (*Grundnorm*) საფუძველს ნორმატივიზმის კონსტრუქციის ჩარჩოების გარეთ ეძებს, სოლიდარისტები იერარქიის საფუძველად პოზიტიური სამართლის გარეთ მდებარე „ობიექტურ მოვლენებს თვლიან“. ამ კონცეფციის თვალსაჩინო წარმომადგენელია ფრანგი იურისტი ჟ. სელი, რომელსაც საერთაშორისოსამართლებრივი ურთიერთობები წარმოუდგენია როგორც ურიცხვი „ურთიერთობის“ ერთიანობა. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია „სოციალური სოლიდარობით“. ისევე, როგორც კელზენი, სელი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სამართალი არის „უმაღლესი“ მართლწესრიგი, ხოლო სახელმწიფო არის მართლწესრიგი, რომელიც უშუალოდ საერთაშორისო მართლწესრიგს ემორჩილება. სელიც, საერთაშორისო სამართლის პრიმატის საფუძველზე, უარყოფს სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნებას და ასაბუთებს ინდივიდის საერთაშორისო სამართალსუბიექტობას. მისი აზრით, სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნება „ენინააღმდეგება ფაქტს და სამართალს“, უარყოფს სახელმწიფოს ძირითადი უფლებების ცნებას, როგორც იურიდიულ ნამდვილობას მოკლებულს“. ავტორი ამტკიცებს, რომ „საერთაშორისო ურთიერთობები – ეს არის ურთიერთობები ინდივიდსა და ჯგუფებს შორის, რომლებიც წარმოიშობა სახელმწიფო საზღვრებს გარეთ“. „საერთაშორისო სამართლის პროგრესი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ზესახელმწიფოებრივი გახდება იგი მომავალში“.¹¹

ამავე თეორიას, თუმცა უფრო ზომიერი ფორმით, იზიარებდნენ ავსტრიელი ა. ფერდროსი და შვეიცარიელი პ. გუგენჰაიმი.

პ. გუგენჰაიმი წერდა: „საერთაშორისო სამართლის პრიმატის პრინციპის თანახმად, მისი კომპეტენცია პოტენციურად შეუზღუდავია..., ყველა საგანი, რომელიც რეგულირდება შიდასახელმწიფოებრივი სამართლით, შეიძლება დარეგულირდეს საერთაშორისო სამართლით. სახელმწიფოს დამოუკიდებლობა სხვა არაფერია, თუ არა მისი დამორჩილება „უმაღლესი მართლწესრიგისადმი“.¹²

ჰ. კელზენის მიერ შექმნილი „ვენის სკოლის“ ერთ-ერთი მოღვაწე ა. ფერდროსითავეს კონცეფციას „ზომიერი მონიზმის“ თეორიას უწოდებს. იგი უშვებს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალს შორის კონფლიქტის შესაძლებლობას. ეს კონფლიქტები შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იურიდიული სისტემის ერთიანობაში საერთაშორისო საჯარო სამართლის პრიმატის საფუძველზე, რადგანაც „შიდასახელმწიფოებრივი სამართალი შეიძლება თავისუფლად განვითარდეს მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში“. ფერდროსი კატეგორიულად არ მიუთითებს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დამორჩილებაზე საერთაშორისო სამართლისადმი.¹³

აღსანიშნავია, რომ „ზომიერი მონიზმისა“ და „ზომიერი დუალიზმის“ ზოგიერთი დასკვნა ემთხვევა ერთმანეთს. ასე მაგალითად: ორივე კონცეფცია აღიარებს, რომ საერთაშორისო სამართალსა და შიდასახელმწიფოებრივ სამართალს შორის შეიძლება წარმოიშვას კოლიზია, რომლის გადაწყვეტაც შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო სამართლის დახმარებით, კერძოდ, საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოგვარებით და საერთაშორისო პასუხისმგებლობის ინსტიტუტების დახმარებით.

მაღკომ შოუ მიიჩნევს, რომ მონიზმისა თუ დუალიზმის პოზიციების ზედმინევიან აღიარება არ იძლევა შესაძლებლობას, ჩავნდეთ რეალურ სიტუაციას. საჭიროა სახელმწიფოთა კონსტიტუციური და სასამართლო პრაქტიკისა და საერთაშორისო სასამართლოების საქმიანობის შესწავლა.¹⁴

მისი დაკვირვებით, ქვეყნების უმრავლესობა აღიარებს ჩვეულებითი ნორმების შეფარდებას მათი საკუთარი იურისდიქციის სფეროში, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან შიდასახელმწიფოებრივ ნორმებს, ხოლო ზოგიერთი ქვეყანა ანიჭებს კიდევაც საერთაშორისო სამართალს უზენაეს ძალას შიდასახელმწიფოებრივი ნორმების მიმართ.¹⁵

ავტორის აზრით, როგორც წესი, საქმე გვაქვს ვალდებულებათა კონფლიქტთან, ანუ სახელმწიფო თავის შიდა სამართალში არ მოქმედებს საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს შიდა პოზიცია რჩება ხელშეუხებელი (და არ ბათილდება საერთაშორისო სამართლის სანინააღმდეგო ნორმით), მაგრამ, რადგანაც სახელმწიფოს, რომლის მოქმედება საერთაშორისო ასპარეზზე არღვევს საერთაშორისო სამართ-

ლის ნორმას, პასუხისმგებლობა გადაინაცვლებს საერთაშორისო სფეროში და გამოიწვევს დიპლომატიურ პროტესტს ან სასამართლოს ქმედებას.¹⁶

ი. ბროუნლი მიიჩნევს, რომ თეორიული კონსტრუქციები აღიარებენ პრობლემას და უგულებელყოფენ რეალობას. „თუ ვინმე გადაწყვეტს, გაიზიაროს ფიცმორისისა და რუსოს შეხედულებანი, ის უფრო ახლოს აღმოჩნდება სინამდვილესთან. და მაინც, ზოგადი თეორიული კონსტრუქციები სრულად ვერ ასახავენ ამ ურთიერთობას“.¹⁷

ავტორის ხაზგასმით, შესაბამისობის საკითხი მიუთითებს იმ განსხვავებებზე, რომლებიც არსებობს ორგანიზაციაში ანუ იურისდიქციის ბუნებაში (ეროვნულია თუ საერთაშორისო) ორივე სისტემის ნორმათა, როგორც მოქნილი ინსტრუმენტების, ხასიათს შორის, დავის მოგვარების, და არა სადავო საკითხების რეგულირების, თვალსაზრისით. მაგალითად, საერთაშორისო სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმა, ამავე დროს, ორგანომ, როგორცაა, ვთქვათ, აშშ-ის უცხოური პრეტენზიების მოგვარების კომისია, რომელიც ნაციონალური ორგანოა, შეიძლება გამოიყენოს საერთაშორისო სამართლის ნორმა.

„როდესაც ეროვნული სასამართლო იყენებს საერთაშორისო სამართალს, უაზროა დაისვას კითხვა – იყო თუ არა „ტრანსფორმირებული“ ეს ნორმა შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თუკი ტრანსფორმაცია არ მოითხოვს ეროვნული სამართლებრივი სისტემის მიერ დადგენილ სპეციალურ პროცედურას, რომლის გარეშე ვერც ერთი ორგანო ვერ გამოიყენებს საერთაშორისო სამართლის ნორმას“.

ფრანგი მეცნიერები (ჟ. კომბაკუ, ა. პელდალიე, დ. კარო, პ-მ. დიუპუი), რომლებიც ზომიერი დუალიზმის პოზიციაზე დგანან, აღიარებენ საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ავტონომიურობას, მაგრამ აქვე ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ვერც ერთი მათგანი ერთიმეორისაგან იზოლირებულად ვერ იმოქმედებს და ეს სისტემები ურთიერთდამოკიდებულია და ურთიერთმევესებადი.¹⁸

ამავე დროს, თითქმის ყველა მათგანი, ასე თუ ისე, აღიარებს საერთაშორისო სამართლის, და არა მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებების, პრიმატს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიმართ.

დ. კარო მიუთითებს XIX საუკუნის დამლევიდან არსებულ სასამართლო პრაქტიკასა

და თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არსებულ ჩვეულებითსა და კონვენციურ ნორმებზე. კერძოდ, იგი იხილავს „საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ“ 1969 წლის ვენის კონვენციის 27-ე მუხლს და ასკვნის: „ამგვარი საერთაშორისო სამართლის უზენაესობის პრინციპი ცხადყოფს, რომ საერთაშორისო სამართალი (ანუ მთელი პოზიტიური საერთაშორისო სამართალი და არა მხოლოდ ხელშეკრულებები) მთლიანობაში უფრო მაღლა დგას, ვიდრე შიდასახელმწიფოებრივ ნორმათა ერთობლიობა: საკონსტიტუციო, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო გადაწყვეტილებები. ეს პრიმატი აღიარეს საერთაშორისო არბიტრაჟმა და სასამართლოებმა“.¹⁹

როგორც კარო, ასევე სხვა მეცნიერები მიმართავენ სასამართლო პრაქტიკას იმის დასადასტურებლად, რომ საერთაშორისო საყოველთაო სამართალი, ხელშეკრულებების ჩათვლით, უფრო მაღლა დგას, ვიდრე შიდასახელმწიფოებრივი სამართალი. როგორც ნესი, ისინი ერთსა და იმავე ისტორიულ ფაქტებს მიმართავენ. 1875 წელს „მონტიგოს“ საქმის განხილვისას არბიტრაჟმა დაადგინა, რომ „ხელშეკრულება კონსტიტუციაზე უფრო მაღლა დგას“.

მოგვიანებით, „ჯორჯ პინსონის“ 1928 წლის საქმის განხილვისას, არბიტრაჟმა მიუთითა, რომ საფრანგეთსა და მექსიკას შორის დადებული ხელშეკრულება უფრო მაღლა დგას, ვიდრე მექსიკის კონსტიტუცია: „უდავოა, საერთაშორისო სამართალი შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე უფრო მაღლა დგას“.

საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმა პალატამ თავის 1932 წლის 4 თებერვლის საკონსულტაციო დასკვნაში აღნიშნა: „გამომდინარე საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან, ერთ სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოსთან დავისას არ შეუძლია, თავისი ქვეყნის კონსტიტუციის საფუძველზე გაითავისუფლოს თავი იმ ვალდებულებებისაგან, რომელთაც აკისრებს მას საერთაშორისო სამართალი ან კონკრეტული ხელშეკრულება“.

იგივე აზრი გამოთქვა გაეროს საერთაშორისო სასამართლომ 1998 წელს თავის საკონსულტაციო დასკვნაში, რომელიც ეხებოდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლობას გაეროს შტაბბინაში.²⁰

პ.-მ. დიუპუი უფრო ფრთხილია დასკვნების გამოტანაში: „საერთაშორისო სამართალი და შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ურთიერთდამოკიდებულია და ურთიერთშევესე-

ბადია. ამ ურთიერთობას მნიშვნელოვნად განაპირობებს შიდასახელმწიფოებრივი საკონსტიტუციო არჩევანი. სწორედ ეს გვაძლევს შესაძლებლობას, მეტ-ნაკლებად მკაფიოდ დავასკვნათ, მიენიჭება თუ არა საერთაშორისო სამართალს იერარქიულად უფრო მაღალი ადგილი შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან შედარებით“.²¹

დალიე და პერი კატეგორიულად აცხადებენ: „საერთაშორისო მართლმსაჯულება და საკანონმდებლო პრაქტიკა, აგრეთვე, ნაციონალური მართლმსაჯულება სულ უფრო და უფრო ხშირად აღიარებენ, რომ საერთაშორისო სამართალი ვერ იარსებებდა შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიმართ თავისი პრიმატის განმტკიცების გარეშე“.²¹

საინტერესოა აღნიშნულ ავტორთა მიერ მოტანილი ფაქტობრივი მასალა:

სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 1945 წლის ივნისში უარყოფილ იქნა ბელგიის დელეგაციის წინადადება, გაეროს წესდებაში შეეტანათ საერთაშორისო სამართლის პრიმატის პრინციპი, მაგრამ სამი წლის შემდეგ გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შემუშავებულ „სახელმწიფოთა უფლებებისა და მოვალეობათა დეკლარაციის“ პროექტში შეტანილ იქნა სპეციალური მუხლი, რომლის მიხედვითაც: „ყოველი სახელმწიფო ვალდებულია, სხვა სახელმწიფოებთან დაამყაროს ურთიერთობები საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და იმ პრინციპების შესაბამისად, რომ ყოველგვარი სახელმწიფოს სუვერენიტეტი ექვემდებარება საერთაშორისო სამართლის პრიმატს“ (მე-14 მუხლი).²²

იტალიელი პროფესორი ლ. ბრავო მიიჩნევს, რომ „თანამედროვე ეტაპზე მონიზმდუალიზმის პრობლემა ატარებს წმინდა თეორიულ ხასიათს.“²³ თუმცა მსჯელობისას იგი თვითონ მიდის დასკვნამდე, რომ თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოთა სისტემებზე გავლენას ახდენს საერთაშორისო სამართალი. უფრო მეტიც, ავტორი იხილავს შემთხვევებს, როდესაც სახელმწიფო იძულებულია, გაითვალისწინოს და გაიზიაროს საერთაშორისო სამართლის ნორმები. მაგალითად, ბრავო ეხება *jus cogens*-ის ნორმებს და მიუთითებს, რომ ნაციონალურ კანონს არ შეუძლია დაარღვიოს ასეთი ნორმა, თუნდაც იგი სხვა ქვეყნის წესს შეიცავდეს.

ევროპის (სტრასბურგის) ადამიანის უფლებათა სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარე ლუციუს ვილდჰაბერს ძალზე საინტერესო პოზიცია აქვს. მისი ნააზრევის მიხედვით, „დეულისტური თუ მონისტური კონცეფცი-

ის მხარდაჭერა უფრო იდეოლოგიური შეხედულებების საგანია – პოლიტიკურად ხელსაყრელია ან, სულაც, უტოპიური თვალთახედვაა. მით უფრო, ეს საკითხი არ არის შედარებითი კვლევის საგანი ნაციონალურ მართლწესრიგთან მიმართებით, ვინაიდან ორივე კონცეფცია, საბოლოოდ, როგორც წესი, ფოკუსირდება შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ პრაქტიკულად ყოველი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემა მოიცავს მონისტურ და დუალისტურ კონცეფციათა ელემენტებს“. მაგალითად მას ე. წ. დუალისტური კონცეფციის მხარდამჭერი ქვეყნები მოჰყავს: „ზოგიერთ ქვეყანაში (დიდ ბრიტანეთში, ირლანდიაში, კანადაში, ავსტრალიასა და სკანდინავიის ქვეყნებში) საერთაშორისო ხელშეკრულებები მოითხოვენ იმპლემენტაციას შიდასახელმწიფოებრივ სამართალში სპეციალური სამართლებრივი აქტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, სასამართლო იყენებს ხელშეკრულებას უფრო ხშირად არა ტრანსფორმაციის დროიდან, არამედ რატიფიცირების მომენტიდან. ეს, რა თქმა უნდა, არ არის დუალიზმი“.²⁴

ა. კასესე, ერთი მხრივ, აცხადებს, რომ „სახელმწიფოთა უმრავლესობა არ ცნობს საერთაშორისო ნორმების პრიმატს თავისი ეროვნული სამართლებრივი სისტემის მიმართ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის უმრავლესობა ცდილობს დააკნინოს საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები თავიანთ სამართლებრივ სისტემებში, ასევე არ ნიშნავს, რომ ისინი სისტემატიურად და ჩვეულებრივ უარყოფენ საერთაშორისო ნორმებს, უფრო პირიქით, მცირე გამონაკლისების გარდა, ისინი იცავენ თავიანთ ვალდებულებებს, მაგრამ სახელმწიფოები საბოლოოდ ამჯობინებენ, არ შეიტანონ თავიანთ კონსტიტუციებსა და კანონებში მტკიცე და ურყევი ვალდებულებები საერთაშორისო სამართლის ნორმების უპირობო შესრულების მოთხოვნით“.

მეორე მხრივ, ის აღიარებს: „ჩვენ მონმენი ვართ, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში თავს იჩენს მზარდი მნიშვნელობის ფენომენი: სულ უფრო და უფრო მეტი საერთაშორისო ნორმა პირდაპირ მიმართავს პიროვნებას – ან აკისრებს მას ვალდებულებებს, ან ანიჭებს უფლებებს. ეს ნებსები პირდაპირ ვრცელდება პიროვნებებზე, სახელმწიფოს ეროვნული სამართლის შუამავლობის გარეშე“.²⁵

საინტერესოა ის ტრანსფორმაცია²⁶, რომელიც განიცადა საერთაშორისო სამართლის საბჭოთა დოქტრინამ – იგი უარყოფდა მონისტური თეორიის ორივე მიმართულებას და მხოლოდ ნაწილობრივ იზიარებდა დუალისტურ მიდგომას. საბჭოთა მეცნიერები იხილავდნენ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალს, როგორც „სამართლის განცალკევებულ სისტემებს“,²⁷ თუმცა, იმავდროულად, დუალიზმის ტრადიციულ დოქტრინასაც ემიჯნებოდნენ იდეოლოგიურ შეხედულებათა სხვადასხვაობის გამო. მათი მტკიცებით, „რეალისტური დუალიზმის“ (როგორც თავიანთ კონცეფციას უწოდებდნენ) განსხვავება ტრადიციულისაგან ისაა, რომ სოციალისტური მეცნიერება იკვლევს როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივ სამართალს სოციალური კავშირების სისტემაში და ამით სცილდება მათი ურთიერთკავშირების კონკრეტულ, წმინდა იურიდიულ ასპექტებს. საბჭოთა მეცნიერთა განმარტებით, ეს გარემოება იძლეოდა შესაძლებლობას, აეხსნათ ამ ურთიერთკავშირების ნამდვილი (რეალური) მიზეზები. ა. გავერდოვსკი, რომელმაც აღნიშნულ პრობლემას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა, მათ შორის მონოგრაფია „საერთაშორისო ნორმების იმპლემენტაცია“, წერდა, რომ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შეფარდების ანალიზისას სოციალისტური საერთაშორისო სამართლებრივი დოქტრინა გამომდინარეობს სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპიდან და განიხილავს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალს, როგორც ორ დამოუკიდებელ და განცალკევებულ სისტემას, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.²⁸

საბჭოთა მეცნიერები ეყრდნობოდნენ სახელმწიფო სუვერენიტეტის მარქსისტულ კონცეფციას და ეთანხმებოდნენ დუალისტებს, რომ საერთაშორისო სამართალი და შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ორი დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემაა. ამავე დროს, ისინი ეთანხმებოდნენ მოსაზრებას, რომ, თუმცა ორივე სისტემა ერთმანეთისაგან იზოლირებულია, ამ სისტემებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი.²⁹

ვ. ბუტკევიჩი აღნიშნავდა, რომ „დუალისტები იმდენად გაერთნენ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ურთიერთობათა მახასიათებლების შესწავლით, ... რომ შესაძლებლად არ მიიჩნიეს ამ სამართლებრივი სისტემებისა და მათი ელე-

მენტების ერთმანეთთან შეფარდების არსებობა“.³⁰

მაგრამ, თუ არსებობს შეფარდება სამართლებრივ სისტემებს შორის, ის უნდა რეგულირდებოდეს ნორმათა იერარქიულობის მიხედვით. ეს საკითხი კი საბჭოთა მეცნიერების თეორიაში ღიად რჩებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საბჭოთა სკოლა არ იზიარებდა ორთოდოქსულ დუალიზმს (*ანცილოტი*), ვინაიდან არ უარყოფდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ურთიერთკავშირს და, აქედან გამომდინარე, აღიარებდა ამ სამართლებრივ სისტემებს შორის წარმოშობილ კოლიზიასაც.

საბჭოთა მეცნიერები შემდეგ დასკვნას აკეთებდნენ: „ნებისმიერმა სახელმწიფომ კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს საერთაშორისო სამართლის ნორმები, საერთაშორისო ხელშეკრულებები და ვალდებულებები. მაგრამ იმავდროულად მხოლოდ ისეთ საერთაშორისო ნორმას აქვს ნამდვილი ძალა და მორალური ავტორიტეტი, რომელიც სუვერენულ სახელმწიფოს თავს არ ახვევს სხვა სახელმწიფოს ნებას და არ ენინააღმდეგება სახელმწიფო წყობასა და სამართლებრივ სისტემას“.³¹

საბჭოთა კავშირის დაშლისა და რუსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ რუსი მეცნიერები თუმცა კვლავ დუალისტურ თეორიას „იზიარებენ“, მსჯელობისას მათს კონცეფციებში ახალი ელემენტები ჩნდება, ისინი სულ უფრო ხშირად აპელირებენ საერთაშორისო სამართლის პრიმატის კონცეფციის ელემენტებზე. შეფარდების პრობლემის განხილვისას *ს. ჩერნიჩენკო* ყურადღებას ამახვილებს ტერმინოლოგიაზე. მისი შეხედულებისამებრ საუბარია არა შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის თანაფარდობაზე, არამედ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მართლწესრიგების გამიჯვნაზე, ვინაიდან მართლწესრიგი უფრო ფართო ცნებაა.

ჩვენი აზრით, ამ პრობლემასთან დაკავშირებით ტერმინების ამგვარი გამოყენება პირობითია, ვინაიდან ვისაუბრებთ სამართლებრივ სისტემასა თუ მართლწესრიგზე, ობიექტური საზღვრები შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სამართალს შორის განისაზღვრება ურთიერთობათა რეგულირების ბუნებით და შესაბამისი ურთიერთობების შესაძლო მონაწილეთა წრით. *ს. ჩერნიჩენკო* თავის მონოგრაფიაშიც ამტკიცებს დუალისტური თეორიის სიცოცხლისუნარიანობას. საინტერესოა, როგორ ფრთხილად შემოჰყავს

მას თავის მსჯელობებში „საერთაშორისო სამართლის პრიორიტეტის“ ცნება და ავითარებს ამ იდეას. იგი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართალი და შიდასახელმწიფოებრივი სამართალი სხვადასხვა სივრცეში მოქმედებენ და, აქედან გამომდინარე, თვით საკითხის დასმა, რომ საერთაშორისო სამართალმა არ შეიძლება დაარეგულიროს შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობები, უსაფუძვლოა. ავტორი აცხადებს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართალი უნდა ესადაგებოდეს საერთაშორისო სამართალს, რათა უზრუნველყოს ამ უკანასკნელის განხორციელება. ამ გაგებით, იგი დასაშვებად მიიჩნევს საერთაშორისო სამართლის პრიმატს.³²

ავტორი მსჯელობისას, ფაქტობრივად, აღიარებს, რომ არსებობს სამართლებრივი სისტემა (საერთაშორისო სამართალი), რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ნაციონალური სამართალი. ბუნებრივია, ისმება კითხვა: თუ არ იარსებებს ამგვარი შესაბამისობის დადგენის იურიდიული მოთხოვნა, რატომ განხორციელებს სახელმწიფო ნებაყოფლობით ასეთ იურიდიულ ქმედებას? პასუხს ავტორი კონსტიტუციურ ნორმაში ხედავს, თუმცა კონსტიტუციური ნორმა იერარქიულად მაღლა მდგომი შიდასახელმწიფოებრივი ნორმაა, რაც წარმოშობს კითხვას: რატომ აისახა კონსტიტუციურ ნორმაში ამგვარი დებულება?

ცნობილ რუს თეორეტიკოს *ი. ლუკაშუკს* მიაჩნია, რომ საერთაშორისო ნორმების უშუალო მოქმედება პირობით ხასიათს ატარებს, ვინაიდან უშუალო მოქმედებას ნორმები იწყებენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ შესაბამისი იურიდიული ძალა მიენიჭება ნაციონალური სამართლის მიხედვით.³³

სახელმწიფო თვითონ წყვეტს, რომელ სამართლებრივ სისტემას აირჩევს, მაგრამ სახელმწიფომ ისეთი სამართლებრივი სისტემა უნდა შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. მისი აზრით, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შეფარდების დადგენისას მთავარი როლი ეკუთვნის კონსტიტუციურ სამართალს. *ლუკაშუკი* მიუთითებს 1969 წლის ვენის კონვენციის 27-ე მუხლზე და აცხადებს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულება ენინააღმდეგება კონსტიტუციას, ის ინარჩუნებს სახელმწიფოსათვის საერთაშორისო სამართლებრივ სავალდებულო ძალას, მაგრამ სახელმწიფოს შიგნით იგი – ხელშეკრულება – პრაქტიკულად გამოუყენებელია.

ნაშრომის მესამე გამოცემაში³³ კი ავტორი მნიშვნელოვნად „ახლებს“ თავის კონცეფციას. მას აქცენტი გადააქვს ორი სისტემის „ურთიერთქმედებაზე“. ამჯერად ავტორი მჭიდროდ აკავშირებს ამ ფენომენს გლობალიზაციის პროცესთან – „სამართლებრივი რეგულირების გლობალიზაციისადმი მიდრეკილება სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება... საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ურთიერთქმედების გაღრმავებას მიეყვართ გლობალური სამართლებრივი სისტემის ანუ სუპერსისტემის შექმნამდე“,³⁴ მაგრამ, ხაზს უსვამს ავტორი, ეს არ ნიშნავს „მსოფლიო სახელმწიფოს“, „მსოფლიო სამართლის“ შექმნას. „ეროვნული სამართლებრივი სისტემა მეტწილად მოქმედებს როგორც გლობალური სამართლებრივი სისტემის ნაწილი და უნდა შეესაბამებოდეს მის პრინციპებს, თუმცა ეს არ ნიშნავს საერთაშორისო სამართლის სრულ დომინირებას შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე. ეროვნული სამართლებრივი სისტემის დაქვემდებარება ხდება მხოლოდ იქ, სადაც ეს საჭიროა საერთაშორისო სამართლის ნორმალური ფუნქციონირებისათვის“.³⁵

ამგვარად, ი. ლუკაშუკი, ერთი მხრივ, უარყოფს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების (აღსანიშნავია, რომ ავტორი ძირითადად საერთაშორისო ხელშეკრულებების პრიორიტეტზე საუბრობს) შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ ნორმებზე უშუალო, სახელმწიფოს ნების გამომჟღავნების გარეშე, უზენაესობას (პრიმატს), მაგრამ, ამავე დროს, იძულებულია, ძალზე ბუნდოვნად, აღიაროს ეროვნული სამართლის საერთაშორისო სამართლისადმი დაქვემდებარების აუცილებლობა, რასაც გლობალიზაციის პროცესების განვითარებით ხსნის. აქ ისევ და ისევ ჩვენ ვერ ვხედავთ მთავარს – რა აიძულებს სახელმწიფოს, იმოქმედოს, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, არა მარტო საერთაშორისო ასპარეზზე, სადაც საერთაშორისო სამართლის პრიმატი საყოველთაოდ არის აღიარებული, არამედ ქვეყნის შიგნითაც, მაშინაც, როდესაც მისი კანონები, კონსტიტუციის ჩათვლით, უპირისპირდება აღნიშნულ პრინციპებსა და ნორმებს. პრიმატის არსი ხომ ისაა, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმები უფრო მაღლა დგას, მიუხედავად იმისა, აღიარებს სახელმწიფო მას თუ არა, რადგანაც სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამ-

შრომლობის საერთო ნება უფრო მაღლა დგას, ვიდრე ცალკეული სახელმწიფოს ნება.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საერთაშორისო სამართლისა და ნაციონალური სამართლის თანაფარდობის საკითხი არასდროს ყოფილა კომპლექსური გამოკვლევის, ანალიზის საგანი, მაგრამ ზოგიერთი ასპექტის განხილვას მიუძღვნეს თავიანთი ნაშრომები ი. ფუტყარაძემ³⁶, კ. კორკელიამ³⁷, პ. ცნობილაძემ³⁸; უფრო ფართო და დეტალური ანალიზი მოცემულია ლ. ალექსიძის მონოგრაფიაში, რომელიც ჯერ კიდევ 1982 წელს გამოიცა³⁹, თუმცა ნაშრომში განხილულია მხოლოდ საერთაშორისო სამართლის პრიმატის პრობლემა საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ.

რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულებების პრიორიტეტს საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან მიმართებით, აქ ყველა ავტორი აღიარებს ხელშეკრულებათა ამ უპირატესობას, თუმცა საქართველოს კონსტიტუციის გამონაკლისით. ანუ ავტორები სიტყვასიტყვით განმარტავენ კონსტიტუციის მე-6 მუხლის ფორმულას და გამოყოფენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმებისაგან.

ჩვენთვის განსახილველი თემის კონტექსტში საინტერესოა ავტორთა შეხედულებანი, სახელდობრ საერთაშორისო სამართლის, ანუ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, პრიმატის შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო სამართლის პრიმატზე, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში, ასევე შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, შეიძლება მსჯელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „პრიმატის“ ცნების საწყის ელემენტად სახელმწიფოს ცალკეული ნებელობის თავისუფლების შეზღუდვა წარმოგვიდგება, მიუხედავად იმისა, სურს მას თუ არა, დაემორჩილოს ნორმას, რომლის შექმნაში არ მონაწილეობდა, ან აქტიურად ეწინააღმდეგებოდა მის ჩამოყალიბებას, ან საერთოდ არ მონაწილეობდა ამ პროცესში, რადგანაც იგი მის საერთაშორისო ასპარეზზე გაჩენამდე შეიქმნა. ამგვარად, ჩვენი აზრით, პრიმატი ყველა სახელმწიფოს მიმართ ობიექტურად არსებული საერთაშორისო მართლწესრიგის ყველაზე ფუნდამენტური და სასიცოცხლო ნორმებისადმი უპირობო დამორჩილებას გულისხმობს, რადგან ეს პრინციპები და ნორმები სახელმწიფოების საერთო ნების გამომხატველია.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ი. ფუ-ტკარაძის შეხედულება იმის თაობაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები საქართველოში პირდაპირი, უშუალო მოქმედებისაა. ეს ნიშნავს, რომ, მიუხედავად იმისა, აისახა თუ არა საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტში საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მათი დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოში⁴⁰. ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ხელისუფლების განხორციელებისას, ე.ი. კონსტიტუციის პრინციპებისა და ნორმების დადგენის დროსაც, ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან საყოველთაოდ აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“⁴¹

კ. კორკელია ეხება საერთაშორისო სამართლის პრინციპის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს – საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ადგილს საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმების იერარქიაში და საპირისპირო დასკვნამდე მიდის: „რადგან კონსტიტუციის მე-7 მუხლი არ ადგენს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების იერარქიულ თანაფარდობას სხვა აქტების მიმართ, ამ კატეგორიის ნორმებისადმი გამოყენებულ უნდა იქნეს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებთან დაკავშირებული საქართველოში არსებული ზოგადი მიდგომა (რაც განისაზღვრება როგორც კონსტიტუციის მე-6(2) მუხლით, ისე განხილული სხვა ნორმატიული აქტებით), რომლის თანახმად, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს საქართველოს კანონმდებლობის მიმართ უპირატესობა ენიჭება (მაგალითად, კანონის მიმართ, მაგრამ არა კონსტიტუციის მიმართ)“.⁴²

ავტორი აბსოლუტურად სწორად განმარტავს, რომ კონსტიტუციის მე-6(2) მუხლით საქართველოს მთელი კანონმდებლობა „დამოკიდებულია“ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებზე, ხოლო თუ არ შეესაბამება, უნდა შეიცვალოს; იგივე ითქმის მომავალ შიდასახელმწიფოებრივ ნორმებზე. თუკი ეს ასე არ არის, ასეთი შესაბამისობის არარსებობის დადგენის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“.⁴³

მართებულია ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის

(9.IV.91) დებულება, რომლის მიხედვით, საქართველოს კანონების მიმართ საერთაშორისო სამართლის პრინციპი და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად და აუცილებლად საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულების პრინციპად მოიცავს, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის ძალით გახდა საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი. მის ნორმებს ენიჭება შიდასახელმწიფოებრივი იურიდიული ძალა საქართველოში, რაც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების უშუალო გამოყენების წინაპირობაა.⁴⁴

მაგრამ ვერ დავეთანხმებით ავტორს, რომ საერთაშორისო სამართლის პრინციპი, კერძოდ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების სახით, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ადამიანის უფლებებს იცავს და არეგულირებს, უფრო დაბლა დგას, ვიდრე საქართველოს კონსტიტუცია, – „კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ქვეყნის კონსტიტუციას“.⁴⁵

ტერმინი „შეესაბამება“ აღნიშნავს უკვე არსებულ რეალურ მდგომარეობას და არა მოლოდინს მომავალში მოთხოვნისას, თუმცა, ჩვენი აზრით, კანონმდებელმა იგულისხმა, რომ საქართველოს კონსტიტუცია ნებისმიერ შემთხვევაში, და არა კონსტიტუციის მიღების მომენტიდან, უნდა პასუხობდეს ამ პირობას. ასევე ჩნდება კითხვა: ობიექტურად შეესაბამება კი ყოველთვის საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს? ასეთი კითხვა არ გაჩნდებოდა, თუ საქართველო, თუნდაც საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება-შეერთების პროცედურის გავლისას, მოითხოვდა ჯერ კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას და მხოლოდ შემდგომ ამ პროცედურების გავლას. თუმცა საქართველოს პარლამენტის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ შესაძლებელია ისეთი ვითარებაც, როდესაც ქვეყანა ჯერ ახდენს რატიფიცირებას და მხოლოდ შემდგომ ახდენს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას დოკუმენტთან (ამის მაგალითია საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტის რატიფიცირების პროცედურა).

საკითხი უფრო იოლად წყდება, როდესაც ვსაუბრობთ საერთაშორისო ხელშეკრულებაზე, თუნდაც მრავალმხრივ რეგიონალურზე (მაგალითად, ევროპის კავშირთან მიმართებით), რადგანაც ამ შემთხვევაში სახელმწი-

ფოს ნება, შეზღუდოს თავისი სუვერენიტეტი, ნათელია. ის თანახმაა, შეცვალოს კონსტიტუციის დებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად (ასე გააკეთა საფრანგეთმა, თანაც არაერთხელ, ევროპის გაერთიანების ევროპის კავშირში გადაზრდის პროცესის განმავლობაში). მაგრამ ეს, ვიმეორებ, ეხება საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელშიც მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხს თვითონ სახელმწიფო წყვეტს.

იმ შემთხვევაში, თუ შიდასახელმწიფოებრივი სამართალგამომყენებელი ორგანო წააწყდება შეუსაბამობას კონსტიტუციასა და არსებულ საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისოსამართლებრივ ნორმათა შორის, ის დილემის წინაშე დადგება – რომელი ნორმა გამოიყენოს. ჩვენ ვეთანხმებით ი. ფუტკა-რაძის მოსაზრებას, რომ გამოყენებულ უნდა იქნეს საერთაშორისო სამართლის პრიმატიდან გამომდინარე ნორმა, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე პირდაპირი მოქმედების ნორმა. ნებისმიერი საერთაშორისო სასამართლო, მაგალითად, ადამიანის უფლებათა სფეროში, დააკმაყოფილებს მოქალაქის სარჩელს მისი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლის კონსტიტუცია არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ ნორმას, მით უმეტეს, თუ ის აღიარებს, რომ მისი კანონმდებლობა „შეესაბამება“ საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისოსამართლებრივ პრინციპებსა და ნორმებს.

სიცოცხლის უფლება, წამებისაგან დაცვის უფლება, უფლება... ადამიანის რამდენი არსებითი უფლებაა დაცული, რომელთა დარღვევა ყოველი ადამიანის მიმართ ინვესტ მკაცრ სასჯელს ცალკეული „ჩვეულებრივი“ დამნაშავისათვის. მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ ხდება მაღალი ჩინის სახელმწიფო მოხელეთა დასჯა მათ მიერ ათასობით ადამიანის უმნიშვნელოვანესი უფლებების დარღვევის – მათ შორის: ადამიანთა სიცოცხლის უფლების ხელყოფის, წამების დაგეგმვისა და განხორციელების ხელმძღვანელობისთვის; რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ, ვინც გეგმავს, თუმცა პირადად არ არის ჩართული ყველაზე უფრო საზარელ და შემადრწუნებელ დანაშაულთა – „საერთაშორისო დანაშაულთა“² – ფიზიკურად განხორციელებაში? ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს იმას, ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების დამგეგმავი და პოლიტიკის შემმუშავებელი (სუვერენული) იმუნიტეტით დაცული (მოქმედი) სახელმწიფო მეთაური ან სხვა მოქმედი მაღალი თანამდებობის პირია, თუ ჩვეულებრივი, ამ მიზნისათვის „დაბალი დონისად“ წოდებული მკვლელი? უნდა ხდებოდეს, თუ არა უნივერსალური იურისდიქციის გავრცელება, ყველანაირი დათქმისა და შეზღუდვის გარეშე, უმაღლესი რანგის პოლიტიკის შემქმნელებზე, რომლებიც „ავტორნი“ არიან ადამიანის უფლებათა იმ მასობრივი უხეში დარღვევებ-

ისა, რომელთა ჩადენის გამოც მათი ქვემდგომი შემსრულებლები ისჯებიან?

ზემოთ წამოწეული პრობლემებიდან გამომდინარე, ამ სტატიაში დასმული მთავარი კითხვაა: **რამდენად ლეგიტიმური შეიძლება იყოს სახელმწიფოს მეთაურთა და სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირთა იმუნიტეტების³ გაუქმების მოთხოვნა ადამიანის უფლებათა მასობრივი მასშტაბური დარღვევების შემთხვევაში და მათი უნივერსალური იურისდიქციის დაქვემდებარება, რათა ყველა სახელმწიფოს, რომელსაც ფიზიკურად შეუძლია მათი სისხლისსამართლებრივი დევნა, სამართლებრივადაც შეეძლოს ასე მოქცევა?** კითხვაზე პასუხის გასაცემად მაგალითის სახით განვიხილავთ პინოჩეტის⁴ საქმეს და შევეცდებით, გავარკვიოთ: რამდენად შეიძლება სახელმწიფო სუვერენიტეტის დათმობა ადამიანთა საერთაშორისო დანაშაულთაგან დასაცავად და სხვადასხვა იმუნიტეტით „კარგად დაცულთა“⁵ სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად, რასაც ისინი იმსახურებენ ადამიანის უფლებათა მასობრივი სასტიკი დარღვევების დაგეგმვის, ხელმძღვანელობისა თუ ამგვარი დანაშაულების ჩადენის ნების დართვისათვის, მათ შორის საკუთარ მოქალაქეთა წინააღმდეგ. შევეცდებით, ვაჩვენოთ, რომ, მართალია, პინოჩეტის საქმე საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენი სახელმწიფოს (ყოფილი) მეთაურის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კონცეფციის განვითარების პროცესში ახალ ტალღად იქნა მიჩნეული, ამ კუთხით აღნიშნული გადან-

ყვეტილება ძალიან ვინროა⁶. ვინაიდან იმუნიტეტების საკითხი საკმაოდ წინააღმდეგობრივია და ფართო სახელმწიფო პრაქტიკის⁷ მოშველიება ვერ ხერხდება, მოკლე პარალელს გავავლებთ კიდევ ერთ საინტერესო კონცეფციასთან: ეს არის ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ჰუმანიტარული ინტერვენციის კონცეფცია, რომელიც განიხილება ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების შემთხვევებში⁸. თუმცა სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობისა და სახელმწიფოს (სუვერენული) იმუნიტეტების დაცვა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი პრინციპებია, ისინი შეიძლება, უარყოფილ იქნენ ასეთი გადანყვეტილების მისაღებად „მნიშვნელოვან სახელმწიფოთა“⁹ ან საერთაშორისო თანამეგობრობის სახელით გადანყვეტილებათა მიმღები მათი გაერთიანებების საკმარისად მომზადებული პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში.¹⁰

საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენთა იმუნიტეტების უარყოფა „საერთაშორისო ტრიბუნალებისათვის“¹¹ ახალი ცნება არ არის. სისხლისსამართლებრივი დევნის ეროვნულ დონეზე განხორციელების უპირატესობათა¹² გათვალისწინებით, კიდევ ერთი კითხვა ჩნდება: სახელმწიფოთა ეროვნულ სასამართლოებს რატომ არ უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება, იმავე პრინციპის გამოყენებით განახორციელონ საკუთარი იურისდიქცია და უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქციას დაუქვემდებარონ ეს დამნაშავენი საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისათვის?

მთავარ კითხვაზე პასუხის გაცემამდე და იმ მოთხოვნის ლეგიტიმურობის სრულფასოვნად გასააზრებლად, რომ უმაღლესი რანგის სახელმწიფო თანამდებობის პირების აბსოლუტური იმუნიტეტი, რომელიც მათ სისხლისსამართლებრივი დევნისგან იცავს, უნდა გაუქმდეს, მნიშვნელოვანია, მოკლედ გავანალიზოთ სახელმწიფო იმუნიტეტის კონცეფცია და (მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა) ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება.

საერთაშორისო სამართალში უნივერსალური იურისდიქციის ცნების ანალიზისა და საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენთა მიმართ უნივერსალური იურისდიქციის განსახორციელებლად იმუნიტეტების გაუქმების შესაძლებლობის შეპირისპირებით ადამიანის უფლებათა დაცვის სახელით წარმოებულ

ჰუმანიტარული ინტერვენციის კონცეფციასთან შევეცდებით, დავასკვნათ, შესაძლებელია თუ არა იმგვარი სახელმწიფო პრაქტიკისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმების ჩამოყალიბება, რომელთა მეშვეობით სუვერენულ სახელმწიფოთა უმაღლესი რანგის წარმომადგენლები უნივერსალურ იურისდიქციას დაექვემდებარებიან და, შესაბამისად, ნებისმიერი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოები შეძლებენ საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისთვის იმუნიტეტებით დაცული მაღალი რანგის თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივ დევნას. ამ სტატიის იმუნიტეტების, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპისა და ადამიანთა საერთაშორისო დანაშაულისგან დაცვის პრობლემის ურთიერთმიმართებასაც განვიხილავთ. ძირითად არგუმენტად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევების დასჯაზე ორიენტირებულ ბელგიის კანონს¹³ მოვიხმობთ და მსგავს ინიციატივათა მხარდაჭერის მიზანშეწონილობის ჩვენებას შევეცდებით.

მომდევნო თავში განვიხილავთ სუვერენული იმუნიტეტის კონცეფციას და ვაჩვენებთ, რომ ადამიანის უფლებათა სამართლის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოთა იმუნიტეტებისა და სუვერენული თანასწორობის დაცვას არ ენიჭება უფრო დიდი მნიშვნელობა, ვიდრე ადამიანის უფლებათა უმძიმესი დარღვევების, საერთაშორისო დანაშაულთა, ჩამდენების სისხლისსამართლებრივ დევნას; სტატიის მესამე თავში საერთაშორისო დანაშაულისთვის პასუხისმგებელ ლიდერებზე ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შერაცხვის კონცეფციაზე ვისაუბრებთ, ხოლო სტატიის მეოთხე თავში შევხებით ჰუმანიტარული ინტერვენციის თემას მაშინ, როდესაც ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევები ხდება. ეს თემა საინტერესოა, სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, იმდენად, რამდენადაც ამ ნაშრომის თემასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ნაკლებობა იწვევს იმის საჭიროებას, რომ მოხდეს ანალოგების მოძიება და პარალელების გავლება სხვა მცდელობებთან, მოხდეს ადამიანთა დაცვა მათი უფლებების მასობრივი დარღვევებისაგან, თუნდაც სახელმწიფო სუვერენიტეტის დარღვევის ხარჯზე; სტატიის მეხუთე თავში განვიხილავთ პინოჩეტის, როგორც იმუნიტეტების დაცვის მხრივ და დამნაშავე სახელმწიფო ლიდერთა სისხლისსა-

მართლებრივი დევნის კონტექსტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, საქმე.

მიუხედავად იმ მნიშვნელობისა, რომელიც იმუნიტეტების სხვადასხვა სახეობას¹⁴ ენიჭება, ნაშრომში მალალი რანგის სახელმწიფო მოხელეებისათვის მინიჭებული იმუნიტეტები განიხილება როგორც ერთი, ერთგვაროვანი კონცეფცია, რომლის დახმარებით საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენი მალალი რანგის დამნაშავეები თავს არიდებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ამდენად, ვითვლისწინებთ რა *ratione materiae* და *ratione personae* იმუნიტეტებს შორის განსხვავებებს, ამ განსხვავებასა და მათს მნიშვნელობაზე ყურადღებას არ გავამახვილებთ¹⁵, რადგან, ჯერ ერთი, სტატიის ფორმატია შეზღუდული და, მეორე, ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლისთვის თითქმის არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება, მათ წინააღმდეგ საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენი პირი დაცული იყო, პირობითად, „ა“ თუ „ბ“ ტიპის იმუნიტეტით. მსხვერპლთათვის მნიშვნელოვანი მხოლოდ ის გარემოებაა, რომ „კარგად დაცული“¹⁶ მალალი თანამდებობის პირი პასუხისმგებელია ჩადენილი დანაშაულისათვის, და მას შეუძლია, თავი აარიდოს ამ პასუხისმგებლობას მისთვის მინიჭებული კარგად ჩამოყალიბებული იმუნიტეტების დახმარებით. ამ სტატიის ამაში არც შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი დანაშაულების, ანუ იმ დანაშაულთა ჩამდენ ლიდერთა შესაძლო პასუხისმგებლობას განვიხილავთ, რომლებიც საერთაშორისო დანაშაულის განმარტების საზღვრებს გარეთ ხვდებიან¹⁷. ამდენად, განვიხილავთ ნებისმიერი სახის იმუნიტეტს, რომლებზეც შესაძლოა, სახელმწიფოთა დამნაშავე ლიდერებმა აპელირება მოახდინონ, და რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ საერთაშორისო დანაშაულის ჩადენასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან.

II. იმუნიტეტისა და სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის დაცვა.¹⁸ რატომ უნდა ენიჭებოდეს ამ ყოველივე უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე ადამიანთა დაცვას მათი უფლებების სასტიკი დარღვევისგან?

„თუ პოლიტიკურ ლიდერთა გონებიდან შესაძლებელი იქნებოდა სუვერენიტეტის დოქტრინის ამოშლა, ეს შეამცირებდა თუ არა ადამიანის უფლებათა დარღვევების იმ განსაკუთრებულ ფორმებს, რომლებიც მთავრო-

ბათა არაადეკვატურ ქმედებებს უკავშირდება? ამ ცნების გაუქმება გააძლიერებდა თუ არა ადამიანთა სოლიდარობას, რომელზეც კოლექტიური პასუხისმგებლობისა და ინდივიდუალური ანგარიშვალდებულების არსია დამოკიდებული?“¹⁹ – ეს არის ის ფუნდამენტური კითხვა, რომელსაც რიჩარდ ფოლკი სვამს თავის ნაშრომში. კითხვები, რომლებიც სტატიის ამ თავში დასმული იმავე საკითხებთან მიმართებით, შემდეგია: *შესაძლოა თუ არა, ადამიანთა დაცვა მათი უფლებების მასობრივი და სასტიკი დარღვევებისგან მიჩნეულ იქნეს უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე (სახელმწიფო) სუვერენული იმუნიტეტების დაცვა და ამდენად, საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოების წარმომადგენელთა ხელშეუვალობა დადგეს რისკის ქვეშ სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად და, შესაძლოა, მომავალში ადამიანთა მასობრივი განადგურების თავიდან ასაცილებლად?*

ამ კითხვებზე პასუხების მოსაძებნად მიზანშეწონილია სუვერენული (სახელმწიფო) იმუნიტეტის კონცეფციის²⁰ მოკლე მიმოხილვა, რათა განვსაზღვროთ მისთვის ისტორიულად მინიჭებული მნიშვნელობა. სუვერენული (სახელმწიფო) იმუნიტეტის და სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის დაცვას საერთაშორისო ურთიერთობებში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება – ესენი საერთაშორისო სამართლის ის კონცეფციებია, რომელთა დეტალური განხილვა ამ სტატიის ფარგლებს სცილდება, ამიტომ მათზე ყურადღება შევაჩერეთ მხოლოდ ადამიანის უფლებების იდეის განვითარებასთან კავშირში. არ ვამტკიცებთ, რომ სუვერენული იმუნიტეტის კონცეფცია სრულიად უნდა გაქრეს, სუვერენული (სახელმწიფო) იმუნიტეტის ცნებას შევცხებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის შეიძლება ხელშემშლელი იყოს საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენთა სისხლისსამართლებრივი დევნისათვის.

სუვერენული (ან სახელმწიფო) იმუნიტეტი საერთაშორისო სამართლის სახელმძღვანელოებში განმარტებულია როგორც „სამართლებრივი წესები და პრინციპები, რომლებიც განმარტავენ იმ პირობებს, რომელთა არსებობისას უცხო სახელმწიფოს შეუძლია სხვა სახელმწიფოს (ხშირად უწოდებენ „სასამართლოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოს“)²¹ იურისდიქციისგან (საკანონმდებლო, სასამართლო და ადმინისტრაციული ხელისუფლებებისგან) თავისუფლება მოითხოვოს“. ეს კონცეფცია საუკუნეების განმავლობაში

საერთაშორისო ურთიერთობების საბაზისო ელემენტად იყო მიჩნეული. ამ ნესიდან გამომდინარე, „ისტორიულად, სახელმწიფო მეთაურები არ ექვემდებარებოდნენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მათ მიერ ჩადენილი ქმედებებისათვის, სუვერენისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის შერწყმის გამო“.²² ამდენად, „სუვერენული იმუნიტეტის ნესის არსებობის თეორიული დასაბამი იმ დროიდან მოდის, როდესაც სახელმწიფოთა უმეტესობა ინდივიდუალური სუვერენების – მონარქების – მიერ იმართებოდა, რომლებიც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ახდენდნენ სახელმწიფოს პერსონიფიცირებას“.²³ „სახელმწიფოსა და მისი მეთაურის ურთიერთკავშირი ამდენად ძალზე ახლოს იყო ლუი XIV-ის სიტყვებთან: *“L’Etat, c’est moi”*“.²⁴

საერთაშორისო სამართლისა და სახელმწიფოს ცნების განვითარებასთან ერთად ამ მიმართებით მიდგომებიც შეიცვალა. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის დაცვის მთავარი მიზეზი შეიძლება იყოს „თანასწორ სუვერენთა“ საერთაშორისო ურთიერთობების მხარდაჭერა საერთაშორისო ნესრიგის შესანარჩუნებლად. საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტები სუვერენული სახელმწიფოები არიან და მაგალითისთვის მხოლოდ ერთი – უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია რომ დავასახელოთ, იგი ეფუძნება „ყველა წევრი სახელმწიფოს სუვერენული თანასწორობის პრინციპს“;²⁵ თუმცა ეს „სუვერენული თანასწორობა“ არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც უპირობო, რამდენადაც ზემოთ აღნიშნული პრინციპის აღიარების პარალელურად გაეროს საკუთარი წევრების უფლებათა გარკვეული შეზღუდვა შემოაქვს შემდეგი დებულების მეშვეობით: „წევრობიდან გამომდინარე უფლებებისა და უპირატესობების უზრუნველსაყოფად თითოეულმა წევრმა კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს ის ვალდებულებები, რომლებიც მათ ამ ნესდებით აქვთ ნაკისრი“.²⁶ ერთ-ერთი „ნაკისრი ვალდებულება“ ადამიანის უფლებათა დაცვაა, რადგან, იმავე ნესდების შესაბამისად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს შორისაა „ყველასთვის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ხელშეწყობა და ნახალებისება“²⁷ და „ყველა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა და საყოველთაო პატივისცემა“.²⁸ შესაბამისად, შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ იმ შემთხ-

ვევაში, თუ გაეროს წევრი სახელმწიფოები არ შეასრულებენ მათზე ნესდებით დაკისრებულ ვალდებულებებს, არ ექნებათ შესაძლებლობა, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპზე აპელირებით სახელმწიფოებისთვის ზოგადად მინიჭებული იმუნიტეტებისა და სუვერენული თანასწორობის დაცვა მოითხოვონ.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, სახელმწიფო იმუნიტეტისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის კონცეფციები შემდეგ ლოგიკაზე დაფუძნებულად შეიძლება ჩაითვალოს: ეს ცნებები არ გულისხმობენ საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენთათვის დაუსჯელობის გარანტიას. ისინი სახელმწიფოთა თანასწორობის დასაცავად არიან შექმნილი იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს ასრულებენ. *სერვოსის* თანახმად, „განსაკუთრებით უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სახელმწიფო იმუნიტეტის მარეგულირებელ სამართალში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. პრაქტიკულმა საჭიროებებმა გამოიწვია დღევანდელ საერთაშორისო თანამეგობრობაში სახელმწიფოს როლის გადასინჯვა. მათი იმუნიტეტით აბსოლუტური დაცულობის მოძველებული ცნებები გზას უთმობენ უფრო მოკრძალებულ შეხედულებებს.“²⁹ *ფოქსის* თანახმად, „ვესტფალისეული სახელმწიფოს ძირის შერყევის ერთ-ერთი ფაქტორი პიროვნებისთვის და თითოეული ადამიანის ფუნდამენტური ინტერესებისთვის გაზრდილი მნიშვნელობის მინიჭებაა. მაშინ, როდესაც ამ ინტერესების დაცვა, სახელმწიფოს გარდა, სხვა არც ერთი პროცესით ან ინსტიტუტის მეშვეობით შეიძლება არც განხორციელდეს, ჩამოყალიბდა მიდგომა, რომლის თანახმად, ასეთი ინტერესის დაქვემდებარება აუცილებლად არ შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო ინტერესისადმი...“.³⁰ დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს შემდეგია: საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის განვითარება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტს ამოფარებით მოხდეს ადამიანის უფლებათა სასტიკი დარღვევების ჩამდენთა დაუსჯელად დატოვება.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტის ხელშეუხებლობის იდეა ისეთი შეუვალი აღარ არის მაშინ, როდესაც საპირწონედ ადამიანთა უფლებების მასობრივი დარღვევებია. ადამიანის უფლებათა სამართლის განვითარება, ჰუმანიტარული ინტერვენციის იდეის შემოტანა, საერთაშორისო ტრიბუნალების წინაშე იმუ-

ნიტეტების მოშვების დაუშვებლობა ამის მან-
იშნებელია. ყურადღებას იმსახურებს შიდასახ-
ელმნიფობრივი სასამართლოები, რომლებიც არ
არიან ყოველთვის უფლებამოსილი, განახორ-
ციელონ უნივერსალური იურისდიქცია და დამ-
ნაშავე ლიდერების გასამართლების კონცეფცია
ძირითადად საერთაშორისო მასშტაბით შექმნი-
ლი სასამართლო ინსტიტუტებისთვისაა მიმდ-
ობილი.³¹ 1994 წელს სერ ვატსმა აღნიშნა, რომ:
„საჭიროა სიფრთხილე იმასთან დაკავშირებით,
თუ რამდენად არის სახელმწიფო იმუნიტეტის
შემზღუდველი წესი მხარდაჭერილი საერთა-
შორისო თანამეგობრობის მიერ ზოგადად იმის-
ათვის, რომ ვისაუბროთ მის საერთაშორისო
ჩვეულებითი სამართლის ნაწილად ჩამოყალი-
ბებაზე: შემზღუდავი განმარტების დაფუძნების
ტენდენცია ძლიერია, თუმცა იმის თქმა ჯერ არ
შეიძლება, რომ ამასთან დაკავშირებით კონსენ-
სუსი არსებობს“.³²

ადამიანის უფლებათა სამართლის განვი-
თარებამ მე-20 საუკუნეში განაპირობა ადამი-
ანის უფლებების უფრო მეტი მხარდაჭერა, ვი-
დრე სახელმწიფოს წარმომადგენელი სხვადასხ-
ვა იმუნიტეტით დაცული უმაღლესი დონის ზო-
გიერთი სახელმწიფო თანამდებობის პირის ხე-
ლშეუვალობის დაცვა. ამ ტრანსფორმაციას
თან სდევდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ად-
ამიანის უფლებების ცნების განვითარების პრო-
ცესი, რომლის შედეგად ადამიანის უფლებები
ალარ იყო „სახელმწიფოს შიდა საქმე“.³³

დასკვნის სახით აღსანიშნავია, რომ სახ-
ელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის
დაცვისთვის მინიჭებული უზარმაზარი მნიშ-
ვნელობის მიუხედავად, ადამიანთა უფლებებ-
ის სასტიკი და მასობრივი დარღვევებისგან
დაცვა უფრო მეტად უნდა იყოს დაფასებული
და პოლიტიკური მოსაზრებანი თუ პოზიციები
უნდა განისაზღვრებოდეს და გარკვეულწილად
იცვლებოდეს ადამიანთა ბოროტებისგან
დაცვის საჭიროების საფუძველზე, რაც ხშირ-
ად საკუთარი მთავრობიდან მომდინარეობს.

ამასობაში ჰუმანიტარული ინტერვენცი-
ის კონცეფცია, როგორც ჩანს, წარმოიშვა და
საერთაშორისო სამართლის აღიარებული მეც-
ნიერების გარკვეული ნაწილის³⁴ მხარდაჭერის
მოპოვებაც მოახერხა, რომ აღარაფერი ვთქ-
ვათ იმ სახელმწიფოთა მხარდაჭერაზე, რომ-
ლებიც კანონიერად აღიარებენ აღნიშნულ
კონცეფციას. სახელმწიფოთა „კანონგარე-
შედ“³⁵ აღიარებისკენაც გარკვეული ძვრები
შეინიშნება. ამ სიახლეთა დაკვირვება და ან-
ალიზი იძლევა იმის მტკიცების საშუალებას,
რომ იმუნიტეტების დაცვა არ შეიძლება უპ-
ირობოდ ხელშეუხებელი დარჩეს.

თუ აღიარებული იქნება შესაძლებლობა,
საერთაშორისო თანამეგობრობამ გადაწყვი-
ტოს იმ სახელმწიფოთა „კანონგარეშედ“ გამო-
ცხადება, რომელთა ლიდერებიც საერთა-
შორისო დანაშაულებს ჩადიან, ლოგიკურია მტ-
კიცებაც, რომ იმავე სახელმწიფოების შიდასახ-
ელმნიფობრივ სასამართლოებს შესაძლებლო-
ბა უნდა ჰქონდეთ, გამოიყენონ უნივერსალური
იურისდიქცია ამგვარ დამნაშავეთა დასას-
ჯელად, მიუხედავად იმისა, ეს უკანასკნელი რა
სახის იმუნიტეტებით სარგებლობენ.

სტატიის მომდევნო თავები განიხილავს,
ერთი მხრივ, იმუნიტეტების ცნებისა და საერ-
თაშორისო დანაშაულის ჩადენისთვის ინდი-
ვიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხ-
ისმგებლობის ურთიერთმიმართებას და, მე-
ორე მხრივ, ჰუმანიტარული ინტერვენციის
შედეგებით ახალჩამოყალიბებულ ცნებას.
თუმცა მათი ამ ეტაპზე აღნიშვნაც მნიშვნე-
ლოვანია იმის სადემონსტრაციოდ, რომ სახე-
ლმწიფო სუვერენიტეტის ძველმა ცნებამ
დაკარგა პირვანდელი მნიშვნელობა არა მხო-
ლოდ ცალკეულ ინდივიდებთან (მიუხედავად
მათი რანგისა), არამედ მთლიანად სახელმწი-
ფოებთან მიმართებით, რაშიც მოცემულ საზ-
ღვრებს შორის მოქცეული მთელი რიგი ტერ-
იტორიებისა მოიაზრება. ამ ცნებათა შედარ-
ება კიდევ ერთხელ ნათელყოფს, რომ იმუნი-
ტეტების კონცეფციაზე მიმართვა ასე თავი-
სუფლად აღარ არის შესაძლებელი, რადგან
აღნიშნული ახალმოცნებებული ცნებები ინ-
ვეს და თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ
რომელიმე ცალკე აღებული სახელმწიფოს
ცალკეულ დამნაშავე ლიდერთა სისხლისა-
მართლებრივ პასუხისმგებლობას, არამედ
მთელი სახელმწიფოს „დასჯას“. შესაბამისად,
შესაძლოა, თავშეკავების გარეშე დავასკვ-
ნათ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ წარსულში
იმუნიტეტებსა და სახელმწიფოთა სუვერ-
ენული თანასწორობის დაცვას უფრო დიდი
მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე ადამიანთა
მასობრივი უფლებების დარღვევისგან დაც-
ვას, ეს სიმართლეს უკვე აღარ შეესაბამება.

**III. როგორი ურთიერთმიმართებაა
მძიმე საერთაშორისო დანაშაულის
ჩადენისთვის არსებულ ინდივიდუალური
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის
ცნებასა და იმუნიტეტებს შორის?**

იმუნიტეტებით დაცული სისხლის სამა-
რთლის დამნაშავე ლიდერების სისხლისსა-
მართლებრივ დევნასთან დაკავშირებული
პრობლემები, როგორც წესი, მაშინ წარმოჩნ-

დება ხოლმე, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების მიერ უნივერსალური იურისდიქციის განხორციელების საკითხი განიხილება. ამ თვალსაზრისით ზედაპირზე ამოდის კითხვა: შესაძლოა თუ არა იმის მტკიცება, რომ საერთაშორისო სამართალი ყოველთვის სწორხაზოვნად უჭერდა მხარს „კარგად დაცულთა“³⁶ აბსოლუტურ იმუნიტეტსა და ხელშეუხებლობას? ამ საკითხის ანალიზისათვის მიზანშეწონილია, მოკლედ მიმოვიხილოთ საერთაშორისო დანაშაულებისთვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის აღიარების პროცესი. ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კონცეფციის განვითარების განხილვა შესაძლებლობას იძლევა, მოკლედ გადავავლოთ თვალი იმ პროგრესს, რომლის მიღწევა მოხდა საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა, მიუხედავად მათთვის მინიჭებული იმუნიტეტებისა და პრივილეგიებისა, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გასამართლების მხრივ. ამ ცვლილებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელმწიფო იმუნიტეტის იდეის გარშემო კითხვის ნიშნების გაჩენაში იმ სიტუაციებში, როდესაც საერთაშორისო დანაშაულის ჩადენა ხდება სახელმწიფოს წარმომადგენელი პირების მიერ, რომლებიც სისხლისსამართლებრივი დევნისგან შესაბამისი იმუნიტეტით დაცულობის პრეტენზიას აცხადებენ.³⁷ ადამიანის უფლებათა დოქტრინის ეტაპობრივმა განვითარებამ დასაბამი მისცა სუვერენული იმუნიტეტის დოქტრინის ეროზიას.

ფართოდ აღიარებულია, რომ ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდება და მისი გადაწყვეტილება საერთაშორისო დანაშაულებისათვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის აღიარების დასაბამია, მათ შორის იმუნიტეტებით დაცულ პირებთან მიმართებაშიც. თუმცა ნიურნბერგის პროცესებამდე იყო ვერსალის ხელშეკრულება³⁸, და მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ცვლილებათა პირველი ტალღა ამ მიმართულებით უკვე პირველი მსოფლიო ომის³⁹ შემდეგ შეინიშნა, როდესაც კაიზერი ვილჰელმ II ამ „ბრალდებულის დასასჯელად შექმნილი სპეციალური ტრიბუნალის“⁴⁰ იურისდიქციას დაქვემდებარებულ პირად გამოცხადდა. ომის წამომწყებთა პასუხისმგებლობაში მიცემის კომისიის სასჯელთა აღსრულების შესახებ ანგარიშში ასევე აღნიშნულია: „... კომისია სურვილს გამოთქვამს, პირდაპირ განაცხადოს, რომ ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების მიმართ არ არსებობს მიზეზი, რის გამოც რანგი, რამდენად

მაღალიც არ უნდა იყოს იგი, ნებისმიერ პირობებში უნდა იცავდეს მის მფლობელს იმ პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მიზნით, რომელიც დადგენილია კანონიერად შექმნილი სასამართლოს მიერ. იგივე სახელმწიფო მეთაურებზეც ვრცელდება“.⁴¹ თუმცა ეს სახელმწიფო სუვერენიტეტის კონცეფციისადმი მიდგომის შეცვლის საკმაოდ ადრეულ ეტაპზე ძალზე მნიშვნელოვანი განაცხადი იყო, კომისიის ანგარიშით შემდგომ „შეთავაზებულ იქნა, დაფუძნებულიყო მაღალი დონის ტრიბუნალი, რომელიც მრავალი ერის წარმომადგენელი მოსამართლეებისგან დაკომპლექტდებოდა და შესაბამისი სახელმწიფოს თანხმობით შეძლებდა სახელმწიფოს ყოფილი მეთაურის გასამართლებას, რაც დაფუძნებული უნდა ყოფილიყო საზავო ხელშეკრულების შესაბამის მუხლებზე“.⁴² დათქმა და შეზღუდვა „სახელმწიფოს თანხმობასთან“ დაკავშირებით შესაძლებელია გავიგოთ, თუ მხედველობაში მივიღებთ ვერსალის ხელშეკრულების შექმნის დროს მძიმე საერთაშორისო დანაშაულებისათვის იმუნიტეტებით დაცული პირების ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კონცეფციის განვითარების დონეს. ამ დათქმის მიუხედავად, აღნიშნული პრინციპი კვლავაც რჩება მნიშვნელოვან გარღვევად სახელმწიფო სუვერენიტეტისა და განსაკუთრებით სასტიკი დანაშაულებისგან ადამიანის დაცვის ურთიერთმიმართების აღქმის თვალსაზრისით. აღნიშნულ ანგარიშში ასევე აღნიშნულია შემდეგი: „თუ სუვერენის/მონარქის იმუნიტეტი... ისეთ პრინციპს დააფუძნებდა, რომ განსაკუთრებული სისასტიკე, მიმართული ომის წესებისა, ჩვეულებებისა და კაცობრიობის კანონების წინააღმდეგ, დამტკიცდებოდა და ბრალად შეერაცხებოდა დანაშაულებს, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ დაისჯებოდა ჩამდენი... ამგვარი შედეგი შოკის მომგვრელი იქნებოდა ცივილიზებული კაცობრიობისათვის“.⁴³

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო აბსოლუტურად ჩანასახოვანი ფორმით არსებული წესი, რომელიც პრაქტიკაში არასდროს განხორციელებულა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაკეთებული დასკვნების საშუალებით მოხდა იმის აღიარება, რომ შესაძლებელია სუვერენული იმუნიტეტის ცნების აბსოლუტური დაცვის უარყოფა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, გამონაკლის შემთხვევაში, თუნდაც მონარქის დაქვემდებარება ამ წესისადმი.⁴⁴ ამგვარად, აღსანიშნავია სახელმწიფოს მე-

თაურის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესაძლებლობის ვერსალის ხელშეკრულების მიერ პირველად და იმ დროისთვის უპრეცედენტო აღიარება.

იმუნიტეტებს ამოფარების წინააღმდეგ კიდევ ერთი პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა ნიურნბერგში, სადაც უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირების გასამართლება მოხდა. „საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება... ცალსახად დაადგინა საერთაშორისო სისხლის სამართალში ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი..., მიუხედავად იმისა, რა დაცვას ითვალისწინებს შიდასახელმწიფოებრივი სამართალი, ასევე სახელმწიფოს ქმედების დოქტრინისა თუ სხვა იმუნიტეტების ყურადღების მიღმა დატოვებით...“.⁴⁵

ნიურნბერგის ტრიბუნალის მიერ საერთაშორისო დანაშაულთათვის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოტანა ამ კონცეფციის განვითარების პროცესის დასასრული არ ყოფილა. საერთაშორისო სამართლის განვითარებამ საჭირო გახადა პრინციპების შემდგომი შემუშავება, რასაც ნიურნბერგის პრინციპების⁴⁶ ჩამოყალიბება მოჰყვა. ნიურნბერგის პრინციპებმა გააღრმავა საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენ ლიდერთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარების მნიშვნელობა და მისი საყოველთაო აღიარება მოიტანა.

როგორც კასესე აღნიშნავს, „ტრადიციული წესი, რომლის თანახმად, მაღალი სახელმწიფო რანგის პირები არ შეიძლება პასუხისმგებლობაში მიეცნენ ოფიციალური უფლებამოსილების შესრულებისას განხორციელებული ქმედებებისათვის, მნიშვნელოვნად შეირყა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულებებმა და სასამართლო გადაწყვეტილებებმა განამტკიცეს პრინციპი, რომ ეს „თავშესაფარი“ აღარ დაიცავს ომის დანაშაულთა, მშვიდობისა თუ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩადენაში ბრალდებულ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებს. უფრო მოგვიანებით ეს პრინციპი გავრცელდა საერთაშორისო დანაშაულის სხვა სახეებსა და წამებაზეც“.⁴⁷

შეცვლილ მსოფლიო წესრიგს ცოტა მეტი დრო დასჭირდა, რათა კიდევ ერთხელ მიბრუნებოდა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-7 მუხლით აღიარებულ პრინციპს და გაესამართლებინა სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირები იმ

შემთხვევებში, როდესაც ისინი არადაცემდნენ ათასობით საკუთარი თუ სხვა ქვეყნების მოქალაქისთვის სამართლიანობის დარღვევას და საერთაშორისო დანაშაულებს ჩადიდნენ. ეს კი მხოლოდ მე-20 საუკუნის მიწურულს მოხდა, მაშინ, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ საერთაშორისო დანაშაულების ჩამდენთა დასასჯელად გადაწყვიტა *ad hoc* საერთაშორისო ტრიბუნალების დაარსება ყოფილი იუგოსლავიისა⁴⁸ და რუანდისათვის⁴⁹. „ის, რომ წესი, რომლის მიხედვით, სახელმწიფოს მეთაურს არ აქვს უფლება, საკუთარი ოფიციალური პოზიცია დაასახელოს მიზეზად, რატომაც არ შეიძლება მისი სისხლისსამართლებრივი დევნა გენოციდის, ომის დანაშაულებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენისათვის, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის ხასიათის მატარებელ ნორმად იქნა დადასტურებული ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილი საერთაშორისო სასამართლოს პალატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმად, საკუთარი წესდების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია, განახორციელოს იურისდიქცია პრეზიდენტ მილოშევიჩთან მიმართებით, მიუხედავად იმისა, რომ გენოციდი და სხვა საერთაშორისო დანაშაულები, რომელთა სავარაუდო ჩადენა ერაყზე მას ბრალად, ჩადენილი იყო მაშინ, როდესაც ის იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქმედი სახელმწიფო მეთაური იყო“.⁵⁰ ორი *ad hoc* ტრიბუნალის განვითარების ხაზის გაგრძელებად სისხლის სამართლის მუდმივმოქმედმა სასამართლომ, რომელიც რომის სტატუტით დაფუძნდა, ასევე აღიარა იმუნიტეტების მოშველიების დაუშვებლობა იმ დამნაშავეთა მხრიდან, რომლებიც სტატუტის⁵¹ კომპეტენციის ფარგლებში ხვდებიან.

ამდენად, როგორც ეს მოკლე მიმოხილვაც ცხადყოფს, შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აღიარება დაფუძნებული პრაქტიკაა. პრობლემა უნივერსალური იურისდიქციის იმუნიტეტებთან ურთიერთმიმართების კუთხით წამოიჭრება იმ ტრიბუნალებთან დაკავშირებით, რომლებმაც უნდა განახორციელონ საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენ მაღალი თანამდებობის პირთა, სახელმწიფოს მეთაურთა ჩათვლით, სისხლისსამართლებრივი დევნა. ტრიბუნალები, რომლებმაც სუვერენულ სახელმწიფოთა დამნაშავე

ლიდერების სისხლისსამართლებრივი დევნა განახორციელეს, საერთაშორისო ან „მისი მსგავსნი“ მაინც იყვნენ. ამ განვითარებამ უნდა დაიწყოს მიმართულების ცვლა და უნდა გადაინაცვლოს ეროვნული სასამართლოებისკენ. აღსანიშნავია ასევე, რომ იმუნიტეტებით დაცულთა სისხლისსამართლებრივი დევნის უფლება მიეცათ ან მხოლოდ გამარჯვებულ სახელმწიფოებს, ან ინიცირებული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ. არსებითაა ამის აღნიშვნა, რადგან საერთაშორისო დანაშაულებზე უნივერსალური იურისდიქციის გავრცელების და, შესაბამისად, მრავალგვარი იმუნიტეტით დაცულ ადამიანთა ნებისმიერი სახელმწიფოს შიდა სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარების იდეის მონააღმდეგე ნაწილად აღნიშნავენ, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოებისთვის ამ უფლებამოსილების მინიჭებამ შესაძლოა პოლიტიკური მიზნებით მანიპულირება გამოიწვიოს და სხვა სუვერენულ სახელმწიფოთა ლიდერების წინააღმდეგ მიმართულ იარაღად იქცეს. ამ არგუმენტის უკუგდება მარტივია, თუ ერთმანეთს დავუპირისპირებთ ორ შემდეგ სიტუაციას: ერთი მხრივ, ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს უფლება, განახორციელოს უნივერსალური იურისდიქცია, რასაც უპირისპირდება სიტუაცია, როდესაც მხოლოდ „პრივილეგირებულ“ სახელმწიფოებს, რომლებიც, შესაძლოა, იყვნენ გამარჯვებული ერები ანდა გაეროს უშიშროების საბჭოში ადგილის მქონე მაქსიმუმ 15 სახელმწიფო, აქვთ უფლება, განსაზღვრონ სისხლისსამართლებრივი დევნის შესაბამისი პროცედურები. პოლიტიკური ძალაუფლება კიდეც უფრო მეტად შეიძლება იყოს მანიპულირებული უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრის მიერ, რომელთაც ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა, იყვნენ მსოფლიო განვითარების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მონაწილენი.⁵² პოლიტიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ ნუხილი ნებისმიერი საქმიანობიდან შეიძლება გამომდინარეობდეს, როგორც ეს ნათლად ცხადყო ამერიკის შეერთებული შტატების ანტაგონიზმმა, სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი სასამართლოს დაფუძნებისთვის განუვლმა წინააღმდეგობამ. ეროვნული სასამართლოებისთვის საერთაშორისო დანაშაულებზე უნივერსალური იურისდიქციის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება და მათთვის ნებისმიერი სახელმწიფოს ნებისმიერი ლიდერის

გასამართლების უფლების მინიჭება მხოლოდ საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისათვის საერთაშორისო დანაშაულის ყველა ჩამდენის სამართლის წინაშე წარდგენის უზრუნველყოფის უკეთეს შესაძლებლობად უნდა განიხილებოდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვერსალის კომისიის მოხსენება „ნესების დაცვით შექმნილ ტრიბუნალს“, და არა „საერთაშორისო ტრიბუნალს“, ახსენებს, როდესაც კაიზერის გასამართლებას ეხება. თუმცა ქვემოთ მოცემული პოზიცია შეიძლება გააკრიტიკონ იმუნიტეტებით დაცულთა ხელშეუხებლობის მომხრეებმა, აღნიშნული მოხსენების განხილვისას მაინც შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ სავალდებულო არ არის, აუცილებლად საერთაშორისო ტრიბუნალებმა გასამართლონ იმუნიტეტებით დაცული პირები – ამ სახის ბრალდებულთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შესაძლოა, ხვდებოდეს უნივერსალურ იურისდიქციაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა რამე სახის კავშირი ჩადენილ დანაშაულთან, დამნაშავესთან თუ მსხვერპლთან, უფლებამოსილნი უნდა იყვნენ, შეძლონ მათი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებებაში მიცემა.

ო'ნილი კიდეც უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ „პოზიციის გამყარება ასევე შესაძლებელია დიპლომატიური იმუნიტეტების ანალოგიის გზით, სადაც არც მოქმედ და არც ყოფილ სახელმწიფო მეთაურებს არ აქვთ იმუნიტეტი იმ აქტებთან მიმართებით, რომლებიც არღვევენ საერთაშორისო სამართალს“.⁵³ შედარებების შედეგად იგი ასკვნის: „ზუსტად ისე, როგორც წარმგზავნ სახელმწიფოს აქვს უფლება, მოუხსნას იმუნიტეტი იმ დიპლომატს, რომელიც ოფიციალური უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ მოქმედებს, სახელმწიფოს მეთაურს, რომელიც საკუთარ უფლებამოსილებას უხეშად აჭარბებს და არღვევს საერთაშორისო დანაშაულის ჩადენით, შეიძლება ჩაეთვალოს როგორც საკუთარი იმუნიტეტის მოხსნა. იმუნიტეტის „მოხსნის“ ეს ფორმა, რომელიც ავტომატურ რეჟიმში განხორციელებად უნდა მივიჩნიოთ იმ ქმედებებისთვის, რომლებიც საერთაშორისო სამართლის დარღვევად ითვლება, უფრო მკაცრად შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე დიპლომატიური იმუნიტეტისა, რადგან წარმგზავნ სახელმწიფოს შეუძლია, აირჩიოს, არ მოუხსნას იმუნიტეტი საკუთარ დიპლომატებს“.⁵⁴

ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის-ათვის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალების შექმნის გარშემო არსებული გარემოებების ანალიზის შედეგად შესაძლოა დავასკვნათ, რომ როგორც ყოფილი იუგოსლავიის, ისე რუანდის სუვერენიტეტი უგულვებლყოფილ იქნა უშიშროების საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებებით, მაშინ, როდესაც ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით სიტუაციამ უკიდურესი ზღვარგადასულობის პიკს მიაღწია, და საერთაშორისო თანამეგობრობამ საჭიროდ ჩათვალა ადამიანის უფლებების დარღვევის ყველაზე შემზარავი სიტუაციებისათვის მიეპყრო ყურადღება. იმავე ხასიათის არგუმენტაციის გათვალისწინებით, რაც გამოყენებული იყო ზემოთ ხსენებული შემთხვევების განხილვისას, იოლია, ვამტკიცოთ, რომ, ადამიანის უფლებათა დარღვევების თვალსაზრისით ჩადენილი ქმედებები, სირთულის მიხედვით, საერთაშორისო დანაშაულებს უტოლდება, მათი სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა მოექცეს ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოს იურისდიქციაში, რომელიც „ნესეების დაცვით არის შექმნილი“, როგორც ეს ნახსენებია ვერსალის დასკვნაში, რათა ყველა შესაძლო საშუალების გამოყენებითა და მაქსიმალურად სწრაფად გადაეცეს მართლმსაჯულებას. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უკვე ჩადენილ დანაშაულთა გამოსაძიებლად და სისხლისსამართლებრივი დევნის საწარმოებლად, არამედ ამან შესაძლოა, ასევე დადებითი როლი შეასრულოს პრევენციის კუთხით და ხელი შეუწყოს მომავალში ამგვარი დანაშაულების ჩადენის თავიდან აცილებას. ამ ღონისძიებათა მნიშვნელობისა და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ არაერთხელ დაირღვა სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა სხვა სახელმწიფოთა მხრიდან, იქნებოდა ეს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებითა თუ „გამარჯვებულთა სამართალზე“ ორიენტირებული ტრიბუნალების ორგანიზებით, არალეგიტიმურია იმის მტკიცება, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოების მიერ დევნა, მიუხედავად ჩადენილ დანაშაულთან კავშირისა, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებაა.

ბოლო დროს განვითარებული მოვლენები კიდევ უფრო მეტ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ამ საკითხის ნებისმიერი ეროვნული სასამართლოს მიერ გადაწყვეტა განვიხილოთ როგორც სამართლებრივად, ისე მორალურად გამართლებულად. მოვლენები,

რომლებიც მომდევნო თავშია განხილული, გაცილებით უფრო საკამათოა, ვიდრე ერთი სუვერენული სახელმწიფოს დამნაშავე ლიდერის მეორე სახელმწიფოს მიერ გასამართლება შეიძლება იყოს. ე.წ. „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ იქნება განხილული იმისათვის, რომ მოხდეს მისი შეპირისპირება სისხლისსამართლებრივ დევნასთან იმუნიტეტების გათვალისწინების გარეშე, და იმის საჩვენებლად, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტს შესაძლოა, უფრო მეტი საფრთხე ემუქრებოდეს, ვიდრე ცალკეული – რაგინდ მაღალ რანგში აყვანილი – დამნაშავეს დასჯაა.

IV. უნივერსალური იურისდიქცია და ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი მცდელობა – სუვერენული ინტერვენცია?

ადამიანის უფლებათა მასობრივად დამრღვევი ნებისმიერი დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი დევნისათვის შესაბამისი იურისდიქციის⁵⁵ დადგენა უნდა მოხდეს. ამ თავში მოკლედ იქნება მიმოხილული იურისდიქციის თემა, რამდენადაც სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის დაცვა იურისდიქციის კონცეფციასთანაც არის კავშირში: „იურისდიქცია ეხება სახელმწიფოს უფლებამოსილებას, გავლენა მოახდინოს ხალხზე, ქონებასა და ვითარებაზე და ასახავს სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ძირითად პრინციპებს – სახელმწიფოთა თანასწორობასა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობას. იურისდიქცია სახელმწიფო სუვერენიტეტის სასიცოცხლო და ნამდვილად ცენტრალური მახასიათებელია...“⁵⁶

იურისდიქციის ცნება ამ სტატიის ინტერესის სფეროში ხვდება და განიხილება ამ თავში იმდენად, რამდენადაც ნაშრომში ნაჩვენებია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულისათვის ნებისმიერ შემთხვევაში „უნივერსალურ იურისდიქციას“ უნდა იყოს დაქვემდებარებული და, ამდენად, სუვერენული იმუნიტეტები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამგვარი დანაშაულის ჩამდენი უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების საშუალებად. შოუს მტკიცებით, „მართალია, იურისდიქცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ტერიტორიასთან, ის მასთან ექსკლუზიურად არ არის გადაჯაჭვული. მრავალ ქვეყანას აქვს იურისდიქცია იმ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად, რომლებიც მათი ტერიტო-

რიის ფარგლებს გარეთ იყო ჩადენილი...“.⁵⁷ შოუ ასევე აცხადებს, რომ „დიპლომატებს, მაგალითად, ფართო იმუნიტეტი იცავს იმ ქვეყნის კანონებისგან, სადაც ისინი მუშაობენ და სახელმწიფოთა მრავალი სუვერენული აქტი არ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ან შეიცალოს უცხო ქვეყნის სასამართლოში“.⁵⁸

იურისდიქციის ყველა პრინციპს შორის განსაკუთრებით უნივერსალურობის პრინციპია ჩვენი ინტერესის საგანი. უნივერსალური იურისდიქცია⁵⁹ „მნიშვნელოვანი ცვლილებების პირასაა,“ – აცხადებს ბრუმჰოლი,⁶⁰ და აღნიშნავს, რომ „ეს დოქტრინა, ახლა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი, საერთაშორისო მართლმსაჯულების განუყოფელი, თუმცა დამატებითი, კომპონენტი აუცილებლად გახდება. ამასთან ერთად, მას სერიოზული წინააღმდეგობები ელოდება, რათა გახდეს სტაბილურად ხელმისაწვდომი მექანიზმი, სამართლიანად და მიუკერძოებლად განხორციელებული“.⁶¹ ეს სირთულე, ძირითადად, სუვერენული იმუნიტეტის განუხრელ მოშველიებასა და საერთაშორისო ურთიერთობებში მისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი როლის მინიჭებას უკავშირდება. უნივერსალური იურისდიქცია ამ ნაშრომის მიზნებისთვის საინტერესო კონცეფციაა, რადგან მისთვის მნიშვნელობა არ აქვს დაცვის სხვადასხვა მექანიზმს, და საშუალებას აძლევს ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნულ სასამართლოებს, საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენნი წარუდგინოს მართლმსაჯულებას, მიუხედავად იმისა, რა კავშირი აქვს ჩადენილ დანაშაულს იურისდიქციის განმახორციელებლ სახელმწიფოსთან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უნივერსალური იურისდიქცია არ შეიძლება ჩაითვალოს ფართოდ მხარდაჭერილად.

მნიშვნელოვანია ყურადღების მიპყრობა შედარებით ახალჩამოყალიბებული ჰუმანიტარული ინტერვენციის⁶² ცნებაზე, რამდენადაც იგი სუვერენული იმუნიტეტის კონცეფციის შემდგომ შესუსტებას უწყობს ხელს, რათა მოხდეს ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებზე რეაგირება ნებისმიერი სახელმწიფოს მხრიდან მას შემდეგ, რაც ყველა სხვა სამართლებრივი და პოლიტიკური საშუალებების ამონურვა მოხდება. ითვლება, რომ ეს ახალი კონცეფცია ყალიბდება სწორედ იმ ფაქტის გამო, რომ საერთაშორისო დანაშაულების ჩადენით ადამიანის უფლებათა ისეთი მწვავე დარღვევები ხდება, რომლებშიც ჩარევის უფლება დამნაშავეთა დასასჯელად, თუნდაც ძალის გამოყენებით, საერთაშორისო თანამეგობრობას ეძლევა. შედეგად იბადება

კითხვა: თუ ჰუმანიტარული ინტერვენციის გამართლება შეიძლება ადამიანის უფლებათა დაცვის სახელით, რა არის ასეთი მიუღებელი საერთაშორისო დანაშაულებთან მიმართებით უნივერსალური იურისდიქციის აღიარებასთან დაკავშირებით? ნაცვლად იმისა, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს უდანაშაულო მოსახლეობისთვის, საერთაშორისო დანაშაულთა ჩადენაში შესაძლო ბრალეულ თავიანთ ლიდერთა გამო, არ დადგეს კიდევ უფრო გამანადგურებელი შედეგები, რატომ არ შეიძლება, ამ ლიდერთა უნივერსალურ იურისდიქციას დაქვემდებარება და მართლმსაჯულებისათვის წარდგენა ნებისმიერ სახელმწიფოში, რომელსაც ეს ფიზიკურად შეუძლია?

ასეთი ცვლილების სარგებელი პრაქტიკულად შემდეგია: სისხლის სამართლის დამნაშავე ლიდერი მიიღებს დამსახურებულ სასჯელს, სისხლისსამართლებრივი დევნა მიზანმიმართულია და ნაცვლად იმ ჯგუფების სიცოცხლისთვის რისკის შექმნისა, რომლებიც უკვე გახდნენ კრიმინალ ლიდერთა მიერ გატარებული პოლიტიკისა თუ ქმედებების მსხვერპლი, მხოლოდ მათ მოეთხოვებათ პასუხი, ვინც ამას „იმსახურებენ“. ამ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნაც მიზანმიმართულად განხორციელდება და მსხვერპლთა ცენზებათ შესაძლებლობა, იხილონ რომ სამართალი აღსრულდება, მაშინ, როდესაც ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელება კიდევ უფრო მეტ უდანაშაულო ადამიანს შეინირავს, იმ ჯგუფებთან ერთად, რომლებიც, შესაძლოა, დამნაშავეთა მსხვერპლი მანამდე გახდნენ.

ამდენად, კითხვა ისევ კითხვად რჩება: თუ ჰუმანიტარული ინტერვენცია მისაღებია გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევათა მასშტაბები და ფორმები განსაკუთრებით შემამოფოთებელია, რატომ არ შეიძლება, სხვა სახელმწიფოთა ეროვნული სასამართლოების მიერ მათი სისხლისსამართლებრივი დევნა საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისათვის, ვინც იმუნიტეტებით არიან დაცულნი, განვიხილოთ როგორც სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის არდამრღვეველი და, შესაბამისად, გახდეს შესაძლებელი, მოეხსნათ იმუნიტეტები მათ, ვინც საკუთარი ქმედებებით ამას იმსახურებენ, მიუხედავად მათი რანგისა?

თუ არსებობს იმის რისკი, რომ მოხდება პოლიტიკური უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და თუ სახელმწიფოები საჭიროებენ მიუკერძოებლობის მეტ გარანტიებს, ვი-

დრე ეს შეიძლება გარანტირებული იყოს რომელიმე სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოების მიერ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო შეიძლება აღიჭურვოს უფლებამოსილებით, მიიღოს გადაწყვეტილება დამნაშავე ლიდერებთან და მათ მიერ შექმნილ სიტუაციებთან დაკავშირებით, და ცნოს ისინი „საერთაშორისო იურისდიქციას“ დაქვემდებარებულად, რადგან მათი ქმედებები იწვევს ადამიანის უფლებათა სასტიკ დარღვევებს, რაც, თავის მხრივ „საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას“.

რაც არ უნდა იყოს ჰუმანიტარული ინტერვენციის დასაბუთების უკან მდგარი მოტივაცია და მისი გამართლება, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი იურისდიქციის რომელიმე აღიარებულ კონცეფციას შეესაბამება. არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამ კონცეფციის სავარაუდო შემდგომი განვითარებითა და მისი საერთაშორისო სამართლის აღიარებულ წესად ჩამოყალიბების შემთხვევაში, თუნდაც მისი გამოყენება მხოლოდ ძალიან გამონაკლის შემთხვევებში მოხდეს, თითქოს ის ნაკლებად დააზარალებს სახელმწიფო სუვერენიტეტს, ვიდრე დამნაშავეს სტატუსზე ყურადღების მიქცევის გარეშე საერთაშორისო დანაშაულისათვის უნივერსალური იურისდიქციის განხორციელება. საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებების სამართლის განვითარება ცხადყოფს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების პროგრესული განვითარების საჭიროებას.

ამდენად, ჰუმანიტარული ინტერვენციის განვითარებადი კონცეფციიდან მომდინარე მინიშნება, – რომ ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევები შესაძლოა საკმარისი მიზეზი იყოს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის გაუთვალისწინებლობისა და შესაძლო გახდეს ქვეყნის, ერთი შეხედვით, „საშინაო“ საქმეებში ჩარევა, შეიძლება, – გამოდგეს დასკვნისათვის, რომ ადამიანის უფლებათა კონცეფციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე აბსოლუტურად შესაძლებელი შეიძლება იყოს საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენი თუნდაც უმაღლესი თანამდებობის პირების უნივერსალური იურისდიქციისათვის დაქვემდებარება, იმ შესაძლებლობებთან ერთად, რომლებიც უკვე არსებობს, მათ შორის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, ე.წ. „კომპლემენტარობის“ პრინციპის⁶³ გამოყენებით, საერთაშორისო სისხლის სასამართლოს⁶⁴ მიერ.

შეიძლება დავასკვნათ, თუ არსებობს რეალური პოლიტიკური ნება და საერთაშორისო დანაშაულის შემადგენელი ადამიანთა უფლებების სასტიკი დარღვევისგან დასაცავად რეალური მზაობა, აუცილებლად მოიძებნება სუვერენული იმუნიტეტისა და სუვერენული თანასწორობის ცნებათა დაცვის ლაბირინთიდან გამოსვლის გზები და საერთაშორისო დანაშაულების ჩამდენთა მართლმსაჯულებისათვის დამსახურებისამებრ წარდგენის შესაძლებლობა, რათა მოხდეს მართლმსაჯულების ინტერესების განხორციელება, მომავალი დანაშაულების თავიდან აცილება და იმისთვის, რომ გადარჩენილ მსხვერპლთ მიეცეთ თუნდაც მცირეოდენი იმედი მომავლისა.

V. განხილული თემების ზონზე რა გადაწყვეტილება მიიღოს სასამართლო პირობების საქმესთან დაკავშირებით?

სტატიის შეზღუდული ფორმატის გამო, საქმის⁶⁵ მოკლე რეზიუმეთი შემოვიფარგლებით. საქმე შეირჩა შემდეგი მოსაზრებით: პირობების საქმე აღიარებულია პირველ – და პრეცედენტის შემქმნელ – საქმედ, რომლითაც ეროვნულ სასამართლოს იურისდიქციის განხორციელების ნება მიეცა, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს არ ჰქონდა არანაირი კავშირი ჩადენილ დანაშაულებთან და როდესაც არ მოხდა სახელმწიფოს ყოფილი მეთაურის იმუნიტეტის გათვალისწინება მის მიერ სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ყოფნისას საერთაშორისო დანაშაულების ჩადენასთან დაკავშირებით. ლორდთა პალატამ მიიჩნია, რომ დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც არ უნდა ხვდებოდეს იმ ქმედებათა ჩამონათვალში, რომელთა მიმართ სუვერენული იმუნიტეტის გავრცელება ჯერ კიდევ შესაძლებელია, ნამებაა, – აქტი, რომელიც იმდენად სასტიკია, რომ მისი ჩამდენის დასჯა ნებადართული უნდა იყოს უნივერსალური იურისდიქციის გამოყენებით. მიუხედავად ამისა, ლორდთა პალატის გადაწყვეტილება ძალიან ლიბერალური და თავშეკავებული იყო.⁶⁶ ის მაინც შეიძლება ჩაითვალოს როგორც სახელმწიფოზე, და არა ადამიანის უფლებებზე, ორიენტირებული გადაწყვეტილება. „მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს მოსამართლეებმა არ გაითვალისწინეს და პატივი არ სცეს ჩილეს სუვერენიტეტს, რადგან მათ უარყვეს იმუნიტეტი, მისი აშკარა მოხსნის გარეშე, თითოეულ მოსამართლეს კარგად ესმოდა სუვერენიტეტის საკითხი და იმუნიტეტის გათვალისწინებაზე უარი გაამართ-

ლეს იმით, რომ კონვენციაზე ხელის მონერით ჩილემ უარი თქვა მასზე.⁶⁷ ლიტერატურაში ასევე შევხვდებით მოსაზრებას, რომლის თანახმად, „პინოჩეტის გადაწყვეტილება უჩვენებს პოლიტიკისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის მდგრად ძალაუფლებას თანამედროვე საერთაშორისოსამართლებრივ წესრიგში“.⁶⁸

ნებისმიერ შემთხვევაში, საქმე საინტერესოა იმდენად, რამდენადაც *პინოჩეტის* საქმის პირველად განხილვისას მოსამართლეთა უმრავლესობამ დაადგინა: „საერთაშორისო სამართალმა ნათელი გახადა ის, რომ გარკვეული სახის ქმედებები, მათ შორის ნამება და მძევლად ხელში ჩაგდება ყოველმხრივ და ყველასთან მიმართებით მიუღებელი ქმედებებია. ეს ეხება სახელმწიფოს მეთაურებს ზუსტად ისევე, ან კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერ სხვას; საწინააღმდეგო დასკვნა საერთაშორისო სამართალს მოჩვენებითს გახდიდა“.⁶⁹ *პინოჩეტის* საქმის მესამედ განხილვისას ლორდთა პალატის მოსამართლეთა უმრავლესობამ – ექვსი ერთის წინააღმდეგ – დაადგინა, რომ *პინოჩეტს* არ შეეძლო იმუნიტეტის მოშველიება ნამების კონვენციის⁷⁰ საწინააღმდეგოდ ჩადენილი ქმედებებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასარიდებლად.

პიტერ კარტერი სვამს კითხვას: „შეიძლება თუ არა ითქვას, რომ *პინოჩეტის* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად აღმოცენდა ზოგადი საერთაშორისო სამართლის ურყევი ნორმა, რომელიც არ შეესაბამება ნებისმიერ აქამდე დადებულ ხელშეკრულებაში არსებულ დიპლომატიურ იმუნიტეტებს, იმდენად, რამდენადაც ისინი ვრცელდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალზე?“ და მისი პასუხი ზედმიწევნით ლაკონიურია: „შესაძლოა“.⁷¹ როგორც *ქრისტინა ჩინკინი* მართებულად აღნიშნავს, „იმუნიტეტის უარყოფა..., რომელზეც აპელირება კეთდება სახელმწიფოს ყოფილი მეთაურის მიერ ოფიციალურად ჩადენილ ნამების ფაქტებთან დაკავშირებით, საერთაშორისო სამართლის ორ ხედვას შორის არჩევანს წარმოადგენს: ჰორიზონტალურ სისტემასა, რომელიც სახელმწიფოთა სუვერენულ თანასწორობაზეა დაფუძნებული და ვერტიკალურ სისტემას შორის, რომელიც *jus cogens* ნორმებს, როგორცაა ადამიანის ძირითადი უფლებები, იცავს. არჩევანი მარტივი არ იყო“.⁷²

რადგან სუვერენული იმუნიტეტების საკითხი საკმაოდ წინააღმდეგობრივია, ამ თემასთან დაკავშირებით განსხვავებული მო-

საზრებებიც არსებობს. „*პინოჩეტის* საქმეზე ლორდთა პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კრიტიკული განხილვისას *ჰენრი კისინჯერი* საუბრობს მოსამართლეთა ტირანიაზე, რამაც მთავრობის ტირანია შეცვალა, ასევე პროკურორულ დისკრეციაზე, ანგარიშვალდებულების გარეშე, და აფრთხილებს, რომ „ისტორიულად ბრძენთა დიქტატურა ხშირად ინკვიზიციებითა და ჯადოქრებზე ნადირობით სრულდებოდა“.⁷³

ამ სტატიის მიზნებისთვის საინტერესო კიდევ ერთი – *ეროდიას*⁷⁴ – საქმის განხილვისას *იანგი შენიშნავს*, რომ „საგარეო საქმეთა მოქმედი მინისტრების სისხლისსამართლებრივი იურისდიქციისგან აბსოლუტური იმუნიტეტებით დაცვისა და ხელშეუხებლობის განმტკიცებისას სასამართლომ თავი აარიდა ბელგიის მიერ უნივერსალური იურისდიქციის სავარაუდო განხორციელების კანონიერების შესახებ პოზიციის გამოხატვას. თუმცა სასამართლო იმუნიტეტის საკითხის განხილვას მიუდგა იმის აღიარებით, რომ ბელგიას ჰქონდა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უნივერსალური იურისდიქცია, როგორც საქმემ ცხადყო, საერთაშორისო სამართალში უნივერსალური იურისდიქცია განპირობებულია გარკვეული წესებით, რომელთა შორის აღსანიშნავი იმუნიტეტის წესია“.⁷⁵

ისიც აღინიშნა: „პრობლემა ისაა, ... რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში სერიოზული გაურკვევლობაა სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა იმუნიტეტებთან დაკავშირებით“.⁷⁶ ეს გაურკვევლობა ადამიანის უფლებათა დაცვის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, სახელმწიფოთა იძულებით, უარი თქვან საკუთარ ეგოისტურ განწყობებზე, დაცულნი იყვნენ სისხლისსამართლებრივი დევნიდან. ადამიანის უფლებათა დაცვას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დანაშაულებთან მიმართებით, რომლებსაც „საერთაშორისო“ ეწოდება. შესაბამისად, საერთაშორისო დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპი უნდა იქნეს აღიარებული უნივერსალური იურისდიქციის პრინციპის პარალელურად და ყველა სახელმწიფო უნდა იყოს უფლებამოსილი, განახორციელოს საკუთარი იურისდიქცია ამგვარი დანაშაულების ჩამდენთა მიმართ, მიუხედავად იმისა, რა სტატუსით სარგებლობს დამნაშავე, ან არის თუ არა რაიმე კავშირი ჩადენილ დანაშაულსა და სისხლისსამართლებრივი დევნის განმხორციელებელ სახელმწიფოს შორის. სამწუხარ-

ოდ, ვითარება ჯერჯერობით არ არის ასეთი და, როგორც ფოქსი შენიშნავს: „სახელმწიფოს მოქმედ მეთაურთა სისხლისსამართლებრივი იურისდიქციისაგან აბსოლუტური იმუნიტეტი და მათთვის მინიჭებული პერსონალური ხელშეუხებლობა..., როგორც ჩანს, ზოგადად შეესაბამება თანამედროვე სახელმწიფო პრაქტიკას“. ⁷⁷ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, „საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით განმტკიცებული იმუნიტეტები, მათ შორის უცხო ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებისათვის, ჯერ კიდევ საეჭვოდ რჩება უცხო ქვეყნების სასამართლოების წინაშე, მაშინაც კი, როდესაც ეს სასამართლოები გაფართოებულ სისხლისსამართლებრივ იურისდიქციას ახორციელებენ გარკვეულ სერიოზულ დანაშაულთა პრევენციისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციის საფუძველზე“. ⁷⁸ სასამართლომ „დაასკვნა, რომ იმუნიტეტი დაუსჯელობას არ ნიშნავს“. თუმცა, სამწუხაროდ, ეს არის ზუსტად, რასაც ის გულისხმობს. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ ჩამოთვლილი ოთხი საფუძველი ⁷⁹ თითქმის ყოველთვის უმოქმედოა. როგორც იანგი განმარტავს, „უნივერსალური იურისდიქციის უცხო სახელმწიფოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ განსახორციელებლად, რომელიც სახელმწიფო იმუნიტეტით შეიძლება სარგებლობდეს, ეროვნულმა სასამართლომ ორი პირობა უნდა დააკმაყოფილოს: პირველ რიგში, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, სასამართლოს უნივერსალური იურისდიქცია უნდა ჰქონდეს და, მეორე, უცხო სახელმწიფო ან პიროვნება არავითარ შემთხვევაში არ უნდა სარგებლობდეს იმუნიტეტით“. ⁸⁰ პრობლემა სწორედ ესაა. სამართალი და სახელმწიფო პრაქტიკა იმგვარად უნდა განვითარდეს, რომ მოხდეს იმ პრინციპის გადართობა, რომლის თანახმად, სხვა სახელმწიფოთა მაღალი რანგის სახელმწიფო თანამდებობის პირები იყენებდნენ იმუნიტეტს, როგორც საფარს, საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის თავიდან ასაცილებლად, მაშინ, როდესაც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ ჩამოთვლილი ოთხი გარემოება პრაქტიკაში არ მოქმედებს და დამნაშავენი დაუსჯელნი რჩებიან ადამიანის უფლებების ყველაზე მძიმე დარღვევისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერსალის ხელშეკრულებამ დაუშვა შესაძლებლობა, მომხ-

დარიყო განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა ჩადენაში ჩართული სახელმწიფო მეთაურის დასჯა. *პინოჩეტის* საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე შეზღუდულია დასკვნების კუთხით, უნდა ჩაითვალოს როგორც უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელეთა და უმაღლესი თანამდებობის პირთა დაუსჯელობის წინააღმდეგ მიმართული პრეცედენტის შემქმნელი საქმე. თუმცა საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენ დამნაშავე ლიდერთა ნებისმიერ ქვეყანაში სისხლისსამართლებრივი დევნის კონცეფცია – არ მიეცეთ შესაძლებლობა, დაუსჯელობით ისარგებლონ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მათ მიერ ჩადენილ დანაშაულსა და მოცემულ სახელმწიფოს შორის რაიმე სახის კავშირი – უნდა დაფუძნდეს როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმა და სახელმწიფოებს არ უნდა შეეძლოთ საკუთარი სუვერენული იმუნიტეტების წინ წამოწევა მათი დამნაშავე ლიდერების სხვა სახელმწიფოების მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევაში. ვერსალის ხელშეკრულებამ და ნიურნბერგის სასამართლო პროცესებმა ამის რეალობად ქცევის კარგი საფუძველი შექმნეს. ახლა, როდესაც საკმაოდ დრო გავიდა და ადამიანის უფლებათა სამართალი საკმაოდ კარგად განვითარდა საიმისოდ, რომ დაიცვას ადამიანები მასობრივი უფლებების დარღვევებისგან, რომელთაც საკუთარი ან სხვა სახელმწიფოების დამნაშავე ლიდერები ჩადიან, სამართლიანობის მოთხოვნა არ შეიძლება დაიჩრდილოს სუვერენული იმუნიტეტების აბსოლუტური დაცვის უკვე მოძველებული კონცეფციით. მანამ, სანამ ჰუმანიტარული ინტერვენცია საერთაშორისო სამართლის საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ნორმად იქცევა, გაცილებით უპრიანი და პრაქტიკული იქნებოდა მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულებზე უნივერსალური იურისდიქციის გავრცელება და მათთვის შეძლებისდაგვარად ნაკლები შესაძლებლობის მიცემა, ამოეფარონ იმუნიტეტის დამცავ სისტემას.

VI. დასკვნა – იმუნიტეტები კვლავაც უნდა უშლიდნენ ხელს ადამიანის უფლებათა დაცვას?

სტატიაში ნაჩვენებები იყო, რომ სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის დაცვა და სუვერენული იმუნიტეტების ხელშეუხებლობა მე-20 საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვან შეზღუდვებს განიცდიდა. ადამიანის უფლებათა სამართლის განვითარებამ ამ სფერ-

„მცურავ ტერიტორიად“, რომლის დროშის ქვეშაც ის დაცურავს. თუმცა ეს პოსტულატი მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, განსაკუთრებით ე.წ. „ლია“ რეგისტრების ეპოქაში. ეს იდეა ჯერ კიდევ 1923 წელს უარყო აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ საქმის – *Cunard S.S. Co. v. Mellon* – განხილვისას: „განცხადება კეთდება იმის თაობაზე, რომ სავაჭრო გემი არის იმ სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი, რომლის დროშის ქვეშაც იგი დაცურავს. მაგრამ ეს უნდა განიხილებოდეს როგორც ფიგურული გამონათქვამი, ერთგვარი მეტაფორა. ეს წესი სრულად გამოიყენება გემებზე ღია ზღვაში, სადაც არ მოქმედებს ტერიტორიული სუვერენიტეტი; ხოლო რაც შეეხება უცხო სახელმწიფოს ტერიტორიულ წყლებში მცურავ გემებს, მათზე ეს წესი ნაკლებად მოქმედებს, თუ პირდაპირ არ არის ნებადართული ადგილობრივი სუვერენის მიერ“.¹⁸

თუმცა ზემოაღნიშნული არ ნიშნავს, რომ დროშის სახელმწიფოს იურისდიქცია სრულიად წყდება გემის უცხო სახელმწიფოს ტერიტორიულ წყლებში ყოფნის პერიოდში. ამ დროს შეიძლება მოქმედებდეს ე.წ. „პარალელური იურისდიქციები“. მაგალითად, შეერთებული შტატების სასამართლომ საქმის – *Benz v. Compania Naviera Hidalgo, S.A.* – განხილვისას დაადგინა, რომ გემზე უცხოელ დამქირავებელსა და უცხოურ ეკიპაჟს შორის წარმოშობილ დავაზე აშშ-ის კანონები ამ უკანასკნელის შიდა წყლებში არ უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთადერთი კავშირი შტატებთან მის პორტში გემის ტრანზიტულად ყოფნაა.¹⁹ თუმცა, როდესაც გემი ატარებს დროის გარკვეულ პერიოდს აშშ-ის წყლებში, იგი იტვირთება და/ან გადმოიტვირთება აშშ-ის პორტებში და მოსარჩელე არის აშშ-ის მოქალაქე, მაშინ დავაზე ცალსახად გავრცელდება აშშ-ის კანონმდებლობა.²⁰

მაგრამ მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, გემის მხოლოდ პორტში დგომის ფაქტიც საკმარისი საფუძველია იურისდიქციის განსახორციელებლად. ეს მიდგომა დაფიქსირდა „Wildenhu“-ის საქმის განხილვისას, როდესაც, ბელგიური გემის ეკიპაჟის ერთმა წევრმა მოკლა მეორე აშშ-ის ერთ-ერთ პორტში დგომის დროს²¹.

საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს ტერიტორიაზე (მათ შორის შიდა წყლებში) ჩადენილ დანაშაულზე ვრცელდება საქართველოს სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია²², თუმცა ორმხრივ ხელშეკრულებებში აღნიშნულია, რომ საქართველოს სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია უცხო ქვეყ-

ნის გემებზე საქართველოს პორტებში ვრცელდება, თუ: დანაშაულის შედეგები ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე, საფრთხეს უქმნის ქვეყნის უშიშროებას, ჩადენილია საქართველოს მოქალაქის მიერ ან მის წინააღმდეგ, დაკავშირებულია ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან. ასეთი ორმხრივი ხელშეკრულება საქართველოს გაფორმებული აქვს: საბერძნეთთან, უკრაინასთან, აზერბაიჯანთან, რუსეთთან, კვიპროსთან, თურქეთთან და ა.შ.²³

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, სახელმწიფოები არ ერევიან გემების შიდა განაწესში, შრომითსა და სამოქალაქო დავებში ეკიპაჟის წევრებს შორის.

იურისდიქციის განხორციელების კუთხით, გასულ ათწლეულებში დიდი მნიშვნელობა შეიძინა გარემოს დაცვის საკითხებმა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სანაპირო არეალი – ყველაზე პროდუქტიული საზღვაო გარემო – მეტისმეტად არის ხელყოფილი ზღვის გარემოზე მავნე ზემოქმედებით,²⁴ გასაკვირი არ არის, რომ სანაპირო სახელმწიფოების მიერ იურისდიქციის განხორციელების დროს ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა სწორედ ზღვის გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება.

ზღვის გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან. ამ მიმართულებით დროშის სახელმწიფოს ვალდებულებების გაზრდის პარალელურად იზრდება სანაპირო სახელმწიფოს უფლება, გააკონტროლოს თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი საზღვაო გარემო და განახორციელოს არა მარტო საკანონმდებლო, არამედ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, აღმასრულებელი იურისდიქციაც.

მიუხედავად იმისა, რომ ზღვის დაბინძურების მრავალი წყარო არსებობს,²⁵ წინამდებარე კვლევის სფეროში მხოლოდ გემებიდან ზღვის დაბინძურება ხვდება. კონვენციაში გარემოს დაცვის საკითხებს დათმობილი აქვს XII თავი.²⁶

კონვენციის თანახმად, სახელმწიფოებს შეუძლიათ, დაადგინონ კონკრეტული მოთხოვნები ზღვის გარემოს დაბინძურების აღკვეთის, შემცირების ან გაკონტროლების მიზნით, როგორც მის პორტებში უცხო ქვეყნის გემების შესვლის პირობა.²⁷

სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქცია მოიცავს იმ უფლებასაც, რომ უარი ეთქვას უცხოეთის გემებს პორტებში შესვლაზე. თუმ-

ცა ამ დროს პრობლემურია განსაცდელში მყოფი გემების საკითხი. რამდენად აქვს სანაპირო სახელმწიფოს მათთვის უარის თქმის უფლება? უკანასკნელ წლებში ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე იყოს *Prestige*-ს შემთხვევა, როდესაც ესპანეთის მთავრობამ უარი უთხრა გემს პორტში შესვლაზე, სხვათა შორის, ეკოლოგიური უსაფრთხოების მიზეზით, შემდეგ იგი ჩაიძირა ესპანეთის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და დააბინძურა როგორც ესპანეთის, ისე პორტუგალიისა და საფრანგეთის სანაპიროები. მიუხედავად სერიოზული ინციდენტებისა, ცალსახა პასუხი ამ კითხვაზე დღემდე არ არსებობს. უფრო მეტიც, სახელმწიფოთა პრაქტიკა და კანონმდებლობა იმისკენ იხრება, რომ, თუ ეკიპაჟის გადარჩენა მოხერხდა, პორტის სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს კარგი არგუმენტები, ასეთ გემს უარი უთხრას პორტში შესვლაზე.²⁸

თუ გემი დააბინძურებს სანაპირო სახელმწიფოს საზღვაო ზონებს, მის წინააღმდეგ შეიძლება განხორციელდეს აღმასრულებელი იურისდიქცია პორტში შესვლის შემთხვევაში.²⁹

ამ დროს აუცილებელი პირობაა, გემი პორტში ნებაყოფლობით იმყოფებოდეს. ასეთ შემთხვევაში, სანაპირო სახელმწიფოს შეუძლია, სრული მოცულობით აამოქმედოს დამრღვევი გემის მიმართ თავისი სათანადო კანონმდებლობა.³⁰ ამდენად, გემზე, რომელიც იძულებით არის შესული პორტში, არ ვრცელდება ზემოხსენებული პუნქტის მოქმედება. ამ დროს შეიძლება წარმოიშვას იგივე კითხვა – ითვლება კი განსაცდელში მყოფი გემი ნებაყოფლობით შესულად პორტში, თუ არა? თავად კონვენცია არ განსაზღვრავს არც „განსაცდელში მყოფი“ გემის ცნებას და არც დაუძლეველი ძალის გარემოებებს.

თუმცა, მეორე მხრივ, კონვენციის 221-ე მუხლი უფლებას აძლევს სანაპირო სახელმწიფოს, მიიღოს ზომები უბედური შემთხვევებიდან გამომდინარე ზღვის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. აქაც სწორედ ამ მუხლით შეუძლიათ ხელმძღვანელობა სანაპირო სახელმწიფოებს.

განსხვავებით პორტებში შესული გემებისაგან, კონვენცია კვლავ არაფერს ამბობს შიდა წყლებში მყოფ გემებზე აღმასრულებელი იურისდიქციის განხორციელებაზე, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ სანაპირო სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხარისხს შიდა წყლებში, ასეთი დაზუსტება არცაა აუცილებელი.

ტერიტორიული ზღვა

კონვენცია აღიარებს, რომ სანაპირო სახელმწიფოს აქვს იურისდიქცია თავის ტერიტორიულ ზღვაზე, მის ფსკერსა და თავზე საჰაერო სივრცეზე.³¹ თუმცა კონვენციის მუხლების უფრო დეტალური შესწავლის შემდეგ ნათელი ხდება, რომ სუვერენიტეტი ტერიტორიულ ზღვაზე განსხვავდება საჰაერო სივრცეში განხორციელებული სუვერენიტეტისაგან. კერძოდ, იგულისხმება მშვიდობიანი გავლის უფლება ტერიტორიულ ზღვაში, რომელიც მნიშვნელოვანწილად ზღუდავს სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქციას. კერძოდ, სანაპირო სახელმწიფოს სუვერენიტეტი არ ვრცელდება გემზე, რომელიც მის ტერიტორიულ ზღვაში იმყოფება მშვიდობიანი გავლის რეჟიმში.

კონვენციამ საკანონმდებლო დონეზე პირველად განსაზღვრა ტერიტორიული ზღვის მაქსიმალური სიფართოვე როგორც 12 საზღვაო მილი.³²

რაც შეეხება მშვიდობიან გავლას – იგი უფლებას აძლევს ნებისმიერი საზღვაო თუ ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფოს ნებისმიერი ტიპის გემს, სავაჭრო იქნება ის, თუ სამხედრო, მიუხედავად ტერიტორიული ზღვის სიფართოვისა და იმისა, თუ რა სახის სუვერენიტეტს ახორციელებს სანაპირო ქვეყანა მასზე, ჰქონდეს შეუფერხებელი ნაოსნობის საშუალება³³. უფრო მეტიც, კონვენციის თანახმად, მშვიდობიანი გავლა მოიცავს არა მარტო აქტიურ გავლას, არამედ გაჩერებასა და ღუზის ჩაშვებას, თუკი ეს გამონაკვეთია ჩვეულებრივი ნაოსნობით, დაუძლეველი ძალის გარემოებების, ან ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის მიზეზით³⁴.

სანაპირო ქვეყანას არ აქვს უფლება, ხელი შეუშალოს გავლას, რომელიც არის მშვიდობიანი, გარდა კონვენციით გათვალისწინებული შემთხვევებისა³⁵. სანაპირო ქვეყანა უფლებამოსილია, აღკვეთოს გემის გავლა მის ტერიტორიულ ზღვაში, თუკი ის არ არის მშვიდობიანი, ან შეაჩეროს იგი, როცა ასეთი შეჩერება მნიშვნელოვანია უსაფრთხოებისათვის.³⁶

კონვენციის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „გავლა მანამდეა მშვიდობიანი, სანამ იგი არ ხელყოფს სანაპირო ქვეყნის მშვიდობას, ნესრიგსა და უსაფრთხოებას“.

კონვენცია იძლევა დეტალურ ჩამონათვალს, როდის არ ითვლება გავლა მშვიდობიანად და, შესაბამისად, სანაპირო სახელმწიფო უფლებამოსილი ხდება, გაავრცელოს შესაბამის გემზე საკუთარი იურისდიქცია. კერძოდ,

გავლა ჩაითვლება სანაპირო ქვეყნის მშვიდობისა და უსაფრთხოების დარღვევად, თუ იგი მიმართულია შემდეგი მოქმედებებისაკენ:

1. ძალის გამოყენების შესახებ მუქარა ან ძალის გამოყენება საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან სხვა სახით საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების დარღვევა.
2. სამხედრო მანევრები ან ნებისმიერი სახის იარაღის გამოყენებით სწავლება.
3. საქმიანობა, რომლის მიზანია ინფორმაციის შეგროვება საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების საზიანოდ.
4. პროპაგანდა, რომელიც ხელყოფს „სანაპირო სახელმწიფოს“ თავდაცვისა და უსაფრთხოების ინტერესებს.
5. საფრენი აპარატის ჰაერში ასვლა ან გემბანზე მიღება.
6. სამხედრო მოწყობილობის ჰაერში აწევა ან გემბანზე მიღება.
7. საბაჟო, ფისკალური, საემიგრაციო და სანიტარიული კანონმდებლობის დარღვევით ტვირთისა და ვალუტის დატვირთვა ან გადმოტვირთვა, ფიზიკური პირის გემბანზე მიღება ან გემიდან გადმოსმა.
8. ზღვის გარემოს განზრახ და სერიოზული დაბინძურება.
9. თევზჭერა.
10. სამეცნიერო-კვლევითი, საძიებო ან ჰიდროგრაფიული საქმიანობა.
11. კავშირგაბმულობისა და ელექტრონული სისტემების ან სხვა მოწყობილობებისა და ნაგებობების ფუნქციონირებისათვის ხელისშემშლელი პირობების შექმნა.
12. ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც მშვიდობიან გავლასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული³⁷.

თუმცა მშვიდობიანი გავლის უფლება არ ზღუდავს სანაპირო სახელმწიფოს საკანონმდებლო იურისდიქციას ასეთი გემების მიმართ, კერძოდ, სანაპირო სახელმწიფოს უფლება აქვს, მიიღოს კანონები და დაადგინოს წესები ნაოსნობისა და სანაოსნო საშუალებების, ასევე კაბელების, ზღვის ცოცხალი რესურსების, თევზჭერისა და სხვა საკითხების გარშემო³⁸. მშვიდობიანი გავლის დროს ყველა გემი ვალდებულია, შეასრულოს და დაცვას სანაპირო ქვეყნის კანონები და წესები, მაგრამ სანაპირო სახელმწიფომ არ შეიძლება დააწესოს დისკრიმინაციული წესები გემის დროშის სახელმწიფოს ან გემის ტიპის მიხედვით³⁹.

კონვენციის თანახმად, სანაპირო სახელმწიფოს განსაკუთრებულ შემთხვევებში, თავისი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ან იარაღის გამოცდის დროს, შეუძლია, დროებით შეაჩეროს მშვიდობიანი გავლის უფლება თავისი ტერიტორიული ზღვის განსაზღვრულ ზონაში, მაგრამ ასეთი შეჩერება უნდა მოხდეს არადისკრიმინაციულ საფუძველზე და ძალაში შევიდეს სათანადოდ გამოცხადების შემდეგ⁴⁰.

კონვენციის XII თავის დებულებები სანაპირო სახელმწიფოს უფლებას აძლევს, განახორციელოს აღმასრულებელი იურისდიქცია გემის მიმართ, რომელიც არღვევს ზღვის გარემოს დაცვის წესებს.⁴¹ სანაპირო სახელმწიფო არ არის უფლებამოსილი, აღკვეთოს გავლა, თუ გემი „განზრახ და სერიოზულად“ არ აზინძურებს მის ტერიტორიულ ზღვას, თუმცა აქ „სერიოზული“ დაზინძურების რაიმე ერთგვაროვანი კრიტერიუმი არ არსებობს, და იგი კონკრეტული ნაპირის თავისებურებასა და სანაპირო სახელმწიფოს კანონმდებლობაზეა დამოკიდებული, რადგან ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, მიიღოს კანონები მშვიდობიანი გავლის რეჟიმში მყოფი გემებისათვის, გარემოს დაცვასთან დაკავშირებით. მართალია, იმავე კონვენციის თანახმად, სანაპირო სახელმწიფო საკანონმდებლო იურისდიქციის განხორციელების დროს არ არის უფლებამოსილი, მიიღოს კანონები, რომლებიც, ფაქტობრივად, ზღუდავს მშვიდობიანი გავლის უფლებას,⁴² მაგრამ, გარემოს დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, კონვენციის 22-ე მუხლის თანახმად, სანაპირო სახელმწიფო უფლებამოსილია, შესაბამისი გემებისათვის დაადგინოს საზღვაო ხაზები და დერეფნები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს ამ უკანასკნელმა მშვიდობიანი გავლის დროს.

რაც შეეხება სანაპირო სახელმწიფოს აღმასრულებელ იურისდიქციას, კონვენციის 220-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, შეამონმოს და დააკავოს გემი, რომლის მიმართაც არსებობს მტკიცე რწმენა, რომ მან ტერიტორიულ ზღვაში ყოფნის დროს დაარღვია საერთაშორისო ნორმების საფუძველზე მიღებული სახელმწიფო კანონები, გემებიდან ზღვის გარემოს დაზინძურების აღკვეთასთან, შემცირებასა და გაკონტროლებასთან დაკავშირებით. თუმცა მშვიდობიანი გავლის რეჟიმში მყოფი გემებისათვის ზემოაღნიშნული წესი ისე უნდა იქნეს გამოყენებული, რომ ზიანი არ მიაყენოს 24-ე და 27-ე მუხლებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 24-ე მუხლის თანახმად, საკანონმდებლო იურისდიქციის განხორციელების პროცესში სანაპირო სახელმწიფომ საფრთხე არ უნდა შეუქმნას მშვიდობიანი გავლის უფლებას, ხოლო 27-ე მუხლით დადგენილია ტერიტორიულ ზღვაში სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის განხორციელების პირობები, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული.

მშვიდობიანი გავლის დროს სახელმწიფოს სუვერენიტეტის გამოვლენად შეიძლება ჩაითვალოს სანაპირო სახელმწიფოთა მიერ მიღებული წესები, გემებისათვის მშვიდობიანი გავლისათვის სანებართვო სისტემის მიღების შესახებ. ეს განსაკუთრებით ეხება სამხედრო და ატომურ გემებს⁴³.

რაც შეეხება ტერიტორიულ ზღვაში სისხლისსამართლებრივ იურისდიქციას, კონვენციის 27-ე მუხლი სანაპირო სახელმწიფოს მისი განხორციელების უფლებას აძლევს მხოლოდ სამშემთხვევაში.

პირველი შემთხვევა ეხება მშვიდობიანი გავლის რეჟიმში მყოფი გემის ბორტზე დანაშაულის ჩადენას, თუ:

1. მისი შედეგები ვრცელდება სანაპირო სახელმწიფოს ტერიტორიაზე;
2. დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, საფრთხე ექმნება სანაპირო სახელმწიფოში სიმშვიდესა და/ან მართლწესრიგს მის ტერიტორიულ ზღვაში;
3. გემის კაპიტანი ან დროშის სახელმწიფოს დიპლომატიური ან საკონსულო აგენტი მიმართავს დახმარების განევის თხოვნით სანაპირო სახელმწიფოს სახელისუფლებო ორგანოებსა; და
4. ასეთი ზომების მიღება აუცილებელია ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის აღსაკვეთად.

მეორე შემთხვევა ეხება სიტუაციას, როდესაც გემი ტერიტორიულ ზღვაში შემოდის შიდა წყლებიდან და იქ აქვს ჩადენილი სამართალდარღვევა. ამ დროს სანაპირო სახელმწიფო უფლებამოსილია, ასეთი გემის წინააღმდეგ მიიღოს ნებისმიერი ზომა, ანუ მისი იურისდიქცია არ არის შეზღუდული. ეს გამომდინარეობს სანაპირო სახელმწიფოს შეუზღუდავი სისხლისსამართლებრივი იურისდიქციიდან მის შიდა წყლებში.

მესამე შემთხვევა ეხება გემებს, რომელთაც სამართალდარღვევა ჩაიდინეს ტერიტორიულ ზღვაში შემოსვლამდე. ამ დროს სანაპირო სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია არ ვრცელდება, გარდა კონ-

ვენციის XII თავით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ზემოაღნიშნული წესი ემყარება საზღვაო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს, რომლის თანახმადაც, ღია ზღვაში გემზე ვრცელდება მხოლოდ დროის სახელმწიფოს იურისდიქცია.⁴⁴

კონვენციის 220-ე მუხლის მე-2 პუნქტის ძალით, სანაპირო სახელმწიფო უფლებამოსილია, შეამოწმოს ან/და დააკავოს გემი არა მარტო გარემოს დაცვის სფეროში მისი კანონმდებლობის, არამედ საერთაშორისო წესებისა და სტანდარტების დარღვევის შემთხვევაშიც. და ბოლოს, კონვენციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სანაპირო სახელმწიფო უფლებამოსილია, მიიღოს საჭირო ზომები, რათა აღკვეთოს პორტებში შესვლის წესების დარღვევა. რა თქმა უნდა, ასეთი ზომები შეიძლება აღსრულდეს ტერიტორიულ ზღვაში.

ტერიტორიულ ზღვაში სანაპირო სახელმწიფოს აღმასრულებელი იურისდიქციის საკითხის განხილვისას საინტერესოა ნორვეგიის, როგორც კონვენციის წევრი ერთ-ერთი ტრადიციული, განვითარებული საზღვაო სახელმწიფოს, მაგალითი. მისი კანონმდებლობის თანახმად, გემი შეიძლება დაკავებული იყოს ადგილობრივი კანონებისა და წესების დარღვევისათვის ტერიტორიულ ზღვაში, მათ შორის, ეკიპაჟით დაკომპლექტებასა და კონსტრუქციასთან დაკავშირებით⁴⁵. თუმცა კონვენციის 21-ე მუხლით პირდაპირ იკრძალება სანაპირო სახელმწიფოს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლის რეჟიმში მყოფი გემის ეკიპაჟით დაკომპლექტებისა და კონსტრუქციის თაობაზე კანონების მიღება.

აშშ-ის სანაპირო დაცვის კოდექსის 89-ე განყოფილების თანახმად, სანაპირო დაცვის თანამშრომლები უფლებამოსილი არიან, განახორციელონ შეერთებული შტატების იურისდიქციის ქვეშ მყოფ გემზე შემოწმება, ინსპექტირება, გამოკვლევა, დაკავება და დაპატიმრება, შეერთებული შტატების კანონების აღსრულების მიზნით.⁴⁶ ამასთან, ნაპირიდან მოშორებული კონტრაბანდის თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების განსახორციელებლად აუცილებელია, რომ აშშ-ის სანაპირო დაცვას ჰქონდეს იურისდიქცია როგორც გემზე, ისე ქმედებაზე.⁴⁷ თუ აშშ-ის სანაპირო დაცვის ოფიცრები აღმოაჩინენ აშშ-ის გემზე ან აშშ-ის იურისდიქციაში მყოფ გემზე დარღვევებს, ისინი უფლებამოსილი არიან, გემი მიიყვანონ პორტში, პასუხისმგებელი პირი დააპატიმრონ და/ან დააჯარიმონ, ხოლო თავად გემს კონფისკაცია გაუკეთონ და/ან ჯარიმა დაადონ მას.⁴⁸

ცხელ კვალზე დევნა

სანაპირო სახელმწიფოს მიერ შიდა წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში აღმასრულებელი იურისდიქციის განხორციელების ერთ-ერთი გარანტიაა ცხელ კვალზე დევნის უფლება, რაც მას მინიჭებული აქვს კონვენციით.

კონვენციის 111-ე მუხლის თანახმად, ცხელ კვალზე დევნა შეიძლება, თუ უცხოეთის გემი ან მისი ნაგები იმყოფებიან დევნის განმახორციელებელი სახელმწიფოს შიდა წყლებში, ტერიტორიულ ზღვაში, მიმდებარე ზონაში, არქიპელაგურ წყლებში. ცხელ კვალზე დევნის უფლება ერთ-ერთი უძველესია ჩვეულებითი საზღვაო სამართლის ნორმებიდან. სასამართლო საქმის – *The I'm Alone* (1935)⁴⁹ – განხილვისას აღიარა სანაპირო სახელმწიფოს უფლება, რომ მისმა სამხედრო გემმა განახორციელოს უცხო ქვეყნის გემის დევნა, თუ მან დაარღვია სანაპირო სახელმწიფოს კანონები შიდა წყლებში ან ტერიტორიულ ზღვაში და დააკავოს ასეთი გემი ღია ზღვაში. *Behring Sea Fur Seal* არბიტრაჟმა დადგინდა, რომ ცხელ კვალზე დევნა „უნდა იყოს დაუყოვნებელი... და უნდა იყოს კონტროლის ფარგლებში“⁵⁰.

კონვენციის 111-ე მუხლი, რომელიც ასახავს ჩვეულებითი სამართლის ნორმას, განსაზღვრავს, რომ ცხელ კვალზე დევნა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სანაპირო სახელმწიფოს კომპეტენტურ პირებს აქვთ საკმარისი საფუძველი, იფიქრონ, რომ გემმა დაარღვია ამ ქვეყნის კანონები და წესები. ამრიგად, კონვენციით არანაირი განსხვავება არ არის დადგენილი დარღვეული კანონის ხასიათის მიხედვით.

თუმცა ზუსტად არის გამიჯნული, თუ რომელი ზონიდან რა სამართალდარღვევისათვის შეიძლება დაიწყოს დევნა. მაგალითად, გემის წინააღმდეგ, რომელმაც ტერიტორიულ ზღვაში არ დაიცვა სანიტარიული წესები, არ შეიძლება დევნის დაწყება მიმდებარე ზონის მიღმა.

ცხელ კვალზე დევნასთან ერთად მოქმედებს კონსტრუქციული ყოფნის (*constructive presence*) დოქტრინა, ანუ აუცილებელი არ არის, უშუალოდ დევნილი გემი არღვევდეს წესებს შიდა წყლებსა და/ან ტერიტორიულ ზღვაში, არამედ საკმარისია, მისი ნავი ან ეკიპაჟის წევრები იყვნენ ჩართულნი კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში ამ ზონებში, რათა სანაპირო სახელმწიფომ განახორციელოს ცხელ კვალზე დევნა.

The Araunah-ის საქმის განხილვისას ბრიტანეთის მთავრობამ აღნიშნა, რომ, მართალია, თავად კანადური თევზსაჭერი გემი არ იმყოფებოდა ტერიტორიულ ზღვაში და არ მონაწილეობდა უკანონო თევზჭერაში, მისი დაკავება გამართლებული იყო, რადგან მისი მეზღვაურები ნავებით იყვნენ შესული რუსეთის ტერიტორიულ ზღვაში და იჭერდნენ თევზს¹.

მდევნელ გემს შეუძლია, გამოიყენოს ნებისმიერი საჭირო და გონივრული ზომა, რათა დააკავოს გემი, თუმცა თითოეული ქვეყანა საკუთარ წესებს ადგენს იმაზე, თუ როგორ ხდება დამნაშავე გემისა და პირის დაკავება მისი იურისდიქციის ფარგლებში;² მეორე მხრივ, უკანონო დევნის ან ძალის უკანონო გამოყენების შემთხვევაში მიყენებული ზარალისათვის დადგენილია კომპენსაცია.³

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ცხელ კვალზე დევნის უფლება არის პრივილეგია,⁴ რაც ენიჭება სანაპირო სახელმწიფოს დამნაშავე გემის მიერ ორმაგი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ანუ, პირველი, როდესაც გემი არღვევს ადგილობრივ კანონებს და მეორე, როდესაც ის უარს აცხადებს, ჩაბარდეს ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანოებს.⁵

სანამ ეს არის ცხელ კვალზე დევნა და ის გრძელდება ღია ზღვაში, მისი დასრულების საკითხი დროზე და ადგილზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ თუ არ არსებობს სპეციალური უფლებალმჭურველი ხელშეკრულება, დევნა წყდება მაშინვე, როგორც კი დევნილი გემი გადაკეთეს ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ზღვის გარე საზღვარს, გარდა სანაპირო სახელმწიფოსი.⁶

კონვენციის 111-ე მუხლის მე-3 პუნქტი ზუსტად ადგენს, რომ დევნა წყდება და არა დროებით ჩერდება დევნილი გემის ტერიტორიულ ზღვაში შესვლასთან ერთად, ანუ მდევნელ გემს არ აქვს უფლება, დაელოდოს, როდის გამოვა დევნილი გემი ტერიტორიული ზღვიდან.⁷

დევნა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ სამხედრო გემმა ან საჰაერო ხომალდმა, ან ამ მიზნებისათვის სახელმწიფოს მიერ სპეციალურად უფლებამოსილმა გემმა (სანაპირო დაცვის გემები). მდევნელი გემის ადგილმდებარეობა დევნის დაწყების მომენტი-სათვის ნაკლებმნიშვნელოვანია, რადგან არ არის აუცილებელი, დევნის დაწყების მომენ-

ტისთვის ის აუცილებლად იმყოფებოდეს ტერიტორიულ ზღვაში ან მიმდებარე ზონაში.

დასკვნა

კონვენციამ შეძლო, შეექმნა, მეტ-ნაკლებად ყველასთვის მისაღები, უნივერსალური რეჟიმი, როდესაც მაქსიმალურად არის დაცული ბალანსი, ერთი მხრივ, სანაპირო სახელმწიფოს ტერიტორიულ სუვერენიტეტსა და, მეორე მხრივ, ნაოსნობის თავისუფლებას შორის. როგორც აშშ-ის მთავრობის კომენტარებშია აღნიშნული, „[ის] ადგენს ბალანსს სანაპირო და საზღვაო ინტერესებს შორის ზღვის ყველა ზონის მიმართ“.⁸

ამ ბალანსის დაცვამ უზრუნველყო, უპირველეს ყოვლისა, კონვენციის ასეთი პოპულარობა როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად სახელმწიფოებში. ეს დასტურდება კიდევ ერთხელ აშშ-ის პრეზიდენტის მიმართვაში სენატისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ „შეერთებულ შტატებს აქვს ძირითადი და ხანგრძლივი ეროვნული ინტერესები ოკეანეებში და თანდათანობით მივიდა იმ აზრამდე, რომ ამ ინტერესების სრულად დაცვა ყველაზე უკეთ მოხერხდება საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ჩარჩო ხელშეკრულებით, რომელიც არეგულირებს ზღვების გამოყენებას“.⁹

კონვენციამ შემოიღო ახალი მუხლები, რომლებმაც მნიშვნელოვნად გააფართოვა სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქცია არა მარტო შიდა წყლებსა და ტერიტორიულ ზღვებში, არამედ სხვა საზღვაო ზონებშიც, კერძოდ, იგულისხმება ზღვის გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ნორმები. სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქციის ტრადიციული ჩარჩოები, რაც, ძირითადად, სისხლისსამართლებრივი იურისდიქციით იყო შემოფარგლული, სერიოზულად გაფართოვდა გარემოს დაცვითი იურისდიქციით. უფრო მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სანაპირო სახელმწიფოების მიერ განხორციელებულ იურისდიქციებს შორის სწორედ ეს სფეროა ყველაზე უნიფიცირებული და ეფექტური.

და ბოლოს, კონვენცია არა მარტო ანიჭებს სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქციას საზღვაო ზონებზე, არამედ აძლევს საშუალებას, რეალურად აღასრულოს ეს იურისდიქცია, კერძოდ, ცხელ კვალზე დევნის უფლების მინიჭებით.

¹ იგულისხმება გაეროს საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციის ხელმოწერის დღე.

² იხ. "A Constitution for the Oceans" Remark by Tommy T.B. Koh, of Singapore, President of the Third United Nations Conference on the Law of the Sea.

³ შემდგომში – „კონვენცია“.

- ⁴ იხ. Bernaert's Guide to the 1982 United Nations Convention of the Law of the Sea, Arnd Bernaerts, Trafford Publishing, 2006. გვ. 9.
- ⁵ იხ. Bernaert's Guide to the 1982 United Nations Convention of the Law of the Sea, Arnd Bernaerts, Trafford Publishing, 2006. გვ. 2.
- ⁶ საინტერესოა, რომ კანადამ 1996 წლის 18 დეკემბრის საოკეანო აქტი დააფიქსირა: „სამი ოკეანე – ჩრდილოეთინულოვანი, წყნარი და ატლანტიკის – არის ყველა კანადელის საერთო მემკვიდრეობა“. Preamble of Oceans Act, 18.12.1996. <http://www.parl.go.ca/House>.
- ⁷ კონვენცია, 32-ე მუხლი.
- ⁸ The Cases in the law of the Sea, Simmonds. Vol. 2, p. 56.
- ⁹ კონვენციის 31-ე მუხლი.
- ¹⁰ აქ გამონაკლისია შიდა წყლები, დელიმიტირებული სწორი საწყისი ხაზებით, როდესაც მის საზღვრებში მოხვდება წყლის მასა, რომელიც ადრე ტერიტორიულ ზღვას მიეკუთვნებოდა. ამ დროს შიდა წყლებში მოქმედებს მშვიდობიანი გავლის უფლება, რომლის თავისებურებებზე ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება საუბარი.
- ¹¹ თუმცა სახელმწიფოთა პრაქტიკის თანახმად, ეს ნორმა არ სრულდება, ანუ უცხო სახელმწიფოთა გემებს აქვთ უფლება, დაუბრკოლებლად შევიდნენ სხვა სახელმწიფოთა პორტებში.
- ¹² R.R. Churchill & A.V. Lowe 'The law of the sea' 3rd edition p. 61.
- ¹³ Nicaragua vs. United States; ICJ Reports 1981.
- ¹⁴ Coastal State Jurisdiction and Vessel Source Pollution, Øystein Jensen, FNI report 3/2006, Fridtjof Nansens Institutt, p. 16.
- ¹⁵ მაგალითად, გემის შიდაგანაწესი და ა.შ.
- ¹⁶ იხ. The law of the sea, R.R. Churchill A.V. Lowe, Third edition, Juris Publishing, Manchester University Press, 1999. p. 66-67.
- ¹⁷ იხ. The law of the sea, R.R. Churchill A.V. Lowe, Third edition, Juris Publishing, Manchester University Press, 1999. p. 68.
- ¹⁸ Cunard S.S. Co. v. Mellon, 262 U.S. 100 (1923).
- ¹⁹ Benz v. Compania Naviera Hidalgo, S.A., 353 U.S. 138 (1957).
- ²⁰ იხ. United States' Sur-Reply as Amicus Curiae to Defendant's Reply in Support of Its Motion to Dismiss in the United States District Court for the Southern District of Texas Houston Division, C.A. No. H-00-2649, გვ. 3.
- ²¹ იხ. The law of the sea, R.R. Churchill A.V. Lowe, Third edition, Juris Publishing, Manchester University Press, 1999. p. 67.
- ²² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მე-4 მუხლი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41 (48), 1999.
- ²³ თუმცა არის განსხვავებული მიდგომაც. მაგალითად, რუსეთის ფედერაციასა და ბულგარეთის რესპუბლიკას შორის დადებულ 1995 წლის 15 მაისის ხელშეკრულებაში სავაჭრო ნაოსნობის შესახებ აღნიშნულია, რომ თითოეულ ხელშეკრულს სახელმწიფოს უფლება აქვს, მის პორტში შემოსულ მთლიან ხელშეკრულს მხარის გემზე განახორციელოს სრული იურისდიქცია, **ნებისმიერი** დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. იხ. *Международное морское право – учебное пособие*, М., 2003, გვ. 55.
- ²⁴ უფრო მეტიც, დღეისათვის დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს 100 კმ-იან საზღვაო სანაპირო ზოლში, 2,5 მილიონზე მეტი მოსახლეობის ქალაქების ორ მესამედზე მეტით. ამასთან, 2025 წლისთვის მოსალოდნელია, რომ დედამიწის მოსახლეობის 75% იცხოვრებს სანაპირო ზოლში. იხ. *United Nations Convention on the Law of the Sea – 20th Anniversary (1982-2002). The Maritime Environment. Are we Destroying the Oceans?*
- ²⁵ სულ კონვენცია 6 სახის დაბინძურების წყაროს განასხვავებს ერთმანეთისაგან.
- ²⁶ ამ საკითხს დეტალურად ანესრიგებს გემებიდან ზღვის დაბინძურების აღკვეთის შესახებ 1973/78 წლების კონვენცია (მარპოლი, 73/78).
- ²⁷ 211-ე მუხლის მე-3 პუნქტი..
- ²⁸ Coastal State Jurisdiction and Vessel Source Pollution, Øystein Jensen, FNI report 3/2006, Fridtjof Nansens Institutt, p. 16. ; Transmittal Letter. Text of a letter from the President to the U.S. Senate, October 7, 1994. U.S. Government Printing Office, Washington, 1994.
- ²⁹ კონვენცია, 218-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
- ³⁰ კონვენცია, 220-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
- ³¹ კონვენცია, მე-2 მუხლი.

- ³² კონვენცია, მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი. საზღვაო მილი უდრის დაახლოებით 1852 მეტრს.
- ³³ კონვენცია, მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტი.
- ³⁴ *ibid.*, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.
- ³⁵ *ibid.*, 24-ე მუხლი.
- ³⁶ *ibid.*, 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
- ³⁷ იხ. კონვენცია, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი.
- ³⁸ იხ. კონვენცია, 21-ე მუხლი.
- ³⁹ *ibid.*, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
- ⁴⁰ *ibid.*, 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
- ⁴¹ კონვენცია, 218-ე, 220-ე მუხლები.
- ⁴² კონვენცია, 24-ე მუხლი.
- ⁴³ მაგალითად, კამბოჯის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტის თანახმად, უცხოურ სამხედრო გემებს წინასწარი ნებართვის მიღება სჭირდება ტერიტორიულ ზღვაში შესვლამდე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აშშ არ აღიარებს ამ მოთხოვნას. იხ. DoD 2005 1-M. Summary of Claims. Cambodia. გვ. 90. ანალოგიური მოთხოვნა არის დაფიქსირებული სამხედრო გემებისათვის სიერა ლეონეს საზღვაო ზონების (დაარსების) შესახებ 1996 წლის დეკრეტში. Sierra Leone: The Maritime Zones (Establishment) Decree, 1996, Article 5.2. არაბეთის გაერთიანებული საემიროების კანონმდებლობით, სამხედრო გემებს მშვიდობიანი გავლის განსახორციელებლად სჭირდება წინასწარ ნებართვის მოპოვება, მაშინ, როცა ატომური გემები მხოლოდ გაფრთხილებით უნდა შემოიფარგლონ. არაბეთის გაერთიანებული საემიროების საზღვაო ზონების დელიმიტაციის შესახებ 1993 წლის 17 ოქტომბრის 19 ფედერალური კანონის მე-5 მუხლი. იხ. National Legislation – DOALOS/OLA- United Nations.
- ⁴⁴ კონვენცია, 92-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
- ⁴⁵ იხ.: Coastal State Jurisdiction and Vessel Source Pollution, Øystein Jensen, FNI report 3/2006, Fridtjof Nansens Institutt, p. 25.
- ⁴⁶ იხ.: John E. Crowley, Jr. U.S. Maritime Law Enforcement Practices, გვ. 253. აქვე არის განმარტებული, რომ „აშშ-ის იურისდიქციის ქვეშ მყოფ გემად“ ითვლება: ეროვნების გარეშე მცურავი გემი; ასეთთან გათანაბრებული გემი; უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული გემი, თუ დროშის სახელმწიფო თანახმაა აშშ-ის მიერ აღმასრულებელი იურისდიქციის განხორციელებაზე; აშშ-ის საბაჟო წყლებში მყოფი გემი; უცხო სახელმწიფოს ტერიტორიულ ზღვაში მყოფი გემი, თუ ეს სახელმწიფო თანახმაა, რომ აშშ-მა განახორციელოს აღმასრულებელი იურისდიქცია; აშშ-ის მიმდებარე ზონაში მყოფი გემი, რომელიც შედის აშშ-ის ტერიტორიაზე, ან გამოდის იქიდან.
- ⁴⁷ *ibid.*
- ⁴⁸ *ibid.*
- ⁴⁹ UN Rep. Vol. III, p. 1609.
- ⁵⁰ Proceedings, Vol. XIII, p. 300 the Behring Sea Fur Seal Arbitration, 1893.
- ⁵¹ (GB, Russia) Moore, IA, 1888, p. 824.
- ⁵² მაგალითად, კანადის მიმდებარე ზონაში უცხო სახელმწიფოს გემის დაპატიმრება შეიძლება მხოლოდ გენერალური პროკურორის სანქციით, მე-12 მუხლი, კანადის საოკეანო აქტი, 1996 წლის 18 დეკემბერი.. <http://www.parl.go.ca/House>.
- ⁵³ კონვენცია, 111-ე მუხლის მე-8 პუნქტი.
- ⁵⁴ იხ.: D. P. O'Connell, The International Law of the Sea. Vol. II, p. 1077.
- ⁵⁵ თუმცა ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ცხელ კვალზე დევნის უფლება რეალური უფლებაა და არა პრივილეგია. იხ.: Gidel (1932) Vol.3, p.348.
- ⁵⁶ საქმე *The Itata*-ს (1892) მიხედვით, ჩილეს გემს დაედევნა აშშ-ის ორი კრეისერი სან-დიეგოს პორტიდან. დევნილი გემი შევიდა ჩილეს ერთ-ერთ პორტში, სადაც მას შეჰყვნენ მდევნელი კრეისერები. იგი დააპატიმრეს და დააბრუნეს უკან, სან-დიეგოს პორტში. აშშ-ჩილეს სარჩელთა კომისიამ აღიარა, რომ ჩილეს ტერიტორიულ ზღვაში დევნის გაგრძელება საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა იყო. (Chile, US) Moore Dig. Vol. II, p. 985.
- ⁵⁷ Jenevis 1956-58 ww konferencijaze daniis winadadeba iyo daewesebinaT 6 saaTiani intervali mocdisaTvis. magram am winadadebam, rogorc warmateba ver hpova. UN Doc. A/CONF. 13/C.2/L. gv. 99.
- ⁵⁸ Commentary – The 1982 United Nations Convention on the Law of the Sea and the Agreement on Implementation of Part XI. U.S. Department of State Dispatch Supplement. February 1995. Vol. 6. No.1. p. 5.
- ⁵⁹ Transmittal Letter. Text of a letter from the President to the U.S. Senate, October 7, 1994. U.S. Government Printing Office, Washington, 1994.

EKA SIRADZE

**JURISDICTION OF THE COASTAL STATE OVER THE SHIP
OF FOREIGN STATE IN THE INTERNAL WATERS AND
THE TERRITORIAL SEAS IN ACCORDANCE WITH THE UNITED
NATIONS CONVENTION ON THE LAW OF THE SEA OF 1982**

INTRODUCTION

As it was stated by Mr. Tommy B. Koh, President of the Third United Nations Conference on the Law of the Sea, in December 10 1982,¹ new record in the history of jurisprudence has been created.²

The UN Convention on the Law of the Sea³ adopted by the conference, together with other values has rather important characteristics: The Convention does not give an opportunity to any State irrespective of its geographic situation, political strength and level of marine development to enjoy only the rights and not to be bound with relevant obligations before the less developed and weak States. And one more important aspect is that it has played the greatest role in creation of new norms and many of these norms have become the norms of customary law. The Convention is considered as comprehensive political and legal paper, which includes directives for international relations, policy and law. It establishes new international control over the world ocean.⁴

The aim of this paper is to discuss the Articles of the Convention on the jurisdiction of the coastal State over the ship of foreign State in its internal waters and the territorial seas, in the present format, where the coastal States have recognized sovereignty, though the scopes of this sovereignty and execution of own laws by the States becomes a subject of dispute.

The most serious conflicts in the field of the law of the sea has taken place as a result of intersection of these two fundamental principles – territorial sovereignty and independence of the seas.⁵

INTERNAL WATERS

Activity of any State on domestic or international level is based on the principle of sovereignty. The problem arises when interests of one or more sovereign subjects of international law intersect each other.

As the territorial sovereignty entitles a State to exercise its jurisdiction in the most comprehensive manner, the central role is given to determine to what level the influence of the coastal State extends.

Baselines perform this function, i.e. provide for an opportunity of measurement in order to determine where the coastal State has an absolute jurisdiction and where it exercises its rights simultaneously with other States.

Due to the most of coastlines of the States are indented, fringed by the islands, gulfs or mouths of river, ports and etc. there are two types of baselines normal and straight.

In accordance with Article 5 of the Convention, baselines used for measuring the breadth of the territorial sea is the low-water line along the coast as marked on large-scale charts officially recognized by the coastal State.

Following to Article 8 of the Convention, waters on the land ward side of the baseline of the territorial sea form part of the internal i.e. national waters of the State, from which the breadth of the territorial sea and all other zones are measured. Therefore, internal waters include gulfs, mouths of river, ports, islands etc.⁶

The coastal State while considering the issue of jurisdiction, first of all should determine whether all ships enjoy the same status or not. Following to the Convention warships and other government ships operated for non-

commercial purposes enjoy full immunity from the jurisdiction of the coastal State.⁷ This practice is not an innovation and reflects well established norm of the customary law.

Codification of this issue first was initiated by the Brussels Convention “for the Unification of Certain Rules Concerning the Immunity of State-owned Ships” of April 10, 1926. However, long before in 1873, In *Charkiech* case the court established that, irrespective the fact whether the ship was owned by sovereign of semi sovereign State of Egypt and was sailing under the flag of Ottoman Navy, its detention was not in conflict with the norms of international law, because in that particular case the ship was used for commercial shipment. Namely, in resolution was noted that, *if a sovereign assumes the character of a trade, and sends a vessel belonging to him to this country to trade here, he must be considered to have waived any privilege which might otherwise attach to the vessel as the property of the sovereign...*⁸

Although, the fact that warships and government ships operated for non-commercial purposes enjoy immunity from the jurisdiction of the coastal State, it does not release them from the obligation to respect and observe the laws of the coastal State. Otherwise the coastal State is entitled to require violating ship to leave internal waters and the territorial sea. Therefore, the flag State shall bear responsibility for any caused damage.⁹

As regards to merchant marine, in internal waters the coastal State in relation to them may control the following: navigation, overflight, fishing, scientific research, laying of submarine cables, processing of seabed, protection of environment.

The majority of these issues are regulated by the Convention, though only with respect to the territorial sea and the regime of the internal waters remained open. Perhaps this is reasoned also by the fact that, the jurisdiction of the coastal State is completely extended, except few exceptions, when the coastal State limits its sovereignty in favor of the other State under bilateral agreement. Consequently, the coastal State in its internal waters may control the ship of foreign State likewise it would occur at its land territory.¹⁰

As it is recognized that the internal waters with their status are equalized to the land territory of a State, it is obvious that determina-

tion of its status may unlikely be the subject of any international Convention.

It is general norm that foreign ships do not have a right of navigation in internal waters. The issue of entry into the port is more disputable. In accordance with the customary law there is no norm which bounds the States to allow necessary entry to the ships of foreign States into their ports.¹¹ On the other hand in Arbitrary decision of *Aramco* of 1958 is noted that following to international law ports of each country **must** be open for the ships of other States and they may be closed only when it is required by vital interests of the State of port.¹² But in *Nicaragua* case the same court established that the State of a port taking into consideration its sovereignty may regulate accessibility to the ports.¹³ Although, the international ports of the States is considered to be open for international navigation of the ships (certainly this does not refer to military ships), this rule has not obtained the status of customary law norm. Each State determines the rule of entry of the ships into the ports itself independently or on the basis of bilateral international agreements.¹⁴

First of all States are entitled to determine which ship may be granted with the right to enter into the port and secondly, the State may close a port for international navigation for security purposes. In this case it is difficult to prove whether this is crucial interest of the State or not.

As stated above, the internal waters are the part of the territory of a State and consequently jurisdiction of a coastal State extends over the ships and their crew entered into the ports. However, the jurisdiction of a flag State¹⁵ always extends over the ship, which causes certain collision of norms (or conflict of jurisdictions). There are two different approaches with respect to this issue: French and Anglo-American.

French approach was established in relation to two American ships “*Sally*” and “*Newton*”, where the fight between the crew members took place. French court established that, in case of commitment of crime in a port on the board of a ship, if it only violates internal regulations of a ship and refers to the ship and a crew, local authorities shall not interfere, unless it has direct affect on the good order and security of the port and if request on assistance is received

from the ship. In relation to American Ship "Tempset" particular amendment has been made into this rule, when in Havre Port the assistant to the captain has killed one of the crew members and wounded another one. In this case the Court exercised the jurisdiction, since the incident has disturbed the peace.¹⁶

Anglo-American approach implies that in case of nonexistence of relevant agreement, each State shall exercise its jurisdiction over its internal waters. English courts, in the internal waters of Great Britain declare complete jurisdiction over the crew of ships of foreign States. In "Regina v. Cunningham" case three American sailors were punished for assault on other sailor on a board of a ship, which was anchoring nearby the coasts of England – because the crime was committed on the territory of England.¹⁷

The assertion of the fact that the merchant ship shall be considered as a "sailing" territory of flag State was resulting in conflict between jurisdictions. However, this postulate is unreasonable especially, in so called "open registers" era. Even in 1923 (this idea) was refused by the Supreme Court of the USA in *Cunard S.S. Co. v. Mellon* case. Statement sometimes made that a merchant ship is a part of the territory of the country whose flag she flies. But this, as has been aptly observed, is a figure of speech, a metaphor, is mainly applicable to ships on the high seas, where there is no territorial sovereign, and as respects ships in foreign territorial waters, it has little application beyond what is affirmatively or tacitly permitted by the local sovereign.¹⁸

However, the abovementioned does not mean that jurisdiction of a flag State is completely terminated, when the ship is in the internal waters of a foreign State. In this case so called "parallel jurisdictions" may be operating. For example, the Court of the United States in *Benz v. Compania Naviera Hidalgo, S.A.* case established that, on dispute between a foreign employer and a foreign crew the law of the USA shall not be extended in the internal waters of the latter in case when the only American connection was that the ship was in transit passage in the United States port.¹⁹ Though, when the ship is staying in the USA waters for a certain period, it is loading and/or unloading in the ports of the USA, the claim-

ant is the Citizen of the USA, the legislation of the USA shall definitely extend over the ship.²⁰

In case of a grave crime, only the fact that a ship is standing in the port is a sufficient ground for exercising the jurisdiction. This approach has been noted in "*Wildenhuis*" case, when a crew member of the Belgium ship killed another member while the ship was standing in one of the ports of the USA.²¹

In accordance to the legislation of Georgia if the crime is committed on the territory of Georgia (including the internal waters) the criminal jurisdiction of Georgia shall be applied.²² However in the bilateral agreements it is noted that of the criminal law jurisdiction of Georgia extends over the ships of foreign States in the ports of Georgia if: the results of the crime extends on the territory of Georgia, the security of the country is under the risk, the crime is committed by the citizen of Georgia or against him/her, or it is connected to the illegal traffic of narcotics drugs. Georgia has concluded such bilateral agreements with Greece, Ukraine, Azerbaijan, Russia, Cyprus, Turkey, etc.²³

As it is obvious from the aforementioned examples, the States do not interfere in internal regulation of the ship, in labour and civil disputes between the crew members.

In a viewpoint of exercising jurisdiction, in passed decades the issues of environment protection acquired paramount importance. If we take into consideration that the coastal area – the most productive area of the sea – is mostly infringed by the harmful influence on the marine environment,²⁴ it does not astonish that upon the exercise of the jurisdiction by the States, the most importance is given to the issues of protection of environment.

Problem regarding the protection of marine environment especially gained its importance from 60th-70th of XX century. In this respect in parallel with the increase of obligation of a flag State the right of a coastal State to control the marine environment under its jurisdiction, and exercise not only legislative, but executive jurisdiction, which is very important, is also increasing.

Although, there are numbers of sources,²⁵ in the sphere of the present research only marine pollution from the ships is envisaged. Part XII of the Convention is devoted to the protection of environment.²⁶

Following to the Convention, the States are entitled to establish particular requirements for the prevention, reduction or control of the pollution of the marine environment as a condition for the entry of foreign vessels into their ports.²⁷

Jurisdiction of a coastal State includes the right to refuse the entry of foreign vessels into its ports. However, in such a case problematic is the issue of the ships being under distress. To what extent the coastal States are entitled to refuse them? In previous years the most important case was *Prestige* case, when the Government of Spain refused the ship to enter into port, including for ecological safety reasons, and afterwards the ship sank in the EEZ of Spain and polluted coast of Spain as well as coasts of Portugal and France. Irrespective of the serious incident, direct answer on this question still does not exist. Furthermore practice and legislation of the States inclines to the fact that, if the crew is rescued, a port State may have a good argument to refuse the entry of such vessel into the port.²⁸

If ship pollutes the maritime zones of a coastal State, executive jurisdiction may be exercised against her in case of entry into its port.²⁹

In this case there is an essential condition that a vessel has entered voluntarily into a port. In such a case the coastal State may completely undertake its legislation against the vessel.³⁰ Therefore, the vessel which is forcibly entered into a port does not fall under the mentioned provision. In this case the same question may arise, whether the entry of a vessel under the distress is considered voluntarily or not? The Convention itself does not define either the term "under distress" nor conditions of force majeure.

On the other hand Article 221 of the Convention entitles a coastal State to take measures in order to avoid marine pollution following upon a casualty. So, one can assume that in specific case the coastal States may apply this Article.

Contrary to vessels entered into the ports, the Convention does not provide for exercise of executive jurisdiction over the vessels in the internal waters. However, if we take into consideration the quality of sovereignty of a coastal State in its internal waters, lack of such clarification is not essential.

TERRITORIAL SEA

The Convention recognises that, sovereignty of a coastal State extends to the air space over the territorial sea as well as to its bed and subsoil.³¹ However, after detailed study of Articles of the Convention, it becomes clear that there is a difference between the exercising sovereignty over the territorial sea and the air space. In particular, right to an innocent passage in the territorial sea is implied, which significantly limits the jurisdiction of a coastal State. Namely the sovereignty of a coastal State does not extend over the vessels, staying at its territorial sea with innocent passage regime.

For the first time on legislative level the Convention established the breadth of a territorial sea up to a limit not exceeding 12 nautical miles.³²

As regards to innocent passage – it entitles any ship of a coastal or non-coastal State whether merchant or military, to have an opportunity of expeditious navigation regardless of the breadth of territorial sea and type of sovereignty exercised by a coastal State over it.³³ Furthermore, according to the Convention innocent passage includes not only active passage, but stopping and anchoring, in so far as it is caused by ordinary navigation or force majeure conditions or for the purpose of rescuing the life of persons or vessels at sea.³⁴

Coastal State shall not hamper the innocent passage except in accordance with the Convention.³⁵ However, in its territorial sea a coastal State is entitled to prevent the passage of ship, which is not innocent or suspend it if such suspension is essential for security purposes.³⁶

According to Article 19, paragraph 1 of the Convention "passage is innocent so long as it is not prejudicial to the peace, good order or security of the coastal State".

The Convention provides for a detailed list when the passage is not considered to be inessential and consequently, coastal State becomes entitled to extend its jurisdiction over the relevant ship. In particular, passage shall be considered to be prejudicial to the peace and security of the coastal State if it engages in any of the following activities:

1. Any threat or use of force against the sovereignty, territorial integrity or political independence of Georgia, or in any other manner in violation of the principles and norms of international law;

2. Military manures or study by exercising weapons of any kind;
3. Activity aimed at collecting information to the prejudice of the defence or security of Georgia;
4. Act of propaganda aimed at affecting the defence or security interests of Georgia;
5. The launching or taking on board of any aircraft;
6. The launching or taking on board of any military device;
7. The loading or unloading of any commodity and currency or person contrary to the customs, fiscal, immigration or sanitary laws and regulations;
8. Wilful and serious pollution of marine environment;
9. Fishing;
10. The carrying out of scientific-research, survey or hydrographic activities;
11. Act aimed at interfering with any systems of communication and electronic systems or other facilities or installations;
12. Any other activity not having a direct bearing on innocent passage.³⁷

However, the right of innocent passage does not restrict the jurisdiction of coastal States over such ships. In particular, the coastal State is entitled to adopt laws and establish regulations on navigation and navigational aids, as well as cables, living resources of the sea, fishing and other issues.³⁸ Throughout the innocent passage, all ships are obliged to perform and observe laws and regulations of a coastal State. But, the coastal State shall not establish discriminative rules with respect to the flag or type of a ship.³⁹

Following to the Convention, in exceptional cases the coastal State may suspend the rights of innocent passage in specified areas of its territorial sea for the purposes of security protection of its country, or during the military exercises. But, such suspension shall be done on non-discriminative basis and take effect only after having been duly published.⁴⁰

Provisions of part XII of the Convention entitle the coastal State to exercise executive jurisdiction over the ship violating the regulations on the protection of maritime environment.⁴¹ The coastal state is not entitled to prevent passage unless a ship is polluting its territorial sea "wilfully and seriously". Though, there is no any common criterion on the "serious" pollution and it depends on particular features of a coasts

and legislation of the coastal State, since the later is entitled to adopt laws for the ships in the regime of innocent passage, regarding the environmental protection. Although, in accordance with the same Convention, the coastal State whilst exercising its legislative jurisdiction is not entitled to adopt laws, which in fact restricts the right to an innocent passage.⁴² For the purposes of ensuring environmental protection, following to Article 22 of the Convention, the coastal State is entitled to establish sea lines and corridors for vessels ships, which shall be applied by the latter during the innocent passage.

As regards to executive jurisdiction of coastal State, in accordance with paragraph 2 of Article 220 of the Convention, a State is entitled to inspect or detain the ship, where the evidence warrants that while it was staying in its territorial sea has violated the laws of the State, regarding prevention, reduction and control of marine environment pollution from the vessels adopted on the basis of international law. However, the abovementioned regulation shall be applied to vessels in of innocent passage, without prejudice to Articles 24 and 27.

As it was stated above, in accordance with Article 24, in the process of exercising legislative jurisdiction, the coastal State shall not hamper the right of innocent passage. Article 27 provides for the terms of exercising criminal jurisdiction on the territorial sea that will be discussed below in more details.

During the innocent passage, regulations adopted by the coastal State on introduction of permit system for innocent passage of vessel may be considered as an expression of State sovereignty. Especially it refers to warships and nuclear-powered ships.⁴³

Regarding to the criminal jurisdiction over the territorial sea, Article 26 of the Convention grants the State with the right to exercise it only in three cases.

First case concerns the commitment of a crime on a board of a ship in innocent passage, if:

1. The consequences of the crime extend to the coastal State;
2. The crime is of a kind to disturb the peace of the coastal State and/or the good order in its territorial sea;
3. The assistance of the local authorities has been requested by the captain of the ship

or by a diplomatic agent or consular officer of the flag State; and

4. Such measures are necessary for the suppression of illicit traffic in narcotic drugs or psychotropic substances.

The second case refers to the situation when the ship enters into the territorial sea from internal waters where it has committed a crime. In this case the coastal State is entitled to take any measure against such vessel, i.e. its jurisdiction is not limited. It comes from the unlimited criminal jurisdiction of the coastal State in its internal waters.

The third case refers to ships, which have committed a crime before entering the territorial water from the high seas. In this case the criminal jurisdiction of the coastal State does not extend except as provided in part XII of the Convention. The abovementioned regulation is based on the fundamental principle of the Law of the Sea stating that only flag State jurisdiction is extended over the ship in the high sea.⁴⁴

Under paragraph 2 of Article 220 of the Convention, the coastal State is entitled to inspect or/and detain the vessel not only in case of violation of its legislation on environmental protection, but in cases of violation of international regulations and standards as well. Finally in accordance with paragraph 2 of Article 25, the coastal State has the right to take necessary steps to prevent breach of regulations on the entry into ports. Certainly, such steps may be undertaken in the territorial sea.

The example of Norway as one of the traditional developed maritime State is interesting whilst discussing the issue of executive jurisdiction of the coastal State in the territorial sea. According to its legislation vessel may be detained for violation of local laws and regulations in the territorial sea, among them, concerning manning and construction.⁴⁵ However, Article 22 of the Convention forbids the coastal State to adopt law on manning and construction of vessels in innocent passage in a territorial sea.

In accordance with section 89 of the Code of the USA on the Protection of Coast, the coast guard personnel are entitled to exercise examination, inspection, investigation, detention and arrest of vessels under the jurisdiction of the United State in order to execute the laws of the United States.⁴⁶ Furthermore, for exercising activities aimed at avoiding contra-

band outside from the coast, it is necessary for the coast guard of the USA to have jurisdiction over the vessels as well as over the actions there in.⁴⁷ If the officials of the coast guard of the USA discover the violations on USA vessel or on a vessel under the jurisdiction of the USA, they are entitled to take the vessel into the port, arrest and/or fine responsible persons and confiscate the vessel itself and/or impose a fine on it.⁴⁸

HOT PURSUIT

One of the guarantees to exercise the executive jurisdiction by the coastal State, over the internal waters and the territorial sea, is the right of hot pursuit, which is granted under the Convention. In accordance with Article 111 of the Convention, hot pursuit may be undertaken when a foreign ship or her boats are within the internal waters, the territorial sea, the contiguous zone, the archipelagic waters of the pursuing State. The right of a hot pursuit is one of the oldest norms of the customary law of the sea. In cases such as '*The I'm Alone*' case (1935)⁴⁹ the customary law recognised the right of the coastal State to entitle its warships to exercise pursuit of a foreign ship, if she has violated the law of the coastal State in its internal waters or the territorial sea, and to detain such a ship on the high sea. In *Behring Sea Fur Seal* arbitration it was established that, hot pursuit shall be immediate ... and shall be in the frames of control.⁵⁰

Article 111 of the Convention reflecting the customary law rule, stipulates that hot pursuit may be undertaken when the competent authorities of the coastal State have a good reason to believe that the ship has violated the laws and regulations of that State. However, the Convention does not provide for any difference in relation to the quality of a violated law.

However, it is strictly determined from which zone and for what violation the pursuit may be commenced. For example, it is prohibited to commence the pursuit outside the contiguous zone, against a ship which did not observe the sanitary regulations in the territorial sea.

Together with the hot pursuit, the doctrine of constructive presence operates. In other words, it is not necessary the regulations to be violated directly by the ship in internal waters and/or territorial sea, but involvement of

its boat or crew members in illegal activities in this zones is a good reason for the coastal State to exercise the hot pursuit.

In *'the Araunah'* case the British Government noted that, although, the Canadian fishing vessel was not in the territorial sea and was not participating in illegal fishing, its detention was justified because its sailors entered in the territorial sea of Russia by the boats and were fishing.⁵¹

A Pursuing ship may take any necessary and reasonable measure to detain the guilty ship. However, each country establishes its own regulations regarding the procedure of detention of a guilty ship and person within the scopes of its jurisdiction.⁵² On the other hand the compensation for any damage caused as a result of illegal pursuit or illegal use of force is established.⁵³

Some authors deem that, the right of hot pursuit is a privilege⁵⁴ which is granted to the coastal State in case of violation of double obligations by the offender ship. First, when ship violates the local laws, and the second when it refuses to surrender to local competent authorities.⁵⁵

While it is hot pursuit and it continues on the high sea the issue of its conclusion does not depend on time and place. But if there is no special entitling agreement, the pursuit shall end when the pursued ship crosses the outer boarder of the territorial sea of any State other than the pursuing State.⁵⁶

Article 111.3 of the Convention strictly determines that the hot pursuit ceases and not temporarily terminates when the ship pursued enters the territorial sea of any other State. In other words perusing ship shall not have a right to wait when the pursued ship leaves the territorial sea.⁵⁷

Pursuit may be exercised only by a warship or an aircraft or a specially authorized ship for these purposes (ships of coast guards). Location of the pursued vessel for the moment of commencement of pursuit is

less important, as it is not necessary for it to be in the territorial sea or the contiguous zone for the moment of commencement of pursuit.

CONCLUSION

The Convention managed to establish more or less acceptable, universal regime for everyone, when the territorial sovereignty of coastal State on the one hand, and freedom of navigation on the other hand are balanced. As it is noted in the commentary of the USA, it establishes the balance between the coastal and maritime interests with respect to all maritime zones.⁵⁸

First of all this balance has ensured popularity of the Convention both in developed and developing States. This once again is proved in the address of the US President to the Senate, where it is noted that, The United State has a basic and long term national interest in the oceans and gradually came to the opinion that complete protection of this interests can be best achieved by universally recognized international frame agreement, which manages the application of the seas.⁵⁹

The convention has introduced new Articles that have significantly extended the jurisdiction of the coastal State not only in the internal waters and the territorial seas, but also in other maritime zones. In particular, the norms relating to the protection of maritime environment is implied. Traditional scope of jurisdiction of the coastal State, mainly limited with criminal law jurisdiction, has been significantly extended with the jurisdiction of environmental protection. Moreover, it may be easily said that exactly this area is the most unified and effective among all jurisdictions exercised by the coastal States.

And finally the Convention not only grants the coastal States the jurisdiction over the maritime zones, but gives an opportunity to actually execute this jurisdiction, in particular by granting the right of hot pursuit.

¹ Implied the date of signature of the UN Convention on the Law of the Sea.

² Please see "A Constitution for the Oceans" Remark by Tommy T.B. Koh, of Singapore, President of the Third United Nations Conference on the Law of the Sea.

³ Hereafter "Convention".

⁴ Please see. Bernaert's Guide to the 1982 United Nations Convention of the Law of the Sea, Arnd Bernaerts, Trafford Publishing, 2006. p. 9.

- ⁵ Please see. Bernaert's Guide to the 1982 United Nations Convention of the Law of the Sea, Arnd Bernaerts, Trafford Publishing, 2006. p. 2.
- ⁶ It is interesting that Canada, in the Oceans Act of December 18, 1998, has stated that whereas Canada recognizes that "the three oceans, the Arctic, the Pacific and the Atlantic, are the common heritage of all Canadians". Preamble of Oceans Act, 18.12.1996. <http://www.parl.go.ca/House>.
- ⁷ The Convention, Article 32.
- ⁸ The Cases in the law of the Sea, Simmonds. Vol. 2, p. 56.
- ⁹ The Convention, Article 31.
- ¹⁰ Here the exception is the internal water with delimited straight baselines, when the mass of the water falls within its borders, which previously was belonged to the territorial sea. In this case the right of innocent passage is operating in the internal waters. Its features will be discussed below in detail.
- ¹¹ However, the State practice reviles that this norm is not performed, i.e. ships of foreign States are entitled to enter into the ports of other States without difficulties.
- ¹² R.R. Churchill&A.V.Lowe 'The law of the sea'3rd edition p. 61.
- ¹³ Nicaragua vs. United States; ICJ Reports 1981.
- ¹⁴ Coastal Satte Jurisdiction and Vessel Source Pollution, ystein Jensen, FNI report 3/2006, Fridtjof Nansens Institutt, p. 16.
- ¹⁵ For example, internal regulation of a ship, etc.
- ¹⁶ Please see the law of the sea, R.R. Churchill A.V. Lowe, Third edition, Juris Publishing, Manchester University Press, 1999. p. 66-67.
- ¹⁷ Please see the law of the sea, R.R. Churchill A.V. Lowe, Third edition, Juris Publishing, Manchester University Press, 1999. p. 68.
- ¹⁸ Cunard S.S. Co. v. Mellon, 262 U.S. 100 (1923).
- ¹⁹ Benz v. Compania Naviera Hidalgo, S.A., 353 U.S. 138 (1957).
- ²⁰ Please see the United States' Sur-Reply as Amicus Curiare to Defendant's Reply in Support of Its Motion to Dismiss in the United States District Court for the Southern District of Texas Houston Division, C.A. No. H-00-2649, p. 3.
- ²¹ Please see. The law of the sea, R.R. Churchill A.V. Lowe, Third edition, Juris Publishing, Manchester University Press, 1999. p. 67.
- ²² The Criminal Code of Georgia, Article 4. Georgian Legal Almanac N41 (48), 1999.
- ²³ However, there is also a different approach. For example in the agreement between Russian Federation and Republic of Bulgaria on the merchant Shipping of May 15, 1995, it is noted that each contracting State shall be entitled to exercise complete jurisdiction over the ship of another contracting party entered into the port in case of commitment of *any* crime. Please see. *Междуна-родное морское право – учебное пособие, Москва, Издательство "Юридическая Литера-тура", 2003. p. 55.*
- ²⁴ Moreover, nowadays more then a half of the world population is leaving in 100 km sea coastline, in more then two thirds of the cities of more then 2.5 million populations. Herewith for the year 2025 it was expected that 75% of the world population will live in the sea coastline. Please see United Nations Convention on the Law of the Sea – 20th Anniversary (1982-2002). The Marine Environment. Are we destroying the Oceans?
- ²⁵ Totally 6 kind of the source of pollution is differed from each other by the Convention.
- ²⁶ The issue of prevention of marine pollution from the ships is in detailed regulated by the Convention for the Prevention of the Pollution from Ships of 1973/78 (MARPOL 73/78).
- ²⁷ Article 211(3).
- ²⁸ Coastal State Jurisdiction and Vessel Source Pollution, Øystein Jensen, FNI report 3/2006, Fridtjof Nansens Institute, p. 16. ; Transmittal Letter. Text of a letter from the President to the U.S. Senate, October 7, 1994. U.S. Government Printing Office, Washington, 1994.
- ²⁹ The Convention, Article 218(1).
- ³⁰ The Convention, Article 220(1).
- ³¹ The Convention, Article 2.
- ³² The Convention, Article 4. 1 nautical mile equals approximately to 1852 meter.
- ³³ The Convention, Article 18.1.
- ³⁴ The Convention, Article 18.2.
- ³⁵ *Ibid.* Article 24.
- ³⁶ *Ibid.* Article 25.3.
- ³⁷ The Convention, Article 4. 1 nautical mile equals approximately to 1852 meter.

- ³⁸ Please see. The Convention, Article 21.
- ³⁹ *Ibid.* Article 24.2.
- ⁴⁰ *Ibid.* Article 25.3.
- ⁴¹ The Convention, Articles 218, 220.
- ⁴² The Convention, Articles 24.
- ⁴³ For example, in accordance with the decree of the State Council of Cambodia foreign military vessels shall obtain preliminary permit before the entry into the territorial sea. However, shall be mentioned that the USA does not recognize this requirement. Please see. DoD 2005 1-M. Summary of Claims. Cambodia. p. 90. For the military vessels similar requirement is stated in the Maritime Zones (Establishment) Decree of Sierra Leone of 1996. Please see Sierra Leone: The Maritime Zones (Establishment) Decree, 1996, Article 5.2. Under the legislation of United Arab Emirates, military vessels to exercise innocent passage need to obtain preliminary permit, while nuclear-powered ships shall be limited only with the notification. Article 5 of the Federal Law of United Arab Emirates on the Delimitation of Border Zones of Emirates of October 17, 1993, N19. Please see. National Legislation – DOALOS/OLA – United Nations.
- ⁴⁴ The Convention, Article 92.1.
- ⁴⁵ Please see. Coastal State Jurisdiction and Vessel Source Pollution, Øystein Jensen, FNI report 3/2006, Fridtjof Nansens Institutt, p. 25.
- ⁴⁶ Please see. John E. Crowley, Jr. U.S. Maritime Law Enforcement Practices, p. 253. Herewith it is defined that the following ships are considered “to be under the jurisdiction of the USA”: ships without nationality, ships equalized to such ships, ships registered in foreign country, if the flag State agrees executive jurisdiction to be exercised by the USA; the ship in the customs waters of the USA; the ship being in the territorial sea of the foreign State, if this State agrees executive jurisdiction to be exercised by the USA; ship being in the contiguous zone of the USA, which enters or exists the territory of the USA.
- ⁴⁷ *Ibid.*
- ⁴⁸ *Ibid.*
- ⁴⁹ UN Rep. Vol. III, p. 1609.
- ⁵⁰ Proceedings, Vol. XIII, p. 300 the Behring Sea Fur Seal Arbitration, 1893.
- ⁵¹ (GB, Russia) Moore, IA, 1888, p. 824.
- ⁵² For example, a ship of a foreign State in the continuous zone of Canada may be detained only with the consent of the Attorney General of Canada. Article 12, Oceans Act of Canada, December 18, 1996... <http://www.parl.go.ca/House>.
- ⁵³ The Convention, Article 111.
- ⁵⁴ Please see. D. P. O’Connell, The International Law of the Sea. Vol. II, p. 1077.
- ⁵⁵ However, some authors deem that the right of hot pursuit is a real rights and not a privilege. Please see. Gidel (1932) Vol.3, p. 348.
- ⁵⁶ In the *The Itata*’ (1892) case the ship of Chile was pursued by two cruisers of the USA from the port of San Diego. Pursued ship entered in one of the ports of Chile where it was followed by the pursuing cruisers. It was detained and taken back to San Diego port. Commission of the USA-Chile claims recognized that continue of pursuit in the territorial sea of Chile was a violation of the norms of international law. (Chile, US) Moore Dig. Vol. II, p. 985 .
- ⁵⁷ On Geneva Conference of 1956-58 the proposal of Denmark was to establish six hour period of waiting. But this proposal did not succeed. UN Doc. A/CONF. 13/C.2/L. p. 99.
- ⁵⁸ Com-men-tary – The 1982 Uni-ted Na-ti-ons Con-ven-ti-on on the Law of the Sea and the Agre-e-ment on Imple-men-ta-ti-on of Part XI. U.S. De-par-tment of Sta-te Dis-patch Sup-ple-ment. Feb-ru-ary 1995. Vol. 6. No.1. p. 5.
- ⁵⁹ Transmittal Letter. Text of a letter from the President to the U.S. Senate, October 7, 1994. U.S. Government Printing Office, Washington, 1994.

**„გონივრული ვადის“ მოთხოვნა
(ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით)**

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, „კანონის საფუძველზე შექმნილი მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს“ მიერ საქმის განხილვა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი გარანტია – სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად საჭიროა კიდევ ერთი პირობის დაცვა: სამართალწარმოება უნდა განხორციელდეს „გონივრულ ვადაში“.

პროცესის ხანგრძლივობის პრობლემა აქტუალურია ბევრი ევროპული სახელმწიფოსათვის. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებათა უდიდესი ნაწილი სწორედ „გონივრული ვადის“ მოთხოვნის დარღვევას ეხება.

საკითხი განსაკუთრებით მწვავედ საქართველოში დგას. საერთო სასამართლოების, განსაკუთრებით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, მიერ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დარღვევა და კონვენციით გათვალისწინებული „გონივრული ვადის“ მოთხოვნის უგულებელყოფა მიღებულ პრაქტიკად იქცა.

ყველასათვის ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი¹, სადაც წარმოდგენილია მონაცემები იმ საქმეთა შესახებ, რომლებიც განხილულია ჩვენი სასამართლოების მიერ. სამწუხაროდ, თითოეული საქმე ზემოთ აღნიშნული მდგომარეობის დამადასტურებელ მაგალითად გამოდგება.

რატომ არის შეუძლებელი „სამართლიანი სასამართლოს უფლების“ რეალიზება „გონივრული ვადის“ გარანტიის გარეშე და რატომ გახდა საჭირო მისი გათვალისწინება კონვენციით?

„გონივრული ვადის მოთხოვნის დაცვა, პირველ რიგში, შედის როგორც თავად პირის, ასევე მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესებში“.²

„როგორც სისხლის სამართლის, ასევე სხვა საქმეებში გონივრული ვადის გარანტიის მიზანია ყველა მხარის დაცვა სამართალწარმოების გაჭიანურებისაგან“.³

სისხლის სამართლის საქმეში პირი, რომელიც განაჩენის მოლოდინში, დიდი ხნის განმავლობაში იმყოფება გაურკვეველ მდგომარეობაში, განიცდის ძლიერ სტრესს. ხშირად ის უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, თუნდაც მკაცრი განაჩენის გამოტანის შემდეგ, ვიდრე მის მოლოდინში.⁴ ამასთანავე, „ასეთ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ პირის ბრალდებულად ყოფნა გავლენას ახდენს მის რეპუტაციაზე“.⁵

ასევე, სამოქალაქო საქმის თითოეული მხარისათვის არსებითად მნიშვნელოვანია იმ დავის დროული გადაწყვეტა, რომელშიც იგი მონაწილეობს. ხშირად გადანყვეტილების გამოტანა ხდება იმდენად დაგვიანებით, რომ მას უკვე აღარ შეუძლია, გავლენა მოახდინოს დავის შედეგზე.

გარდა ამისა, სამართალწარმოების სწრაფი და ეფექტური განხორციელება საჯარო ინტერესიცაა. სახელმწიფომ ყველა ზომა უნდა მიიღოს, რომ საქმე დიდი ხნის განმავლობაში არ გაჩერდეს წარმოებაში, რათა ამ გზით შესაძლებელი გახდეს სახელმწიფო რესურსების დაზოგვა.

დაბოლოს, „ეს გარანტია ხაზს უსვამს მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელობას ისეთი გაჭიანურების გარეშე, როგორიც საფრთხეს უქმნის მის ეფექტურობასა და სანდოობას“.⁶

1999 წლის 20 მაისს რატიფიცირების შედეგად ევროპული კონვენცია გახდა ჩვენი კანონმდებლობის ნაწილი⁷. უფრო მეტიც, ჩვენ ავიღეთ ვალდებულება, რომ დანარჩენი კანონმდებლობა და პრაქტიკა მისი შესაბამისი იქნებოდა.⁸

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, როგორ განმარტავს ევროპული სასამართლო ამ მოთხოვნას? მისი შეფასებით, სად გადის სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის ზღვარი? რა ფაქტორები უწყობს ხელს გაჭიანურებას? რა ზომები უნდა მიიღოს სახელმწიფომ ამ პრობლემის გადასაჭრელად? – თითოეული ეს საკითხი ქვემოთ იქნება განხილული.

გასათვალისწინებელი დროის დასაწყისი და დასასრული

„ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ ვენის კონვენციის“ 28-ე მუხლის თანახმად, „თუ სხვა მიზანი არ გამოდინარეობს ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მისი დებულებები არ აკისრებს პასუხისმგებლობას მხარეს ნებისმიერ იმ მოქმედებასა თუ ფაქტზე, რომელმაც არსებობა შეწყვიტა ამ მხარისათვის ხელშეკრულების ამოქმედების დღეს“.⁹

აღნიშნული პრინციპი ვრცელდება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზეც. სტრასბურგის სასამართლომ სამართალწარმოების ხანგრძლივობაზე მსჯელობისას არა ერთ საქმეში აღნიშნა, რომ კონვენციას არა აქვს უკუქცევითი ძალა.

საქმის – *სილვა პონტესი პორტუგალიის წინააღმდეგ* – განხილვისას სასამართლომ დაადგინა, რომ დრო, რომელიც მხედველობაშია მისაღები მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, დაიწყო არა 1977 წლის 20 დეკემბერს, როდესაც განმცხადებელმა სამოქალაქო სარჩელით მიმართა სასამართლოს ჯანმრთელობის დაზიანების გამო კომპენსაციის მოთხოვნით, არამედ 1978 წლის 9 ნოემბერს, როდესაც კონვენცია ძალაში შევიდა პორტუგალიისათვის.¹⁰

ამასთანავე, „სასამართლოს შეფასებაზე – განხორციელდა თუ არა სამართალწარმოება სათანადო სისწრაფით კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ – გავლენას მოახდენს ის ფაქტი, რომ საქმის განხილვა უკვე ხანგრძლივად მიმდინარეობს“,¹¹ ანუ გარკვეულწილად ხდება იმ პერიოდის გათვალისწინებაც, რომელიც გასულია რატიფიკაციამდე.

სახელმწიფოსათვის კონვენციის ძალაში შესვლის თარიღის დადგენის შემდეგ სასამართლო არკვევს მხედველობაში მისაღები დროის დასაწყისსა და დასასრულს.

„სისხლის სამართლის საქმეებში მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული „გონივრული ვადა“ იწყება პირისათვის ბრალდების წაყენებისთანავე“.¹²

„ბრალდების წაყენება“ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისათვის, ეს არის უფლებამოსილი ორგანოს მიერ პირისათვის ოფიციალური შეტყობინება, რომელიც გულისხმობს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მტკიცებას“.¹³

„პირს ბრალდება შეიძლება წაუყენონ, მაგალითად, დაკავების დროს ან როდესაც დაიწყება წინასწარი გამოძიება“.¹⁴

საქმიზე ვემჰოფი გერმანიის წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ გასათვალ-

ისწინებელი პერიოდი დაიწყო მაშინ, როდესაც დააკავეს განმცხადებელი. ამ დღეს გაიცა დაპატიმრების ბრძანება, რომლითაც განმცხადებლის მიმართ არსებობდა გონივრული ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. საბრალდებო აქტი კი შედგენილ იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც წინასწარი გამოძიების დასრულებიდან გავიდა 2 წელზე მეტი.¹⁵

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეში მხედველობაში მისაღები ვადის დაწყების დროდ ყოველთვის უნდა იქნეს მიჩნეული ის თარიღი, როდესაც პირმა პირველად ოფიციალური გზით მიიღო ნებისმიერი სახის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მის მიმართ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ დაწყებულია გარკვეული პროცედურები. ჩვეულებრივ, ეს არის ბრალდების წაყენების დრო. არის შემთხვევები, როდესაც ბრალდების წაყენებას წინ უსწრებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, პირის ეჭვმიტანილად ცნობა, დაკავება ან სხვა საპროცესო ქმედება. ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი ეს თარიღი, რომელიც წინ უსწრებდა დანარჩენს და საიდანაც განმცხადებელმა პირველად შეიტყო, რომ მის მიმართ გაჩნდა ეჭვი, უნდა იქნეს გამოყენებული ვადის დასაწყისად.

სამოქალაქო საქმეებში ეს საკითხი შემდეგნაირად წყდება: თუ განმცხადებელი თავად მოსარჩელეა, დროის ათვლა იწყება სარჩელის შეტანის თარიღიდან. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი სარგებლობს მოპასუხის სტატუსით, ზემოთ აღნიშნული მიზნით გამოიყენება უწყების ჩაბარების დრო.

საქმის – *გუინჩო პორტუგალიის წინააღმდეგ* – განხილვისას სასამართლომ დაადგინა, რომ დრო, რომლის გონივრულობა უნდა შეფასდეს, დაიწყო, როდესაც განმცხადებელმა ჯანმრთელობის დაზიანების გამო კომპენსაციის მოთხოვნით სარჩელით მიმართა სასამართლოს.¹⁶

საქმის – *ვერნილო საფრანგეთის წინააღმდეგ* – დადგინდა, რომ მხედველობაში მისაღები დრო დაიწყო მაშინ, როდესაც განმცხადებლები, როგორც მოპასუხეები, გამოძახებულ იქნენ ტრიბუნალის წინაშე.¹⁷

ძალიან საინტერესოა საქმე *ბოიმარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ*, სადაც განმცხადებელმა შეიტანა სარჩელი პარიზის ადმინისტრაციულ სასამართლოში. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული სასამართლო ორგანო არ იყო უფლებამოსილი, განეხილა ეს სარჩელი და საქმე, განსჯადობის მიხედვით, გადაუგზავნა *Conseil d'Etat*-ს. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ

დროის ათვლა უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან, როდესაც განმცხადებელმა პირველად შეიტანა სარჩელი, თუნდაც არაუფლებამოსილ ორგანოში.¹⁸

სასამართლო ორგანოების მუშაობა უნდა იყოს ისე ორგანიზებული, რომ ასეთი ტიპის შეცდომების შემთხვევაშიც არ მოხდეს სამართალწარმოების გაჭიანურება. ის ფაქტი, რომ პირი არ არის სათანადოდ ინფორმირებული, როგორ გამოიყენოს საპროცესო უფლებები, არ უნდა გახდეს საფუძველი, იმისა, დაირღვეს მისი უფლება – სწრაფად განიხილოს მისი საქმე.

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში „გონივრული ვადა“, ჩვეულებრივ, იწყება სასამართლოში სარჩელის შეტანისას, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია, დაიწყოს უფრო ადრეც.¹⁹ „ასეთი შემთხვევა ხშირადაა მაშინ, როდესაც განმცხადებელი ვალდებულია, ამოწმოს წინასწარი ადმინისტრაციული ორგანოებისათვის მიმართვის საშუალებები მანამ, სანამ ის მიმართავს სასამართლოს“.²⁰

საქმის – ვალეე საფრანგეთის წინააღმდეგ – განხილვისას სასამართლომ დაადგინა, რომ დრო, რომელიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, დაიწყო მაშინ, როდესაც განმცხადებელმა საჩივრით მიმართა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპენსაციის მოთხოვნით.²¹

„როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო საქმეებში გონივრული ვადის დინება ნყდება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთანავე და მოიცავს სააპელაციო და საკასაციო პროცედურებს“.²²

„მხედველობაში მისაღები დროის პერიოდი მოიცავს მთელ სამართალწარმოებას. სისხლის სამართლის საქმეებში ის სრულდება, როდესაც გადაწყდება პირის მიმართ წაყენებული ბრალდებები და საბოლოო განაჩენით იგი გამოცხადდება დამნაშავედ ან უდანაშაულოდ; ან სრულდება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას“.²³

საქმეზე – „H“ საფრანგეთის წინააღმდეგ – სასამართლომ დაადგინა, რომ დრო, რომელიც გასათვალისწინებელია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, დასრულდა, როდესაც განმცხადებელს შეატყობინეს უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება.²⁴

აღსანიშნავია, რომ საბოლოო გადაწყვეტილება, რომელსაც ამა თუ იმ საქმეზე იღებენ, არ არის ყოველთვის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, – ხშირად სა-

მართალწარმოება სრულდება ადრეულ ეტაპზე:

საქმის – მილაზი იტალიის წინააღმდეგ – განხილვისას, სასამართლომ დაადგინა, რომ მხედველობაში მისაღები დრო დასრულდა 1983 წლის 7 მარტს, როდესაც კალაბრიის რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება.²⁵

„როდესაც ბრალდებული გამართლებულია და პროკურორს არ შეაქვს საჩივარი, „გონივრული ვადის“ გარანტია განაგრძობს მოქმედებას მანამ, სანამ გასაჩივრების ვადა არ ამოიწურება და ამ მომენტამდე სამართალწარმოების ხანგრძლივობაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო.“²⁶

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული სამართალწარმოება არ მოიცავს ყველა ეტაპს, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, მხედველობაში მისაღები პერიოდის დასასრულად უნდა იქნეს მიჩნეული ის დრო, როდესაც ძალაში შევიდა გადაწყვეტილება, რომელიც აღნიშნულ საქმეზე იყო საბოლოო.

„თუ შიდა ინსტანციებში პროცესი კვლავ მიმდინარეობს, როდესაც განაცხადს განიხილავს სტრასბურგის სასამართლო, გონივრული ვადის მოქმედება გრძელდება ამ უკანასკნელის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე“.²⁷

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არაერთხელ გამხდარა ევროპული სასამართლოს მსჯელობის საგანი, არის საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების პერიოდი:

საქმის – ბოკი გერმანიის წინააღმდეგ – განხილვისას სასამართლომ განაცხადა: „საკითხის გადაწყვეტა – მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი უნდა იქნეს თუ არა გამოყენებული საკონსტიტუციო სასამართლოში განხორციელებული პროცედურების მიმართ – დამოკიდებულია იმაზე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ახდენს თუ არა გავლენას კონკრეტული საქმის შედეგზე, რომლის განხილვა მიმდინარეობს საერთო სასამართლოების მიერ“.²⁸

სამართალწარმოების ვადაზე მსჯელობისას სადავოა კიდევ ერთი პერიოდი: საქმეზე – გიროლამი იტალიის წინააღმდეგ – სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალწარმოების ვადის განსაზღვრისას არ შეიძლება იმ დროის გათვალისწინება, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელი გაურბის იურისდიქციას ან იმალება. ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი – თუ ბრალდებული მიიმალა

„საკმარისი მიზეზის“ გამო. მაგალითად, თუ ჩათვალა, რომ მისი საქმე არ იქნებოდა განხილული სამართლიანი სასამართლოს მიერ და ჰქონდა საფუძველი, ასე ჩაეთვალა.²⁹

სასამართლომ დაადგინა, რომ „სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით და იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც ჩამოყალიბებულია სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, კერძოდ, ესენია: საქმის სირთულე, განმცხადებლის ქცევა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოთა ქმედებები“.³⁰

თითოეული ფაქტორი უნდა იქნეს განხილული ცალ-ცალკე და შემდეგ შეფასდეს მათი კუმულაციური ეფექტი.

1. საქმის სირთულე

„როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო სამართლის საქმეებში დარღვევა რომ არ დადგინდეს, სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა განპირობებული იყო საქმის სირთულით“.³¹

უფრო მეტიც, „სასამართლო საქმის სირთულეს ამონიშნავს მანამ, სანამ შეაფასებს სახელმწიფო ორგანოების ან განმცხადებლის ქცევას“.³²

საქმის სირთულის შეფასებისას ყურადღება ექცევა ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: სამართლის ასპექტები, მტკიცებულებათა მოცულობა, ბრალდებათა ან ბრალდებულთა რაოდენობა, ექსპერტის დასკვნის მოპოვების საჭიროება, ჩვენების მოპოვება საზღვარგარეთიდან, საქმეთა გაერთიანება ერთ წარმოებად.³³

როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი, რომელსაც სასამართლო იღებს მხედველობაში საქმის სირთულის შეფასებისას, არის პროცესის მონაწილეთა რაოდენობა.

მაგალითად, საქმის – „უნიონ ალიმენტარია სანდერს“ ესპანეთის წინააღმდეგ – განხილვისას მთავრობა ამტკიცებდა, რომ საქმე იყო რთული, ვინაიდან სარჩელები შეტანილი იყო არა ერთი მოპასუხის მიმართ. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოცხადდა მხოლოდ ერთი მოპასუხე და არც ერთი სააპელაციო სასამართლოს წინაშე, რამაც გაამართლავა სასამართლოს დავალება.³⁴

საქმეზე – ანგელუჩი იტალიის წინააღმდეგ – სასამართლომ დაადგინა, რომ საქმე იყო რთული ბრალდებულთა რაოდენობის გამო.³⁵

საქმის სირთულით სახელმწიფოს შეუძლია თავი იმართლოს უკიდურესად გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც გამოვლინდება ისეთი გარემოებები, რაც უჩვეულოა სასამართლო პრაქტიკისათვის და ამის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

მოსარჩელეთა და ბრალდებულთა სიმრავლე არცთუ ისე იშვიათია და ამიტომაც ამისათვის სათანადოდ უნდა იყოს მზად სასამართლო. ერთ-ერთი ყველაზე მარტივი გამოსავალია საქმეთა ერთმანეთისაგან გამოყოფა ან საქმის განხილვა რამდენიმე მოსამართლის მიერ. მითითება პრობლემაზე, რომელიც ექვემდებარება რეგულირებას, არ შეიძლება იყოს გამამართლებელი.

სამართლებრივი საკითხებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლასთან ერთად ევროპული სასამართლო ჯეროვან ყურადღებას უთმობს პროცედურულ საკითხებს. გამოყენებულ საპროცესო მოქმედებათა და ღონისძიებათა რაოდენობა და ხანგრძლივობა, მართლაც, განსაზღვრავს საქმის სირთულეს.

ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა საქმე ფოტი და სხვები იტალიის წინააღმდეგ. აღნიშნული საქმის განხილვისას მთავრობა აცხადებდა, რომ წინასწარი გამოძიება მოიცავდა ძალიან ბევრ ზომას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებები, რომლებიც წაყენებული ჰქონდა განმცხადებელს, გარკვეულწილად რთულია, მაგრამ რადგანაც ისინი ჩადენილია საჯაროდ და დადგენილია ადგილზე, მათი გამოძიება არც ისე ძნელია. ამასთან, ფოტის გარდა, სხვათა საქმეები განხილულ იქნა მხოლოდ ერთ ინსტანციაში. შესაბამისად, გაირკვა, რომ ეს საქმე არ ყოფილა განსაკუთრებულად რთული.³⁶

რთული პროცედურის ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია პარალელური სამართალწარმოება როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო სამართლის საქმეებში:

საქმის – გუნტერი თურქეთის წინააღმდეგ – განხილვისას მთავრობა აცხადებდა, რომ საქმე იყო რთული. დავა ეხებოდა მემკვიდრეობას. ერთდროულად მიმდინარეობდა ორი პროცესი. დავა არსებითად ვერ გადაწყდებოდა, სანამ არ დასრულდებოდა მემკვიდრეობის მონიშნის გაცემასთან დაკავშირებული პროცესი. სასამართლო არ დაეთანხმა სახელმწიფოს და აღნიშნა, რომ საქმე არ იყო რთული.³⁷

საქმეში – ბოდაერტი ბელგიის წინააღმდეგ – 6 წელი და 3 თვე სტრასბურგის სასამართლოს მიერ არ ჩაითვალა არაგონივრულად,

რადგან საქმე ეხებოდა მკვლევლობასთან დაკავშირებულ რთულ გამოძიებასა და პარალელურად ორი საქმის მიმდინარეობას.³⁸

პარალელური სამართალწარმოება არის ის ფაქტორი, რომელზეც შეუძლია სახელმწიფოს, სამართლიანად მიუთითოს საქმის სირთულის დასამტკიცებლად.

ხშირია შემთხვევა, როდესაც მთავრობა პროცესის სირთულეს ასაბუთებს იმით, რომ საქმისთვის საჭირო გახდა ექსპერტის დასკვნის წარმოდგენა.

საქმეზე – *ვერნილო საფრანგეთის წინააღმდეგ* – მთავრობა აცხადებდა, რომ იგი იყო რთული. ერთ-ერთი საფუძველი ამისა ექსპერტის დასკვნის საჭიროება გახდა. ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა ეს მოსაზრება.³⁹

საქმეში – *ნოვიცკი ავსტრიის წინააღმდეგ* – მიხედვით, განმცხადებელი ითხოვდა ლიცენზიის გაცემას მედიკამენტზე. მთავრობა აცხადებდა, რომ საქმე იყო რთული, რადგან საჭირო გახდა არა ერთი ექსპერტის დასკვნის მოპოვება და მეცნიერული კვლევის ჩატარება. ექსპერტების დასკვნის მოპოვება გართულა იმან, რომ განმცხადებელმა დააგვიანა დოკუმენტების წარმოდგენა. სასამართლომ განაცხადა, რომ ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო საქმე იყო განსაკუთრებულად რთული. მიუხედავად ამისა, დადგინდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა.⁴⁰

საქმეთა ძალიან დიდ ნაწილში ჩნდება ისეთი საკითხი, რომელიც საჭიროებს ექსპერტის დასკვნას, ამიტომაც, თუ ყველა ამ ტიპის საქმე ჩაითვლება რთულად და მასზე მიუთითებს სახელმწიფო, როგორც გამართლებელ გარემოებაზე, ეს ხელს შეუწყობს არასწორი პრაქტიკის დამკვიდრებას.

მოთხოვნები სახელმწიფო ორგანოების მიმართ განსაკუთრებით მკაცრი უნდა იყოს, თუკი პრობლემებს იგი წინასწარ იცნობდა და ჰქონდა დრო მოსამზადებლად.

საქმეში – *ვალეე საფრანგეთის წინააღმდეგ*, რომელიც ეხებოდა განმცხადებლის მიერ კომპენსაციის მოთხოვნას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსაგან, – სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის არგუმენტი სირთულის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ კომპენსაციის საკითხის გადანყვეტა გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. სასამართლოს შეხედულებით, „ასეთი პრობლემების განსაზღვრა შეიძლებოდა წინასწარ და მისი გადაჭრის გზები უნდა მოეძებნათ უფრო ადრე“.⁴¹

სახელმწიფოები პოზიციის დასასაბუთებლად ზოგჯერ უთითებენ ისეთ გარემოება-

ზე, როგორცაა პროცესის მონაწილეთა გამოუცხადებლობა, რაც, მათი განმარტებით, საქმის გართულების მიზეზია.

საქმეში – *კონიგი გერმანიის წინააღმდეგ* – სასამართლომ აღნიშნა: „მთავრობამ ვერ დაასაბუთა, რომ საქმე მოიცავდა ფაქტობრივ ან სამართლებრივ სირთულეს, მაგრამ აქ წამოიჭრა სხვა პრობლემა: ადმინისტრაციული სასამართლოს მე-4 პალატას ჰქონდა სირთულეები მოწმეების გამოძახებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ზოგიერთმა მოწმემ შეიცვალა სახელი და მისამართი“.⁴²

საქმის – *გუინჩო პორტუგალიის წინააღმდეგ* – განხილვისას მთავრობა საქმის სირთულეს ასაბუთებდა იმით, რომ არ გამოცხადნენ მოწმეები და ადვოკატები. ეს მოსაზრება არ გაიზიარა სასამართლომ და აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ მოხსენიებული გარემოებები არ ართულებდა პროცესს ისე, რომ ეს უჩვეულო ყოფილიყო ასეთი ტიპის სამართალწარმოებისათვის.⁴³

ვფიქრობთ, ისეთი არგუმენტი, როგორცაა სასამართლოთა წარუმატებლობა პროცესის მონაწილეთა გამოცხადების უზრუნველყოფაში, არ არის საკმარისი, რომ მთლიანობაში საქმე მიეკუთვნოს რთულ კატეგორიას. ამისათვის საჭიროა სხვა კომპონენტების არსებობა.

ასევე საინტერესოა, თუ რამდენად აისახება ბრალდებულის ქმედებები საქმის სირთულეზე:

საქმეში – *ფერანტელი და სანტანჯელო იტალიის წინააღმდეგ* – მთავრობა აცხადებდა, რომ პროცესის ხანგრძლივობა, ერთი შეხედვით, შეიძლება ჩანდეს გადაჭარბებული, მაგრამ ის გამართლებულია გამოძიების სირთულით, ვინაიდან განმცხადებელმა ჯერ აღიარა დანაშაული და შემდეგ უარყო. განმცხადებლის აზრით, ბრალდებულის მიერ ჩვენების შეცვლა არ შეიძლებოდა განხილულიყო როგორც გარემოება, რომელმაც გაართულა გამოძიება, რადგან ბრალდებული არ არის ვალდებული, ითანამშრომლოს გამოძიებასთან. სასამართლო, მართლაც, დაეთანხმა მთავრობას, რომ საქმე იყო რთული, მაგრამ არა ამ გარემოების გამო – ეს ფაქტორი მას მხედველობაში არ მიუღია.⁴⁴

საქმეში – *ზმალინსკი პოლონეთის წინააღმდეგ* – მთავრობამ განაცხადა, რომ იგი იყო რთული. განმცხადებლის განცხადებით, მის მიერ სარჩელის შეცვლას არ გამოუწვევია საქმის გართულება. სასამართლომ განაცხადა, რომ, მართალია, საქმე იყო გარკვეული სირთულის, მაგრამ ამას არ შეუძლია

გამართლოს სამართალწარმოების საერთო ხანგრძლივობა.⁴⁵

მიმაჩნია, რომ ბრალდებულს არ აკისრია ვალდებულება, ითანამშრომლოს გამოძიებასთან. მოსარჩელე კი იყენებს თავის საპროცესო უფლებებს, როდესაც აფართოებს ან აზუსტებს სარჩელს. ეს არ არის უჩვეულო სასამართლო პრაქტიკისათვის. შესაბამისად, ამ ფაქტორებზე, როგორც გამამართლებელ გარემოებებზე, სახელმწიფომ უნდა მიუთითოს უკიდურესად გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ეს გამოიწვევს გაუთვალისწინებელ და მნიშვნელოვან გართულებებს.

2. განმცხადებლის ქმედება

„სახელმწიფო პასუხისმგებელია მხოლოდ იმ დარღვევებზე, რომლებიც მიენერება მას. თუ მხარეებმა სამართალწარმოების დროს ან ბრალდებულმა სისხლის სამართლის საქმეში გამოიწვია ან ხელი შეუწყო გაჭიანურებას, დროის ეს პერიოდი არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული“.⁴⁶

მაგალითად, საქმეზე – *პროს ზაკი პოლონეთის წინააღმდეგ* – სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალწარმოების გაჭიანურებას ხელი შეუწყო თავად განმცხადებელმა, რაც გამოიხატა შემდეგში: მან უსაფუძვლოდ მოითხოვა მოსამართლის აცილება 3 შემთხვევაში; რამდენჯერმე არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე; უარი განაცხადა ფსიქიატრიული შემოწმების ჩატარებაზე. შესაბამისად, არ დადგინდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა.⁴⁷

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პასუხს არ აგებს განმცხადებლის მიზეზით გამოწვეულ გაჭიანურებაზე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს უკანასკნელი მოქმედებს კანონის მოთხოვნათა ფარგლებში.

მაგალითად, საქმეში – *კემაჩე საფრანგეთის წინააღმდეგ* – მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელმა თავად შეუწყო ხელი პროცესის გაჭიანურებას, ვინაიდან მოითხოვა სხდომის გადადება. განმცხადებელმა განმარტა, რომ ფსიქიკური მდგომარეობის გამო მას არ შესწევდა უნარი, დასწრებოდა სხდომას. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ გაჭიანურებისათვის, რომელიც მოხდა განმცხადებლის თანხმობით.⁴⁸

სტრასბურგის სასამართლო სამართალწარმოების თითოეულ ეტაპს განიხილავს და აფასებს ცალ-ცალკე. შესაბამისად, მთავრო-

ბას თითოეულ ეტაპთან დაკავშირებით მოეთხოვება დეტალური ახსნა-განმარტების წარმოდგენა.

სახელდობრ, საქმეზე – *ბოიმარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ* – სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელმა ხელი შეუწყო პროცესის გაჭიანურებას, ვინაიდან შეცდომით შეიტანეს განცხადება არაუფლებამოსილ სასამართლო ორგანოში; სააპელაციო საჩივრის შეტანიდან 4 თვის განმავლობაში არ წარმოადგინეს სათანადო დოკუმენტაცია. განმცხადებლები პასუხისმგებელი იყვნენ დროის გარკვეულ მონაკვეთზე (9 თვეზე), მაგრამ დანარჩენ პერიოდთან დაკავშირებით მთავრობამ ვერ წარმოადგინა სათანადო ახსნა-განმარტება. (მოპასუხე მინისტრს დასჭირდა 20 თვე შესაგებლის მოსამზადებლად და სასამართლოს, რომელიც საქმეს განიხილავდა, – 5 წელი საქმის მოსასმენად). შესაბამისად, საერთო ვადა – 8 წელი და 4 თვე – მიჩნეულ იქნა არაგონივრულად და დადგინდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა.⁴⁹

სახელმწიფოს შეუძლია, პოზიციის დასაბაბუთებლად მიუთითოს განმცხადებლის ქმედებებზე, მაგრამ ამ გზით ის პასუხისმგებლობას აიცილებს მხოლოდ დროის იმ მონაკვეთზე, რომელიც გაჭიანურებულია განმცხადებლის ქმედების შედეგად და არა მთელ სამართალწარმოებაზე.

აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ განმცხადებლის ქმედებების შეფასებისათვის განსხვავებული სტანდარტებია დანესებული სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებში.

მოთხოვნები სახელმწიფო ორგანოების მიმართ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით არის ბევრად უფრო მკაცრი, ვიდრე სამოქალაქო დავების განმხილველი სასამართლოების მიმართ. ეს აიხსნება იმით, რომ სამოქალაქო საქმეებში სამართალწარმოების სწრაფი და ეფექტური განხორციელება დამოკიდებულია მხარეთა ინიციატივასა და მონდომებაზე. შესაბამისად, პასუხისმგებლობას დიდი დოზით ინაწილებენ პროცესის მონაწილეები.

საქმეში – *სირიკოსტა და ვიოლა იტალიის წინააღმდეგ* – მთავრობამ აღნიშნა, რომ სამართალწარმოების გაჭიანურებას ხელი შეუწყო განმცხადებელმა. იტალიაში მხარეებმა თვითონ უნდა გამოიჩინონ ინიციატივა, რათა სწრაფად წარიმართოს სამოქალაქო სამართალწარმოება. ეს არის *"principio dispositivo"*-ს მოქმედების ძირითადი წესი. ევრო-

პულმა სასამართლომ გაიზიარა მთავრობის არგუმენტაცია და დასძინა, რომ *“principio dispositivo”* არ ათავისუფლებს სასამართლოებს ვალდებულებისაგან, უზრუნველყონ „გონივრული ვადის“ მოთხოვნები”.⁵⁰

როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეებში სასამართლოებმა საერთო კოორდინაციის განევის გზით უნდა უზრუნველყონ მხარეების მიერ საპროცესო მოვალეობათა შესრულება. პროცესის მონაწილეებზე გონივრული კონტროლის განევის საშუალებას სასამართლოებს უნდა აძლევდეს შესაბამისი კანონმდებლობა. სამართალწარმოების სწრაფი განხორციელება არ არის მხოლოდ მხარეთა ინტერესის საგანი. სახელმწიფო თავად უნდა იყოს დაინტერესებული, თითოეული დავა განხილულ იქნეს მოკლე ვადაში, რათა, ერთი მხრივ, აიცილოს სასამართლოთა გადატვირთულობა და, მეორე მხრივ, დაზოგოს სახელმწიფო რესურსები. ამგვარად, სახელმწიფო კი არ უნდა დაელოდოს მხარეთა ინიციატივებს, არამედ თავად უნდა შექმნას ისეთი მოქნილი სისტემა, რომ საქმე დიდი ხნის განმავლობაში არ დარჩეს წარმოებაში.

ერთ-ერთი პრობლემური საკითხი, რაც თავს იჩენს სამოქალაქო საქმეებში განმცხადებელთა ქმედებების შეფასებისას, არის მეორე მხარის ქმედებები. შეიძლება თუ არა, მათზე პასუხისმგებლობა დაეკისროს სახელმწიფოს? ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი საქმეების მიმოხილვა:

საქმეზე – *ვერნილო საფრანგეთის წინააღმდეგ* – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ორივე მხარემ ხელი შეუწყო პროცესის გაჭიანურებას, რაც გამოიხატა შემდეგში: მოსარჩელეებს – ტორზულოებს – ოთხ-ნახევარი თვე დასჭირდათ *„tribunal de grande“*-სთვის პასუხის წარსადგენად; სააპელაციო სასამართლოში საჩივრის წარდგენა დაავიანეს სამ-ნახევარი თვით; სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს ვერნილოების დამატებითი საჩივრის საპასუხოდ დასჭირდათ ოთხ-ნახევარი თვე. შემდეგ, როდესაც ბატონი ტორზულო გარდაიცვალა, მისმა ცოლმა პროცესის გაგრძელება დააყოვნა წელიწადითა და 4 თვით. ამ საქმეზე კი სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისრება პასუხისმგებლობა სახელმწიფოს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის, თუ გაჭიანურებები გამონვეულია სახელმწიფოს მიერ ხოლო მეორე მხარის მოქმედებების გამო, რომელმაც საბ-

ოლოდ ხელი შეუშალა განმცხადებლის საქმის სწრაფად განხილვას, მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. უფრო მეტიც, მთავრობას შეუძლია, მასზე მიუთითოს, როგორც გამამართლებელ გარემოებაზე.⁵¹

საქმეზე – *ბოკი გერმანიის წინააღმდეგ* – სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო არ არის პასუხისმგებელი მოპასუხის ქმედებაზე, რომლის წინააღმდეგ განმცხადებელს აქვს შეტანილი სამოქალაქო სარჩელი“⁵²

ამის საწინააღმდეგოდ საქმეში – *გუინჩო პორტუგალიის წინააღმდეგ* – მიხედვით, სასამართლომ აღნიშნა: „მთავრობის მიერ მითითებული გარემოებები – მოპასუხე მხარის მოწმეებისა და ადვოკატების გამოუცხადებლობა – არ შეიძლება იქნეს გამოყენებული განმცხადებლის წინააღმდეგ. პროცესის გაჭიანურებაზე პასუხს არ აგებს განმცხადებელი“.⁵³

ვიზიარებ სწორედ ამ საქმეში გამოხატულ მოსაზრებას და მიმაჩნია, რომ სასამართლომ არა მარტო თვითონ არ უნდა დაარღვიოს საპროცესო ვადები, არამედ ასევე უნდა უზრუნველყოს მისი დაცვა მხარეების მიერ. მან უნდა მოუწოდოს პროცესის მონაწილეებს და გასცეს ბრძანებები, დაანესოს დროის ლიმიტი და ა.შ.

როდესაც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას კონვენციის ყველა დებულების შესრულებაზე, ის არ აკეთებს დათქმას, რომ მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ პირებს დაიცავს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოთა უკანონო ქმედებებისაგან. იმის მიუხედავად, ვინ დაარღვევს განმცხადებლის უფლებას, სწრაფად განიხილონ მისი საქმე, – სახელმწიფო ორგანო თუ კერძო პირი, შედეგი მაინც ერთი და იგივეა. ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ასეთი დარღვევა და თუ მაინც მოხდება ეს, ადეკვატურად უნდა იმოქმედოს.

შესაბამისად, თუ სამართალწარმოების გაჭიანურებას ხელი შეუწყო არა განმცხადებელმა, არამედ პროცესის მეორე მხარემ, ეს გაჭიანურებები არ უნდა მიენეროს განმცხადებელს და მასზე პასუხი უნდა აგოს სახელმწიფომ.

ევროპულმა სასამართლომ როგორც არა ერთ საქმესზე დაადგინა, განმცხადებელს არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს იმისათვის, რომ ის იყენებს მისთვის ხელმისაწვდომ ყველა საშუალებას“, მიუხედავად იმისა, ეფექტურია თუ არა ისინი.

მაგალითად, საქმეში – *ზმალინსკი პოლონეთის წინააღმდეგ* – მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელმა ხელი შეუწყო გაჭია-

ნურებას, ვინაიდან არა ერთხელ გააფართოვა და შეცვალა სარჩელები. სასამართლომ კი აღნიშნა, რომ განმცხადებელმა გამოიყენა თავისი საპროცესო უფლებები და მას ხელი არ შეუწყვიტა პროცესის გაჭიანურებისათვის. შესაბამისად, დაადგინა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა.⁵⁴

კიდევ ერთი ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც გამოიყენება განმცხადებლის ქმედების შეფასებისას, აისახა საქმეში – *კორიგლიანო იტალიის წინააღმდეგ*: „პირს არ მოეთხოვება, აქტიურად ითანამშრომლოს სასამართლო ორგანოებთან“.⁵⁵

„განმცხადებელი ვალდებული არ არის, აქტიურად ითანამშრომლოს იმ სამართალწარმოების დაჩქარებაში, რის შედეგადაც მას ემუქრება მსჯავრდება“.⁵⁶

„იმ შემთხვევაში, თუკი განმცხადებელი ცდილობს, თავისი ქმედებებით დააჩქაროს სამართალწარმოების განხორციელება, ეს ჩაითვლება მის სასარგებლოდ, ხოლო თუკი იგი ამას აქტიურად არ ცდილობს, ეს ნეგატიურად არ აისახება განმცხადებლის პრეტენზიაზე სამართალწარმოების გაჭიანურებასთან დაკავშირებით“.⁵⁷

„სახელმწიფო პასუხისმგებელია თავის დაუდევარ ქმედებებზე, რამაც გამოიწვია პროცესის გაჭიანურება. მას არ შეუძლია ამტკიცოს, რომ განმცხადებელს უნდა გამოეჩინა ინიციატივა მისთვის ამის შესახებ“.⁵⁸

4. სახელმწიფო ორგანოთა ქმედებები

თითოეული სახელმწიფო საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების შედეგად აღებული ვალდებულებების შესრულებას ახდენს სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით. შესაბამისად, იმის დასადგენად, „გონივრული ვადის“ მოთხოვნა დაცულ იქნა თუ არა, ევროპული სასამართლო აფასებს სწორედ ამ ორგანოთა ქმედებებს.

საქმის – *მარტინს მორეირა პორტუგალიის წინააღმდეგ* – განხილვისას დადგინდა, რომ სამართალწარმოება გაჭიანურდა სამედიცინო ინსტიტუტის მიზეზით, ვინაიდან დროულად არ იქნა ჩატარებული შემოწმება. მთავრობამ განაცხადა, რომ პორტუგალიის საერთაშორისო პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს მხოლოდ სასამართლო ორგანოთა ქმედებების გამო და არა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სხვა ორგანოების, ასევე იმ პირების ქმედებათა გამო, რომლებიც არ შედიან სახელმწიფო სტრუქტურ-

აში. ამ საქმეში სამედიცინო ინსტიტუტს არ ჰქონდა იერარქიული ურთიერთობა სასამართლოსთან. აღნიშნული მოსაზრება არ გაიზიარა ევროპულმა სასამართლომ და განაცხადა, რომ „კონვენციის რატიფიცირებისას პორტუგალიამ აიღო ვალდებულება, რომ უზრუნველყოფდა მის დაცვას სხვადასხვა ორგანოს მიერ. იმას, რომ სამედიცინო ინსტიტუტი არ არის სასამართლო ორგანო, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ნებისმიერ შემთხვევაში სამედიცინო შემოწმება ჩატარდა სასამართლოს მოთხოვნით, რომელიც რჩება პასუხისმგებლად მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელებაზე“.⁵⁹

აქედან გამომდინარე, ირკვევა:

პირველი. სახელმწიფო კონვენციის რატიფიცირებისას იღებს ვალდებულებას მის შესრულებაზე და პასუხისმგებელია ყველა დარღვევაზე, რომელიც მოხდება მისი იურისდიქციის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, ეს სასამართლოს მიერ არის გამოწვეული თუ სხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მხარე არის სახელმწიფო და არა მისი ცალკეული ორგანო, მაგალითად, სასამართლო. სახელმწიფო ორგანოები და მოხელეები ახორციელებენ საჯარო ხელისუფლებას და, შესაბამისად, მათ ქმედებებზე პასუხისმგებლობას იღებს სახელმწიფო;

მეორე. მსჯელობა უფრო შორს შეიძლება წავიდეს. სახელმწიფომ უნდა შეასრულოს როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური ვალდებულება. მან არა მარტო თვითონ არ უნდა დაარღვიოს კონვენციის დებულებები, არამედ უნდა დაიცვას ნებისმიერი პირი მისი უფლებების ხელყოფისაგან თავისი იურისდიქციის ფარგლებში.

საქმეში – *მარტინს მორეირა პორტუგალიის წინააღმდეგ*, რომელშიც სასამართლო აკისრებს პასუხისმგებლობას სახელმწიფოს სამედიცინო ინსტიტუტის მიერ ჩადენილ დარღვევებზე, – მსჯელობს იმაზე, რომ ეს ინსტიტუტი ექვემდებარებოდა პორტუგალიის იუსტიციის სამინისტროს. პორტუგალიის სახელმწიფოს ჰქონდა ამ დაწესებულების შესაბამისი საშუალებებით უზრუნველყოფის ვალდებულება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.⁶⁰

მიმაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, ეს სამედიცინო ინსტიტუტი იქნებოდა სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულება, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დამდგარიყო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი.

სახელმწიფომ თავისი მოქალაქე უნდა დაიცვას არა მარტო სახელმწიფო ორგანოების მიერ მისი უფლებების ხელყოფისაგან, არამედ ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც მისი კანონიერი ინტერესები ილახება სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიერ.

შესაბამისად, თუ დარღვეულია პირის უფლება – სწრაფად იქნეს განხილული მისი საქმე, აქ უკვე ზედმეტია მსჯელობა იმაზე, ვინ შეუწყო ამას ხელი – საჯარო მოხელემ თუ კერძო პირმა. ადამიანის უფლებათა დარღვევა არ უნდა დაუშვას სახელმწიფომ და თუ მაინც დაირღვევა, უნდა მოახდინოს ამაზე რეაგირება. წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ აგებს პასუხს, რადგან, ჯერ, ვერ დაიცვა პირი თავისი უფლებების ხელყოფისაგან და, შემდეგ, ვერ უზრუნველყო დარღვეული უფლების აღდგენა;

მესამე, სასამართლო ორგანოებს მართებულად აქვთ დაკისრებული განსაკუთრებული როლი მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელების საქმეში. სასამართლო ვალდებულია, არა მარტო თვითონ არ დაარღვიოს ის ვადები, რომლებიც მას აქვს დანესებული გარკვეული საპროცესო მოვალეობების შესასრულებლად, არამედ უზრუნველყოს პროცესის ეფექტურად და სწრაფად წარმართვა. მან უნდა მიიღოს ზომები პროცესის თითოეული მონაწილის მიმართ, რათა არავის არ მიეცეს საშუალება, რაიმე ფორმით ხელი შეუშალოს მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელებას.

„საქმეზე – ვერნილო საფრანგეთის წინააღმდეგ – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „ეროვნულ სასამართლოებს ევალებათ, მხარეებს შეუქმნან შესაბამისი პირობები, რათა თავიდან იქნეს აცილებული საქმის განხილვის გაუმართლებელი გაჭიანურება“.⁶¹

„სასამართლოები არიან პასუხისმგებელი იმაზე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საქმის დამაკმაყოფილებლად წარმართვა მხარეებთან თანამშრომლობის გზით“.⁶²

სასამართლოს მიერ მიღებულ ზომებს შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა საქმეთა გაერთიანების საკითხი, რაც ხშირად გამხდარა დავის საგანი.

მაგალითად, საქმეზე – კემაჩე საფრანგეთის წინააღმდეგ – სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის საქმე გაერთიანებული იყო კლაუსჰოფერის საქმესთან. ამ უკანასკნელის დაბრუნება საფრანგეთში შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოებმა დაგვიანებით უზრუნველყვეს, რამაც განაპირობა სამართალწარმოების გაჭიანურება 2 წლითა

და 8 თვით. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ თუ შეუძლებელი იყო კლაუსჰოფერის დაბრუნება, სახელმწიფო ორგანოებს შეეძლოთ, გამოეყოთ მისი საქმე კემაჩესა და სეჩიოს საქმეებისაგან, რაც არ მოხდა, რადგანაც ბრალდებულები ძალიან მკაცრი განაჩენის გამოტანის საფრთხის წინაშე იდგნენ და კლაუსჰოფერის ჩვენება საქმის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ელემენტი იყო. ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის არგუმენტი, რომ საქმეების ასეთი გამოცალკევება არ შეიძლებოდა ყოფილიყო გათვალისწინებული. შესაბამისად, დაადგინა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა.⁶³

განსხვავებული გადაწყვეტილება იქნა მიღებული საქმეზე – ბოდაერტი ბელგიის წინააღმდეგ. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელსა და ბატონ პირონს ბრალი ედებოდათ ვინმე ჯეჰინის მკვლელობაში. პირონს ბრალი ედებოდა კიდევ სხვა დანაშაულების ჩადენაში. ამათგან ერთ-ერთი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჯეჰინის მკვლელობის საქმესთან. მოსამართლემ გადაწყვიტა, დალოდებოდა გამოძიების შედეგს ამ საქმესთან დაკავშირებით და პირონისადმი წაყენებული ყველა ბრალდება გაეერთიანებინა ერთ წარმოებად. ასევე მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ განმცხადებელი და ბატონი პირონი ერთმანეთს აბრალდნენ ჯეჰინის მკვლელობას. ევროპული სასამართლოს დადგენილებით, ამ გადაწყვეტილებამ შექმნა საფრთხე განმცხადებლის საქმის განხილვის გაჭიანურებისა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაადგინა, რომ ამ დანაშაულთა მნიშვნელობიდან და ბრალდებათა ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეთა გაერთიანების თაობაზე იყო გამართლებული. შესაბამისად, არ დაადგინა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა.⁶⁴

We consider that notwithstanding whether this medical institute would be a state or a private establishment, a state responsibility should have been involved in any case.

A state shall protect its own national not only from violating the rights by the state bodies, but also in those cases, when the legal interests of the former are violated by other private or legal persons.

Respectively, if a right of a person to an expedite proceeding is violated, it is surplus to deliberate on who contributed to this – a civil servant or a private individual. A state shall not allow violation of human rights and in case if this takes place any way, it shall react over it. In the contrary situation it shall be held responsible, as first it could not protect a per-

son from violating the rights and afterwards it did not provide for recovering the rights violated.

Third, judicial authorities are rightly charged with a special role in the expeditious administration of justice. A court is not only obliged to observe the terms established for certain procedural obligations itself, but also to provide for efficient and expeditious holding of the proceedings. It must undertake the measures in respect of each of the participants of the proceedings in order not to give anyone a possibility to interfere with the swift administration of justice.

In the case *Vernillo v. France* the European Court concluded, that "the national courts are obliged to create such conditions to states, which would provide to avoid the unjustifiable prolongation of the consideration of a case".⁶¹

"The courts are responsible for ensuring that cases proceeded satisfactorily in cooperation with the parties".⁶²

One of the most interesting issues within the measures undertaken by a court is the unification of cases, which frequently has become an issue of contention.

For instance, in the case *Kemmache v. France* the Court held that the case of the applicant was unified with the case of Mr. Klaushofer. His return to France was belatedly provided by the Swiss state bodies. This caused the delaying the proceedings for two years and eight months. The applicant alleged that if the return of Mr. Klaushofer was impossible, the State bodies could have separated proceedings in respect with Mr. Kemmache and Mr. Ceccio, what did not happen as the accused were risking very harsh sentence and Mr. Klaushofer's statement was one of the important elements. The European Court did not accept the argument of the Government, as to the impossibility of the separation of such cases. Therefore, the Court found violation of Article 6(1).⁶³

Different decision was made in the case *Boddaert v. Belgium*. The Court noted that the applicant and Mr. Piron were charged with the murder of Jehin. Mr. Piron was also accused in committing other crimes. One of the crimes was closely linked with the murder of Jehin. The investigating judge chose to shelve the investigation in case and to await the outcome of the investigation of the "second case" in order to complete the file of the first and to

hold a joint trial on all the charges brought against Mr. Piron. It was also taken into consideration that Mr. Boddaert and Mr. Piron accused each other of having committed the crime of which they were both suspected. The European Court found that in proceeding in this manner they undoubtedly took the risk of postponing even further Mr. Boddaert's committal for trial. However, the gravity of the offences in question and the interdependence of the charges, could reasonably appear to make it necessary for such a "parallel progression" of the two cases. Consequently, no violation of Article 6 (1) was found.⁶⁴

At a glance, the interest of the Court, to unite the cases of the similar types, is nimble, and in itself is a positive measure, as it sets as a goal overall and objective investigation of the case, however in case if such a measure does not advance the situation of an applicant, but on the contrary, causes delays in considering his/her case, a state can not refer to this action as a justification and the measure may become a reason for imposing the liability on it.

A state must always be oriented at the protection of the right of a person to swift consideration of his/her case so that he/she is not left in ambiguity for long. Therefore, when the state institutions consider their actions, the latter shall first of all take into consideration the interests of a person and grant them a priority. Otherwise the actions of the state body shall be considered contrary to the Article 6(1) of the European Convention.

One of the key issues, always surfacing when assessing the actions of a state body, is overloading of courts. This is the argument, which is used by the both sides (applicant, as well as a respondent State) in order to ground their position and both sides interpret this in their own way. The European Court has on the other hand established a number of its own standards for considering this issue.

In the case *Zimmerman and Steiner v. Switzerland* the respondent state was found liable, as almost three and a half years were required for the appeals procedures, in the course of majority of which the case was put on hold. The announced reason was that the court was overloaded, and the cases which were considered more important, were granted priority. The case of the applicant did not appear in this list. The cases were collected

at the court during years and the adequate measures, which would have increased the number of staff or otherwise boost the organization of the court system, were not undertaken.⁶⁵

It is clearly shown from the case that when a State, in order to ground its position, stipulates, that the court is overloaded, it has to prove the presence of the two conditions: first, that the overloading of courts is a temporary incident and not a permanent problem and the increase in number of cases was unexpected; and, second, the state undertook the adequate measures in order to improve the situation with the respective speed.

Observation of these two conditions is essential, but not sufficient:

It is also required that the states undertake measures with respect to the given applicant. In this respect the following cases are of interest:

In the case *Buchholz v. Germany* the Court held that a State may not be held responsible, if the violations are caused due to the overloading of the courts, which could not have been predicted in advance and if a state undertakes swift and adequate measures thereto. The Court did not found the respondent state liable for violating Article 6(1) in this case, as the overloading of courts was a result of unexpected economic crisis in 1970s and respectively, the adequate measures were undertaken to increase a number of judges, as soon as the problem became visible. Despite the fact that these measures could not contribute to advancing the applicant's situation, these were the measures which could have been undertaken by the respondent state in the given circumstances.⁶⁶

A different decision was made in the case *Ciricosta and Viola v. Italy*, in which the State indicated that the state had undertaken the respective measures to improve the situation. In particular, the Italian Parliament has tried to remedy the slow workings of justice by revising the Code of Civil Procedure. The Court noted that it was not appropriate at that stage to speculate about measures which had been undertaken belatedly.⁶⁷

Also, in the case *Milasi v. Italy* the Court found violation of Article 6. Despite the fact that the authorities had endeavored to meet the crisis of backlogging the courts by acting methodically, by giving priority to the trials of those defendants who were in custody and by

appointing more judges and court staff, the applicant had to wait nearly ten years before the “criminal charge” against him was the subject of a judicial determination at first instance.⁶⁸

It is evident from the aforementioned that the European Court set a very high standard. Each of the measures undertaken by a State shall be assessed based on its effectiveness with regard to the applicant. The subject of any given application is not the review of the general policy of a state, but the concrete fact of violation committed by the State. Even in the case if a reform was in principle successful, but it could not improve the applicant’s situation, referring to it will not be grounded.

There are precedents, in which the Court held no violation of Article 6, as the protraction in the proceedings caused by the State bodies were not considered to be lengthy.

For instance, in the case *Neumeister v. Austria* the Court held that Mr. Neumeister had not been interrogated during the fifteen months, there were no confrontation of witnesses and other investigative actions undertaken. The consideration of case commenced in a year after the finalizing the investigation. Despite all this, the European Court has not considered these facts to be sufficient for finding that the terms were violated. The Government noted that the delays were in large part caused by the need to give the legal representatives of the parties and also the judges sitting on the case time to get acquainted with the case record, which comprised twenty-one volumes of about five hundred pages each. Over seven years had elapsed between the time Neumeister was originally charged and the time when the Strasbourg Court was considering his application, and he did not yet had a judgment of conviction or acquittal.⁶⁹

We consider that in this case the dissenting opinion of the Judge Zekia shall be taken into consideration: “Notwithstanding the difficulties encountered in the preparation and presentation of the case I am unable to persuade myself - even after making certain allowances for the delays caused by the necessity for these long investigations and the difficulties of procuring evidence - that such a long interval and delay between the date Neumeister was originally charged and the date of the conclusion of his trial, could be considered as compatible with the letter and spirit of Article 6 (1) of the Convention...”

We consider, that a feeling that a human being has, while awaiting a verdict, can not be assessed and delaying his being in such an uncertain condition for even very short time period is a violation and respectively shall involve the responsibility of state bodies.

As it is evidenced from the Court case law review, the issue of duration of the proceedings is problematic in a number of states. The reasons causing it often diverse:

“The States are held accountable for the actions of the civil and administrative bodies, that is expressed in the following: the established registration procedures, postponing the court hearing and protractions, which are caused due to the lack of staff in the administrative bodies”.⁷⁰

“Protraction of the civil proceedings includes the following: postponing the delivery of the decision until the judgment is delivered on another case, postponing the court hearing or the submission of the evidence by a state, the delays caused due to the fault of the registry of other administrative bodies”.⁷¹

“In the criminal proceedings they include: movement of the case between the courts, hearing a case of two or more defendants at once, handing the verdict to the sentenced”.⁷²

For the purpose of implementing all the obligations undertaken by states upon the ratification of the Convention it is necessary to arrange the judicial system in line with the requirements of Article 6(1).

“The Convention obliges the states parties to organize the legal systems in a manner to allow the courts to fulfill the requirement of Article 6(1). The state is not only responsible for the specific violations due to the fact that it could not swiftly administer justice, but also due to not increasing the resources despite the fact that the courts are overloaded and there is no structure created, that as a result causes protraction”.⁷³

CONCLUSION

In order to make the legislation and the practice of our country in line with the requirement of the “reasonable time”, a number of measures shall be undertaken by the state bodies.

In particular, the following legislative gaps shall be filled up: Chapter II of the Criminal Procedure Code of Georgia – “The Principles

of the Criminal Procedure" does not contain a provision about administering justice "in a reasonable time". The same Law does not contain any provision which would have defined the time-frame for the first instance court to deal with the case. It would be also desirable to include into the Criminal Procedure Code of Georgia the categories of priority cases which should be given priority by courts.

Violations of a requirement of a "reasonable time" in Georgia are in general conditioned with the fact that the courts are overloaded. In order to decrease the number of such vivid violations of human rights, along with the revision of the legislation the broadening of the judicial branch of power and increase of the number of judges and court staff is needed (there is no doubt that this shall not be exercised on the expense of professional-

ism). The courts shall have objective conditions for the protection of the requirements of the European Convention, and at the same time the readiness of the judges to be oriented at the observation of the requirement of "a reasonable time" is also required.

The fight against this problem is essential, in order not to violate a right of our citizens to have their cases processed quickly and do not stay in the unclear situation for the extended period of time. This is also important for avoiding backlogging the courts and what is important, avoiding threatening the efficiency and credibility of justice.

And finally, the requirement of "a reasonable time" shall be observed, in order not to have the fundamental principle of international law – *pacta sunt servanda* – violated by Georgia.

¹ www.supremecourt.ge

² See: ბ. ბოხაშვილი „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი“, 2004, გვ. 241.

³ See: DJ Harris, M O' Boyle, C Warbrick "Law of the European Convention on Human Rights", 1995, p. 223.

⁴ See: "Fear" by Stefan Zveig, "A Crime and a Punishment" by T. Dostoyevsky.

⁵ See: DJ Harris, M O' Boyle, C Warbrick "Law of the European Convention on Human Rights", 1995, p. 223.

⁶ *Ibid.*

⁷ See: Article 6(1) of the Law of Georgia on International Treaties, 16 October, 1997.

⁸ See: Article 6(2) of the Constitution of Georgia.

⁹ See: Article 28 of the Vienna Convention on the Law of Treaties, 22 May, 1969.

¹⁰ See: *Silva Pontes v. Portugal*, 23 March 1994, 14940/89, para. 38; also: *Baggetta v. Italy*, 25 June, 1987, 13/1986/111/159, para. 20.

¹¹ See: DJ Harris, M O' Boyle, C Warbrick "Law of the European Convention on Human Rights", 1995, p. 223.

¹² See: Council of Europe, Key case-law extracts – The published case-law on the European Convention on Human Rights, 2003, p. 210.

¹³ See: *Foti and others v. Italy* 10 December 1982, .7604/76;7719/76;7781/77;7913/77; para. 52.

¹⁴ See: P.Leach "Taking a case to the European Court of Human Rights", 2005, p. 260.

¹⁵ *Wemhoff v. FRG* 27 June 1968, .7 (See also *Neumeister v. Austria*, 27 June, 1968 №1936/63).

¹⁶ See: *Guincho v. Portugal*, 10 July 1984, 8990/80, para. 29.

¹⁷ See: *Vernillo v. France*, 20 February, 1991, 11889/85, para. 29.

¹⁸ See: *Beaumartin v. France*, 24 November, 1994, 15287/89, para. 30.

¹⁹ See: Council of Europe, Key case-law extracts – The Published Case-law on the European Convention on Human Rights, December, 2003, p. 211.

²⁰ See: DJ Harris, M O' Boyle, C Warbrick "Law of the European Convention on Human Rights", 1995, p. 195.

²¹ See: *Va I lee v. France*, 26 April, 1994 22121/93, para. 33.

²² See: C. Ovey and R. White, "The European convention on Human rights", 2002, p. 167.

²³ See: A.H. Robertson, J.G. Merrills "Human Rights in Europe", 1993, p. 101.

²⁴ See: *H v. France*, 24 October, 1989, #10073/82, para. 48.

²⁵ See: *Milasi v. Italy*, 25 July, 1987, #14/1986/112/ 160, para. 14.

²⁶ DJ Harris, M O' Boyle, C Warbrick "Law of the European Convention on Human Rights", 1995, p. 225; See also: *Ferraro v. Italy*, 19 February, 1991, 16/1990/207/ 267, პარა. 15).

- ²⁷ See: DJ Harris, M O' Boyle, C Warbrick "Law of the European Convention on Human Rights", 1995, p. 223.
- ²⁸ See: *Bock v. FRG*, 29 March, 1989, 1/1988/145/ 199, para. 37.
- ²⁹ See: *Girolami v. Italy*, 19 February, 1991, 15/1990/206/266; See also: DJ Harris, M O' Boyle, C Warbrick "Law of the European Convention on Human Rights", 1995, p. 223.
- ³⁰ See: *Bock v. FRG*, 29 March, 1989, 1/1988/145/ 199, para. 38; *Hentrich v. France*, 22 September, 1994, 13616/88, para. 59.
- ³¹ See: A. H. Robertson, J.G. Merrills "Human Rights in Europe", 1993, p. 102.
- ³² See: Council of Europe, Key case-law extracts – The Published Case-law on the European Convention on Human Rights, 2003, p. 210.
- ³³ See: DJ Harris, M O' Boyle, C Warbrick "Law of the European Convention on Human Rights", 1995, p. 224.
- ³⁴ See: *Union Almentaria Sanders S.A. v. Spain*, 7 July, 1989, #11681/85 para.-s 32-33.
- ³⁵ See: *Angelucci v. Italy*, 20 October, 1991, 13/1990/204/26, para. 15.
- ³⁶ See: *Foti and others v. Italy*, 10 December, 1982, # 7604/76; 7719/76; 7781/77; 7913/77, para.-s 57-58.
- ³⁷ See: *Gunter v. Turkey*, 22 February, 2005, # 22/05/2005, para.-s 34 and 37.
- ³⁸ See: *Boddaert v. Belgium*, 12 October, 1992, #65/1991/317/389.
- ³⁹ See: *Vernillo v. France*, 20 February, 1991, #11889/85, para. 31.
- ⁴⁰ See: *Nowicky v. Austria*, 24 February, 2005, # 34983/02, para.-s 49 and 53.
- ⁴¹ See: *Vallee v. France*, 26 April, 1994, # 22121/93, para.-s 37-38.
- ⁴² See: *Konig v. Germany*, 28 June, 1987, #6232/73, para. 102.
- ⁴³ See: *Guincho v. Portugal*, 10 July, 1984, #8990/ 80, para. 33.
- ⁴⁴ See: *Ferrantelli and Santangelo v. Italy*, 23 February, 1996, #48/1995/554/640, para.-s 40-42.
- ⁴⁵ See: *Zmalinski v. Poland*, 22 March, 2005, # 52039/99, para.-s 39, 42 and 46.
- ⁴⁶ See: C. Ovey and R. White, "The European Convention on Human Rights", 2002, p. 167.
- ⁴⁷ See: *Proszak v. Poland*, 16 December, 1997, # 2/1997/786/987 para. 40.
- ⁴⁸ See: *Kemmache v. France*, 24 November, 1994, 17621/91.
- ⁴⁹ See: *Beaumartin v. France*, 24 November, 1994, # 15287/89, para. 33.
- ⁵⁰ See: *Ciricosta and Viola v. Italy*, 4 December, 1995, # 5/1995/511/594, para.-s 26 and 30.
- ⁵¹ See: *Vernillo v. France*, 20 February, 1991, #11889/85, para. 34.
- ⁵² See: *Bock v. FRG*, 29 March, 1989, #1/1988/ 145/199.
- ⁵³ See: *Guincho v. Portugal*, 10 July, 1984, #8990/80, para. 34.
- ⁵⁴ See: *Zmalinski v. Poland*, 22 March, 2005, # 52039/99, para.-s 40, 43, and 47.
- ⁵⁵ See: *Corigliano v. Italy*, 10 December, 1982, # 8304/78, para. 42.
- ⁵⁶ ბ. ბოხაშვილი „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი“, 2004, გვ. 243.
- ⁵⁷ *Ibid.*
- ⁵⁸ DJ Harris, M O' Boyle, C Warbrick "Law of the European Convention on Human Right", 1995, p. 225.
- ⁵⁹ See: *Martins Moreira v. Portugal*, 26 October, 1988, 21/1987/144/198, para. 60.
- ⁶⁰ See: *Martins Moreira v. Portugal*, 26 October, 1988, 21/1987/144/198, პარა. 60.
- ⁶¹ See: Korkelia K., Kurdadze Ir., "International Law of Human Rights from the Perspective of the European Convention on Human Rights", 2004. p. 162.
- ⁶² See: *Proszak v. Poland*, 16 December, 1997, #2/1997/786/987, para. 33.
- ⁶³ See: *Kemmache v. France*, 24 November, 1994, 17621/91, para. 68.
- ⁶⁴ See: *Boddaert v. Belgium*, 12 October, 1992, 65/1991/317/389 para.-s 37-38.
- ⁶⁵ See: *Zimmerman and Steiner v. Switzerland*, 13 July, 1983, # 8737/79.
- ⁶⁶ See: *Buchholz v. Germany*, 6 May, 1981, 7759/77.
- ⁶⁷ See: *Ciricosta and Viola v. Italy*, 4 December, 1995, #5/1995/511/594, para. 31.
- ⁶⁸ See: *Milasi v. Italy*, 25 June, 1987, 14/1986/112/160, para.-s 17 and 18.
- ⁶⁹ See: *Neumeister v. Austria*, 27 June, 1968, 1936/63, para.-s 20 and 21.
- ⁷⁰ DJ Harris, M O' Boyle, C Warbrick "Law of the European Convention on Human Rights", 1995, p. 225.
- ⁷¹ ბ. ბოხაშვილი „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი“, 2004, გვ. 244.
- ⁷² *Ibid.*
- ⁷³ DJ Harris, M O' Boyle, C Warbrick "Law of the European Convention on Human Rights", 1995, p. 227.

„შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის შესახებ“ საერთაშორისო კონვენცია და შრომით მიგრანტთა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის მონიტორინგის გაეროს მექანიზმები

შესავალი

შრომითი მიგრაცია თანამედროვე გლობალიზაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტი და საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესების გამოხატულებაა. იგი კიდევ უფრო განვითარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები, ქვეყნებს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია, უცხოელთა პოლიტიკური, შრომითი და სოციალური უფლებების თანდათანობით განმტკიცება, მეორე მხრივ კი სახელმწიფოებს შორის მიმოსვლის გაადვილება, ტრანსპორტის გაიაფება, მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდა იყო.

მსოფლიო მიგრაციულ ვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა სოციალისტური სისტემის დაშლამ. ცხოვრების დონის მკვეთრად გაუარესებამ, პოლიტიკური ვითარების დამძიმებამ მიგრაციის ახალი ტალღები წარმოშვა. ეკონომიკური ვითარების მკვეთრად გაუარესებამ და შიგა და გარე შრომის ბაზრებზე შექმნილმა სამუშაო ძალის მიწოდება-მოთხოვნის გაუნონასწორებელმა ვითარებამ საქართველოშიც არნახული შრომითი მიგრაციული პროცესები გამოიწვია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შრომითი მიგრანტების მიმართ სერიოზული დაინტერესება პირველად 1972 წელს გამოავლინა, მას მერე, რაც ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ თავის 1706-ე (LIII) რეზოლუციით განგაში ატეხა სამუშაო ძალის არალეგალურ ტრანსპორტირებაზე რამდენიმე ევროპულ ქვეყანასა და „მონობისა და იძულებითი შრომის პირობებში“ შრომითი მიგრანტების ექსპლუატაციაზე აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში. იმავე წელს გენერალურმა ასამბლეამ თავის 2920-ე (XXVII) რეზოლუციაში გაკიცხა უცხოელ შრომით მიგრანტთა დისკრიმი-

ნაცია და მოუწოდა მთავრობებს, შეენწყვიტათ მსგავსი ქმედებები და შრომით მიგრანტთა მიღების პირობები გაეუმჯობესებინათ¹.

შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების წევრთა დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენცია გაერომ კენჭისყრის გარეშე მიიღო 1990 წელს.² იგი ყველაზე ფართო საერთაშორისო კონვენციაა, რომელიც შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დაცვას ისახავს მიზნად, და კონკრეტულად განსაზღვრავს შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებებს მხოლოდ სახელმწიფოთა ვალდებულებებთან ერთად, მათი იმიგრაციული პოლიტიკისა და პრაქტიკის გათვალისწინებით.³

კონვენციის მიღებით განისაზღვრა შრომით მიგრანტთა უფლებები და ამ უფლებათა უზრუნველყოფის საშუალებები. მასში გაერთიანებულია 30-წლიანი დისკუსიები, მათ შორის: გაეროს ადამიანის უფლებათა კვლევები, დასკვნები და რეკომენდაციები, ექსპერტთა შეფასებები, დებატები და გაეროს რეზოლუციები შრომით მიგრანტებთან დაკავშირებით.⁴

2007 წლის მარტში აღნიშნული კონვენციის მონაწილე უკვე 51 სახელმწიფოა, აქედან 37-მა მოახდინა მისი რატიფიცირება.⁵

1. „შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის მოკლე მიმოხილვა

შრომითი მიგრანტების კონვენცია აძლიერებს და ავსებს გაერო-ს ადამიანის უფლებათა ძირითად ხელშეკრულებებში გატარებულ პრინციპებსა და დებულებებს.⁶

კონვენცია⁷ ითვალისწინებს იმ მინიმალური სტანდარტების გატარებას, რაც გულისხმობს შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ სახელმწიფოთა მხრიდან აუცილებლად გასატარებელ ღონისძიებებს, საიმიგრაციო სტატუსის მიუხედავად, ანუ სახელმწიფოსთვის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების წარმომავლობას, – ის ყველა სხვა მოქალაქის მსგავსად უნდა იცავდეს მათს უფლებებსა და ღირსებას.

მიგრანტებთან დაკავშირებულ ყველა სხვა სახის ინსტრუმენტთან შედარებით კონვენციის პირველი ნაწილი „შრომითი მიგრანტების“ ცნების ყველაზე ამომწურავ განმარტებას გვაძლევს⁸. კონვენცია ვრცელდება განუსხვავებლად ყველა მიგრანტ მუშასა და მათი ოჯახის წევრებზე. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის ამკრძალავი საფუძვლების ჩამონათვალი ილუსტრაციულია და არაამომწურავი, ის მაინც უფრო სრულია, ვიდრე ადამიანის უფლებათა სხვა კონვენციებში წარმოდგენილი საფუძვლები.⁹

კონვენცია ქვეყანაში ლეგალურად მყოფ და მუდმივი სტატუსის მქონე ყველა შრომით მიგრანტს ანიჭებს დამატებით უფლებებს. ყველა იმ შრომით მიგრანტსა და მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც ლეგალურად იმყოფებიან ან ფლობენ მუდმივ სტატუსს დამსაქმებელ სახელმწიფოში, უფლება აქვთ, იყვნენ სრულად ინფორმირებულნი მათი მომავალი სამუშაო პირობების შესახებ, ასევე სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე (37-ე მუხლი).

კონვენცია ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს შრომითი მიგრანტების, როგორც ინდივიდების, პატივისცემას, იგი გვთავაზობს საერთაშორისო მიგრაციის მიმართ ნორმალური, სამართლიანი, ჰუმანური და კანონიერი პირობების შექმნისათვის ხელშეწყობის ჩარჩოებს.¹⁰

2. შრომით მიგრანტთა კომიტეტის საქმიანობა

2.1. შრომით მიგრანტთა კომიტეტი და შრომით მიგრანტთა უფლებების დაცვის მონიტორინგის მექანიზმები

სამწუხაროდ, ნებისმიერ კონვენციასთან შეერთება არ ნიშნავს იმას, რომ მასში ჩამოთვლილი უფლებები და მოვალეობები სათანადოდ და განუხრელად შესრულდება. ამიტომ თავად კონვენციით გათვალისწინებულია

კონვენციის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოების ჩამოყალიბება, რათა მოახდინოს კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგი.¹¹

ძალაში შესვლის მერე¹² შრომითი მიგრანტების კონვენციის 72-ე მუხლის საფუძველზე შეიქმნა შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის კომიტეტი¹³, რომელიც შედის გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისის შემადგენლობაში.¹⁴

შრომითი მიგრანტების კომიტეტი დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფია, რომელიც მონიტორინგს უწევს მონაწილე სახელმწიფოთა მიერ შრომითი მიგრანტების კონვენციის იმპლემენტაციას.¹⁵

შრომითი მიგრანტების კომიტეტმა თავისი პირველი სესია 2004 წელს ჩაატარა. კომიტეტის შეხვედრები ყოველწლიურად ეწყობა. გაეროს გენერალური მდივანი წინასწარ (რაც შეიძლება ადრე) ატყობინებს კომიტეტის მონაწილეებს როგორც შეკრების ადგილს, ისე თარიღს.¹⁶

თავად კომიტეტი თავისი მუშაობის შემცველ ანგარიშებს აქვეყნებს ყოველწლიურად.¹⁷ ანგარიშები საჯაროა და ხელმისაწვდომი. მათი გაცნობა შესაძლებელია ინტერნეტითაც. ანგარიშებში ძირითადად წარმოდგენილია ინფორმაცია იმაზე, თუ რას ახორციელებს კომიტეტი.¹⁸

მონიტორინგის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ასევე კომიტეტთა თავმჯდომარეებისა და კომიტეტთაშორისი შეხვედრების როლის აღნიშვნა. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1983 წლიდან დაანწესა ასეთი შეხვედრები, რომელთა ძირითადი მიზანი ხელშეკრულებების აღსრულებაზე ზედამხედველი კომიტეტების მუშაობის სრულყოფაა. პირველად კომიტეტთა თავმჯდომარეების შეხვედრა 1984 წელს შედგა, 1995 წლიდან კი ასეთი შეხვედრები ყოველწლიურად ეწყობა.¹⁹

იმართება ასევე კომიტეტთაშორისი შეხვედრები, რომელთა²⁰ მთავარი საკითხი სამუშაო მეთოდების ჰარმონიზაციაა.

2.2. მონაწილე სახელმწიფოთა ანგარიშების განხილვა შრომითი მიგრანტების კომიტეტის მიერ

კომიტეტის ძირითადი მოვალეობაა შრომითი მიგრანტების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგი, მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვის საფუძველზე.

ანგარიშთა სისტემის ძირითადი მიზანი სახელმწიფოს შესაბამისობის მონიტორინგის საშუალებას იძლევა.

ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, წარადგინოს რეგულარული ანგარიშები მათ მიერ კონვენციის გამოყენების მიზნით მიღებული ზომების შესახებ.²¹ ანგარიშების წარდგენა სავალდებულოა შრომითი მიგრანტების კონვენციასთან შეერთების მერე, ერთი წლის განმავლობაში, შემდგომში კი ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ და მაშინაც, როდესაც ამას კომიტეტი მოითხოვს.²² მათში მითითებული უნდა იყოს ფაქტორები და სიძნელებები (ასეთთა არსებობის შემთხვევაში), რომლებიც გავლენას ახდენენ აღნიშნული კონვენციის განხორციელებაზე და პრაქტიკაში მისი დებულებების გამოყენებაზე. ანგარიშებში ასევე შეიტანება დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოს ინფორმაცია მიგრაციული ნაკადების აღწერაზე²³ და, რაც კიდევ საინტერესოა და მნიშვნელოვანი მონიტორინგის თვალსაზრისით, ეს მოხსენებები საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს აღნიშნულ ქვეყნებში.²⁴

კომიტეტს შემუშავებული აქვს ანგარიშის ფორმისა და შინაარსის ნუსხების შემცველი დოკუმენტიც²⁵, რომელიც ითვალისწინებს ზოგადი ხასიათის ინფორმაციის განყოფილებას.²⁶

გარდა იმისა, რომ მონიტორინგის გამწვევი კომიტეტები შეიმუშავენ დირექტივებს სახელმწიფოების მიერ ანგარიშების დანერისათვის, აზუსტებენ კონვენციის დებულებათა ზოგად განმარტებებს, აწყობენ კონვენციასთან დაკავშირებულ დისკუსიებს. კომიტეტის ფუნქციაში ასევე შედის შრომითი მიგრანტების კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ კონვენციის პირობების შესრულების გამყარების ხელშეწყობა.

2.3. სახელმწიფოთაშორისი საჩივრების პროცედურა შრომითი მიგრანტების კონვენციის მიხედვით

შრომითი მიგრანტების კონვენციის 76-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, ამ კონვენციის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს უფლება აქვს, წერილობით მიმართოს მეორე სახელმწიფოს, თუ თვლის, რომ იგი არღვევს ან არ ასრულებს კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს. სამი თვის განმავლობაში, წერილობითი შეტყობინების მიღების შემდეგ, სახელმწიფო წერილობითვე წარუდ-

გენს გამომგზავნ სახელმწიფოს ახსნა-განმარტებას ან ნებისმიერ სხვა განცხადებას.

მსგავსი წერილობითი ფორმით ერთმა სახელმწიფომ მეორის შესახებ შეიძლება მიმართოს ასევე შესაბამის კომიტეტს. შეტყობინების მიღებიდან 12 თვის განმავლობაში კომიტეტი წარადგენს ანგარიშს. თუ საკითხი დადებითად გადაწყდა, კომიტეტი თავის ანგარიშში შემოიფარგლება ფაქტებისა და საკითხის გადაჭრის მოკლე მიმოხილვით. მაგრამ, თუ ვერ მოხერხდა საკითხის დადებითად გადაწყვეტა, კომიტეტის ანგარიშმა უნდა მოიცვას დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებული ფაქტების ჩამონათვალიც.

პრაქტიკული თუ დიპლომატიური მიზეზებიდან გამომდინარე, სახელმწიფოები ერთდებიან და ზოგჯერ სულაც არ სურთ სახელმწიფოთაშორის დავებში ჩაბმა. ამასვე ადასტურებს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გამოცდილება. კარგად ჩამოყალიბებულ სასამართლო სისტემაშიც კი, მაგალითად, ევროპის კავშირსა და ევროპის საბჭოში, ძალიან მცირეა სახელმწიფოთაშორის საჩივართა რიცხვი.²⁷

ასეთი სახის განაცხადები ჩაბარდება გაერო-ს გენერალურ მდივანს, რომელიც უგზავნის ასლებს შრომითი მიგრანტების კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოებსაც. მსგავსი წერილობითი განაცხადი შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს გაუქმებული გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით.

მშვიდობისა და უშიშროებისათვის რაიმე ხიფათის შექმნის შემთხვევაში გაეროს უშიშროების საბჭოს შეუძლია ჩარევა, იმის მიუხედავად, თუ ვის მიერ იქნა შეტანილი საჩივარი.²⁸

ყველა ზემოაღნიშნული პროცედურა ძალაში შევა მაშინ, როდესაც შრომითი მიგრანტების კონვენციის მონაწილე ათი სახელმწიფო მაინც ცნობს შრომითი მიგრანტების კომიტეტის უფლებამოსილებას, რათა კომიტეტმა განიხილოს ერთ-ერთი სახელმწიფოს განაცხადი, რომ მეორე სახელმწიფო არ ასრულებს კონვენციით დაკისრებულ ვალდებულებებს (კონვენციის 76-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

სახელმწიფოთაშორისი საჩივრები მაინც დარჩება საერთაშორისო სამართლის ტრადიციული ბუნების ერთგულ და დაშინების უხიფათო საშუალებად.²⁹

2.4. ინდივიდუალური საჩივრების პროცედურა შრომითი მიგრანტების კონვენციის მიხედვით

ინდივიდუალური საჩივრებიც ერთ-ერთი მექანიზმია, რომლითაც ხდება ადამიანის უფლებათა განხორციელება. რამდენადაც შრომითი მიგრანტების კონვენციით გათვალისწინებულ ინდივიდუალური საჩივრების მიმღებ მექანიზმს ჯერჯერობით არ დაუწყია ფუნქციონირება, შრომითი მიგრანტების კომიტეტს ჯერაც არ შეუშუავებია პროცედურული წესები და არ გააჩნია გამოცდილება ინდივიდუალურ საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით. თუმცა კომიტეტს შეუძლია, სხვა ორგანოების მიერ შემუშავებული პროცედურების მსგავსად იმოქმედოს და ანალოგიური მეთოდებით განახორციელოს შრომითი მიგრანტების კონვენციის 77-ე მუხლში გატარებულ დებულებათა ღონისძიებები.³⁰

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სანქციის რალაც ელემენტი შეიძლება შეეფარდოს სახელმწიფოს, თუ აღმოჩნდა, რომ იგი არღვევს შეთანხმებით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. სწორედ აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური საჩივრები ნაწილობრივ მაინც ეხმარებიან ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ვალდებულებათა აღსრულებას – სახელმწიფო, ალბათ, უფრო შესაბამისად მოექცევა ნაკისრ ვალდებულებებს, ვიდრე გარისკავს რაიმე დამსჯელი სანქციის შემოღებას. უარყოფითი შედეგი სახელმწიფოს ხშირად თავისი კანონმდებლობის ან პრაქტიკის შეცვლისაკენ უბიძგებს.³¹ უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალურ საჩივართა წარმატება უფრო დიდია, როცა მომჩივნისათვის ხელმისაწვდომია ადგილობრივი საშუალებები.³²

3. საგანგებო მომხსენებელი შრომით მიგრანტთა უფლებების მონიტორინგის სისტემაში

ადამიანის უფლებათა მონიტორინგის საერთაშორისო ორგანოები ხშირად მიმართავენ მომხსენებლებს დახმარებისათვის.

კომისია საგანგებო მომხსენებლისაგან³³ ითხოვს მიგრანტთა უფლებების განხორციელების დაბრკოლებათა განხილვას, ლეგალური და არალეგალური მიგრანტების ჩათვლით³⁴.

საგანგებო მომხსენებელი მიგრანტთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში მონოდებული ინფორმაციის საფუძველზე უგზავნის სასწრაფო საჩივრებსა თუ მიმა-

რთვებს სათანადო სახელმწიფოს, რათა გაარკვიოს არსებული სიტუაციები, ან/და მიაქცევინოს ყურადღება მათზე.³⁵ სპეციალურ მომხსენებელს ეხება მიგრანტის უფლებებთან დაკავშირებული ინდივიდუალური საჩივრებისა და განსაზღვრულ ქვეყანაში მათი საერთო სიტუაციის აღმწერი მიმართვების განხილვა. საგანგებო მომხსენებლის მიერ გაგზავნილმა მიმართვამ შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციის გამოთხოვის, ურთიერთთანამშრომლობის (საბრალდებო წერილები), ან/და სხვა გადაუდებელი მოქმედებები (სასწრაფო საჩივრები). საგანგებო მომხსენებელს შემუშავებული აქვს სპეციალური კითხვარიც, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი ადამიანისათვის. მისი ნახვა შესაძლებელია ინტერნეტითაც.³⁶ საგანგებო მომხსენებელს უფლება აქვს, გამოითხოვოს ინფორმაცია მიგრანტთა უფლებების დარღვევაზე ხელისუფლების, ხელშემკვრელი მხარეების, მთავრობათაშორისი და გაეროს სხვა კომპეტენტური ორგანოებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, მიგრანტთა ორგანიზაციის ჩათვლით, და მიიღოს შესაბამისი ზომები³⁷, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ.

საგანგებო მომხსენებელი ასევე ახორციელებს ვიზიტებს ქვეყნებში,³⁸ მათი მთავრობების მოწვევის საფუძველზე. ქვეყანაში მსგავსი ვიზიტის განხორციელება არ გულისხმობს, რომ ქვეყნის მთავრობამ დაარღვია ადამიანის უფლებები, – იგი სიტუაციის ყველა შესაძლო დეტალში გარკვევის საშუალებას იძლევა³⁹.

სპეციალური მომხსენებლები ადგენენ, რომ მიგრანტები განსაკუთრებით იჩივებიან, თუ შეეზღუდებათ თავისუფლება. სახელმწიფოთა მიერ არალეგალური მიგრაციის შემცირებასთან დაკავშირებული ღონისძიებები არღვევენ მიგრანტთა უფლებებს. ლეგალური სატაქსის არმქონე შრომითი მიგრანტები ხშირად ვერ იღებენ სათანადო დახმარებას ვერც მიმღები ქვეყნისაგან, ვერც თავიანთი საკონსულოების წარმომადგენელთაგან. საკონსულო დანესებულებებს ხშირად არ ყოფნით კვალიფიციური პერსონალი. ზოგიერთ შემთხვევაში საკონსულოები არ ცნობენ უსაბუთო მიგრანტებს თავიანთ მოქალაქეებად, რისი მიზეზიც ლეგალური სტატუსის არქონაა⁴⁰.

დაუცველია მიგრანტ ბავშვთა უფლებებიც, მათ არ გააჩნიათ თავიანთი უფლებების დაცვის რაიმე გარანტი. მიუხედავად იმისა, რომ მათ მიმართ მხოლოდ უკიდურეს შემთხ-

ვევებში უნდა გამოიყენებოდეს ადმინისტრაციული დაკავება, ხშირად მაინც მიმართავენ ამ ღონისძიებას.⁴¹

საგანგებო მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ მიგრაციის წესების დარღვევა არ უნდა იწვევდეს დამრღვევი მიგრანტის, როგორც დამნაშავეს, მიმართ დამოკიდებულებას. საგანგებო მომხსენებლები ხშირად არ იღებენ მნიშვნელოვანი რაოდენობის სახელმწიფოთა მხრიდან არანაირ ინფორმაციას მათს პრაქტიკასა თუ კანონმდებლობასთან დაკავშირებით.⁴²

სამწუხაროდ, ლეგალური მიგრაციის დროსაც შეიმჩნევა უფლებების დარღვევა. დისკრიმინაცია და ანტიმიგრაციული იდეოლოგია ისეთი ფაქტორებია, რომლებიც ყველა მიგრანტზე მოქმედებს, იქნება ის ლეგალური თუ არალეგალური სტატუსის მქონე.

უეჭველია, მომხსენებელთა მუშაობამ შერჩეულ უფლებებსა და თავისუფლებებზე დიდად გაზარდა ადამიანის უფლებათა მნიშვნელობა. უფრო მეტიც, მომხსენებლების მიერ შეგროვილი კვლევებისა და სხვა სტატისტიკური მონაცემების გამოყენება შეიძლება საერთაშორისო და რეგიონული ორგანოების დასახმარებლად სტანდარტების განვითარების საკითხში.⁴³

4. არასამთავრობო ორგანიზაციების როლი გაეროს მონიტორინგის სისტემაში

არასამთავრობო ორგანიზაციები რეგულარულად მონაწილეობენ გაეროს სამუშაო ჯგუფებში⁴⁴, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ოფიციალური სტატუსი ყველა კომიტეტში არ გააჩნია.⁴⁵

ამჟამად, სახელმწიფოთა ანგარიშების განხილვისას, გაეროს კომიტეტთა წევრები არასამთავრობო ორგანიზაციათა მიერ მიწოდებულ ინფორმაციას საკმაოდ ფართოდ იყენებენ.

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1996 წლის სესიაზე ერთ-ერთ საკითხად იხილებოდა განკარგულებები არასამთავრობო ორგანიზაციებთან მოსათათბირებლად. ამ დოკუმენტში განხილული ერთ-ერთი პრინციპის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციას უნდა ჰქონოდა წარმომადგენლობითი სტრუქტურა და ორგანიზაციის საქმიანობის მაკონტროლებელი წევრების პასუხისმგებლობის მექანიზმები.⁴⁶ თუმცა წარმომადგენლობის ასეთი საზომებით განსჯას არ მიეცა უფრო ზუსტი განმარტება.⁴⁷

შეიძლება ითქვას, კაცობრიობა თანდათან აანალიზებს არასამთავრობო ორგანიზაციათა როლს და მათი მონაწილეობა სულ უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული ხდება გაეროს მონიტორინგის სისტემაშიც.

5. ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგის სისტემის პრობლემატიკა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის საერთაშორისო უფლებები სამართლის შედარებით ახალი სისტემაა და მხოლოდ ორმოცდაათზე ოდნავ მეტი წლის ისტორია აქვს.

უკანასკნელი ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში სახელმწიფო მიდგომა ადამიანის უფლებებისადმი მკვეთრად შეიცვალა. ამჟამად თითოეული სახელმწიფო აღიარებს ადამიანის უფლებებს, მაგრამ მუდმივად რჩება კითხვა: რა ხარისხით? სამწუხაროდ, სახელმწიფოების მიერ დოკუმენტებზე ხელმოწერა მხოლოდ სხვების დასანახად ხდება.

გაეროსა და რეგიონული ორგანიზაციების წევრთა რაოდენობის ზრდამ გამოიწვია ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი დოკუმენტების ხელმოწერა სახელმწიფოთა რაოდენობის ზრდა. მიუხედავად ამისა, ეს სულაც არ დაემთხვა იმპლემენტაციის მონიტორინგის მაკონტროლებელ უწყებათა რესურსებისა თუ საშუალებების ზრდას.

გარდა ამისა, პრობლემაა ზოგიერთ სახელმწიფოსთან ხელშეკრულებების კვლავაც რატიფიცირებაზე დიალოგების წარმართვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი სახელმწიფო კონვენციას მხოლოდ დათქმების გაკეთების შემთხვევაში აღიარებს. საყოველთაო რატიფიცირების მიღწევის საწყის ეტაპზე დათქმები, ალბათ, უარყოფით მხარედ უნდა განვიხილოთ.⁴⁸

ანგარიშების სისტემას ხშირად სუსტს უწოდებენ, ვინაიდან ის დამოკიდებულია სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისობის სურვილზე. ხშირ შემთხვევაში ანგარიშები ფორმალური და პროზაულია, ფაქტობრივად, იმ კანონთა გამეორებაა, რომლებიც შესაბამისობაშია დადგენილ ნორმებთან. თუ სახელმწიფოს რატიფიცირებული აქვს გაეროს ყველა (შვიდივე) ძირითადი ხელშეკრულება, მოეთხოვება შვიდი ანგარიში, ალბათ, მათი უმრავლესობა ერთსა და იმავე დროს; შვიდივე ანგარიშის წარდგენა საჭიროა ყენევაში ან ნიუ-იორკში და მოითხოვება შვიდი სხვადასხვა დასკვნა. გადადგმულია ნაბიჯები ერთი ძირითადი დოკუმენტის შექმნისაკენ. ამგვარი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების პროექტი შეიქმნა

2004 წელს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მას პრაქტიკაში ცოტა სახელმწიფო თუ იყენებს – მას არც ვინმე უჭერს მხარს და არც ვინმე გამოხს. ⁴⁹

ჩამორჩენა ერთ-ერთი სერიოზული საკითხია. თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფოთა ანგარიშების განხილვას საშუალოდ სამი წელი სჭირდება, ხოლო პერიოდული ანგარიშის წარდგენა სავალდებულოა ორ წელიწადში ერთხელ, პრობლემა აშკარაა. გაეროს შეუძლია სანქციების შეფარდება, ძალის გამოყენება და, ბოლოს და ბოლოს, წევრობის ჩამორთმევა. წესდების თანახმად, ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც არ ასრულებს ორგანიზაციის მოთხოვნებს, შეიძლება ეთხოვოს მისი რიგების დატოვება. მიუხედავად ამისა, მას ხშირად ურჩევნია სახელმწიფოს საკუთარ რიგებში დატოვება, ვიდრე მისი გაგდება და მასზე კონტროლის მთლიანად დაკარგვა.

მონაწილე სახელმწიფოთა დასწრება იმ შეხვედრაზე, რომელზეც განიხილება მათი ანგარიშები, სასარგებლო კი არის, მაგრამ მასთან დაკავშირებული ხარჯები ამას შეუძლებელს ხდის. სესიების რაოდენობის ზრდა ასევე პროცესის დაჩქარების ერთ-ერთი გზაა, თუმცა აქ კვლავაც მთავარია რესურსების პრობლემა. გაეროს მონიტორინგის უწყებათა ღრმა ფინანსური სირთულეები გამოააშკარავა ვენის დეკლარაციამ და სამოქმედო გეგმამ და ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციამ.

ბოლო წლებში მუდმივი დისკუსია მიმდინარეობს გაეროს მოხსენების სისტემის რაციონალიზაციაზე. მთავრობათა ვალდებულებაა, ზოგჯერ ერთსა და იმავე საკითხებზე მოხსენებები წარუდგინონ სხვადასხვა პერიოდულობის სისტემით მომუშავე რამდენიმე სახელმწიფოებო ორგანოს. მოხსენებების მნიშვნელოვანი დაგვიანებით წარდგენა და ზოგიერთი სახელმწიფოებო ორგანოს მხრიდან მოხსენებათა განხილვა ასევე მნიშვნელოვნად ჭიანურდება. ⁵⁰

გარდა ამისა, მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა დაკავშირებულია თარგმანის ხარჯების ზრდასთან. გაეროში ანგარიშები უნდა ითარგმნოს გაეროს ოფიციალურ ენებზე (ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული, ესპანური და არაბული) და შეიძლება კიდევ სხვა ენებზე. ანგარიშების რეზიუმეები ამჟამად მზადდება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე მხოლოდ იმიტომ, რომ შემცირდეს წარდგენის დაგვიანების შემთხვევები, მაგრამ გაერო კვლავაც მოითხოვს ანგარიშების ყველა ოფიციალურ ენაზე თარგმანას მათს ოფი-

ციალურ გამოქვეყნებამდე. თუმცა საუკეთესო, რისი ვარაუდიც შეიძლება, არის გაეროს მიერ ფინანსური სახსრების ეკონომიურად გამოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანის უფლებები ირღვევა ეკონომიკური ფაქტორების გამო, უფრო ხშირად აღნიშნულის მიზეზები პოლიტიკურია. გაეროს სისტემაში პრობლემაა ის, რომ დარღვევა კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც მუქარა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების მიმართ, განსაზღვრების მიხედვით კი კომიტეტის მიერ მიღებული ბევრი ინდივიდუალური საჩივარი ამგვარად არ კვალიფიცირდება. ამას ემატება ისიც, რომ ინდივიდუალური შეტყობინებები არასაკმარისად გამოიყენება. ინდივიდუალური საჩივრების განხილვის პროცესი უნდა იყოს უფრო სწრაფი, საჯარო, სრულად დასაბუთებული და მას უნდა მოჰყვეს გადაწყვეტილების შესრულება. სახელმწიფოებო მონიტორინგის ყველა ორგანოს მიეცა წინადადება, მიეღოთ შესრულებასთან დაკავშირებული პროცედურები და ზომები, რომლებიც მათ გაუჩინდა ანგარიშების დროულად ჩაბარების სურვილს. ⁵¹

გენერალურმა მდივანმა აღნიშნა სახელმწიფოებო მონიტორინგის ორგანოთა მუშაობის მოდერნიზების აუცილებლობა. თუმცა ეს ნაწილობრივ მიმართულია უფრო სახელმწიფოთა მიერ ანგარიშების შედგენასთან დაკავშირებული მუშაობის შემცირებისაკენ, ვიდრე გაეროს ფინანსური მდგომარეობის შემსუბუქებისაკენ. მიმდინარეობს თანამშრომლობის განმტკიცება ხელშეკრულების მონიტორინგის უწყებებს შორის და ანგარიშგებასთან დაკავშირებული მითითებების მოდერნიზება. ⁵² არსებული სისტემა საკმაოდ არაეფექტიანია მისკენ მიმართული რესურსების გათვალისწინებით. ⁵³

6. საქართველო და ქართველ

შრომით მიზანდასახულ

დაკავშირებული პრობლემები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა ქვეყნიდან მიგრაციის ფართო მასშტაბები გამოიწვია. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ინტენსიური მიგრაციის მთავარი განმაპირობებელი საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებაა. ⁵⁴

XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს სოფლებში შრომითი რესურსების ბუნე-

ბრივი მატება მაღალი იყო და ადგილობრივი შრომითი ბაზრები ვერ უზრუნველყოფდნენ სამუშაო ძალის მიწოდების მოთხოვნით დაბალანსებას, რამაც მოსახლეობის მიგრაცია გამოიწვია, განსაკუთრებით მინით ნაკლებად უზრუნველყოფილი მთიანი და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან.

ამჟამად შრომითი მიგრაციის საშუალებით საქართველოში ასეულათასობით ოჯახი იღებს საარსებო თანხას. ქვეყანაში კი შემოდის სამუშაო ძალის ექსპორტით მიღებული მნიშვნელოვანი ვალუტა⁵⁵.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოდან არალეგალური მიგრაციის სამომავლო პოტენციალს, არის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და ის, თუ რამდენად დიდ სარგებელს მიიღებს საქართველოს მოსახლეობა ნებისმიერი პროგრესიდან. თუ მოსახლეობის უმრავლესობა კვლავ გაჭირვებაში დარჩება, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოდან არალეგალური მიგრაცია არსებითად ვერ შემცირდება⁵⁶.

საქართველოს მთავრობის ყველაზე რთული ამოცანაა საზღვარგარეთ მიგრაციის სტიმულის შემცირება საქართველოს მოქალაქეთათვის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებით. მსო-მ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა თავიანთ თავზე აიღეს ვალდებულება, დახმარება გაუწიონ საქართველოს მთავრობას ამ ამოცანებში შესრულებაში.⁵⁷

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მსო დაკავებულია მნიშვნელოვანი საქმიანობით: ეს არის საქართველოს მიგრაციული კანონების ფართოდ განხილვისა და მათი ერთიან კანონმდებლობად გაერთიანების ხელშეწყობა, რაც მიგრაციის ყველა ასპექტს დაარეგულირებს. საქართველოს სინამდვილეში არ არსებობს აქტიური სამოქალაქო ჩარეულობის ტრადიცია და ამგვარ ნაბიჯებს ძალიან ცოტა თუ დგამს. ამის ნაცვლად მოტყუებული კლიენტები ამჯობინებენ სამართლის საკუთარ ხელში აღებას, პირადად უკავშირდებიან ტრეფიკერებსა და სამუშაოზე ამყვანებს, ზენოლას ახდენენ მათზე და მოითხოვენ ფულის დაბრუნებას. ხალხმა ზოგჯერ არ იცის, სად შეიტანოს საჩივარი და არ ენდობიან სამართალდამცავ სტრუქტურებს, როგორებიცაა: პოლიცია და პროკურატურა.

საკანონმდებლო ბაზა ჯერჯერობით არასაკმარისია, მართვის სტრუქტურა და პოლიტიკა კი ადეკვატური არ არის უკანონო მიგ-

რაციის ორგანიზატორთა წინააღმდეგ მყარი პოზიციის დასაფიქსირებლად, და ეს მაშინ, როცა საქართველომ გაეროს ადამიანის უფლებათა თითქმის ყველა ძირითად ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენელს ფინანსური ინტერესი აქვს ტურისტული ფირმებისა და დასაქმების შუამავლების მუშაობისადმი, რაც ხსნის იმ ფაქტს, რომ უკანონო მიგრაციისა და ტრეფიკინგის ამდენად ბევრი ორგანიზატორი კვლავ პრაქტიკულად დაუსჯელად აგრძელებს საქართველოში საქმიანობას.⁵⁸

ხალხს საქართველოში ძირითადად არ აქვს წარმოდგენილი, თუ რა რისკთან არის დაკავშირებული მიგრაცია.

ამას გარდა, სახელმწიფო მოხელეები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის განმარტების, ხასიათისა და გავრცელების სფეროთა შესახებ სემინარებისა და სიმპოზიუმების საშუალებით. მათ აგრეთვე უნდა გაიარონ სპეციალური ტრენინგი, რათა განსაზღვრონ თავიანთი როლი მისი თავიდან აცილებისა და კონტროლის საქმეში.⁵⁹

ეს ის სფეროა, სადაც საქართველოს მთავრობამ სადავეები თავის ხელში უნდა აიღოს, საერთაშორისო საზოგადოებამ კი მას მხარი უნდა დაუჭიროს.

დასკვნა

2005 წელს მსოფლიოში 185-იდან 192 მილიონამდე მიგრანტი დაფიქსირდა,⁶⁰ რაც მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით სამ პროცენტს შეადგენს. მიგრაციის საკითხით მრავალი გამგზავნი, ტრანზიტული თუ მიმღები ქვეყანაა დაინტერესებული. მიგრაცია გლობალიზაციის მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა,⁶¹ აუცილებელია, უკეთ ვიცოდეთ მოსახლეობის საერთაშორისო გადაადგილებების მიზეზი და განვითარებასთან მათი რთული კავშირი⁶². შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრთა საკითხი ადამიანის უფლებებში ყველაზე რთულია. თანამედროვე ანტიმიგრაციულ კლიმატში ბევრ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანაში ეკონომიკურ მიგრანტებს ყოველთვის ექმნებათ პრობლემები. რთულ ეკონომიკურ პერიოდებში ისინი პოლიტიკოსებისა და მედიის სამიზნედ იქცევიან და საზოგადოებისათვის საფრთხედ მიიჩნევიან, განსაკუთრებით ეს დასაქმების ქვეყანაში არალეგალურად შესულთ ეხებათ. არალეგალური მიგრანტები ხშირად სო-

ციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფი ქვეყნისთვის აღიქმებიან ე.წ. „მიმთვისებლად“, კრიმინალურად, ანდა პრობლემის პოტენციურ გამომწვევებად.

მიგრაციას დიდი წვლილი შეაქვს თანამედროვე სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებასა და გარდაქმნაში. დიდია შრომითი მიგრაციის როლი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის განვითარებაშიც. შრომითი მიგრაცია ობიექტური რეალობაა და, ხშირად, გარეგნულად უარყოფითი ფონის მიუხედავად, უფრო მეტი დადებითი მომენტის შემცველია, ვიდრე უარყოფითისა.⁶³

მართალია, იურისტებმა ჩამოაყალიბეს ადამიანის საერთაშორისო უფლებათა სტანდარტები, მაგრამ მათი განხორციელებისათვის აუცილებელია თანამშრომლობა პოლიტიკოსთა მხრიდან. გარკვეულ მიზეზთა გამო სახელმწიფოები შორს დგანან საერთაშორისო სამართლის პოტენციალის სრული გამოყენებისაგან.⁶⁴ ბევრი სახელმწიფო, მათ შორის დიდი სახელმწიფოები, არ ჩქარობენ მის პროგრესულ განვითარებას, რისი დამამტკიცებელი ფაქტებიც პრაქტიკაში მრავლადაა.⁶⁵ გაეროს ათწლიანი პროგრამა ასეთივე დამამტკიცებელი საბუთია, ის, სამწუხაროდ, ნაკლებად შეიცავს ისეთ დებულებებს, რომლებიც სრულყოფენ სამართლებრივ ნორმათა რეალიზაციას.⁶⁶ მონიტორინგის საერთაშორისო მექანიზმები, მათ შორის მოხსენებისა და საჩივრის პროცედურები, შრომითი მიგრანტების უფლებათა შიდასახელმწიფოებრივი დაცვისათვის მხოლოდ დამატებით საშუალებებია.⁶⁷

შრომითი მიგრანტების კონვენციაში გატარებულ პრინციპებს ასე თუ ისე გარკვეული გავლენა მაინც აქვთ ამა თუ იმ ქვეყანასა და რეგიონზე. ზოგ მიმღებ ქვეყანაში შემცირდა ანტიმიგრაციული განწყობა.⁶⁸ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სტანდარტების დადგენასა და მათს განხორციელებას შორის დიდი განსხვავებაა. საერთაშორისო საზოგადოებამ კონკრეტულად დაასახელა ის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რაც გარანტირებული უნდა იყოს ყველასათვის. მათი სახელმწიფოს დონეზე ამუშავება უკვე თვით

სახელმწიფოს, ხოლო მათი გამოყენება თითოეული ინდივიდის საქმეა. რაც მთავარია და რასაც თვით გაერო აღიარებს, ადამიანის უფლებათა განხორციელების გზაზე ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია განათლების მიღება. ის საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებებისაკენაა მიმართული. თითოეულმა მოქალაქემ უნდა იცოდეს თავისი უფლებები.

რაც შეეხება მდგომარეობას საქართველოსთან მიმართებით: საქართველოში სამუშაო ადგილის მოძიება უაღრესად რთულია, ხოლო დასაქმებიდან მიღებული შემოსავლები არ არის საკმარისი საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენისათვის. სწორედ დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდულობა და შრომის ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის პირობების არარსებობა, სამუშაო ძალის დაბალი ანაზღაურება აიძულებს საქართველოს მოსახლეობის ყველაზე აქტიურ ნაწილს, ეძებოს სამუშაო და არსებობის წყარო ქვეყნის გარეთ, თუნდაც პირადი ღირსების შელახვისა და თავისუფლების დაკარგვის ფასად. სახელმწიფო მართვის სისტემის დაგეგმილი რეორგანიზაციისა და რესტრუქტურისაციის შედეგად დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

არსებულმა სიტუაციამ აჩვენა, რომ საჭიროა დაჩქარდეს გაეროსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) იმ კონვენციებთან საქართველოს მიერთების პროცედურა, რომლებიც საერთაშორისო დონეზე ქმნიან შრომითი მიგრაციის რეგულირების სამართლებრივ საფუძვლებს. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია გაეროს საერთაშორისო კონვენცია “შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ”. SSO-მ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ დახმარება და საერთაშორისო ექსპერტების კვალიფიციური რჩევები არალეგალურ მიგრაციასა და ტრეფიკინგთან დაკავშირებული სამთავრობო პოლიტიკისათვის. მნიშვნელოვანია, მთავრობა, საზოგადოება და საერთაშორისო საზოგადოებრიობა ერთობლივად მუშაობდნენ და ახორციელებდნენ ამ მიმართულებით ღონისძიებებს.

¹ Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, The International Convention on Migrant Workers and its Committee, Fact Sheet No. 24 (Rev.1), p. 3. ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1973 წლის მოთხოვნის საფუძველზე უმცირესობათა დაცვისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ქვეკომისიამ 1976 წელს მიიღო აქტი კანონსაწინააღმდეგო და ფარული ტრეფიკინგის

შედეგად შრომის გამოყენებაზე. აღნიშნული აქტი გაეროს მოუწოდებდა, შეექმნა კონვენცია, რომელიც დაიცავდა შრომითი მიგრანტების უფლებებს. სწორედ ამ რეკომენდაციას გამოეხმაურა მსოფლიოს რასიზმისა და რასისტული მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის 1978 წლის უენეცის კონფერენცია, ხოლო გენერალური ასამბლეის 33/163 რეზოლუციაში აღინიშნა მდგომარეობის გაუმჯობესების და ადამიანის უფლებებისა და შრომითი მიგრანტების ღირსების დაცვის უზრუნველყოფი ზომების შესახებ.

²იხ. http://en.wikipedia.org/wiki/Human_rights_treaty_bodies, ასევე: Manfred Nowak, Introduction to the International Human Rights Regime, The Raoul Wallenberg Institute, Human Rights Library, Volume 14, Martinus Nijhoff Publishers, Leiden/Boston, 2003; ასბორნ ეიდე, კატარინა კრაუზე, ალან როსასი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, სახელმძღვანელო, მეორე განახლებული გამოცემა, თარგმანი ნანა ჯაფარიძე-ჭყოიძისა, 2005, გვ. 456.

Current situation revealed the necessity to speed up accession process to the UN and ILO conventions that provide the international legal grounds for the regulation of labour migration. Among them particular attention shall be drawn to International "Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families". ILO and other international organizations shall ensure the assistance and provide recommendations of international experts on Governmental policy related to irregular migration and trafficking issues. The government, society and international community shall work and carry out activities in this field together.

¹ Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, The international Convention on Migrant Workers and its Committee, Fact Sheet No. 24 (Rev. 1), p.3 On the basis of the request of the economic and social council at 1973 U.N. subcommittee on the prevention of discrimination and protection of minorities in 1976 adopted the act on the use of labour resulted from illegal and hidden trafficking. The mentioned act was calling for the UN to elaborate the Convention, which would protect the rights of the labour migrants. This particular recommendation was responded by the Geneva conference of 1978 on fighting against racism and racial treatment. But in the resolution 33/163 of the General Assembly was mentioned on improvement of the condition and ensuring the human rights protection and dignity of the labour migrants.

² Please see: http://en.wikipedia.org/wiki/Human_rights_treaty_bodies, also Manfred Nowak, Introduction to the International Human Rights Regime, The Raoul Wallenberg Institute, Human Rights Library, Volume 14, Martinus Nijhoff Publishers, Leiden/Boston, 2003 and economic social and cultural rights, guideline second updated edition, Asborn Eide, Katerina Krauze, Alan Rosas, 2005, p. 456.

³ Economic, social and cultural rights, guidelines, second updated edition, Asborn Eide, Katerina Krauze, Alan Rosas, 2005, p. 456.

⁴ Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, The International Convention on Migrant Workers and its Committee, Fact Sheet No. 24 (Rev.1), p. 1

⁵ Please see <http://www.ohchr.org/english/countries/ratification/13.htm>, 2006.

⁶ http://en.wikipedia.org/wiki/Human_rights_treaty_bodies,2C2006.

⁷ The convention consists of preamble and nine part: Preamble, 1. Scope and Definitions, 2. Non-discrimination with respect to rights, 3. Human rights of all Migrant Workers and Members of their Families, 4. Other Rights of Migrant Workers and Members of their Families who are Documented or in a Regular Situation, 5. Provisions Applicable to Particular Categories of Migrant Workers and of their Families, 6. Promotion of Sound, Equitable, Humane and Lawful Condi-

tions Connection with International Migration of Workers and Members of Their Families, 7. Application of the Convention, 8. General Provisions, 9. Final Provisions.

⁸ In particular, Article 2, paragraph 1 of the Convention provides for the migrant worker as “a person who is to be engaged, is engaged or has been engaged in a remunerated activity in a State of which he or she is not a national”.

⁹ Please see International “Covenant on Economic, Social and Cultural Rights”, International “Covenant on Civil and Political Rights”.

¹⁰ Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, The International Convention on Migrant Workers and its Committee, Fact Sheet No. 24 (Rev.1), p. 10.

¹¹ The Committees are the monitoring bodies of the implementation of the UN human rights basic treaties (International Covenant “on Civil and Political Rights” of 1966 (with its optional protocols) International Covenant on “Economic, Social and Cultural Rights” of 1966, the Convention “on the Elimination of all forms of Racial Discrimination” of 1965, The Convention “on the Elimination of all Forms of Discrimination against Women” of 1979, the Convention “against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment” of 1984, the Convention “on the Rights of Child” of 1989, International Convention “on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families” of 1990). There are seven committees on the protection of the human rights, which are created for the monitoring of implementation of the Provisions of relevant Treaties.

¹² After the ratification by 20 countries.

¹³ There are seven committees on the protection of the human rights in the UN. They examine the state reports, individual claims and applications, publish general comments, which basically relates to the issues and interpretation of the working principles. There is also procedure of the meetings of Chairmen of the Committees and inter-committees. The function of each committee is to monitor the implementation of provisions of the seven basic treaties of the UN, in particular: Human Rights Committee (HRC) supervises the monitoring process of International Covenant “on Civil and Political Rights” (with its optional protocols) of 1966, Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR) - International Covenant “on Economic, Social and Cultural Rights” of 1966, Committee on the Elimination of Racial Discrimination (CERD) - Convention “on the Elimination of all Forms of Racial Discrimination” of 1965, Committee on the Elimination of Discrimination Against Women (CEDAW) - Convention “on the Elimination of all Forms of Discrimination Against Women” of 1979, The Committee Against Torture (CAT) - Convention “against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment” of 1984, The Committee on the Rights of the Child (CRC) - The Convention “on the Rights of the Child” of 1989, The Committee on Migrant Workers - Convention “on the Protection of the Rights of all Migrant Workers and Members of Their Families” of 1990.

¹⁴ Office of the High Commissioner for Human Rights – main body working for the protection and popularization of Human Rights was established in 1946 (by the UN Economic and Social Council). The functions of the Commissioner includes: protection of the human rights throughout the world, monitoring, its development, popularization and codification of human rights as well.

¹⁵ Currently committee consists with 10 independent experts. The amount of the experts will increase after the entry into force of the Convention for the forty-first State Party, of fourteen experts. The Members of the Committee shall be elected by secret ballot by the States Parties, due consideration being given to equitable geographical distribution including both States of origin and States of employment of the migrant workers. The members of the Committee shall serve for a term of four years. Half of the members of the Committee are elected once in two years. Their term of office starts at January 1 of each year and ends at December 31 of the fourth year (in accordance with Article 72, paragraph 5, sub-paragraph a) of the Convention). Exceptional case is when the Convention will enter into force for the forty-first State Party and additionally four experts will be elected. From these experts two members shall be chosen by the Chairman of the meeting on the basis of secret ballot. They shall serve for a term of two years. (Article 72,

paragraph 5, sub-paragraph b)). If a member of the Committee dies or resigns or declares that for any other cause he or she can no longer perform the duties of the Committee, the State Party that nominated the expert shall appoint another expert from among its own nationals for the remaining part of the term (Article 72, paragraph 6). The Secretary-General of the United Nations shall provide the necessary staff and facilities for the effective performance of the functions of the Committee. The members of the Committee shall be entitled to the facilities, privileges and immunities of experts (Article 72, paragraph 9). The committee shall among its members elect the Chairman, 3 Vice-chairman and Reporter. During the election of the members of committee the person with the majority of votes shall win. If one candidate is nominated, the Committee shall be entitled to decide the issue of his/her election positively without further procedures (Article 75).

¹⁶ <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/GO4/414/27/PDF/G0441427.pdf?OpenElement>.

¹⁷ http://www2.ohchr.org/english/bodies/cmw/annual_reports.htm,2008.

¹⁸ Mentioned information includes organizational and other issues: working methods, terms of cooperation with the interested parties, reports submitted by State Parties of the Convention on the Migrant Workers following to Article 73 of the Convention, in accordance with Article 74 of the Convention examination of the reports and additionally submitted other information by the State Parties.

¹⁹ The issues to be discussed by the chairmen of the committees are focused on the technical problems, connected to exchange of information on the inter-committee and special procedures. Furthermore unofficial consultations with one or another Member States, partners of the UN and NGOs is being held.

²⁰ First such meeting was held in 2002, in Geneva.

²¹ <http://www.ohchr.org/english/bodies/cmw/index.htm>.

²² International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families, Article 73, paragraph 1;
Also: <http://www.un.org/russian/document/convents/migrant7.htm>.

²³ International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families, Article 73, paragraph 2;
Also: <http://www.un.org/russian/document/convents/migrant7.htm>.

²⁴ International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families, Article 73, paragraph 4;
Also: <http://www.un.org/russian/document/convents/migrant7.htm>.

²⁵ United Nations, HRI, International Human Rights Instruments, Distr., General Hri/Gen/2/Rev.2/Add. 1, 6 May 2005, Original: English, Compilation of Guidelines on the Form and Content of Reports to be Submitted by States Parties to the International Human Rights Treaties.

²⁶ This part of the report shall include the following:

a) Description of the constitutional, legislative, judicial and administrative framework governing the implementation of the Convention, and any bilateral regional or multiregional agreements in the field of migration entered into by the reporting State party; b) actual qualitative information, as disaggregated as possible, on the characteristics and nature of the migration flows (immigration, transit and emigration); c) description of actual situation as regards the practical implementation of the Convention in the reporting State and indicate the circumstances affecting the fulfillment of the obligations of the reporting State under the Convention; d) information on the measures taken by the State party for the dissemination and promotion of the Convention and on the cooperation with society in order to promote and respect the rights contained in the Convention. (United Nations, HRI, International Human Rights Instruments, Distr., General Hri/Gen/2/Rev.2/Add. 1, 6 May 2005, Original: English, Compilation of Guidelines on the Form and Content of Reports to be Submitted by States Parties to the International Human Rights Treaties, p. 2).

Second part of the report shall include information related to each Articles of the Convention, in particular implementation of the provisions of the Convention by a certain State. In order to facilitate the reporting procedure for the States parties, the document on the procedures of form and content shall include the list reflecting the sequence of information to be submitted in the report (United Nations, HRI, International Human Rights Instruments, Distr., General Hri/Gen/2/Rev.2/Add. 1, 6 May

2005, Original: English, Compilation of Guidelines on the Form and Content of Reports to be Submitted by States Parties to the International Human Rights Treaties, p. 2-5).

Paragraph a) of the second part of the report shall necessarily include the indication on General Principles, in particular measures taken by the State in consistency with the principles envisaged by Article 1(1) and Article 7(non discrimination) of the Convention on Migrant Workers; Article 83 (effective remedies for the protection of rights) Article 84 (obligation of the State to implement the Convention). In paragraph b) activities implemented on the compatibly with Articles of Part III (Human rights of all migrant workers and members of their families) of the Convention on the Migrant Workers shall be listed. The information on the implementation of these rights and results shall be provided in determined sequence following to the rights provided for almost in all Articles of the third part of the Convention (Articles 8, 9 and 10; 11; 12, 13 and 26; 14 and 15; 16.1 and 16.4, 17 and 24; 16.5-16.9, 18 and 19; 20, 21, 22 and 23; 25, 27, 28; 29, 30, 31; 32 and 33). Paragraph c) concerns the Articles of Part IV of the Convention on the Migrant Workers (other rights of migrant workers and their families who are documented or in a regular situation). There is also the procedure on the sequence of Articles in the report (Articles 37, 38, 39, 40, 41, 42, 43; 54, 55; 44 and 50; 45 and 53; 46, 47, 48; 51, 52; 49 and 56); paragraph d) shall provide information on measures taken by the State in relation to Articles (provisions applicable to particular categories of migrant workers and members of their families) stipulated by Part V of the Convention on the Migrant Workers (here activities carried out on articles 57 to 63 of the Convention shall be indicated); paragraph e) shall concern the Articles (promotion of sound, equitable, humane and lawful conditions in connection with international migration of workers and members of their families) of Part VI of the Convention on the Migrant Workers (The State party should provide information on the measures taken from Article 65 to Article 71).

²⁷ International Human Rights, guidelines, second edition, Rona K.M. Smith, publication of Oxford University, 2005, p.219.

²⁸ *Ibidem*.

²⁹ International Human Rights, guidelines, second edition, Rona K.M. Smith, publication of Oxford University, 2005, p.219.

³⁰ <http://www.un.org/russian/hr/complaints/procedures1.htm#6>

³¹ International Human Rights, guidelines, second edition, Rona K.M. Smith, publication of Oxford University, 2005, p.221

³² Article 9 of the Declaration of Rights and Obligations of General Assembly provides for all human rights to lodge a complaint regarding violations both on national as well as on international level.

³³ Currently Special Rapporteurs are: Gabriela Rodríguez Pizarro (Costa Rica) since 1999 and J.A. Bustamante (Mexico) since August 2005 (Res. 2005/47).

³⁴ Main functions of Special Rapporteurs are: a) collection of information from all important sources including migrants regarding the violation of rights of migrant workers and their families; b) elaboration of recommendations in order to study violations of rights of migrant workers and to protect their rights; c) promotion of effective use of relevant international norms and standards; d) provision of recommendations regarding the use of remedies and actions in order to protect rights of migrants on national, regional and international levels; e) while requesting and analyzing information consideration shall be given to sexual compliance and special attention shall be drawn to the application of discriminative and forcible means against migrants women. <http://www.ohchr.org/english/issues/migration/rapporteur/index.htm>

³⁵ http://www1.umn.edu/humanrts/monitoring/chapter_19.html#H – Addressing the human rights situation through UN mechanisms, thematic procedures

³⁶ http://www.ohchr.org/english/issues/docs/mmig-quest_ru.doc

³⁷ http://www.ohchr.org/english/issues/docs/mmig-quest_ru.doc

³⁸ <http://www.ohchr.org/english/issues/migration/rapporteur/visits.htm>

³⁹ Currently the mandate of the UN member States include Afghanistan, Democratic Republic of Congo, Haiti, Iraq and Palestinian territories occupied since 1967.

Thematic mandates include the team working on the issues related to compulsion of persons or forcible disappearance of persons and wilful detention.

⁴⁰ Организация объединенных наций, экономический и социальный совет Distr. General E/CN.4/2003/85,30 December 2002, RUSSIAN, Original: English, Комиссия по правам человека, Пятьдесят девятая сессия, Пункт 14 а) предварительной повестки дня, Конкретный группы и лица, трудящиеся-мигранты, Доклад Специального, докладчика г-жи Габриэлы Родригес Писарро, представленный в соответствии с резолюцией 2002/62, Комиссии по правам человека, стр. 3.

⁴¹ Организация объединенных наций, экономический и социальный совет Distr. General E/CN.4/2003/85,30 December 2002, RUSSIAN, Original: English, Комиссия по правам человека, Пятьдесят девятая сессия, Пункт 14 а) предварительной повестки дня, Конкретный группы и лица, трудящиеся-мигранты, Доклад Специального, докладчика г-жи Габриэлы Родригес Писарро, представленный в соответствии с резолюцией 2002/62, Комиссии по правам человека, стр. 19.

⁴² Организация объединенных наций, экономический и социальный совет Distr. General E/CN.4/2003/85,30 December 2002, RUSSIAN, Original: English, Комиссия по правам человека, Пятьдесят девятая сессия, Пункт 14 а) предварительной повестки дня, Конкретный группы и лица, трудящиеся-мигранты, Доклад Специального, докладчика г-жи Габриэлы Родригес Писарро, представленный в соответствии с резолюцией 2002/62, Комиссии по правам человека, стр. 31.

⁴³ International Human Rights, Guidelines, second edition, Rona K.M. Smith, publication of Oxford University, 2005, p. 222.

⁴⁴ Mobilization of the Conscience of Mankind: Conditions of Effectiveness of Human Rights NGOs Peter R. Baehr Professor and Director Netherlands Institute of Human Rights (SIM) Utrecht University, Utrecht, Netherlands, NGOs: The People's Voice in International Governance?, Leon Gordenker Professor Emeritus Princeton University Princeton, NJ, USA Presentations Made at a UNU Public Forum on Human Rights and NGOs on 18 September 1996, UNU, Tokyo, Japan, - Reliability.

⁴⁵ The information provided by the NGOs has the official status in: Committee Against Torture, Committee on Economic, Social and Cultural Rights, Committee on the Right of Child, but information provided by NGOs in the Human Rights Committee, Committee on the Elimination of Discrimination Against Women and Committee on Elimination of Racial Discrimination has less informative character, although it does not mean that they are less important. The NGOs are entitled to submit their reports to the Committee on Economic, Social and Cultural Rights in written form and participate in discussions held on the day of general discussions. The NGOs are entitled to not only to submit their proposals in written form but also to make a speech – please see: Economic, Social and Cultural Rights, guidelines, second edition, Asborn Eide, Katarina Krause, Allan Rosas, 2005, p. 502.

⁴⁶ Un/Scetdg/29/Inf. 63, Ecosoc Resolution 1996/31: Arrangements for Consultation With Non-Governmental Organizations, Part 1. Principles to be Applied in the Establishment of Consultative Relations, 12.

⁴⁷ Mobilization of the Conscience of Mankind: Conditions of Effectiveness of Human Rights NGOs Peter R. Baehr Professor and Director Netherlands Institute of Human Rights (SIM) Utrecht University, Utrecht, Netherlands, NGOs: The People's Voice in International Governance?, Leon Gordenker Professor Emeritus Princeton University Princeton, NJ, USA Presentations Made at a UNU Public Forum on Human Rights and NGOs on 18 September 1996, UNU, Tokyo, Japan - Representativeness.

⁴⁸ International Human Rights, guidelines, second edition, Rona K.M. Smith, publication of Oxford University, 2005, p. 230.

⁴⁹ International Human Rights, guidelines, second edition, Rona K.M. Smith, publication of Oxford University, 2005, p. 232-234.

- ⁵⁰ Economic, social and cultural rights, guidelines, second edition, Asborn Eide, Katarina Krause, Allan Rosas, 2005, p. 503.
- ⁵¹ International Human Rights, guidelines, second edition, Rona K.M. Smith, publication of Oxford University, 2005, p. 232-243.
- ⁵² UN Doc, A/58/351 p. 7.
- ⁵³ International Human Rights, guidelines, second edition, Rona K.M. Smith, publication of Oxford University, 2005, p. 239.
- ⁵⁴ Davide Tertzi, Head of the Mission of International Organization for Migration in Georgia – Report of International Organization for Migration, 2003, Tbilisi, p. 5 .
- ⁵⁵ Following to the evaluations of experts of International Labour Organization (ILO), labour migrants channel an annual average of 2000 USD in the form of money and goods to their home countries. This amounts to an average of 166.7 USD per month. This figure almost coincides with the average remittance sent to Georgia 162.4 USD – Head of the mission of International Organization for Migration in Georgia, Labour migration from Georgia – Report of International Organization for Migration, 2003, Tbilisi, p. 61.
- ⁵⁶ In accordance with the information provided by the State Department of Statistics, 194 600 citizens of Georgia left the country in 1990-1998. But according to independent experts this figure is very low. Following to their calculation 1 638 000 citizens of Georgia left the country during this period.⁵⁶ Taking into account that in the beginning of 1990 the total amount of population was over 5 421 700 (information provided by independent experts) and 5 456 100, this number is very high.
- ⁵⁷ “Hardship abroad or Hunger at Home”, A Study of Irregular Migration from Georgia, International Organization for Migration, September, 2001, p. 6.
- ⁵⁸ *Ibidem*.
- ⁵⁹ *Ibidem*.
- ⁶⁰ http://en.wikipedia.org/wiki/Committee_on_Migrant_Workers.
- ⁶¹ <http://www.un.org/russian/topics/reform/refordoc/part2.htm>.
- ⁶² Migrant Workers in International Human Rights Law Their Protection in Countries of Employment, Ryszard Chelewinski, Clarendon Press Oxford, 1997, p.V, ობ. <http://www.questia.com/PM.qst?a=o&d=74392289>.
- ⁶³ IOM Chief of Mission to Georgia, labour migration from Georgia – report of International Organization for Migration, Tbilisi, 2003.
- ⁶⁴ Currently no international tribunal working on human rights issues exist, but several UN committees work on quasi court direction. (International Human Rights Monitoring Mechanisms, Essays in honour of Jakob Th. Möller, The Raoul Wallenberg Institute Human Rights Library, Volume 7, Martinus Nijhoff Publishers, The Hague/Boston/London, Kluwer Law International, 2001, p. 133), Group of impartial judges, operating in accordance with its own rules of procedures and which before expressing its opinion (which is not legally binding) can listen the testimonies of experts selected by the parties. Proceeding, where the Committee on Human Rights and the Committee on Elimination of All Forms of Discrimination (which can receive individual complaints) are participating, have the form of court. Putting forward of some aspects of human rights is a merit of international criminal tribunal for the former Yugoslavia – international human rights, guidelines, second edition, Rona K.M. Smith, publication of Oxford University, 2005, p. 217.
- ⁶⁵ For example: None of the big States accepted International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families. Please see: <http://www.ohchr.org/english/countries/ratification/13.htm>.
- ⁶⁶ Georgia and International Law, compilation of Articles, Tbilisi, 2001, p. 25-26. Please see also: http://www.un.org/esa/about_esa.html.
- ⁶⁷ Economic, social and cultural rights, guidelines, second renewed edition, , Asborn Eide, Katarina Krause, Allan Rosas, 2005, p. 525.
- ⁶⁸ <http://www.migrationinformation.org/Feature/display.cfm?id=288>.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი

პატიმრობაში მყოფი 18 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით მნიშვნელოვნად გაიზარდა. იმატა როგორც წინასწარი დაკავების ადგილებში მყოფი, ასევე მსჯავრდებული პირების რიცხვმა. გაერო-ს ბავშვთა დახმარების საერთაშორისო ფონდის (UNICEF) კვლევის მიხედვით, სამართალდამცავების მიერ ერთ მილიონზე მეტ ბავშვს აქვს თავისუფლება აღკვეთილი. ამავდროულად, არასრულწლოვანთა მზარდ რაოდენობას ბრალი ედება არაძალადობრივ დანაშაულებში.

პატიმრობაში მყოფ ბავშვებს ხშირად ელახებათ თავიანთი ძირითადი უფლებები – მათ შორის, განათლების არქონა და ძირითადი სამედიცინო დახმარების ნაკლებობა. ხშირად პირობები, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ, შოკისმომგვრელი და არაადამიანურია; გათბობის არარსებობა, არაადეკვატური კვება, არასაკმარისი სანოლები, ცუდი სანიტარიული პირობები და მეცადინეობათა არარსებობა, სასტიკი და არაადამიანური დისციპლინური ზომები, არასაკმარისი საძინებელი სივრცე და საცხოვრებელი ოთახები, განათლებისა და პროფესიული სწავლების საშუალებათა დაბალი დონე ან არარსებობა, ინფორმაციის ნაკლებობა და გარესამყაროსთან კონტაქტის სიმცირე ან საერთოდ არქონა და ა.შ. ზოგიერთი მათგანი ხანგრძლივი დროით არის განთავსებული იზოლირებულ საკანში. ხშირია ფიზიკური ძალადობა და ასევე ხშირად სამართლიანი პროცესის ყველაზე ფუნდამენტური პრინციპებიც კი დარღვეულია. როგორც წესი, მშობლებს უარს ეუბნებიან ვიზიტის უფლებაზე და თითქმის არ არიან ინფორმირებულნი მათი შვილების ადგილმდებარეობის შესახებ.

ცხადია, ახალგაზრდა დამნაშავეთათვის ინსტიტუციონალიზაცია ძალზე მტკივნეული პროცესია. ის ფაქტი, რომ ისინი დაპატიმრებულნი და განთავსებულნი არიან ციხეში ან არასრულწლოვანთა დანესებულებაში,

მთელი ცხოვრების განმავლობაში ასვამს მათ დაღს, რაც ასახულია პირადობის ოფიციალურ დოკუმენტებში და რასაც ისინი ვერ გაეცევიან სამსახურის ძებნისას თუ საზოგადოებაში ნორმალური ცხოვრებისაკენ მისწრაფების პროცესში. უფრო მეტიც, არაერთგზის გამოვლინდა დასჯისა და თავისუფლების აღკვეთის არაეფექტურობა.

კრიმინალურმა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორიამ, ასევე ციხეებიდან გამოსული ახალგაზრდებისათვის სასჯელის ხელმეორედ მისჯის მაღალმა დონემ აჩვენა დასჯაზე დაფუძნებული სისხლისსამართლებრივი კონტროლის ტრადიციული მიდგომის მარცხი.

ბავშვებისათვის თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, ბავშვის უფლებათა კონვენცია მოუწოდებს სახელმწიფოებს, „ხელი შეუწყონ ... ასეთი ბავშვების მიმართ ზომების მიღებას სასამართლო განხილვის გარეშე“ (მე-40 მუხლი). ფორმალური მართლმსაჯულების სისტემაში შესვლა შესაძლოა, ტრავმული იყოს მოზარდისათვის და დაღი დაასვას მას. შესაბამისად, აღნიშნული ყოველთვის უნდა იქნეს თავიდან აცილებული, თუკი საქმის ადეკვატური განხილვა შესაძლებელია ნაკლებად ფორმალური გზით. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება შეიცვალოს: გაფრთხილებით იმის თაობაზე, რომ მომავალში ჩადენილ დანაშაულებს უფრო სერიოზული შედეგი მოჰყვება, ზედამხედველობის ან კონსულტაციის გარკვეული ფორმების ნებაყოფლობითი მიღებით, სკოლაში სიარულის ვალდებულებით, დანაშაულთან ასოცირებული პირებისა ან ადგილებისაგან თავის არიდების პირობით, საზოგადოებრივი სამსახურით, დაზარალებულის პირველადი მდგომარეობის აღდგენით ან მასთან შერიგებით. ბავშვის უფლებებს უნდა შეესაბამებოდეს ფორმალური გასამართლების ალტერნატივა, რომელიც უარყოფს ისეთ ზომას, როგორიცაა ფიზიკური დასჯა. შესა-

ბამისად, თავისუფლების აღკვეთა არ უნდა შეეფარდოს, თუ არასრულწლოვანი არ არის ბრალდებული მძიმე ქმედებაში, რომელიც მოიცავს ძალადობას სხვა პირის წინააღმდეგ ან მიდრეკილია სხვა მძიმე დანაშაულთა ჩადენისაკენ, და თუ არ მოჰყოლია შესაბამისი რეაგირება; არასრულწლოვანის ჯანმრთელობა განმსაზღვრელი ფაქტორი უნდა იყოს მისი საქმის განხილვისას.

ამგვარად, უფრო მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ბავშვების რაც შეიძლება მინიმალური რაოდენობა განთავსდეს ციხეში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ყურადღება უნდა გამახვილდეს არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრევენციაზე, რაც ძალისხმევას მოითხოვს მთელი საზოგადოების მხრიდან, რათა გარანტირებულ იქნეს მოზარდთა ჰარმონიული განვითარება ბავშვობის ადრეული ასაკიდან. რამდენადაც ბავშვობის ასაკში დაუდევრობასა და დანაშაულს შორის კავშირი, ასევე დანაშაულში მონაწილეობის დონე საკმაოდ მაღალია, რიადის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, საზოგადოება და მთავრობა პასუხისმგებელია, დაეხმარონ ოჯახებს ბავშვების ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში, ასევე მათს მოვლასა და დაცვაში. სამთავრობო ორგანოებმა მაღალი პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ ახალგაზრდებისათვის შესაბამისი პროგრამების განხორციელებას და გამოყონ საკმაოდ რესურსები მომსახურების ეფექტური უზრუნველყოფისათვის, მათ შორის ნარკოტიკული ნივთიერებებისა და ალკოჰოლის მოხმარების პრევენციისა და მკურნალობისათვის. ამასთან, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, რომ ამგვარი რესურსები სარგებლის მომტანი იყოს ახალგაზრდებისათვის. პეკინის წესები ნათლად გამოხატავს რეაბილიტაცია/რეინტეგრაციის პროცესის მნიშვნელობას. უფრო მეტიც, არასრულწლოვანთა კეთილდღეობის ხელშეწყობა მიჩნეულია ყოვლისმომცველი სოციალური პოლიტიკის ერთადერთ ამოცანად, რომელმაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მათი დანაშაულის პრევენციაში.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, წარმოადგინოს თავისუფლება აღკვეთილი ბავშვების დაცვის საერთაშორისო კანონმდებლობა.

ფუნდამენტური პრინციპები ხაზს უსვამს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე ნებისმიერ მიდგომას, მათ შორის: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზღვრული ასაკი უნდა იყოს 15

წელი ან ამ ასაკთან რაც შეიძლება მიახლოებული; უდანაშაულობის პრეზუმფცია; სამართლიანი სასამართლოს გარანტიები; მშობელთათვის ან მეურვეთათვის დაუყოვნებელი შეტყობინება და არასრულწლოვანთა დაკავებისას მათთვის თავიანთი უფლებების გაცნობა; შესაძლებლობის ფარგლებში წინასწარი პატიმრობის თავიდან აცილება და ნებისმიერი წინასწარი პატიმრობის ვადის რაც შეიძლება უმოკლესი ვადით შემცირების უზრუნველყოფა, მისი გამოყენება მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით; მომსახურების საშუალებებითა და მომსახურებით სარგებლობის უფლება, რომლებიც პასუხობენ ჯანმრთელობისა და ადამიანის ღირსების მოთხოვნებს და როგორც პრევენციული, ასევე სამკურნალო ადეკვატური სამედიცინო მომსახურების უფლება; აკრძალვა ყველა დისციპლინური ზომისა, რომლებიც შეიცავს სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას, მათ შორის, ფიზიკურ დასჯას, რომელმაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას არასრულწლოვანის ფიზიკურ ან გონებრივ ჯანმრთელობას; სამართლიანი და ადამიანური მოპყრობის უფლება, მათ შორის პაემნების, პირადი ცხოვრების, გარესამყაროსთან კომუნიკაციისა და ყოველდღიური მეცადინეობის უფლება; განათლების უზრუნველყოფა (თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ კვალიფიცირებული მასწავლებლების მიერ), რომელიც შეესაბამება მის მოთხოვნებს და რომლის მიზანია არასრულწლოვანის მომზადება საზოგადოებაში დასაბრუნებლად; ბავშვების უფროსებისაგან განცალკევებულად განთავსების უზრუნველყოფა, თუკი ისინი არ არიან ერთი ოჯახის წევრები; სიკვდილით დასჯის აკრძალვა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისადმი სწორი მიდგომა ასევე მოითხოვს, ძალისხმევა, პირველ რიგში, მიმართული იყოს ბავშვებში დანაშაულის თავიდან აცილებისაკენ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ფართო საკითხია, რომელიც მოიცავს დამნაშავეობის პრევენციას, დანაშაულთა ტიპებს, რომლებისთვისაც ბავშვს შეიძლება ბრალი წაეყენოს და პოლიციაში, სასამართლოსა და არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მათდამი მოპყრობის საკითხებს. შესაბამისად, ეს არის მრავალმხრივი, ურთიერთდაკავშირებული ფუნქციური სისტემები განსხვავებული მონაწილეებით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალური სისტემის ფუნქციონირება ხშირად განხილვის საგანია, კერძოდ, არის თუ არა იგი:

- ეფექტური;
- სამართლიანი და ადამიანური – იგი პატივს უნდა სცემდეს ადამიანის ღირსებას, რომელიც შეფასებულია საერთაშორისო, რეგიონალურ და ადგილობრივ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა სტანდარტებით და ყურადღებით უნდა მოეკიდოს არასრულწლოვანთა განვითარების (კეთილდღეობის) მოთხოვნებს.

შესაბამისად, სახელმწიფოებმა, ერთი მხრივ, უნდა დააბალანსონ დაუცველ არასრულწლოვანთა ინტერესები და, მეორე მხრივ, უზრუნველყონ საზოგადოების დაცვა სხვებისაგან, სახელმწიფო რესურსების ეფექტური გამოყენების გზით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მიზანია: ხელი შეუწყოს არასრულწლოვანთა გამოსწორებას, მათი პასუხისმგებლობის გააზრებისა და მათი ქმედების შედეგების გაგებაში დახმარების განევის გზით; თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს ფორმალური მართლმსაჯულების სისტემის გამოყენება; ხელი შეუწყოს მათს რეინტეგრაციას, რომელიც ძირითადი საზრუნავია; დასაქმდეს სხვა რამით სადამსჯელო ღონისძიების (თავისუფლების აღკვეთის) ნაცვლად.

ფორმალური მართლმსაჯულების სისტემის გამოყენების თავიდან აცილებისა და მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, შემუშავდა სხვადასხვა ალტერნატიული პროგრამა, რომლებიც შემოიფარგლებიან: 1. დამნაშავეებით, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს დანაშაული; 2. დამნაშავეებით, რომლებიც ბრალდებულნი არიან მსუბუქი ქმედებების ჩადენაში; 3. დამნაშავეებით, რომლებიც აღიარებენ დანაშაულს.

ალტერნატიული პროგრამა მოიცავს: 1. პოლიციის გაფრთხილებას – პოლიცია იღებს გადაწყვეტილებას, არ მიმართოს ბრალის ნაყენების ფორმალურ პროცესს, არამედ უბრალოდ გააფრთხილოს არასრულწლოვანი და მისი მშობლები, რომ ნებისმიერი ამგვარი საქციელის განმეორება გამოიწვევს სასამართლოს ჩარევას; 2. საფრანგეთის *Rappel a la loi*-ს (მონოდებას კანონის დაცვისაკენ) – სასამართლოს წარმომადგენლების, არასრულწლოვანისა და მშობლების ფორმალურ

შეხვედრას, რა დროსაც არასრულწლოვანი გაეცნობა დანაშაულთან დაკავშირებულ სამართლებრივ ტექსტს და ასევე სასამართლოს პოტენციურ განაჩენებს; 3. სასამართლოში გამოცხადებამდე სოციალური მუშაკების მიერ შემონმების პროცესის განხორციელებას და არასრულწლოვანისათვის შეთავაზებას, რომ, თუ იგი აღიარებს დანაშაულს და დამაკმაყოფილებლად დაამთავრებს სპეციალურ კურსს, ბრალდების მხარე დახურავს საქმეს.

შოტლანდიაში „ბავშვთა სასამართლო პროცესების“ სისტემის პირობები არის უფრო ნაკლებად ფორმალური და განსხვავებული, ვიდრე სასამართლო პროცესები; არაპროფესიონალი წევრების მომზადებული შემადგენლობა საქმეს განიხილავს არასრულწლოვანთან, ოჯახთან, მასწავლებლებთან, სოციალურ მუშაკებთან ერთად და იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ეფუძნება არასრულწლოვანის კეთილდღეობას. გადანყვეტილება ექვემდებარება გასაჩივრებას; ფილიპინებში „სოფლის მართლმსაჯულების სისტემა“ მოიცავს შუამდგომლობის სქემას, რომელიც მიზნად ისახავს ორმხრივად მისაღები გადაწყვეტილების მიღებას და ა.შ.

დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი ბავშვები სარგებლობენ იმავე უფლებებით, როგორებიცაა უფროსები, მათ შორის: უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებით, პირადი ცხოვრების უფლებით (რომელიც მოიცავს უფლებას, არ ჩატარდეს ჩხრეკა საკმარისი მიზეზის არარსებობისას), ინფორმაციის გაცემის ვალდებულების არქონის უფლებით და უფლებით, არ იქნეს დაკითხული ზედამხედველის დასწრების გარეშე. დამატებით, ისინი სარგებლობენ სპეციალური დაცვის უფლებით, რომელიც მოიცავს უფლებას, არ იყვნენ მოთავსებული უფროსებთან ერთად და უფლებას, მათს ოჯახებს ან სხვა პასუხისმგებელ უფროსებს დაუყოვნებლივ მიენოლოთ ინფორმაცია მათი მდგომარეობის შესახებ.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად: „არც ერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება თვითნებურად ან უკანონოდ“. დამატებით იგი ითვალისწინებს, რომ „ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ... უნდა გამოიყენებოდეს, როგორც უკიდურესი ზომა რაც შეიძლება ნაკლები დროის განმავლობაში“. ეს ეხება პროცესის ყველა ფაზას – მომცილებიდან პატიმრობამდე.

გამოძიების ან სასამართლო პროცესის მოლოდინში მყოფ მოზარდებთან მიმართებით „უკიდურესი ზომის“ მოთხოვნა გულისხმობს, რომ დაკავება არ არის გამართლებული, იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სხვა გზა, რათა თავიდან იქნეს აცილებული გაქცევის საფრთხე, დამატებით დანაშაულის ჩადენა ან მტკიცებულებათა ფალსიფიცირება. წინასწარი პატიმრობის სანაცვლოდ გირაოს გადახდა არ არის მიზანშეწონილი, რადგან იგი დისკრიმინაციულია გაჭირვებული ოჯახების მოზარდებისათვის. როდესაც საეჭვოა ოჯახების შესაძლებლობა, უზრუნველყონ ეფექტური ზედამხედველობა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზედამხედველობის დამატებითი ფორმები ან ბავშვი შეიძლება დროებით განთავსდეს მზრუნველობის დაწესებულებაში. იმ ბავშვების შემთხვევაში, რომლებმაც დატოვეს ოჯახები ცუდად მოპყრობის ან უყურადღებობის გამო, ასევე, რომელთა ოჯახების იდენტიფიცირება ან ადგილმდებარეობის დადგენა ვერ ხერხდება, სხვა ზედამხედველი უფროსის ან სხვა პასუხისმგებელი ორგანიზაციის მფარველობაში განთავსება უნდა იქნეს გათვალისწინებული. როდესაც მოზარდის წინასწარ დაკავება გარდაუვალია, პრიორიტეტული უნდა იყოს საქმის შეძლებისდაგვარად დროულად დასრულება.

დაკავებული მოზარდები სარგებლობენ იმავე უფლებებით, რომლებითაც სხვა პირები, მათ შორის: ჰუმანური მოპყრობის უფლებებით, საკუთარ ოჯახებთან კონტაქტის უფლებით, უფლებით, მიენოდოთ ინფორმაცია დაკავების მიზეზთა შესახებ, სამართლებრივი დახმარების უფლებით და უფლებით, გააპროტესტონ თავიანთი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება. დამატებით მათ აქვთ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება, არ იყვნენ განთავსებულნი უფროსებთან ერთად და უფლება, მოეპყრონ ისე, როგორც მათს ასაკს შეეფერება. ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, „ყოველი თავისუფლებათა აღკვეთილი ბავშვი უნდა განცალკევდეს უფროსებისაგან, თუ არ მიიჩნევა, რომ ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებისათვის ამის გაკეთება არ არის საჭირო“. სერიოზული მლელვარების საკითხია, რომ ქვეყანათა უმეტესობაში არ არსებობს დაწესებულებები, რომლებიც განკუთვნილი იქნებოდა დამნაშავე გოგონებისათვის. ამდენად, ისინი განთავსებულნი არიან

უფროს მსჯავრდებულებთან ერთად, მიუხედავად საფრთხისა, რომ უფროსებთან ისინი შესაძლოა, დაეუფლონ დანაშაულის ხელობას.¹ უფლება, არ განთავსდნენ უფროსებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ძალადობის, ექსპლუატაციის ან სხვა მსჯავრდებულთა მიერ ჩაგვრის თავიდან ასაცილებლად.

პატიმრობის ხანგრძლივობა რაც შეიძლება მოკლე უნდა იყოს (მოკლევადიანი დაპატიმრება), სანამ ალტერნატიული სანქციები (საზოგადოებრივი სამსახური, სამუშაო მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად და სასწავლო პროგრამის გავლა) იქნება გამოყენებული მსუბუქი დანაშაულებისათვის. მიუხედავად მათი წარმატებისა, საზოგადოებრივი ალტერნატივების უმრავლესობა მაინც მხოლოდ უმნიშვნელო როლს ასრულებს უმეტეს მართლმსაჯულების სისტემებში. უფრო მეტიც, უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არასრულწლოვანებში დანაშაულის პრევენციას და გადაყვანის სრული მხარდაჭერა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ბავშვისათვის, რომლებიც ცხოვრობენ ახალგაზრდა დამნაშავეთა დაწესებულებებში, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ხელახლა დანაშაულის ჩადენისა და დაპატიმრების მაღალი რისკი. ბავშვთა სპეციალური საჭიროებები და ცხოვრების პირობები თავისუფლების აღკვეთის განმავლობაში საზოგადოების მხრიდან მოითხოვს საგანგებო რეაგირებას სამართლებრივი და პრაქტიკული თვალსაზრისით.

დაწესებულებებში დაპატიმრებული არასრულწლოვნები გარანტირებულინი უნდა იყვნენ ისეთი მიზანმიმართული ღონისძიებებითა და პროგრამებით სარგებლობით, რომლებიც ხელს შეუწყობს და შეუნარჩუნებს მათ ჯანმრთელობასა და თავმოყვარეობას, განამტკიცებს მათი პასუხისმგებლობის გრძობას და დაეხმარება იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც მომავალში წაადგებათ, განავითარონ თავიანთი პოტენციური საზოგადოების სრულუფლებიანი წევრობისათვის. (გაეროს თავისუფლებათა აღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის წესები, მე-12 წესი).

ასევე არსებობს **ეფექტური პროგრამების** საჭიროება, რომლებიც დაეხმარება დანაშაულში ჩართულ მოზარდებს, გადალახონ თავიანთი პრობლემები და მოემზადონ კანონმორჩილი საზოგადოების წევრობისათვის.

არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაციის პროგრამამ უნდა უზრუნველყოს

შემდეგი: 1. არასაპატიმრო პროგრამების ხელმისაწვდომობა, რომელიც მოიცავს ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას, პრობაციას, საზოგადოებრივ სამსახურს, დაზარალებულთა კომპენსირებასა და რესტიტუციას, ჯგუფურ კონსულტაციებს.; 2. საპატიმრო დაწესებულებები უნდა იყოს საკმარისად პატარა, რათა გაადვილდეს ინდივიდუალური ზრუნვა და იმგვარად უნდა იყოს დეცენტრალიზებული, რომ არასრულწლოვანს მიეცეს საშუალება, ეს მზრუნველობა მიიღოს თავის საზოგადოებასთან ახლოს; 3. საპატიმრო რეაბილიტაციის პროგრამების ხელმისაწვდომობა, განათლების, კონსულტაციის, პროფესიული წვრთნისა და დასვენების ჩათვლით, ადაპტირებული განსხვავებული ტიპის დამნაშავეთა მოთხოვნებზე, საზოგადოებრივ სამსახურებთან თანამშრომლობით და პროგრამების შესაძლებლობის ფარგლებში; 4. საზოგადოებისაგან იზოლირება არ უნდა იყოს აუცილებლობაზე მეტი და დაპატიმრებულთა კავშირი საკუთარ ოჯახებთან ხელშეწყობილი და გამარტივებული უნდა იყოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს; 5. ეფექტური, დამოუკიდებელი მექანიზმები, რომელნიც შექმნილია, რათა გამოძიებულ იქნეს საჩივრები ბავშვის უფლებათა დამრღვევი სამართალდამცავი ორგანოების ან თანამდებობის პირთა წინააღმდეგ.

საერთაშორისო დოკუმენტები

ბავშვთა და მოზარდთა დიდი რაოდენობისათვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ჩართვა რეალობაა, ამ მზარდი პრობლემის პასუხად გაერომ მიიღო რიგი საერთაშორისო დოკუმენტებისა, რომელნიც პირდაპირ ბავშვთა უფლებებსა და არასრულწლოვანთა დანაშაულებს ეხება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი ბავშვის უფლებათა კონვენციაა (კერძოდ, 37-ე, 39-ე, მე-40 მუხლები), რომელსაც ამყარებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში გაეროს მინიმალური სტანდარტები და ნორმები. მინიმალური სტანდარტები მოიცავს: არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების შესახებ გაეროს მინიმალურ სტანდარტულ წესებს (პეკინის წესები), არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის თავიდან აცილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებსა (რიადის პრინციპები) და გაეროს თავისუფლებააღკვეთილ არა-

სრულწლოვანთა დაცვის მინიმალურ სტანდარტებს (ჰავანის წესები), და უფრო ახალს – ვენის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში არასრულწლოვანებთან მუშაობის სახელმძღვანელო პრინციპებს. გაეროს მინიმალური სტანდარტები და ნორმები ემატება, ავრცობს და ამყარებს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის დებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო პრინციპები პირდაპირ არ ავალდებულებს საქართველოს, „ისინი ერთობლივად ქმნიან უნივერსალური სტანდარტების მთლიან პაკეტს და განსაზღვრავენ მსოფლიოს საზოგადოების მიერ გასათვალისწინებელ სასურველ პრაქტიკას“.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია ნათლად განსაზღვრავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თაობაზე კანონების შემუშავებისა და განხორციელებისას გასათვალისწინებელია ბავშვთა ხელშეუვალი სპეციალური მოთხოვნები და დაუცველობა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს არა დასჯა დანაშაულის ჩადენისათვის, არამედ – არასრულწლოვანის რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია.

რამდენიმე ათწლეულის მანძილზე არსებული საერთაშორისო დოკუმენტები ადგენენ სტანდარტებს და შეიცავენ სახელმძღვანელო პრინციპებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების თაობაზე. მიუხედავად ამისა, მათში შესული უფლებები, ნორმები და პრინციპები რეგულარულად იგნორირებულია, ხშირად დაუცველია და ხანდახან სერიოზულად დარღვეულია. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ნევერი ყველა სახელმწიფო (გარდამავალი და სუსტი ეკონომიკის შემთხვევაშიც) ვალდებულია, „გამოყოს შესაძლო რესურსების მაქსიმალური რაოდენობა კონვენციის განხორციელებისათვის და პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ბავშვებს“.² სადღეისო ამოცანაა, ბავშვთა უფლებების უნივერსალური მიღება გარდაიქმნას მათი უფლებების უნივერსალურ დაცვად.

I. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია – UNCRC (1989). ბავშვის უფლებათა კონვენცია პირველი საერთაშორისო დოკუმენტია ბავშვთა თავისუფლების აღკვეთაზე საერთაშორისოსამართლებრივ რეგულირებასთან მიმართებით ერთიანი მიდგომის შესამუშავებლად. ბავშვის უფლებათა კონვენციის ყველაზე სპეციფიკური მუხლები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან

დაკავშირებით არის 37-ე და მე-40. ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი სპეციალურად იცავს თავისუფლებადკვეთილ ბავშვებს მათი სამართლიანი პროცესის დარღვევისაგან და იცავს მათი პიროვნული ხელშეუხებლობის უფლებას. იგი:

- კრძალავს წამებას, სასტიკ, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს, სიკვდილით დასჯას, სამუდამო პატიმრობას, თავისუფლების აღკვეთას უკანონოდ ან თვითნებურად, დაკავებას ან დაპატიმრებას;
- ითვალისწინებს, რომ დაკავება ან დაპატიმრება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ, როგორც უკიდურესი ზომა და რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში;
- აღწერს თავისუფლებადკვეთილი ბავშვების უფლებას, ეპყრობოდნენ ადამიანურად და პიროვნების ღირსების პატივისცემით, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი ასაკი, განცალკევებული იყოს უფროსებისაგან, შეინარჩუნოს ოჯახთან კავშირი, დაუყოვნებლივ მიიღოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება, გააპროტესტოს მისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება და დაელოდოს დაუყოვნებლივ გადანყვეტილების გამოტანას ნებისმიერი ასეთი პროცესუალური ქმედების თაობაზე.

უფრო მეტიც, მე-40 მუხლი მოიცავს უფლებებს ყველა ბავშვისას, ვინც ჩაიდინა დანაშაული და დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, როგორებიცაა: პრინციპი *nullum crimen sine lege* – არ არსებობს დანაშაული, რომ არ იყოს გათვალისწინებული კანონით; მინიმალური დაცვის გარანტია სადამსჯელო პროცედურის ყველა ეტაპზე; კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დაწესებულებების ჩამოყალიბება უშუალოდ ისეთი ბავშვებისათვის, რომლებიც ბრალდებულნი ან ცნობილი არიან სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამრღვევებად, და ასევე, ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს. დამნაშავე ბავშვისადმი მოპყრობა ხელს უნდა უწყობდეს მისი ღირსებისა და საკუთარი თავის მნიშვნელობის გრძობის განვითარებას, რაც მას განუმტკიცებს ადამიანის უფლებებისა და სხვა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, გაითვალისწინებს ბავშვის ასაკს და ხელს შეუწყობს მის რეინტეგრაციას, თავდაჯერებულობის განმტკიცებას საზოგადო-

ებაში მისი სასარგებლო როლის შესახებ, ასევე გაითვალისწინებს ალტერნატიულ ინსტიტუციური მოვლის საკითხებს. წევრი სახელმწიფოებისაგან იგი მოითხოვს, უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსაკუთრებული სისტემის მიზნები იყოს უფრო პოზიტიური, ვიდრე დამსჯელობითი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების შესახებ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები – პეკინის წესები (1985). პეკინის წესები პირველი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც მთლიანად ადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების წესებს. მათ პრაქტიკულად წინ გაუსწრეს ბავშვის უფლებათა კონვენციას. ისინი სპეციალურად არის ნახსენები გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის შესავალში.

პეკინის წესები სახელმწიფოებს უწესებს მითითებებს ბავშვის უფლებათა დაცვისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ცალკე და სპეციალიზებული სისტემების განვითარებისათვის, მათი მოთხოვნების პატივისცემის შესახებ.

სახელმწიფოებისათვის რეკომენდებულია, გამოიყენონ ყველა შესაძლო რესურსი, „მათ შორის: ოჯახი, მოხალისეები და საზოგადოების სხვა ჯგუფები, ისევე, როგორც სკოლები და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებები“, რათა განხორციელდეს ორი მიზანი:

1) მინიმუმამდე იყოს დაყვანილი „კანონის გამოყენების“ აუცილებლობა და

2) შემცირდეს ზიანი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა ჩარევამ, როგორიცაა „კანონმდებლობის დამრღვევ არასრულწლოვანებთან მოპყრობა ეფექტურად, სამართლიანად და ჰუმანურად“.

პეკინის წესები ითვალისწინებს, რომ დაპატიმრება უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ როგორც სასჯელის უკიდურესი ზომა (*ultimum refugium*), რაც შეიძლება, მოკლე ვადით და შესაბამისად: მხარს უჭერს ინსტიტუციონალიზაციის ალტერნატივის გამოყენებას, რაც შეიძლება, მაქსიმალურ ზღვრამდე. მინიმალური ჩარევის პრინციპი მნიშვნელოვნად ეხმარება ახალგაზრდებს, რომლებიც ცნობილი არიან დამნაშავეებად...

პეკინის წესების შესაბამისად: სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი არ უნდა იყოს „ძალიან დაბალი“ და უნდა ითვალისწინებდეს მოზარდის ემოციური, სულიერი და ინტელექტუალური განვითარებ-

ის ასპექტებს; ძირითადი პროცედურული დაცვა გარანტირებული უნდა იყოს პროცესის ყველა სტადიაზე;³ უპირატესობა უნდა მიეცეს აცილებებს; წინასწარი დაკავების ზომები გამოყენებული უნდა იქნეს „მხოლოდ როგორც სასჯელის უკიდურესი ზომა და, რაც შეიძლება, მოკლე ვადით“, თავისუფლებააღკვეთილი უნდა იყვნენ განცალკევებულნი უფროსებისაგან და უნდა ჰქონდეთ აუცილებელი მოვლა, დაცვა, დახმარება; აღნიშნული წესები ასევე ითვალისწინებს: სიკვდილით დასჯისა და სახალხო დასჯის აკრძალვას; მკაცრი შეზღუდვების დაწესებას იქ, სადაც შესაძლებელია თავისუფლების აღკვეთა; ინსტიტუციონალიზაციის, რაც შეიძლება, მინიმალურად გამოყენებას. დაწესებულებებში განთავსებულ არასრულწლოვანთა მოპყრობა უნდა ითვალისწინებდეს: მოვლას, დაცვას, განათლებასა და პროფესიულ წვრთნას; სპეციალურ ყურადღებას ახალგაზრდა მდებარეობითი სქესის დამნაშავეების მიმართ, მშობლებთან და მეურვეებთან ურთიერთობის უფლების უზრუნველყოფას; ადეკვატურ აკადემიურ და/ან პროფესიულ წვრთნას, რათა „მათ არ დატოვონ დაწესებულება განათლების გარეშე“; შესაძლებელი უნდა იყოს ხშირად და ვადაზე ადრე პირობით განთავსების თხოვნა და ა.შ.

არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის თავიდან აცილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები – რიადის პრინციპები. რიადის პრინციპები არის პრევენციისა და სოციალური რეინტეგრაციის მრავალმხრივი მიდგომა. პრევენცია ან მისი მიზნები არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ საზოგადოების დაცვით ან დანაშაულის კონტროლით, არამედ მისი მთავარი მოტივი უნდა იყოს ახალგაზრდების კეთილდღეობა ადრეული ბავშვობიდანვე, რასაც „ნებისმიერი პრევენციული პროგრამის მიმართულება“ უნდა გულისხმობდეს. პრინციპები მოუწოდებს, რომ ორიენტაცია მიმართული იყოს ბავშვისაკენ, დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის პროგრესისაკენ და მისაღები ზომების უწყვეტი გამოსწორებისა და განვითარებისაკენ.

რიადის პრინციპები ასევე მოუწოდებს: არასრულწლოვანთა ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით სპეციალური კანონების მიღებისაკენ; დანაშაულთა სტატუსის დეკრიმინალიზაციისაკენ; ომბუდსმენის სამსახურის ან მსგავსი დამოუკიდებელი ორგანოს

დაარსებისაკენ, ასევე არასრულწლოვანებთან მომუშავე პერსონალის წვრთნისაკენ.

გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ – JDLS. პეკინის წესებსა და რიადის პრინციპებთან შედარებით, JDLS აწესებს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა შესახებ უფრო დეტალურ წესებს, რომელთა მიზანია, დახურულ დაწესებულებაშიც კი იყოს დაცული დაკავებული არასრულწლოვანის ღირსება და ძირითადი უფლებები.

თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ გაეროს წესები, რომლებიც ინსპირირებულია ბავშვის უფლებათა კონვენციით, განსაზღვრავს არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაციის ამომწურავ მიდგომას. ზოგიერთი ძირითადი პრინციპია:

- დაწესებულებები დეცენტრალიზებული უნდა იყოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანთა დაკავება მათი ოჯახებისა და საზოგადოებისაგან მოშორებით, და უნდა იყოს პატარა, რათა იძლეოდეს ინდივიდუალურად ყურადღების მიქცევის საშუალებას.
- სისტემა უნდა შეიცავდეს ღია და ნახევრად ღია დაწესებულებებს, რათა შეესაბამებოდეს მოთხოვნებს ბავშვისას, რომელსაც სჭირდება საცხოვრებელი მონყობა, თუმცა ეს სერიოზულ საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს საზოგადოებას.
- ზრუნვა უნდა დაიწყოს ინდივიდუალური პირის საჭიროებათა შეფასებით და უნდა შეიცავდეს: განათლების შესაბამის ფორმებს, მუშაობას, სულიერ და ფიზიკურ კონსულტაციებს, დასვენებას და სამედიცინო პრობლემების, მათ შორის ნარკოტიკულ ნივთიერებებსა თუ ალკოჰოლზე დამოკიდებულების, მოგვარებას.
- ბავშვის უფლებების პატივისცემა აუცილებელია რეაბილიტაციისათვის, რადგან ხელს უწყობს სხვათა უფლებების პატივისცემას.

თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა წესების შესაბამისად, წინასწარი დაკავება, რაც შეიძლება, მაქსიმალურ ზღვრამდე უნდა იყოს თავიდან აცილებული; ყველა ძალა უნდა იქნეს გამოყენებული ალტერნატიული ზომების შესაფარდებლად; თუ პრევენციული დაკავება არის გამოყენებული, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სწრაფ სასამართლო პროცესს, რათა უზრუნველყოფილ

იქნეს მცირე დაკავების პერიოდები; არასრულწლოვანები წინასწარ საპატიმროებში უდანაშაულოდ უნდა ითვლებოდნენ; მათ უნდა მიეცეთ უფასო სამართლებრივი დახმარებისა და ადვოკატთან კომუნიკაციის უფლება; უნდა ჰქონდეთ: სამუშაოს (ანაზღაურებით), განათლების ან პროფესიული წვრთნის მიღების საშუალება, ასევე, მიიღონ და შეინახონ შესაბამისი მასალები თავიანთი თავისუფალი დროისა და დასვენებისათვის.

There is no system of summary trial for children who admit offences and this leads to unnecessary pre-trial detention. In other words no system by which his case can be fast-tracked and brought into the court shortly after charge for final hearing. Instead, the child must wait in the queue for his case to be heard. This is not in the child's best interests and is not using detention as a last resort for the shortest period of time. It is also deeply ineffective and costly from resource perspective. Consolidated trials would assist the pro-

cess of reducing delay and would reduce the time children spent in detention.

There does not appear to be any opportunity for the teacher or the lawyer to speak to the child before the questioning begins. Thus there is no opportunity to explain why they are there, their role or what is going to happen to the child as a result of being arrested. To a great extent the protection provided by the attendance of the teacher and the lawyer is illusory. Therefore, the lawyer should be entitled to talk to his child client in private before any questioning by the police occurs.

Courts are frightening and intimidating places for children facing trial who, like adults are placed in a cage in the court, away from their parents. At the outset of court hearings, judges explain the rights of the accused, but it is likely that many children fail to understand the legal language used by the judge and are not familiar with court procedure. The physical placement of the parents so far away from the child reduces the support that they are able to offer a child facing trial. In the intimidating arena of an adult court, it is vital that minors are adequately represented to ensure that their case is properly considered and that mitigating factors are presented.

The Beijing Rules lay down detailed provisions on sentencing. Any sanction imposed on a child must always be proportionate to the circumstances of the offence and also to the circumstances and the needs of the juvenile, as well as the needs of society. The best interest of the child should be the guiding principle in any decision.

The Criminal Code has provisions relating to early release and parole, but these are not widely used. The court can conditionally release a juvenile sentenced to corrective labour or imprisonment before the expiration of the term if the court holds that completion of the sentence is no longer necessary for corrective purposes. Although it is encouraging to see some applications for early release, it would appear that it is rare to review the sentence of a juvenile to determine a need for custody continues to exist. The failure to review amounts to non-compliance with art. 25 UNCRC, the ECHR and Rules 32.3 and 28 of the Beijing Rules.

Current system of JJ provides too little discretion, flexibility and alternatives to criminal-

ization to meet human rights standards. Once a child is suspected of a crime he/she will find himself inexorably drawn into the criminal justice system. Once arrested, the police have no discretion to discontinue their investigation and divert the child out of the criminal system and neither does the prosecutor. There is far too great a use of pretrial detention and too few options of non-custodial sentencing available to the courts. The detention facilities presently used for juveniles violate children's rights. In addition there is no juvenile police juvenile courts and etc.

It is necessary to introduce early intervention programmes for children at risk of offending, diversion programmes for those who have offended the development of a child friendly justice system and alternative, community based sentences for children who offend.

Children should no longer be placed in police isolators. The small number of children

arrested for serious offences of violence or for persistent property theft should be placed in secure accommodation. All other children should be released under the supervision of their parents or the children's home in which they live.

A range of community based services should be developed nationally, including:

- preventive services for children at risk of anti-social behaviour or offending
- a range of pre-trial diversion programmes
- a range of alternatives to custodial sentencing and pre-trial detention, including fostering, supervision.

These programmes should be developed and funded as a matter of urgency and should be made available country wide and for every child who could benefit.

¹ The Howard League for Penal Reform, (1997), The Use of Imprisonment for girls, Factsheet No. 16.

² Vienna Declaration and Programme of Action (Part 1, para. 21) adopted by the World Conference on Human Rights, Vienna, 25 June 1993, (A/CONF. 157/24 (Part 1, chp.111).

³ Presumption of innocence; the right to be notified of the charges; the right to remain silent; the right to counsel; the right to the presence of parent or guardian; the right to confront and cross-examine witnesses; the right to appeal to a higher authority, the protection of privacy.

⁴ Example Art. 5; Art. 6.1; Art. 8.1; Art. 8.2; Art. 2 of the first additional protocol .

ოგზუსმენის ინსტიტუტი

ადამიანის უფლებები ზოგადსაკაცობრიო ფასეულობაა. მათს ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კულტურულ-ისტორიულმა ეპოქებმა, ცივილიზაციებმა და პოლიტიკურმა ძალებმა.

ადამიანის უფლებათა კონცეფცია ბუნებითი სამართლის დოქტრინიდან გამომდინარეობს და თავის თავში ორ ძირითად ცნებას შეიცავს: პირველი იმით გამოიხატება, რომ ადამიანს მინიჭებული აქვს ხელშეუვალი და განუსხვისებელი უფლებები. ეს მორალური უფლებები ყოველი ინდივიდის ადამიანური ბუნებიდან გამომდინარეობს და მათი დანიშნულებაა ადამიანის საკუთარი ღირსების გრძნობის შენარჩუნება; ადამიანის უფლებების კონცეფციის მეორე ცნებას იურიდიული უფლებები განეკუთვნება. მათი დადგენა იმ ნორმაშემოქმედებითი პროცესების მიხედვით ხდება, რომლებიც როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე მიმდინარეობს. მსგავსი უფლებების საფუძველი იმათი თანხმობაა, ვისზეც ეს უფლებები უნდა გავრცელდეს, ანუ სამართლებრივი ობიექტისა, მაშინ, როცა პირველი ჯგუფის უფლებების საფუძველი ბუნებითი წესრიგია.

ადამიანის სიცოცხლე და ღირსება მთელი ისტორიის განმავლობაში ფეხქვეშ ითელებოდა. ისეთი ნორმების გამოყენების იდეა, რომლებიც ერთიანი იქნებოდა ყველა ადამიანისათვის ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, რამდენიმე ასწლეულის წინ დაიბადა. მართლაც, არ არსებობს საზოგადოება, რომელსაც არ ჰქონოდა რაიმე წესები გარკვეული უფლებების დასაცავად.

საზოგადოების ყველა წევრის თანასწორობის პრინციპი, ისევე როგორც სხვა ბევრი ძირითადი პრინციპი, რომლებიც შეადგენენ იმას, რაც დღეს ადამიანის უფლებებად იწოდება, პრაქტიკულად ნიშანდობლივია ყოველი კულტურის, რელიგიისა და ფილოსოფიური ტრადიციებისათვის. ერთი ასეთი ტრადიციათაგანი, რომლის სათავეც რელიგიაში

დევს, „ბუნებით უფლებებად“ (*jus naturale, natural rights*) იწოდება.

ადამიანის უფლებების, როგორც ტერმინის, აღმოცენებასა და დამკვიდრებას წინ უსწრებდა XVII საუკუნის ფილოსოფოსთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ფართოდ გავრცელებული „ბუნებითი უფლებების“ ცნება, რომელიც ანტიკური ხანის მოაზროვნეთა მიერ შემუშავებულ „ბუნებითი სამართლის“ (*lex naturale*) თეორიას უკავშირდება. „ბუნებითი უფლებების“ სინონიმად „განუყოფელი“ ანუ „ხელშეუვალი უფლებები“ (*inalienable rights*) იხმარებოდა.

ბუნებით სამართალთან დაკავშირებით ჟაკ მარტიენი შენიშნავდა: „ადამიანის პიროვნება უფლებებს მხოლოდ იმ ფაქტის გამო ფლობს, რომ იგი არის პიროვნება, მთლიანობა, საკუთარი თავისა და ქმედებების ბატონპატრონი. ბუნებითი სამართლის ნყალობით, ადამიანს უფლება აქვს: პატივს სცემდნენ, იყოს უფლებათა სუბიექტი, ფლობდეს უფლებებს. ყოველივე ეს კი ადამიანს მხოლოდ იმ ფაქტის გამო ეკუთვნის, რომ იგი ადამიანი არის“.

XVIII საუკუნის განმავლობაში „ბუნებით უფლებებთან“ დაკავშირებულმა იდეების პირველმა გამოსატყულებამ „ბუნებითი სამართლის“ ნორმების იურიდიულ ნორმებად ცნობა გამოიწვია. აღნიშნული ნორმები პირველად გახდა კაცობრიობის ისტორიაში ეროვნული კონსტიტუციების ნაწილი და ამით გამოიხატა ხელშეკრულებითი ურთიერთობა სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის, საიდანაც გამომდინარეობდა, რომ სახელმწიფოს ძალაუფლება თავისუფალი პიროვნების თანხმობას ეფუძნებოდა. 1776 წლის ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა ფრანგული დეკლარაცია მოცემული ნაწილდღვრიდან მომდინარეობს. შემდგომ პერიოდში ეს პრინციპი გაიზიარეს ევროპულმა, ლათინოამერიკულმა და აზიის იმ სახელმწიფოე-

ბმა, რომლებიც კოლონიების ხვედრს გადაურჩნენ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შეგვიძლია სამართლიანად ვამტკიცოთ, რომ ადამიანის უფლებები, როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენა, ახალი და უახლესი ისტორიის ნაყოფია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველ პიროვნებას მინიჭებული აქვს საერთაშორისო სამართლით აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ვალდებულია, პატივს სცემდეს და იცავდეს ამ უფლებებსა და თავისუფლებებს. ეს თვალსაზრისი კარგად არის ასახული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, რომლის პრეამბულაშიც გაერთიანებული ერების ხალხებმა ერთხმად განაცხადეს, რომ თავიანთ მიზნად დაისახეს, განამტკიცონ რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულებებისადმი. გაერო მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას ყველასათვის, რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად.

გაეროს წესდებაში აღნიშნული ღირებულების შეტანით ორგანიზაციის მამამთავრებმა საფუძველი ჩაუყარეს საერთაშორისო სამართლის ახალი დარგის – ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის აღმოცენებას. ამ უკანასკნელის საბაზისო დოკუმენტად 1948 წლის 10 დეკემბრის გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია იქცა. გამომდინარე იქიდან, რომ დეკლარაცია სავალდებულო ძალის მატარებელი არ არის, შეიქმნა საერთაშორისო დოკუმენტები (პაქტები, კონვენციები და ქარტიები), რომლებშიც ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვის მექანიზმები ჩაიდო.

ადამიანის უფლებათა განვითარებისა და განმტკიცების მეორე ეტაპი იყო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით აღიარებული პრინციპების დანერგვა ეროვნულ კონსტიტუციებში და ქვეყნის შიდასაკანონმდებლო სისტემის ჰარმონიზაცია მათადმი. ამასთანავე, აუცილებლობამ განაპირობა, ადამიანის უფლებათა დაცვის ისეთი საერთაშორისო მექანიზმების კვალობაზე, როგორებიცაა: გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, ადამიანის უფლებათა ამერიკის სახელმწიფოთაშორისი კომისია და სასამართლო, აფრიკის ადამიანისა და ხალხთა უფლებების კომისია, ქვეყნებს შიგნითაც შექმ-

ნილიყო ანალოგიური ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას. აღნიშნული მოთხოვნა ემსახურებოდა იმ ამოსავალ დებულებას, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებები გარანტირებული უნდა იყოს არა მარტო ნორმატიულად, არამედ – პრაქტიკულადაც.

სახელმწიფოს, როგორც ერთი მთლიანის და მისი ცალკეული ორგანოების, დამოკიდებულება ადამიანის უფლებებისადმი ამკარა მაჩვენებელია იმ პოლიტიკური წესწყობილებისა, რომელიც მოცემულ სახელმწიფოში დამკვიდრებული. დღესდღეობით თითქმის არ დარჩა მაღალგანვითარებული დემოკრატიული სახელმწიფო, რომელსაც თავის კონსტიტუციაში ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები არ ჰქონდეს დაფიქსირებული.

კონსტიტუციაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ასახვა ქმნის პიროვნების მიმართ სახელმწიფოს შესაძლო ძალმომრეობის შეზღუდვის სამართლებრივ გარანტიას. ბუნებრივია, ყველა უფლებასა და თავისუფლებას კონსტიტუცია ვერ ასახავს, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ საზოგადოების განვითარებასთან ერთად საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა არეალიც ფართოვდება.

კონსტიტუციური ნორმებით განმტკიცებულია სახელმწიფოსა და მისი ორგანოების მიერ პიროვნების უფლებათა დაცვა. ამავდროს, ასეთი სახელმწიფოებრივი მონაწილეობა არ გამორიცხავს თვით ინდივიდის აქტიურ მოქმედებასაც, რაც პირის ინტერესთა დაცვის შესაძლებლობას მნიშვნელოვნად აფართოებს.

ომბუდსმენის ინსტიტუტს განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ მექანიზმებს შორის, რომლებიც ადამიანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა თვითნებობისაგან იცავს. ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება განპირობებული იყო სახელმწიფო ორგანოთა მიერ ადამიანის უფლებების დარღვევისას უფლებათა დაცვის გაზრდის, მოქალაქეებში ბიუროკრატიული სისტემის მიმართ დაუცველობის გრძნობის შემცირების, მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებისა და პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ჰუმანიზაციის მიზნით.

სიტყვა „ომბუდსმენი“ მომდინარეობს „უმბუდ“-ისგან (შუა საუკუნეების შვედურ ენაზე ის ძალას ან ავტორიტეტს ნიშნავდა)

და, როგორც ჩანს, აქვს ისლანდიური ფუძე, ხოლო შვედური სიტყვა „უმბუდ“ ითარგმნება როგორც თარჯიმანი ან სხვა პირთა წარმომადგენელი; მეორე მოსაზრებით, ტერმინი „ომბუდსმენი“ გერმანული წარმოშობისაა და მისი ფუძე მომდინარეობს გერმანულ ტომთა ცხოვრების ადრეული პერიოდიდან. ომბუდსმენად იწოდებოდა პირი, რომელიც მკვლევლობის შემდგომ დაზარალებული მხარის სახელით ვერგელდს კრებდა. წარსულში შვედები და სხვა სკანდინავიელი ხალხები ამჯობინებდნენ, სიტყვა ომბუდსმენი ეთარგმნათ როგორც „წმუნებული“, „საქმეთა მმართველი“, „ნდობით აღჭურვილი პირი“; არის მესამე მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, ომბუდსმენის ინსტიტუტის წარმოშობა საფუძველს იღებს რომაელი ცენზორების, ტრიბუნებისა და პროვინციების პროკურორებისაგან.

ომბუდსმენის ინსტიტუტი პირველად შვედეთში 1809 წელს დაარსდა, როდესაც შვედეთის რიკსდაგმა მიიღო დოკუმენტი მართვის შესახებ (კონსტიტუციური აქტი). აღნიშნულ დოკუმენტს საფუძვლად დაედო მონტესკიეს ხელისუფლების დანაწილების თეორია. მეფისა და პარლამენტის უფლებამოსილების გასათანასწორებლად ამ უკანასკნელს ეძლეოდა სპეციალური საპარლამენტო კომისრის (ომბუდსმენის) არჩევის უფლება, რომელსაც ზედამხედველობა უნდა გაენია სასამართლოებისა და ხელისუფლების სხვა ორგანოებისათვის პარლამენტის მიერ მიღებული კანონების შესრულებაზე.

დასაწყისშივე ომბუდსმენი აღიჭურვა აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა ორგანოთა საქმიანობაზე კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების ფუნქციით. მას დაევალა ადმინისტრაციის თვითნებობისაგან მოქალაქეთა უფლებების დაცვა, რადგან საერთო სასამართლოები ადმინისტრაციაზე კონტროლს არ ახორციელებდნენ და, შესაბამისად, იგი რჩებოდა ყოველგვარი კონტროლის გარეშე.

ომბუდსმენი განისაზღვრება როგორც ნდობამინიჭებული დამოუკიდებელი პირი, რომელიც პარლამენტის მიერ უფლებამოსილია, დაიცვას ცალკეულ მოქალაქეთა უფლებები და განახორციელოს საპარლამენტო კონტროლი სახელმწიფო თანამდებობის პირებზე, მაგრამ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლის უფლების გარეშე.

1919 წლიდან მოყოლებული, მსგავსი ორგანოები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშიც დაინერგა და სამართლებრივი კონტროლის

სისტემაში შევიდა. აღნიშნულ წლამდე საპარლამენტო ომბუდსმენის ინსტიტუტი, შვედეთის გარდა, სხვაგან არსად არსებობდა. ამ წელს იგი ფინეთში დაინერგა.

სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივ-ინსტიტუციონალური გარანტიების განმახორციელებელ ორგანოებს – საკონსტიტუციო სასამართლოსა და ომბუდსმენის ინსტიტუტს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო საზოგადოებრიობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები ხელს უშლიდა მსოფლიოში მართლწესრიგის განმტკიცებას, რამაც განაპირობა ადამიანის უფლებათა დაცვის როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების ძიება-შექმნის პროცესი. ამ დროისათვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ფართოდ იკიდებს ფეხს კონსტიტუციური კონტროლისა და ომბუდსმენის ინსტიტუტები.

თანამედროვე მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში ომბუდსმენის ინსტიტუტის 100-ზე მეტი ნაირსახეობაა, თუმცა თითოეული მათგანი ზრუნავს შესაბამის სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე. აღნიშნული ინსტიტუტი დანიასა და ნორვეგიაში 1953 წელს დაფუძნდა, თუმცა ნორვეგიაში იგი 1963 წლამდე სამხედრო ომბუდსმენის ინსტიტუტის სახით ფუნქციონირებდა;

1952 წელს ცეილონში, გაეროს მიერ ომბუდსმენის ინსტიტუტის თაობაზე გამართულ სემინარზე, დანიის პირველი ომბუდსმენის, შტეფან გურვიჩის, მოხსენებით აღფრთოვანებულმა ახალზელანდიელებმა, რომლებიც ამ სემინარზე გენერალური პროკურორისა და იუსტიციის მინისტრის მოადგილის სახით იყვნენ წარმოდგენილნი, 1962 წლის 7 სექტემბერს მიიღეს კანონი, რომელმაც ამ ქვეყანაში ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღების საფუძველი შექმნა.

ადმინისტრაციულ სასამართლოთა სისტემის კრიზისის და ამ პრობლემებზე მართლმსაჯულების საერთაშორისო კომისიის ინგლისის ქვედანაყოფის მიერ მომზადებული *Whyatt Report* ახდენდა დიდ ბრიტანეთში ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღების რეკომენდაციას. მართალია, მას ბევრი მონინააღმდეგე ჰყავდა, ძირითადად, სახელმწიფო ბიუროკრატის სახით და არც პრემიერ-მინისტრ მაკ-მილანის კონსერვატორული მთავრობა უჭერდა მხარს, მაგრამ ვილსონმა, რომელმაც

1964 წლის არჩევნებისათვის ეს საკითხი თავის წინასაარჩევნო პროგრამაში შეიტანა, არჩევნებში გაიმარჯვა და სამი წლის შემდეგ, 1967 წელს მიღებულ იქნა კანონი საპარლამენტო რწმუნებულის შესახებ.

1960-70-იანი წლების მიჯნაზე ეს ინსტიტუტი ფეხს იკიდებს აშშ-ის სხვადასხვა შტატში, 1973 წელს – საფრანგეთში, 1976 წელს – პორტუგალიაში, 1981 წელს – ესპანეთში, 1982 წელს – ჰოლანდიაში, 1988 წელს – პოლონეთში, ხოლო 1995 წელს – საქართველოში (სახალხო დამცველის შესახებ მუხლი პირველად საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში გაჩნდა, ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ მიღებულ იქნა 1996 წლის 16 მაისს, ხოლო პირველი სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 29 ოქტომბერს აირჩია).¹

საერთაშორისო პრაქტიკაში ხშირია ომბუდსმენის სხვადასხვა სახელწოდება. კერძოდ, საფრანგეთში მას მედიატორს უწოდებენ, პორტუგალიაში – იუსტიციის პროვედორს, ესპანეთში, საქართველოს მსგავსად, – სახალხო დამცველს, პოლონეთში – რწმუნებულს და სხვა. მიუხედავად სახელწოდებათა ასეთი მრავალფეროვნებისა, ტერმინ „ომბუდსმენს“ შენარჩუნებული აქვს თავისი განსაკუთრებული ადგილი, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ამ მექანიზმის საერთო აღმნიშვნელს.

გამოცდილება ადასტურებს, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტზე მოთხოვნილება ყველაზე მეტად მაშინ წარმოიშობა, როცა მოქმედ ინსტიტუტებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიმართ საკონტროლო უფლებების განხორციელების უნარი არ შეესწავთ და საჭიროა ადმინისტრაციის თვითნებობისაგან მოქალაქეთა უფლებების დამატებითი დაცვა.

ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნა მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც ხელისუფლების დანაწილების თეორიასთან, ასევე საზოგადოების თანამედროვე განვითარებასა თუ სახელმწიფო და ადმინისტრაციული საქმიანობის გაფართოებასთან. ეს უკანასკნელი კი იწვევს სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის უთანხმოების ზრდას. აღნიშნულს ხელს უწყობს სახელმწიფო აპარატში თანამშრომელთა რიცხვის მუდმივი ზრდა, სამართლებრივი ნორმებისა და მიწერილობების დიდი რაოდენობა, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე პარლამენტის საინფორმაციო დეფიციტი, ადმინისტრაციულ სასამართლო-

თა საქმეებით გადატვირთვა და სხვ. ასეთ პირობებში მოქალაქე ყოველდღიურად განიცდის ადმინისტრაციულ და სხვა ბიუროკრატიულ ორგანოთა ზემოქმედებას, რაც სახელმწიფოსადმი მათს უკმაყოფილებასა და უნდობლობას იწვევს.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტის გავრცელება და ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიკურ-სამართლებრივ სისტემაში ჩართვა განპირობებულია საზოგადოების ცხოვრების ყველა სოციალურ სფეროში სახელმწიფოს შეღწევით, სახელმწიფოს ადმინისტრაციული ფუნქციების გაფართოებით, სახელმწიფოებრივი რეგულირების გზით, რაც საკანონმდებლო ხელისუფლების როლსა და ადმინისტრაციული აპარატის პოზიციებს განამტკიცებს.

გარდა ზემოთქმულისა, არსებობს სხვა გარემოებები, რომლებიც ზოგიერთ ქვეყანაში ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნის მიზეზს ასახავს. ძირითადად, ეს არის სახელმწიფოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში სამართლებრივი ფუნქციების გაფართოება, სახელმწიფოს ადმინისტრაციული ფუნქციების გაზრდა, რის საფუძველზეც წინა პლანზე გამოდის აღმასრულებელი ხელისუფლება და იქმნება ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებათა პერსონალიზაციისა და ინდივიდუალიზაციის საჭიროება. ომბუდსმენი სხვა სახელმწიფო ორგანოებთან მიმართებით აფართოებს პარლამენტის ტრადიციულ საკონტროლო ფუნქციებს. სწორედ ამიტომ მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ ომბუდსმენის ინსტიტუტის ჩამოყალიბებით შეავსო მოქმედი საკონტროლო ფუნქციები.

ომბუდსმენის კომპეტენციაში არ შედის მოქალაქეთა შორის დავების განხილვა. – მისი საქმიანობის სფეროა ურთიერთობა მოქალაქესა და სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივ ორგანიზაციას, დაწესებულებას შორის. ქვეყანათა უმრავლესობაში ომბუდსმენის ფუნქცია არის კონტროლი მხოლოდ სახელმწიფოებრივი ინსტანციის, მოსამსახურეთა და იმ პირთა საქმიანობაზე, რომლებიც მთავრობის დავალებით მუშაობენ და ადმინისტრაციულ ფუნქციებს ახორციელებენ, ე.ი. კონტროლი „მოქალაქე – აღმასრულებელი ხელისუფლება“ ურთიერთობების სფეროში. ეს არის შიდა და საგანგებო კონტროლი. მისი განხორციელება ხდება ომბუდსმენის ინიციატივით, მოქალაქეთა მოთხოვნის ან საჩივრების საფუძველზე.

ხშირად ომბუდსმენი სიტუაციას განიხილავს არა მარტო გადაწყვეტილების კანონ-

თან შესაბამისობისა და ადმინისტრაციის მოქმედების გათვალისწინებით, არამედ მას შეუძლია, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა კომპლექსურად შეისწავლოს და მიიღოს გადაწყვეტილება მათი მოქმედების სამართლიანობასა და მიზანშეწონილობაზე. აღნიშნული განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებს ეხება, რომლებშიც კონტროლი ადმინისტრაციის მოქმედების კანონიერებაზე ადმინისტრაციულ სასამართლოთა მეშვეობით ხორციელდება. საკონტროლო ღონისძიებების შედეგი, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეთა უფლებების განხორციელება და სახელმწიფო ადმინისტრაციის საქმიანობაში ხარვეზების აღმოფხვრაა.

თანამედროვე მსოფლიოში მოქალაქეები უფლებების დასაცავად უპირატესობას ანიჭებენ არატრადიციულ საშუალებებს. ომბუდსმენის ინსტიტუტი დამოუკიდებელია და ასრულებს თავის ფუნქციებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი სამართლებრივი კონტროლის სისტემის შემადგენელი ნაწილია. ომბუდსმენის საქმიანობა, მოქალაქეთა უფლებების დამცველი სხვა ორგანოებისაგან განსხვავებით, უფრო დემოკრატიულია და განმტკიცებულია უფასოდ განეული სამსახურის პრინციპით. ყველაზე უკეთ მისი დანიშნულება გამოიხატება დანიის ომბუდსმენის ინსტიტუტის ოფისის კარებზე მიკრულ აბრაზე დანიური ორი სიტყვით – „კარები ღიაა“.

სხვა სამართალდამცავი ორგანოებისაგან ომბუდსმენი იმით განსხვავდება, რომ იგი დაკავებულია მხოლოდ მოქალაქეთა უფლებებით. შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებისადმი მიმართვით, იგი აიძულებს მათ, კანონის შესაბამისად, განიხილონ სადავო სიტუაციები. ომბუდსმენი დამოუკიდებელია თავისი ფუნქციების განხორციელებისას და გამოძიების ჩასატარებლად ფლობს ყველა საჭირო უფლებამოსილებას.

ომბუდსმენის უმთავრესი ფუნქცია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობაა. ამ მიზნით, იგი ზედამხედველობს სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობისა და იურიდიულ პირთა საქმიანობას, აფასებს მათ მიერ მიღებულ აქტებს, აძლევს რეკომენდაციებსა და წინადადებებს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, რომელსაც ეს ინსტიტუტი ატარებს, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოებაა.

ადმინისტრაციული ორგანოები და თანამდებობისა თუ იურიდიული პირები ვალდებული არიან, წარუდგინონ მასალები, საბუთები და სხვა ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროება ომბუდსმენს თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად. შემონების ჩატარებისას ომბუდსმენი დაუბრკოლებლად შედის სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, სანარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის სამხედრო ქვედანაყოფში, დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში.

სახელმწიფო ორგანო, თანამდებობის ან იურიდიული პირი, რომელსაც რეკომენდაციით ან წინადადებით მიმართავს ომბუდსმენი, ვალდებულია, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განიხილოს და წერილობით აცნობოს მას განხილვის შედეგები. ომბუდსმენის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

ომბუდსმენის საქმიანობას ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი აქვს, რადგან იგი წლიური მუშაობის შედეგებს მოხსენების სახით წარუდგენს მის ამრჩევ ან დამნიშვნელ ორგანოს. აღნიშნულ მოხსენებაში მოცემულია აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან მოქალაქეთა უფლებების დარღვევის ფაქტები. წლიური მოხსენება ხელს უწყობს ადამიანის უფლებების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას.

როგორც წესი, უმრავლეს ქვეყანაში, სადაც ომბუდსმენის ინსტიტუტი ფუნქციონირებს, ამგვარი ანგარიშის წარდგენა მისი ამრჩევი ან დამნიშვნელი ორგანოს წინაშე წელიწადში ერთხელ ხდება. აღნიშნულიდან გამონაკლისია საქართველოს სახალხო დამცველი. 1999 წელს ევროპის საბჭომ საქართველოს ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში განეწიანებისას ერთ-ერთ მოთხოვნად წაუყენა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულ კანონში შემდეგი ცვლილების შეტანა – სახალხო დამცველს პარლამენტისთვის ანგარიში წელიწადში არა ერთხელ, არამედ ორჯერ უნდა წარედგინა. საქართველოს პარლამენტმა 1999 წლის 23 ივნისს დააკმაყოფილა ევროპის საბჭოს აღნიშნული მოთხოვნა და ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით: „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის

მდგომარეობის შესახებ ექვს თვეში ერთხელ, კალენდარული წლის მარტსა და ოქტომბერში“.

ანგარიშის უმთავრესი დანიშნულებაა, მის ამრჩევ ან დამნიშნელ ორგანოს ეცნობოს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვა-სთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ, მიეთითოს იმ საკანონმდებლო აქტებზე, რომლებიც არღვევენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მათში ცვლილებების შეტანის ან გაუქმების რეკომენდაციით, მხილებულ იქნენ ის სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები, რომელთა ქმედებებმაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა დარღვევა. ომბუდსმენის ანგარიშში ასახულ ფაქტებსა და კომენტარებზე, აგრეთვე მიღწეულ შედეგებზე დიდად არის დამოკიდებული საზოგადოებაში ამ ინსტიტუტისადმი ნდობა და მისი ავტორიტეტის გაზრდა.

ომბუდსმენის ინსტიტუტის ცნობილი საერთაშორისო მკვლევარი *ფლეინერჯესტერი* მიიჩნევს, რომ „ომბუდსმენის ინსტიტუტი შეიძლება მივაკუთვნოთ საჯაროსამართლებრივი ზედამხედველობის სპეციალურ ინსტიტუტებს“. იმავედროულად რუსი პროფესორი *ბოიცოვა* აცხადებს, რომ „ომბუდსმენი, როგორც საჯაროსამართლებრივი ინსტიტუტი, ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს; ამიტომ მისი მოხსენებები შეიძლება შევაფასოთ როგორც საჯარო საჩივრები“.

მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ომბუდსმენი აქტიურად თანამშრომლობს მასმედიასთან და იყენებს მას ზემოქმედების საშუალების სახით შესაბამისი ორგანოების მიერ დარღვეული უფლებების აღსადგენად და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში გამოვლენილ ხარვეზთა გამოსაშვარავებლად. მასმედიასთან ურთიერთობით ომბუდსმენი ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას განუვლი საქმიანობისა და მიღწეული შედეგების შესახებ, რაც მისი ავტორიტეტის ამაღლებას და ამ ინსტიტუტის სახელმწიფო ორგანოებზე ზემოქმედების გაძლიერებას უწყობს ხელს. აღნიშნული კი, საბოლოო ჯამში, ადამიანის დარღვეული უფლების აღდგენის მეტ შესაძლებლობას იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელ მსოფლიოში ომბუდსმენები ცდილობენ, განამტკიცონ ნდობა მოქალაქესა და ადმინისტრაციას შორის, ყოველ ცალკეულ სახელმწიფოში არსებობს თავისებურებები იმ კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებით, რომლებიც დასმულია ამა თუ იმ ომბუდსმენის სამსახურის წინაშე. ომბუდსმენი მუშაობს იმ

პირობებში, როგორც დამახასიათებელია მისი ქვეყნისათვის და, შესაბამისად, ამიტომაც ამ უწყების ორგანიზაცია და ფუნქციონირების საშუალებები განსხვავებულია. აღნიშნული დაკავშირებულია ცალკეულ სახელმწიფოთა სპეციფიკურობასთან, ომბუდსმენის კლასიკური მოდელის საკუთართან, ზოგ შემთხვევაში სავსებით ორიგინალურ, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სისტემასთან მისადაგებასთან. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ქვეყანა, რომელიც ამ ინსტიტუტს ამკვიდრებს, ცდილობს უკვე მოქმედ სამართლებრივ სისტემასთან მის შერწყმას. სწორედ ამიტომ ომბუდსმენის ინსტიტუტებს, საერთო ნიშნების მიუხედავად, აქვთ ის სპეციფიკური თავისებურებები, რომლებიც განპირობებულია ეროვნული ტრადიციებით, მოქმედი კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანოთა სისტემით, მათ შორის კომპეტენციათა განაწილებით და ა.შ.

ომბუდსმენი მსოფლიო ინსტიტუციონალიზმში შემოვიდა როგორც ადამიანის უფლებების დაცვაზე საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილი ინსტიტუტი, თუმცა იგი არ არის საპარლამენტო ორგანო და, ამდენად, ლოგიკურია მეცნიერებასა და პრაქტიკაში მის დამოუკიდებლობაზე გაკეთებული აქცენტი. მართალია, იგი აფართოებს და ავსებს პარლამენტის საკონტროლო ფუნქციებს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან მიმართებით, მას კანონმდებლის წინაშე აკისრია ანგარიშვალდებულება, მაგრამ იგი თავისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში დამოუკიდებელია – თავისუფალია ნებისმიერი სხვა სახელმწიფო ორგანოს თუ თანამდებობის პირის ზენოლისაგან. იგი ემორჩილება მხოლოდ კანონს, რომელიც ნორმატიულ დონეზე თავად ახდენს მისი დამოუკიდებლობის კონსტატაციას, უფრო სწორად კი, ქმნის ამ მდგომარეობის იურიდიულ საფუძველს. ომბუდსმენის დამოუკიდებლობის ხარისხზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი არ მიეკუთვნება ხელისუფლების არცერთ შტოს. ხშირად ამა თუ იმ ქვეყანაში ომბუდსმენის საქმიანობის ეფექტურობის ხარისხი და მისადმი საზოგადოების ნდობის ფაქტორი უშუალოდ ამ თანამდებობაზე მყოფი ადამიანის პიროვნულ ავტორიტეტზეა დამოკიდებული.

ომბუდსმენის დამოუკიდებლობის გარანტია განსაზღვრავს მისი საქმიანობის ეფექტურობას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, თუ რომელი სახელმწიფო ორგანოს მიერ ხდება პირის არჩევა ან დანიშვნა ომბუდსმენის თანამდებობაზე. ქვეყანათა უმეტესობაში ომბუდს-

მენს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ირჩევს, თუმცა ზოგნ ომბუდსმენის ინსტიტუტმა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დანიშნითი სახე მიიღო. კერძოდ, საფრანგეთში მედიატორი ინიშნება სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით, დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო რწმუნებულს კინიშნავს დედოფალი.

ომბუდსმენის გარანტიებზე საუბრისას არ შეიძლება გაუთვალისწინებლობა კანონმდებლობით განტკიცებული შესაძლებლობებისა ომბუდსმენისათვის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული მიზეზები იდენტურია იმისა, რაც განსაზღვრულია საქართველოს სახალხო დამცველისათვის ორგანული კანონით – მოქალაქეობის დაკარგვის, ზედიზედ 4 თვის განმავლობაში მოვალეობის შეუსრულებლობის, მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის, სასამართლოს მიერ მისი ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობის, მის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის წარმოების, ნებაყოფლობით გადადგომისა და გარდაცვალების შემთხვევაში. ნიდერლანდებში ეს შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც ეროვნულ ომბუდსმენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაუნესდება მზრუნველობა და მეურვეობა, გამოცხადდება გაკოტრებულად, მიიღებს მორატორიუმს, ან აღეკვეთება თავისუფლება ვალების გამო² (სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის თანახმად: „არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველზე“); აგრეთვე, თუ იგი თავისი მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად იწვევს ქვედა პალატის სერიოზულ უნდობლობას. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან ომბუდსმენის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველად მისთვის უნდობლობის გამოცხადება დაფიქსირებულია შვედეთის კანონითაც. პოლონეთში რწმუნებულის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია ამ უკანასკნელის მიერ ფიცის დარღვევის შემთხვევაში.

ხელშეუხებლობის გარანტია განამტკიცებს ომბუდსმენის დამოუკიდებლობასა და მისი საქმიანობის მიუკერძოებლობას. უმრავლესი ქვეყნის კანონმდებლობა დაუშვებლად მიიჩნევს ომბუდსმენის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, დაკავებას ან დაპა-

ტიმრებას, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირად გაჩხრეკას იმ ორგანოს თანხმობის გარეშე, რომლის მიერაც დანიშნული ან არჩეულია იგი. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის ამრჩევ ან დამნიშნელ ორგანოს და მხოლოდ მისი თანხმობით უნდა განხორციელდეს სათანადო საპროცესო მოქმედებები; უარის შემთხვევაში, დაკავებული ან დაპატიმრებული ომბუდსმენი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

ომბუდსმენის დამოუკიდებლად მოღვაწეობისათვის დამატებითი გარანტიაა მისი უფლება, არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც ომბუდსმენს და რომელიც მას უნარჩუნდება უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც. მნიშვნელოვანი გარანტიაა, აგრეთვე, ომბუდსმენის პასუხისგებაში მიცემის დაუშვებლობა თავისი მოვალეობის შესრულებისას გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის.

ფინანსური დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, აღიარებულია, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტის ორგანიზაციასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვა ცალკე მუხლით უნდა იყოს გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტში, ამასთან, მრავალ ქვეყანაში დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ომბუდსმენისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ოდენობა არ შეიძლება იყოს წინა წლის ბიუჯეტით გამოყოფილ თანხებზე ნაკლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ომბუდსმენმა მიიღო საკანონმდებლო და საზოგადოებრივი აღიარება იმ სახელმწიფოებში, სადაც არსებობს მართვა-გამგეობის სხვადასხვა ფორმა: კონსტიტუციური მონარქია, საპრეზიდენტო რესპუბლიკა, საპარლამენტო რესპუბლიკა. ომბუდსმენის ინსტიტუტი წარმატებით ფუნქციონირებს სხვადასხვა სამართლებრივ (ანგლოსაქსური და კონტინენტური სამართლის) ოჯახს მიკუთვნებულ სახელმწიფოებში.

ომბუდსმენის ნებისმიერ სახელმწიფო წყობილებასთან შეგუება აიხსნება იმ გარემოებით, რომ ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელია ბიუროკრატიული პრობლემები. სახელმწიფოს ადმინისტრაციული ფუნქციების გაფართოებასა და სახელმწიფო რეგულირების ზრდას შედეგად საკანონმდებლო ხელისუფლების მნიშვნელობის შემცირება და აღმასრულებელ სტრუქტურათა პოზიციების განმტკიცება მოჰყვება. არ არის გამორი-

ცხული ადმინისტრაციული ორგანოების შეგნებული გადახრა სამართლებრივი და ადმინისტრაციული ეთიკის ნორმებისაგან.

ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებას იმ ქვეყნებში, რომლებიც შვედეთისაგან განსხვავდებიან მმართველობის სისტემით, ადმინისტრაციულ-პოლიტიკური მონყობით, სოციალური, ისტორიული თავისებურებებით, მრავალი სირთულე ახლდა თან. სკანდინავიის ქვეყნების გარეთ ომბუდსმენის იდეის აღიარების გაჭიანურების მიუხედავად, ომბუდსმენმა დაამტკიცა თავისი მნიშვნელობა და, რაც მთავარია, იგი შესანიშნავად შეესისხლხორცა სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ სამართლებრივ სისტემებს, მიუხედავად იმისა, აღიარებდნენ ისინი ხელისუფლების დანაწილების პრინციპს თუ პრიორიტეტს ანიჭებდნენ აღმასრულებელ ხელისუფლებას.

ომბუდსმენის მოქნილობა გამოაშკარავდა მის წარმატებულ საქმიანობაში როგორც უნიტარულ, ასევე ფედერაციულ სახელმწიფოებში. იმ სპეციფიკურმა პირობებმა, რომლებიც წინ უსწრებდნენ ინსტიტუტის შექმნას, განაპირობეს ტრადიციული სკანდინავიური მოდელის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია. თითოეული ომბუდსმენის სამსახური თავისებურად ახდენდა არსებული პრობლემების გადაწყვეტას, ამიტომაც ომბუდსმენის სამართლებრივი ინსტიტუტის შედარებითი ანალიზის გაკეთება საკმაოდ რთულია. მის შექმნასა და ფუნქციონირებაში გამოხატულია თავისებურებანი და განმასხვავებელი ნიშნები, ეროვნული, სახელმწიფოებრივი მექანიზმის ერთგვარი განსხვავებული ისტორია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. მიქანაძე – „ევროპის ომბუდსმენები“, თბ. 1999.
2. გ. მიქანაძე – სტატია „სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში“, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბ., 2006.
3. Альваро Хиль Роблес – “Парламентский контроль за администрацией (институт омбудсмена)”, М., 1997.
4. Э. Поллэр – “Защита прав человека во Франции”, М., 1993.
5. Н. Рагозин – “Права человека в современном мире”, Донецк 1995.
6. В. Бойцова – “Защита прав человека и гражданина – мировой опыт”, М., 1996.
7. Н. Хаманева – “Уполномоченный по правам человека – защитник прав граждан”, М., 1998.
8. Gregory R., Hutchesson P. – “The Parliamentary Ombudsman. A Study in the Control of Administrative Action”, London, 1975.
9. Clark D. Citizen and Administration in France – the Review of Discussion the Conseil d’Etat v. Ombudsmen // Public Administration, 1984.
10. Commissioner for Civil Rights Protection of Poland – “National Ombudsmen (Legislation of 27 Countries)”, Warsaw 1998.

¹ სახალხო დამცველის შესახებ მუხლი პირველად საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში გაჩნდა, ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ მიღებულ იქნა 1996 წლის 16 მაისს, ხოლო პირველი სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 29 ოქტომბერს აირჩია.

² სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის თანახმად: „არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ სახელმეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველზე“.

OMBUDSMAN INSTITUTION

Human rights represent universal value. Cultural-historical eras, civilizations and political forces play considerable roles in their development.

The concept of human rights derives from the natural law doctrine and embraces two main notions. The first implies that a human being is granted inviolable and inalienable rights. These moral rights originate from human nature of an individual and their purpose is to preserve the sense of self-esteem of a human being. The second notion of the concept of human rights embodies legal rights. They are established as a result of legal drafting processes which take place at both – national and international planes. These rights are based on the consent of those who shall enjoy these rights, i.e. of legal objects, whereas the rights affiliated to the first group are based on the natural order.

Life and dignity of a human being have been trampled throughout the history. The idea of employing uniform norms without any discrimination towards each and every individual emerged several centuries ago. Indeed there is no society which would have no rules for protection of certain rights.

Principle of equality of every member of human society, just alike many other basic principles, which make up what today called human rights, are in principle attributable to all cultures, religions and philosophical traditions. One of such traditions, which derives from religion, is called *jus naturale*, or natural rights.

Emergence and establishment of the term human rights was preceded with the notion of natural rights, widely accepted by XVII century philosophers and politicians. The concept of natural rights was on its turn related with the theory of natural law (*lex naturale*) elaborated by intellectuals of ancient era. “Inviolable” or “inalienable rights” were used as synonyms to the term “natural rights”.

Jacques Maritain has noted with regard to natural law: Individual human being possesses rights solely due to the fact that he/she is a personality, integral master of himself and his actions. Thanks to the natural law a human being has a right to be respected, be a subject of rights, to possess rights. All of these are deserved by a human being due to a single reason of being a human.

During XVIII century first incarnation of ideas related with the “natural rights” resulted into recognition of norms of “natural law” as legal norms. The mentioned norms became constituents of national constitutions first time in the history of mankind thus depicting contractual relationship between a state and an individual, deriving from which state authority was based on the consent of an independent individual. The 1776 United States Declaration of Independence and the 1789 French Declaration of the Rights of Man and Citizen derive from the above mentioned basis. In the subsequent period the principle was shared by a number of European, Latin American and Asian states, which escaped the fate of being colonized.

Despite all the above-mentioned, it can be rightly argued that human rights, as political-legal phenomenon is a creature of new and modern history. It is universally recognized that each individual is granted rights and obligations prescribed by international law, and state on its turn is obliged to respect and protect these rights and freedoms. This standpoint is well reflected in the United Nations Charter, in the Preamble of which the Peoples of the United Nations have unanimously declared that they were determined to reaffirm faith in fundamental human rights, in the dignity and worth of the human person. United Nations is resolute to “promote and encourage respect for human rights and for fundamental freedoms for all without distinction as to race, sex, language, or religion”.

By introducing the aforementioned value into the Charter of the United Nations the fathers of the organization laid down foundation for emerging new field of international law – international law of human rights. The keystone document for the latter appeared to be the 1948 Universal Declaration of Human Rights, adopted and proclaimed by the UN General Assembly Resolution of 10 December 1948. Based on the fact that the Declaration does not possess an obligatory character, a number of international instruments (Covenants, Conventions, and Charters) were drafted, which incorporated efficient mechanisms of human rights protection.

The second stage of development and strengthening human rights was introduction of principles recognized by international law into the national constitutions and respective harmonization of domestic legislation. At the same time, in conjunction with introducing such international human rights protection institutions as the UN Human Rights Committee, the European Court of Human Rights, Inter-American Commission on Human Rights, Inter-American Court of Human Rights, African Commission on Human and People's Rights, it was necessitated to create similar institutions at national levels, to ensure protection of human rights and freedoms. The necessity served the emerging provision following which human rights must be guaranteed not only normatively, but in practice as well.

Approach of a state as a single whole as well as of its individual bodies with regard to human rights is a conspicuous indicator of a political system established in the state. Nowadays, there are almost no highly developed states which do not have fundamental human rights and freedoms contained in the constitution.

Reflection of human rights and freedoms in constitution creates legal guarantees of restricting a state's possible oppression of an individual. It is true, that not all the rights and freedoms can be included into a constitution, if for no other reason than due to the fact that along with development of a society the circle of universally recognized rights and freedoms is also expanding.

Constitutional norms provide for protection of rights of an individual by a state and its

bodies. At the same time such a participation of a state does not exclude vigorous actions on behalf of an individual that considerably extends options for protecting interests of a person.

Ombudsman institution occupies a particular place among the mechanisms which protect human rights and legal interests of an individual from arbitrariness of state governing bodies. Introduction of ombudsman institution was caused by the need of increasing possibility of protection of human rights when they happen to be violated by state bodies, as well as the need of decreasing the since of citizens of being unprotected vis-a-vis a bureaucratic system, improving the degree of governance and humanizing relations between a person and a state.

The word "ombudsman" originates from "umbud" (in the medieval Swedish the word stood for strength or authority) and, as it seems, must be coming from Icelandic roots, whereas the Swedish word "umbud" means translator or representative. According to another view, the word is of a German origin and its roots come from the early stages of the German tribes' life. A person who was convening *Ver-geld* on behalf of the injured party in a murder case was called ombudsman. In the past the Swedes and other Scandinavian nations preferred to translate word ombudsman as a "plenipotentiary", "confident" or "charge d'affaires". In line with the third view the roots of Ombudsman institution originate from Roman censors, tribunes and provincial procurators.

Ombudsman institution was first established in Sweden in 1809. This was the time when the Swedish Riksdag approved a document on governance (a constitutional act). The mentioned document was based on Montesquieu theory of separation of powers. In order to put on apart the powers of a King and a Parliament the latter was allowed to elect a special parliamentary commissioner (ombudsman) who would oversee the implementation of laws adopted by the Parliament in courts and other organs of administration.

Right from the beginning an ombudsman was equipped with a function of control of activities of executive and other bodies of authority. Ombudsman was charged to protect rights of citizens from arbitrariness of admin-

istration, as common courts did not exercise control over administration and respectively the latter was left without any supervision.

Ombudsman is defined as entrusted independent person who is authorized by a Parliament to protect rights of individual citizens and exercise parliamentary control over state officials, however he/she does not possess a right to alter decisions made by them.

Since 1919 the similar bodies were introduced and incorporated into the legal control system in a number of countries throughout the world. Before 1919 the ombudsman institution did not exist anywhere but Sweden. In that year the institute was introduced in Finland.

In a Rule of Law state tremendous importance is attached to organs carrying into effect legal and institutional guarantees for human rights protection – constitutional court and institution of ombudsman. After World War II the world community reached the conclusion that facts of human rights violation were hampering establishment of legal order throughout the world, and this led to the process of searching and creating both – international, as well as national mechanisms of human rights protection. By now in a diverse group of states institutions of constitutional control and ombudsman are being widely disseminated.

There are more than 100 diversities of ombudsman institution in over 80 countries of the contemporary world, though each of them takes care of protection of human rights and freedoms in a respective state. The institute was launched in Denmark and Norway in 1953; however, in Norway it functioned as a martial ombudsman's institution until 1963.

In 1952 representatives of New Zealand – the Prosecutor General and a Deputy Minister of Justice of the country – attending an UN organized seminar on ombudsman institution were flabbergasted after listening to the report of the first ombudsman of Denmark Stefan Gurvich in Ceylon and a law introducing an institution of ombudsman followed, which was adopted on 7 September, 1962.

Whyatt Report, produced by the England section of the International Justice Commission working on the crisis in the administrative court system also recommended introduction of ombudsman institution in Great Britain. Despite having many opponents in the state

bureaucracy as well as lacking the support of the Prime Minister MacMillan's Conservative Government, Wilson, who included the issue into his pre-election campaign program, won the elections and Law on Parliamentary Representative was adopted in three years time, in 1967.

At the edge of 1960-70s the institution was being introduced into a number of US states, in 1973 – in France, in 1976 – in Portugal, in 1981 – in Spain, in 1982 – in the Netherlands, in 1988 – in Poland, in 1995 – in Georgia.¹

In international practice ombudsman is often called different names. In particular, it is called Mediator in France, Provedor for Justice – in Portugal, Public Defender, like in Georgia – in Spain, Commissioner – in Poland, etc. Despite such a variety of names the term "ombudsman" has maintained its particular position, as of international denominator of this mechanism of human rights protection.

The experience proves that ombudsman institution is mostly demanded in cases when different institutions fail to exercise functions of controlling state authorities and additional protection of citizens' rights from arbitrariness of an administration is considered necessary.

Creation of ombudsman institution is closely linked with both – the theory of separation of powers, as well as contemporary development of society and broadening the scope of state and administrative activities. The latter is a cause of expansion of disagreement between state-administrative bodies and citizens. This is supported by a constant increase of number of people employed in state apparatus, great number of legal acts and regulations, information deficit over executive branch of the government in parliament, overloading administrative courts with proceedings, etc. In such a situation a citizen is constantly under the pressure of administrative and other bureaucratic institutions that causes citizen's displeasure and distrust towards a state.

Based on all the above mentioned it can be concluded that proliferation of ombudsman institution and its inclusion into political-legal systems of a number of countries is preconditioned with the state entering into all social spheres of life of a society, broadening state's administrative functions, through state regulations, which strengthen a role of legislative

branch of the government and a position of administrative apparatus.

Apart from the above mentioned there are other conditions, which serve as a reason of creating an ombudsman institution in a number of states. In general, this is broadening of legal functions in every field of state activities, extending state's administrative functions, based on what an executive branch of the government moves onto forefront and a need of personalization and individualization of administrative decisions emerges. Thus, ombudsman widens traditional parliamentary control functions in relation to other state institutions. This is exactly the reason which prompted a number of countries worldwide to fill the gaps in control functions through creation of ombudsman institution.

Ombudsman is not entitled to deal with complaints citizens may have against each other. Field of ombudsman's activities is limited to relations between a citizen and a state body, public organization, institution. In a majority of countries ombudsman's function is only confined to controlling employees of state bodies and those who perform on behalf of a state and undertake administrative functions, which is a control in the field of "citizen – state institutions" relations. This is internal and a special control. It is exercised on the initiative of ombudsman, based on the application or complaint of citizens.

Often ombudsman not only considers a situation from the angle of compatibility of a decision and action of administration with the law, but ombudsman is entitled to study state bodies' actions in an intricate manner and conclude on legality and expediency of their actions. This particularly applies to states where control over compatibility of administration's action with law is exercised through administrative courts. The result of the control exercised is first and foremost observance of rights of citizens and elimination of shortcomings in activities of state administration.

In the contemporary world citizens favor non-traditional measures of protection of their rights. Ombudsman institution is independent and undertakes its functions despite the fact that the institution is a part of a legal control system. Unlike other organs protecting rights of citizens, activities of ombudsman are more

democratic and strengthened by a principle of serving without any charge. Its role is best described by two words on a signboard at the entrance door of the Danish ombudsman: "Door's open".

The difference from other bodies of law enforcement is that ombudsman institution deals only with individual's rights. Making applications to the relevant competent bodies it makes them consider complaints in pursuance with law. Ombudsman acts independently and possesses all capacities needed for conducting investigation.

Main function of ombudsman is to reveal facts of human rights violation and to support restoration of the infringed rights. To that end, ombudsman supervises activities of state authorities, local self-government bodies, officials and legal entities, evaluates acts passed by them and provides recommendations and suggestions to them. One of the most important functions attributed to ombudsman institution is conducting public awareness and education activities in the field of protection of human rights.

Administrative bodies, officials as well as legal entities are obliged to submit to ombudsman any materials, documents or other information, as requested by him/her to exercise his/her authority. During exercising control ombudsman is entitled to enter any state and local self-government bodies without restrictions, enterprise, organization and establishment, including armed forces, places of detention, pre-trial imprisonment and deprivation of liberty.

State authority, official or legal entity, which is given a recommendation or proposal by ombudsman, is obliged to consider the submitted and notify ombudsman on the results thereafter within the time limits established by law. Impeding ombudsman's activities is punished by law.

Ombudsman's activity acquires wide public resonance, as his/her work results are annually submitted as a report to a body electing or appointing ombudsman. The latter furnishes information about facts of violation of rights of citizens by executive branch of the government. Annual report facilitates provision of information to a wider society with regard to situation in the field of human rights protection.

As a rule, in a majority of the countries which have ombudsman's institution such reports are submitted to bodies electing or appointing ombudsman once a year. Public Defender of Georgia operates on a regulation which is exception from the general rule. In 1999, when joining Council of Europe, the latter set as one of the conditions to Georgia's membership of the organization to introduce the following amendments to the Organic Law on "Public Defender of Georgia": Public Defender has to submit reports to the Parliament not annually, but biannually. The Parliament of Georgia, accepting the afore-mentioned requirement of the Council of Europe, amended the Article 22 paragraph 1 of the Organic Law on 23 June 1999. The amendment reads as follows: "Public Defender of Georgia shall submit a report on situation regarding protection of human rights and freedoms in the country to the Parliament of Georgia once in every six months, in March and October of a calendar year".

The foremost purpose of the Report is to inform the ombudsman's electing or appointing body about situation on protection of human rights and freedoms in a country, identify legal acts violating human rights and freedoms, along with submitting the recommendation to amend or annul them, divulge state bodies and officials whose actions resulted into violation of human rights. The level of trust towards the ombudsman's institution and growth of its influence within the wider public largely depends on facts and comments incorporated into ombudsman's report.

Renowned international researcher working on the topic of ombudsman's institution Fleiner-Jester considers that "ombudsman institution may be ascribed to special institutions of public law supervision". At the same time Russian Professor Boytsova states that "ombudsman, as a public law institution, serves public interests; therefore the reports produced by ombudsman may be considered as public complaints".

According to the practice established worldwide, ombudsman actively cooperates with the media and uses it as a means to influence the respective bodies in order to restore rights violated by them, and disclose gaps identified in activities of the executive

branch of the government. Through relations with mass media ombudsman provides information to the society about the work undertaken and results achieved, which contributes to strengthen institution's authority, and its increased ability to influence over state authorities. This, ultimately, provides for better possibility of restoring abused rights of human beings.

Despite the fact that ombudsmen throughout the world are committed to reinforce trust between an individual and administration, each country has its specificities in relation to particular goals and objectives, which are identified by a given ombudsman's institution. Ombudsman works in an environment characterizing and specific only to a given country, and respectively, the institution's set-up and means of operation may differ from a country to another. This is related with the specificities of any given state, as well as adjusting a classical model of ombudsman's institution to own, in some occasions to absolutely unique legal and administrative systems. This is not surprising, as a country, which introduces the ombudsman's institution, tries its amalgamation into already existing domestic legal system. This is exactly the reason why ombudsman institutions, despite the common features, have their unique specific features which are prompted by their national traditions, existing system of control and supervision, distribution of competences between them, etc.

Ombudsman entered the world institutionalism as a legislative organ's entrusted body to deal with protection of human rights, however it is not a legislative institution; therefore stressing its independence in both – theory and practice is appropriate. It is true that ombudsman expands and fills in the parliamentary oversight functions with regard to other state institutions, however he/she is at the same time accountable to a legislative organ along with acting independently, being free from pressure of any other state body or official. Ombudsman abides only by law which itself ascertains ombudsman's independence at the normative level, or more specifically, creates legal basis for such independence. The fact that this institution does not belong to any branches of government also reflects independence of ombudsman. Often degree

of efficiency of activities of an ombudsman and a factor of public trust toward the institution directly depend on the personal authority of an individual occupying a position of ombudsman.

Guaranteeing ombudsman's independence defines efficiency of his activities. In this regard great importance is attached to a body which elects or appoints an ombudsman. In majority of countries ombudsman is elected by a supreme legislative body. However, there are countries where ombudsman has turned into institution appointed by executive branch of the government. In particular, mediator is appointed in France by a decree of a Conseil d'Etat, Parliamentary Commissioner is appointed by the Queen of the United Kingdom.

While discussing guarantees provided to an ombudsman, legally fixed possibility of pre-term termination of authority of an ombudsman can not be omitted. In majority of cases the reasons are identical to those identified in the Organic Law of Georgia, which include losing nationality of the country, failure to perform as a Public Defender during consecutive 4 months, rendering a final judgment of conviction against him/her, recognition by a court as legally incapable, missing or dead, occupation of a position or engagement in an activity incompatible with his/her status, resignation from office by a personal application and death. In case of the Netherlands there may also be a case when a national ombudsman is subjected to guardianship by a court decision, is announced bankrupt, accepts moratorium or is imprisoned due to indebtedness²; also, if he/she deserves serious non-confidence of a lower house due to his/her action or inaction. Possibility of pre-term termination of authority of an ombudsman is envisaged by the Swedish law as well. Pre-term termination of authority of Commissioner of Poland is possible in case of breaching oath by ombudsman.

Guaranteeing inviolability strengthens independence and impartiality of an ombudsman. Legislation of a majority of states prohibits subjecting ombudsman to criminal liability, detention or imprisonment, search of his apartment, car, workplace or person without a preliminary consent of an organ who has elected or appointed ombudsman. The exception

is made in cases when ombudsman is caught *flagrante delicto*, which shall be immediately notified to an organ who has elected or appointed ombudsman and appropriate procedural actions may be undertaken only with the consent of that body; if no such a consent is acquired, a detained or imprisoned ombudsman shall be immediately released.

Additional guarantee of ombudsman's independent action is a right attributed to the latter not to testify on the fact disclosed to him/her as to the ombudsman. This right is also reserved to an ombudsman after the termination of his/her office. Another important guarantee is also that an ombudsman shall not be preceded on the account of ideas and opinions expressed by him/her while performing his/her duties.

In terms of financial independence it is recognized that a separate budget line shall be allocated to the ombudsman's expenditures in the state budget. At the same time, there is a set practice in many countries in line with which amount allocated to the ombudsman institution from the state budget may not be less than that in a preceding year.

Based upon all the above mentioned conclusion may follow that ombudsman has acquired legal and public recognition in the states with a diverse forms of governance – being constitutional monarchy, presidential republic, parliamentary republic. Ombudsman institution successfully operates in states belonging to different legal systems (Anglo-Saxon and Continental).

The fact that ombudsman's institution fits well into any state order can be explained with the fact that all the states have bureaucratic problems. Widening administrative functions of a state and broadening state regulation result into decrease of importance of legislative body and strengthening positions of executive power. Administrative bodies wittingly deviating from observing legal and ethical norms may also not be ruled out.

Introduction of ombudsman's institution in the countries which differ from Sweden in terms of system of governance, administrative-political arrangements, social and historic peculiarities was accompanied with a number of difficulties. Despite the overextended period of recognizing the idea of ombudsman's institu-

tion outside Scandinavian states, the institution proved its importance and what is important, it perfectly conjuncts with the national legal systems of various countries despite the fact, whether they recognize a principle of separation of powers or grant a priority to executive branch of government.

Flexibility of ombudsman's institution was revealed in its successful activities both in the Unitarian as well as Federal states. The specific conditions, which preceded creation of the

institution, provided for a significant transformation of the traditional Scandinavian model. Ombudsmen offices in each of the countries were solving emerging problems on their own way. Indeed this is exactly the reason why a comparative analysis of legal institution of ombudsman is difficult. Peculiarities and distinguishing features, as well as somewhat different histories of national, state mechanisms are expressed in its creation and functioning.

Bibliography:

1. G. Mikanadze - European Ombudsmen, Tbilisi, 1999.
2. G. Mikanadze - Public Defenders Institution in Georgia, Collection of Articles "European Standards on Human Rights and their Influence on legislation and Practice in Georgia", edited by K. Korkelia, Tbilisi, 2006.
3. Альваро Хиль Роблес - "Парламентский контроль за администрацией (институт омбудсмена)", М., 1997.
4. Э. Цоллэр - "Защита прав человека во Франции", М. 1993.
5. Н. Рагозин - "Права человека в современном мире", Донецк, 1995.
6. В. Бойцова - "Защита прав человека и гражданина - мировой опыт", М. 1996.
7. Н. Хаманева - "Уполномоченный по правам человека - защитник прав граждан", М. 1998.
8. Gregory R., Hutchesson P. - "The Parliamentary Ombudsman. A Study in the Control of Administrative Action", London, 1975.
9. Clark D. Citizen and Administration in France – the Review of Discussion the Conseil d'Etat v. Ombudsmen // Public Administration, 1984.
10. Commissioner for Civil Rights Protection of Poland – "National Ombudsmen (Legislation of 27 Countries)", Warsaw, 1998.

¹ A provision about Public Defender was initially introduced in the 1995 Constitution of Georgia, the Organic Law on Public Defender of Georgia was adopted on 16 May 1996 and the first Public Defender was elected by Parliament on 29 October 1997.

² According to the Article 11 of the International Covenant on Civil and Political Rights "No one shall be imprisoned merely on the ground of inability to fulfill a contractual obligation".

**„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“
საქართველოს კანონის სარევიზიო**

1. შესავალი

საქართველოს სამართლებრივ სისტემაში საერთაშორისო ხელშეკრულებას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად: „...საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. ¹ საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის წყაროა, რომელსაც შეუძლია იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა. სახელმწიფოები დამოუკიდებელი არიან, დაადგინონ საერთაშორისო ხელშეკრულების ადგილი შიდასახელმწიფოებრივ ნორმათა იერარქიაში. ² საერთაშორისო ხელშეკრულების უპირატესი იურიდიული ძალა კანონთან შედარებით აღიარებულია მრავალი სახელმწიფოს, მათ შორის იმ სახელმწიფოთა დიდი ნაწილის მიერ, რომლებმაც 90-იანი წლების დასაწყისში მოიპოვეს ან აღადგინეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

საქართველოს კონსტიტუციის ზემოხსენებული დებულების შესრულების მიზნით, 1997 წლის 16 ოქტომბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, რომელიც მორგებულია სახელმწიფოში 90-იან წლებში არსებულ რეალობას. 1997 წელს ამგვარი ტიპის კანონის მიღებამ საფუძველი ჩაუყარა სახელშეკრულებო სამართლის კუთხით საქართველოში თანამედროვე პრაქტიკის დამკვიდრებას.

საქართველოში ბოლო ხანს განვითარებულია მოვლენებმა გამოიწვია მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებებისა, მათ შორის

საქართველოს კონსტიტუციაში. ³ მიღებულ იქნა „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი. განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, წარმოიშვა სამართლებრივი და პრაქტიკული ხასიათის პრობლემები დღეს მოქმედი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის“ იმპლემენტაციასთან დაკავშირებით.

2. კანონის იმპლემენტაციის პროცესში წარმოშობილი სამართლებრივი ხასიათის პრობლემები

სამართლებრივი კუთხით, აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედი „კანონი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საერთოდ არ ითვალისწინებს პრემიერ-მინისტრის, როგორც მთავრობის მეთაურის, კომპეტენციას საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, შესრულებისა და მოქმედების შეწყვეტის კუთხით, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება როგორც ქვეყნის კონსტიტუციას, ისე საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს, კერძოდ კი 1969 წლის „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის“ იმ დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ მთავრობის მეთაურთა კომპეტენციას. ერთი მხრივ, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ზემოხსენებული კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად, ხელშეკრულების ტექსტის მიღების ან მისი ავთენტიკურობის დადგენის, ან ხელშეკრულების სავალდებულოობაზე სახელმწიფოს თანხმობის გამოხატვის მიზნით, *ex officio*, ყოველგვარი უფლებამოსილების წარდგენის გარეშე, ითვლება სახელმწიფოს წარმომადგენლად, ხოლო მეორე მხრივ, არ არის შექმნილი პრემიერ-მინისტრის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ამსახველი ში-

დასახელმწიფოებრივი მექანიზმი, რაც კონვენციის პრაქტიკაში იმპლემენტაციის კუთხით წარმოშობს როგორც ტექნიკური, ისე სამართლებრივი ხასიათის სირთულეებს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლების როლი საერთაშორისო ხელშეკრულების დადების პროცესში ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე საკანონმდებლო ხელისუფლებისა, რაც განპირობებულია საერთაშორისო პრაქტიკით, საქართველოს სამართლებრივი ტრადიციებითა და, ზოგადად, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების როლის დომინირებით.⁴ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაში შედის: საერთაშორისო ხელშეკრულების დადების ინიცირება, უფლებამოსილების გაცემა, მოლაპარაკებების წარმოება სხვა სახელმწიფოებთან, მონაწილეობა ხელშეკრულების ტექსტის მიღებასა და ავთენტიკურობის დადგენაში, ხელშეკრულების ხელმოწერა, ხელშეკრულების დამტკიცება, საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა მოქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება, რომელთა სავალდებულოდ აღიარებაზე მან გამოხატა თანხმობა.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამ კატეგორიას: სახელმწიფოთაშორისს, მთავრობათაშორისსა და უწყებათაშორისს.⁵ გადანყვეტილებას სახელმწიფოთაშორისი და მთავრობათაშორისი ხელშეკრულების დადებაზე იღებს საქართველოს პრეზიდენტი, უწყებათაშორისი ხელშეკრულების დადებაზე კი საგარეო საქმეთა მინისტრი. ფაქტობრივად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის როლი შეთავსებული აქვს საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც კანონის მიღების დროისათვის ითვლებოდა როგორც სახელმწიფოს, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად. შესაბამისად, დღეს არსებული რეალობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის მნიშვნელობის წამოწევა და მისი კომპეტენციის განსაზღვრა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული მოქმედებების მიმართ.

მართებულია, გადანყვეტილებას მთავრობათაშორისი საერთაშორისო ხელშეკრუ-

ლების დადებაზე იღებდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, როგორც საქართველოს მთავრობის მეთაური. შესაბამისად, ნებისმიერი მოქმედება, რომელიც უკავშირდება მთავრობათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულების დადებას ან მისი მოქმედების შეწყვეტას, უნდა ხორციელდებოდეს პრემიერ-მინისტრის უშუალო მონაწილეობით.

3. რეკომენდაციები საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შესახებ

აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის კონკრეტული ფორმის მიუხედავად (ხელმოწერა, რატიფიცირება, მიღება, დამტკიცება, შეერთება, დოკუმენტების გაცვლა, რომლებიც შეადგენს ხელშეკრულებას), ნებისმიერი ზემოაღნიშნული კატეგორიის ხელშეკრულების პროექტის მიმართ ხორციელდება შესაბამისი, კანონით დადგენილი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები.

საწყის ეტაპზე აღსანიშნავია რეკომენდაციების ინსტიტუტის არსებობა, რაც ძალზე მოქნილი და გამარტივებული ფორმის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადებასთან შედარებით, რომელმაც უნდა გაიაროს კანონით დადგენილი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები. რეკომენდაციის გაუზიარებლობის შემთხვევაში, მისი განხილვა წყდება შესაბამისი სამინისტროების მიერ ხელშეკრულების დადების მიზანშეწონილობის განხილვის რთული და დროში გაჭიანურებული პროცედურის განხორციელების გარეშე. კანონის თანახმად, რეკომენდაციის წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს პარლამენტს, საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და სახალხო დამცველს⁶. საქართველოს პარლამენტის წევრს, თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჰქონდეს საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შესახებ რეკომენდაციის წარდგენის უფლება, ასევე მნიშვნელოვანია, რეკომენდაციის წარდგენის უფლება მიენიჭოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს, რასაც კანონი არ ითვალისწინებს. კანონის თანახმად, „რეკომენდაციები საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დადების თაობაზე უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების დადების მიზანშეწონილობის დასაბუთებას“, რაც საკმაოდ ბუნდოვანი დებულებაა და

პრაქტიკაში, როგორც წესი, არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის საგანი ხდება. ამიტომ მართებულია, დაკონკრეტდეს, რომ რეკომენდაციები საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დადების თაობაზე უნდა შეიცავდეს საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტს ქართულ ენაზე და განმარტებით ბარათს ხელშეკრულების დადების მიზანშეწონილობის შესახებ.

4. უცხო სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის შეთავაზება საერთაშორისო ხელშეკრულების დადების თაობაზე

რაც შეეხება უცხო სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის შეთავაზებას საერთაშორისო ხელშეკრულების დადების თაობაზე, კანონი არ განმარტავს, თუ რა შემთხვევაში განიხილება შეთავაზება წარდგენილად და ეძლევა მას ოფიციალური მსვლელობა. სახელმწიფოთა პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტი გადაეცემათ ქვეყნის პირველ პირებს ოფიციალური ვიზიტების დროს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ შეთავაზება წარდგენილად ითვლება მხოლოდ მაშინ, თუ იგი წარდგენილია საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირს ან საქართველოს მხარისათვის წარდგენილია დიპლომატიური არხებით⁷.

5. კანონის პრაქტიკაში განხორციელების პროცესში წარმოშობილი სირთულეები

მოქმედი კანონის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადებას საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. წინადადების წარდგენის უფლება აქვთ აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქვეყანაში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა⁸, რომელიც შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან, მათ შორის სახელმწიფო მინისტრებისაგან. შესაბამისად, საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადების წარდგენის უფლება უნდა

ჰქონდეს მთავრობის ყველა რგოლს, როგორც სამინისტროებს, ისე სახელმწიფო მინისტრებს.

წინადადება წარედგინება საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულ წინადადებას დასკვნისათვის წარუდგენს: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს – საქართველოს კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობისა და შესაძლო სამართლებრივი შედეგების შესახებ; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს – ხელშეკრულების დადების შესაძლო საფინანსო-ეკონომიკური შედეგების შესახებ; აგრეთვე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ცენტრალურ ორგანოს.⁹ პრაქტიკაში ზემოაღნიშნული პროცედურა საკმაოდ გაჭიანურებული და გართულებულია, ვინაიდან არაერთგვაროვნად ხდება სამინისტროებისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ კანონის ზოგადი ხასიათის დებულებების ინტერპრეტაცია. სამინისტროების, როგორც მათს კომპეტენციაში შემავალ საკითხზე დასაბუთებული ხელშეკრულების ლობისტის, ფუნქციითა გასაზრდელად, ზემოაღნიშნული პროცედურების გასამარტივებლად და დასაჩქარებლად მიზანშეწონილია, საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა უწყებიდან შემოსული წინადადება იყოს სრული, შეიცავდეს: ა) საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტს ქართულ ენაზე; ბ) განმარტებით ბარათს; გ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნას საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შესაძლო საგარეო პოლიტიკური შედეგების შესახებ; დ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნას საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და მისი დადების შესაძლო სამართლებრივი შედეგების შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, პროექტს საქართველოს ნორმატიულ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ; ე) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასკვნას საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შესაძლო საფინანსო-ეკონომიკური შედეგების შესახებ; ვ) დაინტერესებული კომპეტენტური უწყების/უწყებების დასკვნებს; ზ) შეთანხმების ფურცელს, რომელშიც მიეთითება აღნიშნული დასკვნების გათვალისწინების ან გაუთვალისწინებლობის შესახებ დასაბუთებული არგუმენტაცია; თ) საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელი სამინისტროს/სამინისტროების დასახელებას (მთლიანი პაკეტი); და ხელშეკრულების დადების სა-

გარეო პოლიტიკური მიზანშეწონილობის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს საბოლოო ანალიზის საფუძველზე წარედგინოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს საგარეო საქმეთა სამინისტროს, როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები ცენტრალური უწყების, როლს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობათაშორის ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება უნდა წარედგინოს საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

6. საერთაშორისო ხელშეკრულების მიღება, როგორც ხელშეკრულების სავალდებულო აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულო აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის ისეთ ფორმას, როგორც არის ხელშეკრულების მიღება.

საერთაშორისო ხელშეკრულების მიღება სახელმწიფოს მხრიდან ხელშეკრულების სავალდებულო აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის შედარებით ახალი ფორმაა, თუმცა სიახლე აქ უფრო მეტად ტერმინოლოგიურია, ვიდრე არსობრივი, რაზეც მეტყველებს სახელმწიფოთა სახელშეკრულებო პრაქტიკა და ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე პროცედურა ერთ შემთხვევაში განიხილება როგორც ხელშეკრულების მიღება, ხოლო სხვა შემთხვევაში ხელშეკრულებასთან შეერთება. მაგ., იუნესკოს წესდებაში ნათქვამია, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ, შეუერთდნენ წესდებას მისი მიღების გზით,¹⁰ რაც ხორციელდება გაეროს გენერალური მდივნისათვის ხელშეკრულების მიღების შესახებ ოფიციალური დოკუმენტის გადაცემით.

ზოგიერთ შემთხვევაში საერთაშორისო ხელშეკრულების მიღება შეიძლება გამოყენებულ იქნეს რატიფიკაციის ნაცვლად. ეს შესაძლებელია, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულება, თავისი მიზნისა და ობიექტის ხასიათის გათვალისწინებით, არ საჭიროებს რატიფიკაციას. ყველაზე ხშირად ტერმინი „მიღება“ ჩადებულია თავად ხელშეკრულების ტექსტში, როგორც სახელმწიფოთა მხრიდან თანხმობის გამოხატვის ალტერნატიული ფორმა.

მიღება, ისევე როგორც დამტკიცება, ფორმდება დოკუმენტურად. სარატიფიკაციო სიგელებისაგან განსხვავებით, მიღებისა და დამტკიცების დოკუმენტებს არ აქვთ მკაფ-

იოდ დადგენილი ფორმა. როგორც წესი, ეს არის წერილი ან ნოტა, რომელსაც მთავრობის სახელით ხელს აწერს საგარეო საქმეთა მინისტრი ან მისი მოადგილე, თუმცა ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია ამ დოკუმენტთა გაცვლა ან დეპოზიტარისათვის მათი შესანახად ჩაბარება.¹¹

„სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენციის მე-14 მუხლის პრაქტიკაში სათანადო იმპლემენტაციის მიზნით და იმის გათვალისწინებით, რომ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები ხშირად ითვალისწინებს მიღებას, როგორც ხელშეკრულების სავალდებულო აღიარებაზე სახელმწიფოს მხრიდან თანხმობის გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას, საჭიროა, საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით ჩამოყალიბდეს კონკრეტული სამართლებრივი მექანიზმი და განისაზღვროს, თუ რომელი სახელისუფლებო შტოს კომპეტენციაში შევა საერთაშორისო ხელშეკრულების მიღება, როგორც მის სავალდებულობაზე თანხმობის გამოხატვის ფორმა.

7. საერთაშორისო ხელშეკრულების დროებით გამოყენება

ყურადღებას იქცევს საერთაშორისო ხელშეკრულების დროებით გამოყენების საკითხი. „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენცია ითვალისწინებს სახელმწიფოთა მიერ ხელშეკრულების ან მისი ნაწილის დროებით გამოყენების შესაძლებლობას, თუ ეს გათვალისწინებულია თვით ხელშეკრულებით, ან თუ მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოები ამაზე სხვაგვარად შეთანხმდნენ. აუცილებელია, საერთაშორისო ხელშეკრულების დროებით გამოყენება განვასხვაოთ საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლისაგან. თუ ხელშეკრულება ძალაში შევიდა, ის დროებით აღარ გამოიყენება. ხელშეკრულების დროებით გამოყენების შესაძლებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფოებს სურთ ხელშეკრულების ამოქმედება მისი ხელმოწერის მომენტიდან, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის შესაძლებელია, აუცილებელი იყოს შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელება – რატიფიცირება, დამტკიცება. შესაბამისად, საერთაშორისო ხელშეკრულების დროებით გამოყენება მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფოთა შეთანხმებაზე.¹²

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი ზოგიერთი დებულების დროებით გამოყენებას, ან ამის შესახებ მხარეებს შორის მიღწეულია შეთანხმება, საქართველო ასეთ ხელშეკრულებას იყენებს მისი ძალაში შესვლის მომენტიდან.

კანონის ეს დებულება კრძალავს საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების დროებით გამოყენებას, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს კანონი უარს აცხადებს კონვენციის დებულებებით გათვალისწინებულ შესაძლებლობაზე.¹³

იმ შემთხვევაში, თუ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს დროებით გამოყენებას, საქართველო, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ვალდებულია, გააკეთოს დათქმა საერთაშორისო ხელშეკრულების მიმართ, რომელიც საშუალებას მისცემს მას, ხელშეკრულება გამოიყენოს მხოლოდ იმ დროიდან, როდესაც საქართველო გამოხატავს თანხმობას საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების შესახებ. რაც შეეხება ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, საქართველომ თავი უნდა შეიკავოს ხელშეკრულებაში ისეთი დებულებების გათვალისწინებისაგან, რომელიც მიზნად ისახავს მის დროებით გამოყენებას.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების დროებით გამოყენებაზე უარყოფითი დამოკიდებულება არა მხოლოდ საქართველომ, არამედ სხვა ქვეყნებმაც გამოხატეს.¹⁴ საერთაშორისო ხელშეკრულებების სამართლის შესახებ ვენის კონფერენციაზე რამდენიმე სახელმწიფომ აღნიშნა, რომ მათ სახელმწიფოებში აკრძალულია საერთაშორისო ხელშეკრულების დროებით გამოყენება.¹⁵

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც საქართველოს სახელმწიფოებო პრაქტიკამ არაერთხელ დაადასტურა, ცალკეულ შემთხვევაში მიზანშეწონილია საერთაშორისო ხელშეკრულების დროებით გამოყენება. მაგ. სუამ-ის წესდება, რომელსაც საქართველომ ხელი მოაწერა დათქმის გარეშე, ითვალისწინებდა მის დროებით გამოყენებას ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე. შესაბამისად, საქართველომ, დაეყრდნო რა ვენის კონვენციას, რომელსაც, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებას, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, უპირატესი იურიდიული ძალა აქვს ყველა სხვა ნორმატიული აქტის მიმართ, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრი-

ორიტეტებიდან გამომდინარე, დაიწყო წესდებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მის ძალაში შესვლამდე.

ზემოაღნიშნული პრაქტიკის გათვალისწინებითა და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველია, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ იქნეს საერთაშორისო ხელშეკრულების დროებით გამოყენების შესაძლებლობა. ამასთან, საერთაშორისო ხელშეკრულების დროებით გამოყენების ვადის უსასრულოდმდე გაგრძელების თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელია, კანონმდებლობით დადგინდეს კონკრეტული ვადა, რომლის განმავლობაშიც საქართველომ უნდა გადაწყვიტოს, გახდეს თუ არა საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე.

8. სამხედრო ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება

საერთაშორისო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ხელისუფლების როლი, როგორც წესი, ვრცელდება სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულების დადებაზე. ბუნებრივია, რომ თითოეული სახელმწიფო თავად განსაზღვრავს იმ საკითხების არეალს, რომელსაც იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვნად აღიარებს და, შესაბამისად, ადგენს პარლამენტის სავალდებულო მონაწილეობას ამ კატეგორიის საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებაში.¹⁶

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 და საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლების თანახმად, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების გარდა, რომლებიც ითვალისწინებენ რატიფიცირებას, სავალდებულოა ასევე ისეთი ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების რატიფიცირება, რომელიც სამხედრო ხასიათისაა, ხოლო ხსენებული კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულება, რომელიც ეხება სამხედრო საკითხებს, იდება საქართველოს სახელით. შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანო, მოკლებულია შესაძლებლობას, თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე დადოს უწყებათაშორისი საერთაშორისო ხელშეკრულება. ვინაიდან კანონი არ იძლევა „სამხედრო ხასიათის ხელშეკრულების“ განსაზღვრებას, ხო-

ლო კანონის განმარტების კომპეტენცია სასამართლო ხელისუფლების პრეროგატივაა, პრაქტიკაში ხშირად იქმნება სირთულეები სამხედრო ხასიათის ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებულ შიდასახელმწიფოებრივ პროცედურათა განხორციელების კუთხით.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაა. ამ მიზნით შემუშავდა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2006-2009 წლებისათვის. საქართველოს ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი და პრიორიტეტული ამოცანაა საერთო ევროპულ ოჯახში ადგილის დამკვიდრება ევროკავშირთან ინტეგრაციის გაღრმავებისა და ნატოში განწევრიანების გზით,¹⁷ რომლის მისაღწევად, ნატოს სტანდარტების შესაბამისად, ინტენსიურად იდება საერთაშორისო ხელშეკრულებები თავდაცვის სფეროში. ცალკეული ხელშეკრულებების მიმართ ხშირად საჭიროა, სახელმწიფომ მაქსიმალურად სწრაფად გამოხატოს თანხმობა მათი სავალდებულოდ აღიარების შესახებ. კანონით დადგენილი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები კი საკმაოდ გაჭიანურებულია დროში, რაც აფერხებს ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების მიღებას. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გარკვეულ შემთხვევებში უწევს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ხელშეკრულების ხელმოწერისა და მისი სავალდებულოდ აღიარების მიზნით. ცხადია, ასეთი ტიპის ხელშეკრულებები წარმოშობს საქართველოს პოლიტიკურ, და არა სამართლებრივ, ვალდებულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვროს სამხედრო ხასიათის ხელშეკრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა სხვა ტიპის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ეხება სამხედრო საკითხებს და არ ჯდება „სამხედრო ხასიათის ხელშეკრულების“ დეფინიციასში, შესაძლებელია დაიდოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მიენიჭოს უწყებათაშორისი ხასიათი და ძალაში შევიდეს, თუნდაც ხელმოწერის გზით.

„სამხედრო ხასიათის ხელშეკრულება“ შესაძლებელია განიმარტოს შემდეგნაირად: „სამხედრო სფეროში თანამშრომლობის ძირ-

ითადი პრინციპების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულება ან ხელშეკრულება, რომელიც ეხება უცხო სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ ტრანზიტის ან დროებითი განლაგების მიზნით საქართველოს ტერიტორიის გამოყენებას, შეიარაღებულ კონფლიქტებში ან სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს სამხედრო ძალების მონაწილეობას, საბრძოლო მასალების მიღებას ან გადაცემას, სამხედრო წვრთნებს“.

9. საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულება

საერთაშორისო ხელშეკრულებების კეთილსინდისიერად შესრულების პრინციპი საერთაშორისო სამართლის უძველესი პრინციპია. ვერცერთი სამართლებრივი სისტემა ვერ იარსებებდა მისი სუბიექტების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების იმპერატიული მოთხოვნის გარეშე.

ვენის კონვენციით განმტკიცებული პრინციპი – *pacta sunt servanda* (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) – ინკორპორირებულია საქართველოს კანონში „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, რომლის 31-ე მუხლის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება ექვემდებარება კეთილსინდისიერად შესრულებას.

საერთაშორისო ხელშეკრულებების განხორციელების საკითხი შეიძლება განვიხილოთ როგორც ქვეყნისათვის მინიჭებული სუვერენული უფლება, თავად განსაზღვროს ასეთი მეთოდები ქვეყნის მოწყობის, ტრადიციებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, თუ მსგავსი საკითხები თავად ხელშეკრულებით არ არის კონკრეტულად განსაზღვრული.

შესაბამისად, დასტურდება, რომ თავად სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულების გზები და მეთოდები.

ასეთი სახით შერჩეული გზები და მეთოდები განეკუთვნება ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის კომპეტენციას, რომლის შედეგები გავლენას ახდენს საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო-სახელშეკრულებო ვალდებულებაზე.¹⁸

საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტი იღებენ შესაბამის ზომებს საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ხოლო საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები, რომელთა კომპეტენციას განეკუთვნება საქარ-

თველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული საკითხები, უზრუნველყოფენ საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, თვალყურს ადევნებენ ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქართველოს უფლებების დაცვასა და ხელშეკრულების სხვა მხარეების მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულებას. საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულებაზე კი საერთო ზედამხედველობას ახორციელებს საგარეო საქმეთა სამინისტრო. შესაბამისად, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები ვალდებული არიან, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაწოდონ სრული ინფორმაცია საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

საერთო ზედამხედველობა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულებაზე მოიცავს სხვადასხვაგვარი ღონისძიების გატარებას, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს უწყებების საქმიანობის კოორდინაციას. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ 1999 წლის ზაფხულში საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების ანალიზისა და კონტროლის სამმართველო. ფუნქციურად ეს სამმართველო საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო, თუმცა მაშინდელი სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად სამმართველო ჩამოყალიბდა სამინისტროს გენერალურ სამდივნოში, ხოლო 2001 წლის მაისში, პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებით, საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა უწყებათაშორისი ორგანო – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების მარეგულირებელი საკონსულტაციო საბჭო¹⁹.

სამმართველოს მუშაობის პროცესში გამოიკვეთა მრავლობითი ხასიათის სირთულეები. კერძოდ, უწყებებში არ იყო შესაბამისი სტრუქტურა ან პირი, რომელსაც დაევალებოდა აღნიშნული საკითხების კოორდინირება. ხშირად საგარეო უწყება იღებდა არაფრისმთქმელ და უპასუხისმგებლო პასუხებს, მაგალითად ასეთს: „სამინისტრო/უწყება ვერ ახორციელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ფინანსური პრობლემების გამო“, მაშინ, როცა ზოგიერთი პუნქტის შესრულება საერთოდ არ იყო დამოკიდებული ფინანსურ უზრუნველყოფაზე. უწყებათა დაახლოებით 40%-იდან კი საერთოდ არანაირი პასუხი არ მოსულა, რაც ასევე კოორდინა-

ციის სისუსტესა და შიდა კონტროლის მექანიზმის არარსებობაზე მიუთითებდა.²⁰

საქართველოს უწყებებიდან შემოსული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა ის ზერელე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რასაც სამთავრობო დანებსებულებათა უმრავლესობა იჩენდა საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების თვალსაზრისით. აღნიშნული დაფიქსირდა სამმართველოს მიერ განეული მუშაობის პირველ ანგარიშში, რომელიც წარედგინა საგარეო საქმეთა მინისტრს, მაგრამ, იმის გამო, რომ მისი უფლებამოსილება, რეაგირება მოეხდინა უწყებათა მხრიდან ფუნქციების არასრულფასოვნად შესრულებაზე, შეზღუდული იყო, და არ არსებობდა კონკრეტული მექანიზმი, რითაც საგარეო უწყება რეალურ ზედამხედველობას განახორციელებდა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულებაზე, ეს დოკუმენტი დარჩა მხოლოდ შიდა მოხმარების ინფორმაციად და ვერ მიეცა სათანადო მსვლელობა.

რაც შეეხება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების მარეგულირებელ საკონსულტაციო საბჭოს, 2003 წლის ნოემბერში განვითარებული მოვლენების შემდეგ, ფაქტობრივად, შეჩერდა საბჭოს მუშაობა, ხოლო საგარეო უწყებამ რამდენიმეჯერ განიცადა რეორგანიზაცია. ასეთ ვითარებაში შეფერხდა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელება საგარეო უწყების მხრიდან. თავად საკონსულტაციო საბჭოს ფუნქციონირების მარეგულირებელი დოკუმენტი კი შესაბამისობაშია მოსაყვანი ახლანდელ კანონმდებლობასთან და განსახორციელებელია ცვლილებები შესაბამის ნორმატიულ აქტში.

აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად კანონით განერილი კონკრეტული ვალდებულებებისა, არცერთი ნორმატიული აქტი არ განსაზღვრავს კონკრეტულ მექანიზმს, რომელიც უნდა გამოიყენებოდეს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში. კანონი ადგენს უწყებათა ზოგად ვალდებულებას, მიაწოდონ ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობის შესახებ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, მისი მოქმედების შეწყვეტისა და შეს-

რულების საერთო კოორდინატორი, მაქსიმალურად უნდა იყოს ინფორმირებული ხელშეკრულებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ, რისთვისაც მნიშვნელოვანია, განისაზღვროს კონკრეტული ვადები, რომელთა განმავლობაშიც სამინისტროები ვალდებული იქნებიან, მიაწოდონ მას სრული და ამომწურავი ინფორმაცია საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული სირთულეების შესახებ. მაგ., შესაძლებელია, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მაინც, სამინისტროები ამზადებდნენ ანგარიშს მათს კომპეტენციას მიკუთვნებულ საერთაშორისო ხელშეკრულებათა მდგომარეობის შესახებ, რაც წარედგინება საგარეო საქმეთა სამინისტროს.

ასევე, ჩამოსაყალიბებელია შესაბამისი შიდა სტრუქტურები აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დანესებულებაში, რათა სრულფასოვნად მოხდეს საგარეო უწყების მიერ მასზე კანონით დაკისრებული ფუნქციის განხორციელება. ამის მისაღწევად საჭიროა მარეგლამენტებული დოკუმენტის მიღება საქართველოს პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის დონეზე. სპეციალური შიდა სტრუქტურების ორგანიზება გააძლიერებს კოორდინირებულ მოქმედებას და მნიშვნელოვნად გაიზრდება როგორც უწყებათა პასუხისმგებლობა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების მიმართულებით, ასევე დაიხვეწება წარმოსადგენი ინფორმაციის ხარისხი.

აუცილებელია, აღდგეს საქმიანობა შესაბამისი საკონსულტაციო საბჭოსი, რომლის წევრებიც, მაღალი თანამდებობის პირთა გარდა, სასურველია, იყვნენ ამ დარგის გამოჩენილი მეცნიერი-ექსპერტები.

10. დასკვნა/რეკომენდაციები

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ ველარ ასახავს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და მისი იმპლემენტაციის პროცესში იქმნება როგორც პრაქტიკული, ისე სამართლებრივი ხასიათის სირთულეები. შესაბამისად, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულების მიზნით, აუცილებელია შეიქმნას მოქნილი სამართლებრივი მექანიზმი, რაც ასევე ხელს შეუწყობს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით

საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების თანამედროვე პრაქტიკის დამკვიდრებას.

- აუცილებელია, კანონმდებლობით განისაზღვროს პრემიერ-მინისტრის როლი საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული მოქმედებების მიმართ.
- მართებულია, კანონით უფრო დეტალურად გაიწეროს საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, შესრულებისა და მოქმედების შეწყვეტის მიზნით განსახორციელებელი პროცედურები და აქედან გამომდინარე შედეგები.
- საქართველოს სამინისტროების უფლებამოვალეობათა მკაფიოდ განსაზღვრის შედეგად გამარტივდება და დაჩქარდება საერთაშორისო ხელშეკრულების დადების მიზნით განსახორციელებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები და გაიზრდება სამინისტროების, როგორც თავიანთი ინტერესების ლობისტის, როლი.
- მნიშვნელოვანია განმტკიცდეს საგარეო საქმეთა სამინისტროს, როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს, როლი.
- არსებული პრაქტიკის გათვალისწინებითა და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, დაშვებულ იქნეს საერთაშორისო ხელშეკრულების დროებით გამოყენება.
- დასახვეწია საერთაშორისო ხელშეკრულების როგორც საქართველოს, ასევე კონტრაგენტის მხრიდან შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ტექნოლოგია. ყველა სამინისტროს უნდა დაეკისროს ვალდებულება, მიაწოდოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სრული და ამომწურავი ინფორმაცია საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისა და მასთან დაკავშირებული სირთულეების შესახებ, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მაინც.
- უნდა გააქტიურდეს ორმხრივი თანამშრომლობა კონტრაგენტ მხარესთან და, სასურველია, მათი მხრიდან იქნეს მოპოვებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ართმევს თავს ესა თუ ის უწყება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. ამავდროულად, საქართველოს უწყებების მხრიდან სისტემატურად უნდა იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია, როგორ ართმევს თავს კონტრაგენტი მხარის სტრუქტურები კონკრეტულ ვალდებულებათა შესრულებას.

ბას და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებ-
ლივ უნდა ეცნობოს საგარეო საქმეთა სამი-
ნისტროს, ხოლო საგარეო უწყებამ, თავის
მხრივ, აღნიშნული ინფორმაცია უნდა მი-

ანოდოს საქართველოს პრეზიდენტსა და
პარლამენტს შემდგომი რეაგირებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, 1997 წელი.
2. „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენცია.
3. კ. კორკელია, საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბ., 1998.
4. საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, 2004 წელი.
5. იუნესკოს წესდება.
6. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ და „საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია – 2006-2009“.
7. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების საკონსულტაციო საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ, 2001 წლის 11 მაისი, 188, საქართველოს პრეზიდენტის აქტების კრებული, 5, თბილისი, 2001 წელი.
8. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო დოკუმენტაცია.
9. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუცია.
10. 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი 3272 „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.
11. F.G. Jacobs, S. Roberts (Edited), *The Effect of Treaties in Domestic Law*, Vol. 7, Sweet & Maxwell, 1987.
12. А.Н. Талалаев, *Венская Конвенция о праве международных договоров*, Комментарий, М., 1997.
13. P. Reuter 'Introduction to The Law of Treaties', last edition.
14. О. Тиунов, *Принцип соблюдения международных обязательств*, М., 1979.
15. *Akehurst's Modern Introduction to International Law by Malanczuk, Peter; 1997.*

¹ იხ. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი.

² F.G. Jacobs, S. Roberts (Edited), *The Effect of Treaties in Domestic Law*, Vol. 7, Sweet & Maxwell, 1987, p. xxiii-xxxi.

³ იხ. 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი N3272 „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

⁴ კ. კორკელია, საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბ., 1998, გვ. 49-50.

⁵ საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, 1997 წელი, მე-4 მუხლი.

⁶ საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, 1997 წელი, მე-8 მუხლი.

⁷ მაგ., ხელშეკრულების ტექსტის მიღების მიზნით გამართულ მოლაპარაკებებზე შესაძლებელია მოლაპარაკების ერთ-ერთმა მხარემ მეორე მხარეს გადასცეს ახალი ხელშეკრულების პროექტი. სახელმწიფოთა შორის დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ასეთი შეთავაზება ოფიციალურად გადაცემულად ითვლება და ფიქსირდება მოლაპარაკებების ოქმში.

⁸ იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, 2004 წელი, 1-ლი მუხლი.

⁹ საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, 1997 წელი, მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი.

¹⁰ იხ. იუნესკოს წესდება, მუხლი XV.

- ¹¹ А.Н. Талалаев, Венская Конвенция о праве международных договоров, Комментарий, М., 1997, с. 43.
- ¹² კ. კორკელია, საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბ., 1998, გვ. 89-90.
- ¹³ იხ. „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენცია, მე-20 მუხლი.
- ¹⁴ А.Н. Талалаев, Венская Конвенция о праве международных договоров, Комментарий, М.,1997, с. 61-63.
- ¹⁵ „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენციის 25-ე მუხლის მიმართ კოლუმბიამ და კოსტა-რიკამ გააკეთეს დათქმები, რომლებითაც უარი განაცხადეს საერთაშორისო ხელშეკრულების დროებით გამოყენებაზე, თავიანთი კანონმდებლობით დადგენილი წესის გამო.
- ¹⁶ G. Gulmann, Denmark, F.G. Roberts (Edited), The Effect of Treaties in Domestic Law, Vol. 7, Sweet & Maxwell, 1987, p. 29-30.
- ¹⁷ იხ. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია – 2006-2009, www.mfa.gov.ge
- ¹⁸ კ. კორკელია, საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბ., 1998, გვ. 94-95.
- ¹⁹ იხ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს საგარეო სამინისტროსთან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების საკონსულტაციო საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ, 2001 წლის 11 მაისი, N 188, საქართველოს პრეზიდენტის აქტების კრებული, N5, თბილისი, 2001 წელი, გვ. 38-39.
- ²⁰ იხ. საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო დოკუმენტაცია (მიმონერები).

**GAPS OF THE LAW OF GEORGIA
"ON INTERNATIONAL TREATIES OF GEORGIA"**

1. INTRODUCTION

International treaties play an important role in the legal system of Georgia. In accordance with the Constitution of Georgia: "... An international treaty or agreement of Georgia unless it contradicts the Constitution of Georgia, the Constitutional Agreement, shall take precedence over domestic normative acts".¹ International treaty is a part of the legislation of Georgia and the source of domestic law, which can impose the rights and obligations to the legal and physical persons. The States are independent to determine the place of the international treaties into the hierarchy of domestic norms.² Precedence of international treaties over the law have been recognized by the number of States, including majority of the States, that at the beginning of 90 obtained or regained its State independence.

In order to implement the aforementioned norm of the Constitution of Georgia, the Law of Georgia "on International Treaties of Georgia" was adopted on October 16, 1997, which was adjusted to the Georgian reality of 90s. Adoption of this law in 1997 formed the basis for establishment of modern practice in Georgia with respect to the law of international treaties.

Recent developments in Georgia resulted in range of legislative amendments, including Constitutional changes.³ The Law of Georgia "on the Structure, Authority and Rules of Operation of the Government of Georgia" was adopted. Legal and practical problems regarding the implementation of Law "on International Treaties of Georgia" have emerged as an outcome of the mention amendments.

**2. THE PROBLEMS OF LEGAL NATURE
თუ სახელმწიფომ ხელი მოაწერა, მაგრამ არ მოახდინა საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირება, იგი მაინც ვალდებულია, თავი შეიკავოს ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება შეთანხმების საგანსა და მიზანს.

საქართველომ შესაძლებელია დაადანაშაულოს რუსეთის ფედერაცია ვენის კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევის გამო.

4. კოსოვოს აღიარების საერთაშორისოსამართლებრივი შედეგები საქართველოსათვის

ბოლო დროის განმავლობაში საერთაშორისო დონეზე ზოგიერთი კომენტატორის მიერ კეთდებოდა შეფასებები იმის თაობაზე, რომ კოსოვოს აღიარება შექმნიდა პრეცედენტს, რომელიც დაადგენდა თვითგამორკვევის პრინციპის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპით გადანონის საკითხს. ასევე კეთდებოდა პროგნოზი, რომ კოსოვოს აღიარების შემდეგ მსგავსად მიუდგებოდნენ მსოფლიოში არსებულ სხვა აუღიარებელ სუბიექტებს და შეიქმნებოდა ახალი რეალობა, რაც ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის მნიშვნელობას დააკნინებდა.

შესაბამისად, მსგავსი მოსაზრებების საფუძვლიანობის შესაფასებლად საჭიროა საერთაშორისოსამართლებრივი ანალიზი საქართველოსათვის კოსოვოს აღიარებიდან გამომდინარე საფრთხეებისა.

წლების განმავლობაში კოსოვო პოლიტიკური დავის საგანია სერბეთის მთავრობასა და კოსოვოში მცხოვრებ ეთნიკურ ალბანელებს შორის.

1999 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 1244-ე რეზოლუცია,¹⁸ რომელიც ადგენს გაეროს დროებით მმართველობას კოსოვოში და არეგულირებს სამოქალაქო და სამხედრო ხასიათის ადმინისტრირებას. აღნიშნული რეზოლუციის საფუძველზე 1999 წლიდან კოსოვო იმართება კოსოვოში გაეროს დროებითი ადმინისტრაციის მისიის (UNMIK) მიერ.

2001 წელს, გაეროს 1244-ე რეზოლუციის საფუძველზე, კოსოვოში გაეროს დროებითი ადმინისტრაციის მისია UNMIK-მა ჩამოაყალიბა კოსოვოს კონსტიტუციური ჩარჩო (Constitutional Framework for Kosovo), რომლის საფუძველზეც შეიქმნა თვითმმართველობის ადგილობრივი დროებითი ინსტიტუტები (PISG), მათში შედის: კოსოვოს არჩევითი ასამბლეა, პრეზიდენტი და პრემიერ-მი-

ნისტრის პოსტები. ამავე რეზოლუციის საფუძველზე გაეროს კოსოვოს მმართველობაში დახმარებას უწევს ნატოს ეგიდით მოქმედი სამშვიდობოები, ე.წ. კოსოვოს ძალები (KFOR). ხაზგასასმელია, რომ 1244-ე რეზოლუცია აღიარებს მაშინ ჯერ კიდევ იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის (რომლის სამართალმემკვიდრედ ითვლება სერბეთი) ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. მიუხედავად იმისა, რომ 1244-ე რეზოლუცია არ ცნობს კოსოვოს დამოუკიდებლობას, იგი არ ანიჭებს სერბეთს არანაირ როლს კოსოვოს მმართველობაში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, განცხადება იმისა, რომ კონკრეტულად კოსოვოს აღიარება შექმნის ახალ რეალობას და თვითგამორკვევის პრინციპი გადანონის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, საერთაშორისოსამართლებრივი კუთხით დაუსაბუთებელია. სუბიექტების აღიარება ხდებოდა კოსოვოს აღიარებამდე და მოხდება მას შემდეგაც და არ არის საფუძველი, რაზე დაყრდნობითაც შეიძლება გაცხადდეს, რომ კოსოვოს აღიარება იქნება გადამწყვეტი, რაც დაარღვევს არსებულ ბალანსს თვითგამორკვევის პრინციპსა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს შორის საერთაშორისო სამართალში.

მაგალითად, თვითგამორკვევის პრინციპის ამოქმედების საფუძველზე მოხდა დეკოლონიზაცია აფრიკის კონტინენტზე, დაიშალა საბჭოთა კავშირი, იუგოსლავია, სულ ახლახან დამოუკიდებლობა მოიპოვა მონტენეგრომ, ინდონეზიას გამოეყო აღმოსავლეთ ტიმორი. ეს პროცესი არ დაწყებულა კოსოვოს ე.წ. შესაძლო პრეცედენტით და არც მისით გაგრძელდება. ეს ის პროცესია, რომელიც საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ხორციელდება.

არსებობს უამრავი საერთაშორისო დოკუმენტი, სადაც განმტკიცებულია როგორც ტერიტორიული მთლიანობის, ასევე თვითგამორკვევის პრინციპი.¹⁹ ამ ორ პრინციპს შორის არსებობს ურთიერთქმედება და არ შეიძლება ცალკეული სუბიექტის, მაგ. კოსოვოს, აღიარებამ დაარღვიოს ამ საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტებით წარმოქმნილი ურთიერთქმედება.

ისმის კითხვა: საერთაშორისოსამართლებრივად რა შეიძლება მოჰყვეს რუსეთის ფედერაციის ან/და სხვა სახელმწიფოების მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას? აქ მნიშვნე-

ლოვანია მიმოვიხილოთ სხვა მსგავსი შემთხვევები. მაგალითად, პალესტინა აღიარა 100-ზე მეტმა სახელმწიფომ, მაგრამ იგი დღემდე არ ითვლება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და არ არის გაეროს წევრი; ტაივანი აღიარა 24-მა სახელმწიფომ, მათ შორის წმინდა საყდარმა, მაგრამ იგი არ არის გაეროს წევრი და არ მიიჩნევა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად; კვიპროსის ჩრდილოეთ რესპუბლიკა აღიარა მხოლოდ თურქეთმა და ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ იგი საერთაშორისო თანამეგობრობამ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად მიიჩნოს.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართალში არ არსებობს კონკრეტულად განერილი იურიდიულად სავალდებულო უნივერსალური ხასიათის ნორმა, რომელიც დაარეგულირებდა ცნობის კრიტერიუმებს. თუმცა არსებობს გარკვეული დოკუმენტები და ნორმები, რომლებიც საუბრობენ აღიარე-

ბის გამართლებულ საფუძვლებზე. პირველი ასეთი არის ის, რომ თვითგამორკვევის პრინციპის რეალიზება და აღიარება მაშინ არის გამართლებული, როდესაც სუბიექტის მოსახლეობის მიმართ განხორციელდა სამხედრო აგრესია და მათ არ ეძლევათ საშუალება ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური იდენტიფიცირებისა. ხოლო, როდესაც არ ხდება სამხედრო ხასიათის ზომების გამოყენება ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ და მათ ეძლევათ შესაძლებლობა დიდი სუბიექტის ფარგლებში დემოკრატიული მექანიზმების გამოყენებისა და განვითარების, მაშინ ცნობა არის გაუმართლებელი. აქ მნიშვნელოვანია ევროკავშირის დეკლარაციის გახსენება აღმოსავლეთ ევროპაში და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოების აღიარების სახელმძღვანელო პრინციპების თაობაზე, რომელიც 1991 წელს²⁰ იქნა მიღებული.

¹ „6. ადასტურებენ რა, რომ აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი, თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოები საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლად:

a) არ განახორციელებენ სავაჭრო-ეკონომიკურ, ფინანსურ, სატრანსპორტო, ან სხვა ოპერაციებს აფხაზეთა მხარის ხელისუფლებასთან;

b) არ დაამყარებენ ოფიციალურ კონტაქტებს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული სტრუქტურების წარმომადგენლებთან ან თანამდებობის პირებთან, აგრეთვე, მათ მიერ შექმნილი შეიარაღებული ფორმირებების წევრებთან.

7. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოები არ დაუშვებენ თავიანთ ტერიტორიებზე აფხაზეთა მხარის ხელისუფლების წარმომადგენლობებს, აგრეთვე პირებს, რომლებიც ოფიციალურად წარმომადგენენ ამ ხელისუფლებას“. „აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის დარეგულირების ზომების თაობაზე“ დსთ-ის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება. იხ.: (ქართული ტექსტი) <http://www.rrc.ge/law/Gadackyvet_1996_01_19_q.htm?lawid=1148&lng_3=ge>, (ინგლისური ტექსტი) <http://www.rrc.ge/law/gad_1996_01_19_e.htm?lawid=1148&lng_3=en>

² საერთაშორისო სახელმწიფოებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციისათვის იხ. Malcolm D. Evans *Blackstone's International Law Documents* (Blackstone Press, 2001).

³ Решение Совета Министров Иностраных Дел 25 апреля 2007 года О рекомендациях Консультативного комитета руководителей правовых служб министерств иностранных дел государств-участников Содружества Независимых Государств “О методических рекомендациях по разработке проектов международных договоров, заключаемых в рамках Содружества Независимых Государств” и “О решениях органов Содружества Независимых Государств”.

⁴ იხ.: (ქართული ტექსტი) <http://www.rrc.ge/law/gadaw_1997_03_28_q.htm?lawid=1158&lng_3=ge>, (ინგლისური ტექსტი) <http://www.rrc.ge/law/gad1_1997_03_28_e.htm?lawid=1158&lng_3=en>

⁵ იხ. <<http://www.echr.coe.int/ECHR/EN/Header/Basic+Texts/Basic+Texts/The+European+Convention+on+Human+Rights+and+its+Protocols/>>

⁶ იხ. Malcolm D. Evans *Blackstone's International Law Documents* (Blackstone Press, 2001).

- ⁷ Конвенция о правовой помощи и правовых отношениях по гражданским, семейным и уголовным делам (22 января 1993 г., г. Минск).
- ⁸ იხ. <<http://conventions.coe.int/Treaty/en/Treaties/Html/030.htm>>
- ⁹ იხ. <<http://www.un.org/aboutun/charter/>>
- ¹⁰ B. Simma (ed.), *The Charter of the United Nations: A Commentary* (Oxford: Oxford University Press, 2002), p. 117.
- ¹¹ იხ. <<http://daccessdds.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/739/16/IMG/NR073916.pdf?OpenElement>>
- ¹² B. Simma (ed.), *The Charter of the United Nations: A Commentary* (Oxford: Oxford University Press, 2002), p. 796.
- ¹³ იქვე.
- ¹⁴ იქვე.
- ¹⁵ იქვე, გვ. 722.
- ¹⁶ იქვე.
- ¹⁷ იხ. <<http://untreaty.un.org/cod/icc/statute/romefra.htm>>
- ¹⁸ იხ. <<http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N99/172/89/PDF/N9917289.pdf?OpenElement>>
- ¹⁹ იხ. D. Kumbaro, *The Kosovo Crisis in an International Law Perspective: Self-Determination, Territorial Integrity and Nato Intervention* (Final Report, 2002, Nato, Office of Information and Press).
- ²⁰ *EC Declaration on the "Guidelines on the Recognition of New States in Eastern Europe and in the Soviet Union" (16 December 1991), Annex 1.*

**INTERNATIONAL LEGAL ASSESSMENT OF THE RECENT STEPTS TAKEN
BY THE RUSSIAN FEDERATION WITH RESPECT TO GEORGIA**

***1. INTERNATIONAL LEGAL OBLIGATION
OF THE RUSSIAN FEDERATION
NOTWITHSTANDING DECLINING
THE OBLIGATIONS DERIVING FROM
THE 1996 DECISION BY IT ON 6 MARCH, 2008***

According to the paragraph 6 of the Decision Taken by the Council of the Heads of States of the Commonwealth of Independent States (CIS) *on Measures for Settlement of the Conflict in Abkhazia, Georgia* the States parties to the Decision (including the Russian Federation) confirm, that Abkhazia is an integral part of Georgia and without consent of the Government of Georgia they will not exercise trade, economic, financial, transport or other relations with the authorities of the Abkhaz side (para. 6(a)), as well as neither will they engage themselves in official contacts with the representatives or officials of the structures established in the territory of Abkhazia, nor with the members of military formations of Abkhazia (para. 6(b)). As for the paragraph 7 of the aforementioned Decision, the Member-States of the CIS will not permit the functioning of representations of the authorities of neither the Abkhaz side in their territories, nor the persons in a capacity of official representative of those authorities.¹

On 6 March, 2008 the Russian Federation declared about declining the obligations ensuing the Decision taken on 19 March, 1996 by the Council of the Heads of the CIS *on Measures for Settlement of the Conflict in Abkhazia, Georgia*.

The 1996 Decision of the Council of the Heads of States of the CIS *on Measures for Settlement of the Conflict in Abkhazia, Georgia* is a decision made by a statutory body of the CIS. Unlike the agreements concluded under the aegis of the CIS (which belong to international treaties and in relation to which

the Vienna Convention on the Law of Treaties² applies), there is no legal document clearly defining the legal status of the decisions of the CIS statutory bodies, and in particular clarifying whether the decisions made by the CIS organs represent international treaties.

The question, whether a decision of the CIS statutory body is an international treaty, is very vague. The CIS Expert Group (a Consultative Committee), which makes legal analysis of the decisions taken by the CIS statutory bodies based on the review of the CIS member-States practices, was charged to elucidate the issue. According to the document³ drafted by the group the legal status of the decisions made by the statutory bodies of the CIS are diversely perceived in different member-states. The aforementioned analytical document clearly provides for the formal position of the Russian Federation with regard to the legal status of the decisions of the CIS. In particular, the Russian Federation does not regard the CIS decisions to be international treaties. They are considered as acts adopted by an international organization, which entail certain (political) obligations for its States-Parties. Neither Belarus nor Kazakhstan recognize the international legal character of the decisions. However, it must be mentioned that there is a group of states which consider the CIS decisions to be international treaties and extend over them the Vienna Convention on the Law of Treaties. Georgia belongs to this group of states and therefore it carries out the domestic procedures with respect to the decisions. As regards Armenia, only the decisions taken within the CIS that are ratified by the Parliament of Armenia are considered to be international treaties.

The foregone implies that Georgia is not in a position to demand from the Russian Federation to agree the issue over the withdrawal

from the 1996 Decision (this would be relevant if the Decision had a status of international treaty in the Russian Federation) with the former. However, withdrawing from the 1996 Decision on 6 March 2008 does not authorize the Russian Federation to undertake activities with the Abkhaz separatist regime against the territorial integrity of Georgia, as:

1) The international law in general recognizes protection of: a) the principle of inviolability of territorial integrity of a state; b) as well as the principle of non-interference into domestic matters of a state and c) the principle of integrity of state boundaries.

2) Apart from the 19 January, 1996 Decision of the Heads of States of the CIS, from which the Russian side withdrew, the latter has recognized territorial integrity of Georgia and thus unlawfulness of the self-proclaimed regime of Sukhumi, in accordance with other analogous decisions of the Heads of States of the CIS. As an example the following can be referred to: The Decision of 19 May 1996 on the Presence and Extending the Mandate of the Collective Peacekeeping Forces in the Conflict Zone of Abkhazia, Georgia; The 28 March 1997 Decision on Implementation of the Measures for Conflict Settlement in Abkhazia, Georgia;⁴ The 8 May 1998 Decision on Additional Measures with regard to the Settlement of the conflict in Abkhazia, Georgia etc.

3) The principle of the territorial integrity of Georgia is reinforced by the United Nations Security Council Resolutions regarding the conflict in Abkhazia, Georgia ;

4) Militarisation of the separatist regimes may be considered as creating threats to peace, which is outlawed by the Charter of the United Nations (Chapter VII of the Charter of the United Nations - Action with Respect to Threats to the Peace, Breaches of the Peace, and Acts of Aggression, Articles 39-51).

2. THE TASK ASSIGNED BY THE 16 APRIL 2008 DECREE OF THE PRESIDENT OF THE RUSSIAN FEDERATION TO THE GOVERNMENT OF THE RUSSIAN FEDERATION REGARDING ABKHAZIA AND SOUTH OSSETIA

On 16 April, 2008 the President of the Russian Federation assigned the Government of the Russian Federation a task to commence direct cooperation with the representatives of the de-facto authorities of Abkhazia and the

Tskhinvali region. The same Decree established the list of official documents that shall be issued by the de-facto organs of Abkhazia and Tskhinvali regions to natural persons, as well as recognized validity of the registration of the legal entities registered in Abkhazia and Tskhinvali region in accordance with the local legislation; in line with the afore mentioned Decree the Federal bodies of the executive branch of the Russian Federation are charged to cooperate with and provide mutual legal assistance to the Abkhazia and Tskhinvali region in civil, family, and criminal matters. Deriving from the interests of persons permanently residing in Abkhazia and the Tskhinvali region the territorial bodies of the Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation are charged to perform consular duties; concurrently the consideration of the additional proposals for the further enhancement of cooperation with Abkhazia and the Tskhinvali region are envisaged.

The above mentioned task given by the President of the Russian Federation to the Government and the actions undertaken lately by the Russian Federation with regard to Georgia do clearly contradict with the universally recognized norms enshrined in both international customary and codified laws, which represent the cornerstone of the international system and are supported by the United Nations Charter, the 1975 Helsinki Final Act, as well as by the founding documents of all the universal or regional (*inter alia* the CIS) international organizations.

The actions undertaken by the Russian Federation which were "reasoned" by the protecting the citizens of the Russian Federation in the conflict zone, are not compliant with the general obligation stemming from the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. In particular, the Article 1 of the Convention obliges the High Contracting Parties to secure the protection of the rights only within their jurisdiction⁵.

The decision about granting the territorial bodies of the Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation in the Krasnodar Kray and the Republic of North Ossetia-Alania, in case of such a need the authority to undertake consular duties, violates the 1963 Vienna Convention on Consular Relations⁶. The decision to have mutual legal cooperation with the separatist regimes in civil, family and criminal

matters, violates the 1993 CIS Convention on Legal Assistance and Legal Relations in Civil, Family, and Criminal Matters⁷ and the 1959 European Convention on Mutual Assistance in Criminal Matters⁸. Respectively, the violation of the principle of discharging international obligations in good faith is evident. Yet another principle established in international law and supported by the 1969 Vienna Convention on the Law of Treaties – pact sunt servanda – is also violated.

3. INTERNATIONAL LEGAL ANALYSIS OF THE SHOOTING DOWN THE UNMANNED (SPY) PLANE OF THE MINISTRY OF INTERIOR OF GEORGIA

On 20 April, 2008 the unmanned (spy) plane of the Ministry of Interior of Georgia was shot down by a fighter in the arial space of Georgia, in particular in the Autonomous Republic of Abkhazia. As allaged by the Georgian side, the plane was shot down by the fighter of the Russian Federation. There shall be an internaitonal legal appraisal of the fact by Georgia.

3.1 Principle of Prohibition of Use of Force

Article 2(4) of the United Nations Charter⁹ determines the principle of prohibition of use of force; in particular it stipulates that all Member states of the United Nations shall refrain from the threat or use of force against the territorial integrity or political independence of any state. It is apt to mention here that **armed force** is considered in the mentioned article under the use of force.¹⁰

Shooting down of the unmanned (spy) plane of the Ministry of Interior of Georgia by other state does certainly constitute a violation of the principle of prohibition of use of force, as safeguarded in the Article 2(4) of the United Nations Charter.

3.2 Act of Aggression

In 1974 the United Nations General Assembly adopted the Resolution 3314 about the deifinition of aggression.¹¹ According to the Article 1 of the the mentioned Resolution, aggression is **a use of armed force** by a State

against the sovereignty, territorial integrity or political independence of another State. According to Article 2 of the Resolution, if a state uses armed force in contravention of the United Nations Charter, this will constitute *prima facie* evidence of an act of aggression. However, it must be also mentioned that according to the same Article, the United Nations Security Council may, in conformity with the Charter, conclude that a determination that an act of aggression has been committed is not justified if the committed act was not of sufficient gravity. The Article 3 of the Resolution provides for the acts, which, if committed regardless of a declaration of war shall qualify as an act of aggression:

a) the invasion or attack by the armed forces of a State of the territory of another State, or any military occupation, however temporary, resulting from such invasion or attack, or any annexation by the use of force of the territory of another State or part thereof;

b) Bombardment by the armed forces of a State against the territory of another State or **the use of any weapons by a State against the territory of another State;**

c) The blockade of the ports or costs of a State by the amed forces of another State;

d) An attack by the armed forces of a State on the land, sea or air forces, or marine and air fleets of another State;

e) The use of armed forces of one State which are within the territory of another State with the agreement of the receiving State, in contravention of the provisions provided for in the agreement or any extention of their presence on such territory beyond the termination of the agreement;

f) The action of a State in allowing its territory, which it has placed at the disposal of another State, to be used by that other State for perpetrating an act of aggression against the third State;

g) The sending by or on behalf of a State of armed bands, groups, irregulars or mercenaries, which carry out acts of armed force against another State of such gravity as to amount to the acts listed above, or its substantial involvement therein.

According to the Article 3 of the Constitution of Georgia and the Article 2 of the Law of Georgia on State Boundaries the territory of Georgia includes the **air space** of Georgia, re-

spectively, shooting down by a fighter of a foreign state of the unmanned (spy) plane of the Ministry of Interior of Georgia does without any doubt constitute a use of armed force against the Georgian **state territory** and correspondingly this constitutes the act of aggression, as defined by the Article 3 (b) of the 1974 United Nations General Assembly Resolution.

3.3. Relevance of the Use of the Right of Self-defense

According to the Article 51 of the United Nations Charter, a Member of the United Nations possesses the inherent right of self-defense if an **armed attack** occurs against it. According to the mentioned article, resorting to armed forces for the purpose of self-defense is permitted until the Security Council has taken measures necessary to maintain international peace and security. In case of using the right of self-defense, the state is obliged to immediately report to the Security Council on the measures taken by it in the exercise of the right of self-defense. However it must be mentioned that even though the armed attack automatically triggers the right to act contrary to the principle established by the Article 2(4) of the UN Charter (i.e. the principle of prohibition of use of force), the violation of the mentioned paragraph is not always qualified as an armed attack within the meaning of the Article 51 of the Charter.¹² An armed attack, as provided for in the Article 51, is exercised only when the armed force is used in a relatively wide scale, inflicting the substantial outcomes (simple accidents at the state boundaries, such as for example, crossing by a border patrol police of a state the border line of another state will be considered a violation of Article 2(4), but not an armed attack within the meaning of the Article 51).¹³ It must be mentioned that according to a Commentary to the United Nations Charter, the acts of aggression provided for in the 1974 United Nations General Assembly Resolution (including an act envisaged by the above mentioned Article 3(b)) may be considered as an instance of an armed attack, as provided for in the Article 51.¹⁴ Correspondingly, if a state uses an armed force against the territory of another state, an injured state may claim to use the

right of self-defense as provided for by the Article 51 of the United Nations Charter.

3.4 Chapter VII of the United Nations Charter – the Actions with respect to Threats to the Peace, Breaches of the Peace and Acts of Aggression (Art. 39-51)

According to the Article 39 of the United Nations Charter, the Security Council shall determine the existence of any threat to the peace, breach of the peace, or **act of aggression** and shall decide what measures shall be taken in accordance with Articles 41 and 42, to restore or maintain international peace and security.

The Security Council, acting within the context of the Article 39, when establishing an **act of aggression**, uses the definition as provided for by the UN General Assembly.¹⁵ However, establishing an act of aggression by the Security Council within the meaning of the Article 39 represents a political decision and there have been cases when the Security Council have not recognized certain short term armed activities as aggression.¹⁶

In case of establishing a threat to the peace, breach of the peace and the act of aggression, in accordance with the Article 41, the Security Council may decide to undertake measures not involving the use of armed force and it may call upon the Members of the United Nations to apply such measures (for example, interruption of economic relations and of rail, air, sea, and postal communication; severance of diplomatic relations).

If the measures provided for in Article 41 prove to be inadequate, the Security Council may, in accordance with the Article 42, take such action by air, sea, or land forces as may be necessary to restore international peace and security.

However, it must also be taken into consideration that according to the Article 27 of the United Nations Charter the Security Council makes a decision by a majority of affirmative vote (of minimum 9 members), including the concurring votes of the permanent members (which includes the Russian Federation as well).

There is a possibility for Georgia to apply to the Security Council in order to determine the **act of aggression** based on the Article 39, however taking into account that the Rus-

sian Federation is a permanent member of the Council, and thus, its affirmative vote is also required for taking a decision, reaching the tengable result is unrealistic.

3.5 The Internaitonal Court of Justice (ICJ)

Georgia may apply to the International Court of Justice claiming the violation of the Article 2(4) of the United Nations Charter and request the Russian Federation to be a respondent party to a case. However, the Russian Federation does not belong to the group of States, which have recognized automatic jurisdiction of the ICY under Art. 36 of the ICY Statute. Based on this there is a need that the Russian Federation recognizes the jurisdiction of the ICY in relation to any given case in order for the ICY to exercise its jurisdiction.

It must be mentioned that the Advisory Opinion of the ICY, which can be requested by the General Assembly or the Security Council, may be sought. A written request shall be submitted to the ICY to that end. However The Advisory Opinion does not have a legally binding force.

3.6 International Criminal Court (ICC)

The 1998 Rome Statute of the International Criminal Court¹⁷ represents an international legal mechanism, which the international community shall employ for bringing to justice perpetrators of the crimes. Georgia, after signing the Statute, ratified it and thus is a State-Party to it. According to the Article 12 of the Statute, a State which becomes a Party to the Statute thereby accepts the jurisdiction of the Court with respect to the following most serious crimes: a) Genocide, b) Crimes against humanity, c) War crimes, d) the crime of **aggression**. The Russian Federation has also signed the Statute, however it has not ratified the document yet. In accordance with the Article 18 of the 1969 Vienna Convention on the Law of Treaties, a State is obliged to refrain from acts which would defeat the object and purpose of a treaty when it has signed the treaty, but not ratified it.

Georgia may claim that the Russian Federation violated Article 18 of the Vienna Convention.

4. INTERNATIONAL LEGAL CONSEQUENCES DERIVING FROM THE RECOGNITION OF KOSOVO FOR GEORGIA

A number of international commentators have lately evaluated the recognition of Kosovo as a creation of the precedent establishing the superiority of the principle of self-determination over the principle of the territorial integrity of a State. It was also suggested that the recognition of Kosovo would have involved the same approach with regard to other unrecognized subjects throughout the world and a new reality would have emerged resulting in the devaluing the principle of territorial integrity.

Respectively, in order to assess the validity of such opinions, international legal assessment shall be made with regard to the threats for Georgia stemming from the recognition of Kosovo.

Kosovo has for years been a topic of political confrontation between the Government of Serbia and ethnic Albanians living in Kosovo.

In 1999 the United Nations Security Council adopted the Resolution 1244.¹⁸ The Resolution establishes the temporary presence of the United Nations and regulates the administration by the international civil and security presence. Starting from 1999, based on the mentioned Resolution, Kosovo is administered by the interim UN Administration in Kosovo (*hereinafter* – UNMIK).

In 2001, based on the Resolution 1244 the UNMIK created Constitutional Framework for Kosovo, based on which the provisional institutes of self-government (PISG), including the elective assembly, as well as the posts of the President and the Prime Minister, established. Based on the very same Resolution, the United Nations assisted in interim administration of Kosovo by the peace-keeping so called Kosovo Forces (KFOR) operating under the NATO aegis. It must be underlined that the Resolution 1244 recognizes the territorial integrity and sovereignty of then still Federal Republic of Yugoslavia (whose successor state is considered to be Serbia). Despite the fact that the Resolution 1244 does not recognize independence of Kosovo, it does not grant any role to Serbia in Kosovo administration. *Imprimis* it must be stated that declaring that the very recognition of Kosovo will bring about the new reality and this will confirm the fact that

the principle of self-determination will supersede the principle of territorial integrity of a State, is devoid of any international legal grounds. The recognition of subjects used to take place before the recognition of Kosovo and will be occurring in the future as well; and there is no ground based on which it may be claimed that the recognition of Kosovo will play the decisive role in destroying the existing balance between the principle of self-determination and the principle of territorial integrity in international law.

It may be mentioned here as an example that based on the principle of self-determination the decolonisation on the African continent took place, the Soviet Union as well as Yugoslavia was dissolved, and Montenegro got independence not long ago. East Timor was separated from Indonesia. This process has not commenced with the so called Kosovo's possible precedent and will neither proceed with it. This is the process, which takes place within the constraints of the international law.

There are numerous international treaties in force, which confirm both – the principle of territorial integrity, as well as the principle of self-determination.¹⁹ There is an interaction between the two principles, and the recognition of individual subjects, such as for example Kosovo, can not violate the interplay deriving from these international documents.

The question emerges – in terms of the international law what may follow the recognition of the Autonomous Republic of Abkhazia and the Tskhinvali region as independent states by the Russian Federation and/or any other

States? It is important to consider other similar situations in this respect. For example, Palestine is recognized by over 100 States, however up to now it is neither considered to be an independent state and nor it is a UN member-state. Taiwan is recognized by 24 States, including the Holy See, however it is not a UN member-State and is not considered to be a subject of international law. Northern Cyprus Republic is only recognized by Turkey and it is beyond any consideration that it may be recognized by the international community as an independent State and a subject of international law.

It must be mentioned that there is no concretely prescribed legally binding universal norm of international law, regulating the criteria of recognition. However, there are certain documents and norms referring to the justified basis of the recognition. The first such a norm is that the realisation and recognition of the principle of self-determination is justified only in case when an armed aggression is exercised against the population of the subject and they are not entitled to economic, cultural and political identification. As regards the situations, when there are no military measures exercised against the local population and they are given possibility to exercise and develop democratic mechanisms within the framework of the big subject, then the recognition is not justified. IT is important to recall here the EC Declaration on the 'Guidelines on the Recognition of New States in Eastern Europe and in the Soviet Union', which was adopted in 1991.²⁰

¹ "Confirming that Abkhazia is an integral part of Georgia, the member-states of the Commonwealth of Independent States, without consent of the Government of Georgia:

a) will not exercise trade-economic, financial, transport or other operations with the authorities of the Abkhaz side;

b) Will not engage themselves in official contacts neither with the representatives or officials of the structures established in the territory of Abkhazia, nor with the members of military formations of Abkhazia.

7. Member-states of the Commonwealth of Independent States will not permit the functioning of representations of the authorities of neither the Abkhaz side in their territories, nor the persons in a capacity of official representative of those authorities"

See: Decision Taken by the Council of the Heads of States of the Commonwealth of Independent States on Measures for Settlement of the conflict in Abkhazia, Georgia.

See: The Georgian text at: http://www.rrc.ge/law_Gadackyvet_1996_01_19_g.htm?lawid=1148&lng_3=ge

The English text at: http://www.rrc.ge/law/gad_1996_01_19_e.htm?lawid=1148&lng_3=en

² For the Vienna Convention on the Law of Treaties See: Malcolm D. Evans *Blackstone's International Law Documents* (Blackstone Press, 2001).

³ The Decision of the Council of the Ministers of Foreign Affairs of 25 April, 2007 on the Recommendations of the Consultative Committee of the Heads of Legal Services of the Ministries of Foreign Affairs of the CIS State Parties on "Methodological Recommendations with regard to Elaboration of the Draft International Treaties in the Framework of the Commonwealth of Independent States" and "About Decisions of the Organs of the Commonwealth of Independent States"

⁴ See: The Georgian text at: http://www.rrc.ge/law/gadawk_1997_03_28_q.htm?lawid=1158&lng_3=ge;

The English text at: http://www.rrc.ge/law/gad1_1997_03_28_e.htm?lawid=1158&lng_3=en

⁵ See: <http://www.echr.coe.int/ECHR/EN/Header/Basic+Texts/Basic+Texts/The+European+Convention+on+Human+Rights+and+its+Protocols/>

⁶ See: Malcolm D. Evans *Blackstone's International Law Documents* (Blackstone Press, 2001).

⁷ The Convention on Legal Assistance and Legal relations in Civil, Family and Criminal Matters (22 January 1993, Minsk)

⁸ See: <http://conventions.coe.int/Treaty/en/Treaties/Html/030.htm>

⁹ See: <http://www.un.org/aboutun/charter/>

¹⁰ See: B. Simma (ed.), *The Charter of the United Nations: A Commentary* (Oxford: Oxford University Press, 2002), p. 117.

¹¹ See: <http://daccessdds.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0739/16/IMG/NR073916.pdf?OpenElement>.

¹² See: B. Simma (ed.), *The Charter of the United Nations: A Commentary* (Oxford: Oxford University Press, 2002), p. 796.

¹³ See: B. Simma (ed.), *The Charter of the United Nations: A Commentary* (Oxford: Oxford University Press, 2002), p. 796.

¹⁴ See: B. Simma (ed.), *The Charter of the United Nations: A Commentary* (Oxford: Oxford University Press, 2002), p. 796.

¹⁵ B. Simma (ed.), *The Charter of the United Nations: A Commentary* (Oxford: Oxford University Press, 2002), p. 722.

¹⁶ See: B. Simma (ed.), *The Charter of the United Nations: A Commentary* (Oxford: Oxford University Press, 2002), p. 722.

¹⁷ See: <http://untreaty.un.org/cod/icc/statute/romefra.htm>.

¹⁸ See: <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N99172/89/PDF/N9917289.pdf?OpenElement>

¹⁹ See: D. Kumbaro, *The Kosovo Crisis in an International Law Perspective: Self-Determination, Territorial Integrity and NATO Intervention* (Final Report, 2002, NATO, Office of Information and Press).

²⁰ EC Declaration on the 'Guidelines on the Recognition of New States in Eastern Europe and in the Soviet Union' (16 December 1991), Annex 1.

**ფიზიკური და იურიდიული პირების დიპლომატიური
დაცვა საერთაშორისო საჯარო სამართალში**

1. შესავალი

გლობალიზაციის პროცესის დღევანდელ ეტაპზე უკვე არავის უკვირს ის ფაქტი, რომ ადამიანები ტოვებენ საკუთარ ნარმოშობისა და მოქალაქეობის სახელმწიფოს და მუშაობის, სწავლისა თუ სხვაგვარი მიზნებით მიემგზავრებიან უცხო სახელმწიფოში; ერთ სახელმწიფოში დაფუძნებული იურიდიული პირები თავიანთი ფილიალებისა თუ ნარმოშობა-გენლობების მეშვეობით მოღვაწეობას ეწევიან მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე; მსოფლიო ეკონომიკის ძალზე მნიშვნელოვან გლობალურ პროცესებში წამყვან როლს სწორედ მულტინაციონალური საწარმოები ასრულებენ; და ა.შ. ამდენად, ძალიან დიდია შანსი იმისა, რომ ფიზიკური თუ იურიდიული პირები გახდნენ სამართალდარღვევის, უფლებათა შელახვის მსხვერპლნი, ანდა აღმოჩნდნენ ქონებრივი თუ არაქონებრივი ზიანის მიყენების ობიექტნი უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

მართალია, სახელმწიფო თავისი დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების მეშვეობით იცავს თავის მოქალაქეებს, მიუხედავად მათი ადგილსამყოფელისა, და, ამასთან, ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში უცხოელს აქვს ისეთივე უფლება, მიმართოს შიდასამართლოებსა და დარღვეული უფლებების აღდგენის სხვა ინსტიტუტციურ საშუალებებს, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეებს, მაგრამ საინტერესოა, რა გამოსავალი არსებობს, ისეთ შემთხვევაში, როდესაც შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ რეჟიმში ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია?

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თანახმად, სახელმწიფო პასუხს აგებს, თავისი ქმედებით ან უმოქმედობით, უცხოელისათვის მოყენებული ზიანისათვის. დიპლომატიური დაცვა სწორედ ის მექანიზმია, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეობის სახელმწიფოს შეუძლია, საერთაშორისო დონეზე და-

იცვას საკუთარი მოქალაქის უფლებები და მოიპოვოს მისთვის შესაბამისი სამართლებრივი დაკმაყოფილება თუ კომპენსაცია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი სწორედ იმის განსაზღვრაა, რამდენად შესაძლებელია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში სახელმწიფომ დაიცვას საკუთარი მოქალაქეები საერთაშორისო სასამართლოში. ამასთან, ეს ნაშრომი, დიპლომატიური დაცვის მექანიზმის უბრალო განსაზღვრასთან ერთად, შეეცდება, დაადგინოს, თუ რამდენად რეალური და ხელმისაწვდომი საშუალებაა აღნიშნული მექანიზმი ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის, საკუთარი მოქალაქეობის სახელმწიფოს მეშვეობით, შიდასახელმწიფოებრივ დონეზე დარღვეული უფლებების საერთაშორისო სამართლებრივ რეჟიმში აღდგენის თვალსაზრისით.

ნაშრომის პირველ ნაწილში წარმოდგენილია დიპლომატიური დაცვის შესახებ საერთაშორისო სამართლის ანალიზი. აღნიშნული მექანიზმის პრინციპის ზუსტი განსაზღვრის მიზნით, ყურადღება გამახვილებულია როგორც ისტორიულ, ასევე წმინდად საერთაშორისოსამართლებრივ ასპექტებზე. შემდგომ თავებში კი მოცემულია დიპლომატიური დაცვის მექანიზმის შემადგენელი ელემენტების დეტალური აღწერა და სამართლებრივი ანალიზი.

**2. დიპლომატიური დაცვის
მექანიზმის არსი**

დიპლომატიური დაცვის მექანიზმის ჩამოყალიბების საფუძველია ისტორიული პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ერთი სახელმწიფოს მოქალაქისათვის მეორე სახელმწიფოში მიყენებული ზიანი საერთაშორისო დონეზე განიხილებოდა როგორც ზიანი მოქალაქეობის სახელმწიფოსადმი. *ემერიხ დე ვეტელის* ცნობილი სიტყვების თანახმად, „მოქალაქისადმი მიყენებული ზიანი – ეს არაპირდაპირი ზიანია სახელმწიფოსადმი.¹

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში დიპლომატიური დაცვის მექანიზმი დამკვიდრებულია როგორც საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი ნორმა.² თანამედროვე სამართალში არ არსებობს ზოგადსამართლებრივი სახელშეკრულებო ინსტრუმენტი, რომელიც დაარეგულირებდა დიპლომატიური დაცვის მექანიზმის სამართლებრივ ასპექტებს. მისი შინაარსის განსაზღვრა წლების განმავლობაში ხდებოდა ძირითად წყაროთა განმარტების დამხმარე საშუალებებით.³ მცდელობა დიპლომატიური დაცვის შესახებ არსებული საერთაშორისო სამართლის ბაზის კოდიფიკაციისა განახორციელა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სამართლის კომისიამ (შემდგომში – „საერთაშორისო სამართლის კომისია“ ან „კომისია“). კომისიის მიერ დიპლომატიური დაცვის შესახებ მუხლების პროექტის (შემდგომში – „მუხლების პროექტი“ ან „პროექტი“) ტექსტი, კომენტარებთან ერთად, პირველი მოსმენით მიღებულ იქნა 2004 წელს,⁴ ხოლო 2006 წელს პროექტი დამტკიცდა მეორე მოსმენით.⁵ ამ დროისათვის დიპლომატიური დაცვის სამართლის კოდიფიკაციის აღნიშნული დოკუმენტი რჩება ისევ და ისევ პროექტად და მას არანაირი სავალდებულო ძალა, გარდა ძირითად წყაროთა განმარტების დამხმარე ფუნქციისა,⁶ არ გააჩნია საერთაშორისო საზოგადოების წევრი სახელმწიფოებისათვის.

საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმა სასამართლომ დიპლომატიური დაცვა განმარტა როგორც „საერთაშორისო სამართლის ელემენტარული პრინციპი“, რომლის მიხედვითაც, „სახელმწიფო უფლებამოსილია, დაიცვას საკუთარი სუბიექტი, როდესაც ამ უკანასკნელს ზიანი მიადგა სხვა სახელმწიფოს მიერ ჩადენილი ქმედებით, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, და როდესაც ამ სახელმწიფოში ჩვეულებრივი გზით ზიანის ანაზღაურება ვერ მოხერხდა“.⁷

კომისია დიპლომატიური დაცვის შესახებ ნორმათა პროექტში შემდეგნაირად განმარტავს ამ ინსტრუმენტს: „დიპლომატიური დაცვა მოიცავს დიპლომატიური ქმედების ან დავის მშვიდობიანი მოგვარების სხვა საშუალების გამოყენებას სახელმწიფოს მიერ იმ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დასმის მიზნით, რომელმაც საერთაშორისო სამართლებრივი დარღვევის მეშვეობით ზიანი მიაყენა განმცხადებელი სახელმწიფოს მოქალაქე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, თუკი აღნიშნული მიზნად ისახავს ასეთი პასუხისმგებლობის იმპლემენტაციას“.⁸

როგორც ვხედავთ, დიპლომატიური დაცვა არის ის მექანიზმი, რომელსაც შეუძლია, საშუალება მისცეს საზღვარგარეთ მყოფ მოქალაქეს, დაიცვას თვისი დარღვეული უფლებები საკუთარი სახელმწიფოს შუამდგომლობით, ისეთ შემთხვევებში, როდესაც დარღვევა წარმოშობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას.⁹ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიური დაცვის განხორციელება ყველანაირი მეთოდით დაუშვებელია. როგორც სსკ-ის მიერ შემუშავებული განმარტებიდან ჩანს, დიპლომატიური დაცვის განხორციელება საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცევა მხოლოდ დავის მოგვარების მშვიდობიანი ხერხების გამოყენების შემთხვევაში. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ დიპლომატიური დაცვა არ მოიცავს იმ მოქალაქეთა დაცვას, რომლებიც საზღვარგარეთ სახელმწიფოს სახელით ეწევიან დიპლომატიურ-წარმომადგენლობით საქმიანობას, რადგან ამგვარ შემთხვევაში ჩადენილი ქმედება აღიქმება სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებულ პირდაპირ დარღვევად. ასეთია ზოგადად დიპლომატიური დაცვის მექანიზმის სამართლებრივი არსი. ის, თუ რამდენად ხელმისაწვდომი და რეალურად განხორციელებადი მექანიზმია დიპლომატიური დაცვა, ამის დემონსტრირებას მისი ძირითადი შემადგენელი ელემენტებისა და პრინციპების დეტალური ანალიზით შევეცდებით.

3. დიპლომატიური დაცვის მექანიზმის ძირითადი ელემენტები და პრინციპები – თეორია პრაქტიკის წინააღმდეგ

დიპლომატიური დაცვა, როგორც ერთი მთლიანი სამართლებრივი მექანიზმი, უამრავი ცალკეული ელემენტისაგან შედგება, რომელთა ჯერ ცალ-ცალკე და შემდგომ ერთ მთლიან მექანიზმად ამოქმედებისათვის აუცილებელია ცალკეული პრინციპისა თუ მოთხოვნის დაკმაყოფილება. აღნიშნულ პროცესში კი ვანყდებით უამრავ ბარიერს, რაც ძალზე ამცირებს იმ პირთა წრეს, რომელთაც ეძლევათ რეალური შესაძლებლობა, ისარგებლონ დიპლომატიური დაცვით.

3.1. დიპლომატიური დაცვის განხორციელების უფლება

საერთაშორისო სამართლის ტრადიციული პრინციპის თანახმად, დიპლომატიური დაცვის განხორციელება სახელმწიფოს პრე-როგატივაა. საერთაშორისო მართლმსაჯუ-

ლების მუდმივმა სასამართლომ მავრომატი-სის პალესტინური კონცესიების საქმეზე განაცხადა, რომ დიპლომატიური დაცვის განხორციელებისას სახელმწიფო იყენებს თავის უფლებას, „უზრუნველყოს საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების პატივისცემა თავის სუბიექტთან მიმართებით“.¹⁰

დიპლომატიური დაცვის განხორციელება სახელმწიფოს უფლებაა. საერთაშორისო სამართლის თანახმად, სახელმწიფო არ არის ვალდებული, დაიცვას საკუთარი მოქალაქე საერთაშორისო არენაზე და, შესაბამისად, დაცვის განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ სახელმწიფოები ისტორიულად თავს არიდებენ, საერთაშორისო სამართალში მისცენ უფლება ინდივიდებს, თავად წამოიწყონ საქმე სახელმწიფოების წინააღმდეგ, რასაც ხსნიან სახელმწიფო სუვერენიტეტსა და შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებთან დაკავშირებული მიზეზებით.¹¹ კომპანია „ბარსელონა ტრეკშენის“ საქმეზე საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ: „საერთაშორისო სამართლის ფარგლებში დანესებული შეზღუდვების თანახმად, სახელმწიფოს შეუძლია, განახორციელოს დიპლომატიური დაცვა იმ საშუალებებითა და იმ ფარგლებში, რასაც საჭიროდ მიიჩნევს... სახელმწიფო უნდა განვიხილოთ როგორც ერთადერთი მსაჯული, რომელსაც შეუძლია, გადანყვიტოს, განახორციელებს თუ არა იგი დაცვას, რა ფარგლებში და როდის შეწყვეტს“.¹²

ამგვარად, როგორც უკვე გამოიკვეთა, პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლება ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის – ისარგებლოს თავისი მოქალაქეობის სახელმწიფოს დაცვით, არის სახელმწიფოს მიერ დიპლომატიური დაცვის ვალდებულების განხორციელების არარსებობა. ამდენად, მოქალაქე საერთაშორისოსამართლებრივ რეჟიმში ვერანაირად აიძულებს სახელმწიფოს, განახორციელოს მისი დაცვა. უფრო მეტიც, „თუნდაც ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა [რომლის სახელითაც სახელმწიფო ახორციელებს დიპლომატიურ დაცვას] ჩათვალოს, რომ მისი უფლება არაადეკვატურად იქნა დაცული, მას საერთაშორისოსამართლებრივ რეჟიმში არ გააჩნია არანაირი სამართლებრივი საშუალება“.¹³

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის დადებითი ტენდენციები, რაც ამ მხრივ სახელმწიფოთა თანამედროვე პრაქტიკაში შეინიშნება.

საერთაშორისოსამართლებრივი საზოგადოების ზოგიერთი წევრი თვლის, რომ ინდივიდებს უნდა ჰქონდეთ უფლება, მოსთხოვონ სახელმწიფოს, განახორციელოს დიპლომატიური დაცვა მათი სახელით. არსებობს, მართალია, ძალზე შეზღუდული მასშტაბით, მაგრამ მაინც, სახელმწიფო პრაქტიკა, რომელიც ეხმარება აღნიშნულ მოსაზრებას.¹⁴ რამდენიმე სახელმწიფოს კონსტიტუციური დებულებებით, აღიარებულია ინდივიდის უფლება, მიიღოს სახელმწიფო დაცვა იმ ზიანის გამო, რომელიც მიადგა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.¹⁵ მათ შორის არის საქართველოც. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის თანახმად: „საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა“.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დადებითი ძვრებისა, ფაქტი ფაქტად რჩება – საერთაშორისო სამართალში კვლავაც სავალდებულო ძალას ინარჩუნებს ტრადიციული პრინციპი დიპლომატიური დაცვის განხორციელების სახელმწიფო უფლების შესახებ. საერთაშორისო სამართლის კომისიამ უარყო შეთავაზება, ელიარებინათ დაცვის განხორციელებაზე სახელმწიფოს შეზღუდული ვალდებულება.¹⁶ თუმცა ვერც ამ დადებითი ტენდენციების სრულიად უგულებელყოფა შეძლო. კომისიამ დიპლომატიური დაცვის შესახებ მუხლების პროექტში ჩადო მე-19(ა) მუხლი¹⁷, რომელიც ერთგვარ რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოს, დაცვის გარეშე არ დატოვოს, განსაკუთრებით, ის მოქალაქეები, რომელთაც მნიშვნელოვანი ზიანი მიადგათ.

3.2. დიპლომატიური დაცვის მექანიზმის ბენეფიციარები

მოქალაქეობა არის დამაკავშირებელი რგოლი სახელმწიფოსა და დაზარალებულ პირს შორის, რაც საფუძველს იძლევა დიპლომატიური დაცვის განხორციელებისათვის.¹⁸ ამ შემთხვევაში, ტერმინი მოქალაქე მოიცავს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. ფიზიკური და იურიდიული პირების მოქალაქეობის განსაზღვრისას ვანყდებით თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ გარკვეულ თავისებურებებს, რის გამოც ამ ორ ჯგუფს ცალ-ცალკე განვიხილავთ.

ფიზიკური პირები. ისტორიულად, იმის განსაზღვრა, თუ ვინ წარმოადგენს თავის მოქალაქეს, განეკუთვნებოდა სახელმწიფოს პრეროგატივას. საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმა სასამართლომ საქმეზე –

მოქალაქეობის დადგენილებები ტუნისსა და მაროკოში – განსაზღვრა, რომ: „მოქალაქეობის საკითხები განეკუთვნება პრინციპულად [სახელმწიფოთა] შიდა კომპეტენციას“.¹⁹ იმავე შინაარსის დებულება იქნა ჩადებული 1930 წლის კონვენციაში – „მოქალაქეობის შესახებ კანონთა შორის კონფლიქტთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხის შესახებ“.²⁰

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვხედავთ, თავად საერთაშორისო სამართლის კონტექსტში იქნა აღიარებული სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლება, თვითონ გადაწყვიტოს, თუ ვინ მიეკუთვნება მის მოქალაქეთა რიგებს, საქმე არცთუ ისე მარტივად არის, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოებში ამა თუ იმ პირის სახელმწიფოსადმი მოქალაქეობრივი კუთვნილების განსაზღვრისას სახელმწიფოს აღნიშნული უფლება იზღუდება.²¹ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ყველა ის პირი, რომელიც სახელმწიფოს იურისდიქციაში აღიარებულია მის მოქალაქედ, საერთაშორისო სამართლის თანახმად, ამ შემთხვევაში დიპლომატიური დაცვის მიზნებისათვის, შესაძლოა, სულაც არ ჩაითვალოს ამ ქვეყნის მოქალაქედ.

მართალია, საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ ფორმულირებული მუხლების პროექტის მე-4 მუხლი აღიარებს სახელმწიფოს უფლებას, თავად განსაზღვროს, თუ ვინ შეიძლება იყოს მისი მოქალაქე, ამავდროულად აწესებს ამ უფლების შეზღუდვას საერთაშორისო სამართლის ფარგლებში.²² მუხლი გვთავაზობს არაამომწურავ ჩამონათვალს მოქალაქეობის იმ მეთოდებისას, რომლებიც შეესაბამება მოქმედ საერთაშორისო სამართალს. დაბადებით, მშობლების მოქალაქეობის მიხედვით, ნატურალიზაციით, სახელმწიფო სამართალმემკვიდრეობით მიღებული მოქალაქეობა სრულიად შეესაბამება, საერთაშორისო სამართლის გაგებით, მოქალაქეობის მიღების საფუძვლებს. თუმცა არსებობს მოქალაქეობის მიღების ისეთი ფორმებიც, რომლებიც, თუმცა შიდასახელმწიფოებრვ სამართლებრივ რეჟიმში სრულიად მისაღებია, მაგრამ საერთაშორისო სამართლისთვის მიუღებელი, მაგალითად, მეუღლის მიერ ქორწინების შედეგად მოქალაქეობის ავტომატურად მიღება.²³

ამდენად, პირი, რომელიც, ქვეყნის შიდა-კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქეა, იმყოფება მასთან სამართლებრივ და პოლიტიკურ კავშირში, პირნათლად ასრულებს თავის მოქალაქეობრივ ვალდებულებებს, იხდის გადა-

სახადებს, და ა.შ., ვერ ისარგებლებს სახელმწიფო დაცვით, ვინაიდან მისი მოქალაქეობა ვერ ექცევა „მოქალაქეობის“ საერთაშორისო სამართლისეულ განმარტებაში.

იურიდიული პირები. დიპლომატიური დაცვის შესახებ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლისა და ამ საკითხის ირგვლივ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის, აგრეთვე გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შემუშავებული მუხლების პროექტის მიხედვით, დიპლომატიური დაცვა ვრცელდება არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ იურიდიულ პირებზეც. იურიდიული პირების დიპლომატიური დაცვა ძალზე მრავალფეროვანი და საინტერესო სფეროა. აქ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ კორპორაციებისა და არასაშემოსავლო იურიდიული პირების დაცვა. უფრო მეტიც, დიპლომატიური დაცვით სარგებლობენ არა მხოლოდ კორპორაციები, არამედ მათი მენილეებიც.

სახელმწიფოებს დღეისათვის უკვე ძალზე დიდი პრაქტიკა დაუგროვდათ **კორპორაციათა** დიპლომატიური დაცვის სფეროში. კორპორაცია ამ შემთხვევაში გულისხმობს შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე საშემოსავლო იურიდიულ პირს, რომლის კაპიტალიც წარმოდგენილია წილების სახით.²⁴

ისევე, როგორც ფიზიკური პირების შემთხვევაში, კორპორაცია უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს, რათა ჩაითვალოს კონკრეტული ქვეყნის მოქალაქედ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, ფიზიკური პირების მსგავსად, საერთაშორისო სამართალი იმდენად მაღალ ბარიერს უწესებს კორპორაციებს, რომ მათგან ძალზე ბევრი შეიძლება, ამ საერთაშორისო სამართლებრივი ინსტიტუტის გავრცელების არეალის მიღმა აღმოჩნდეს. ისევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაშიც კორპორაციებისათვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხი ქვეყნის შიდა კომპეტენციას განეკუთვნება.²⁵ მაგრამ ამ შიდა კომპეტენციას ისევე არ აქვს რაიმე ძალა დიპლომატიური დაცვის მიზნებისათვის, როგორც ფიზიკური პირების შემთხვევაში.

სახელმწიფოები იურიდიული პირის მოქალაქეობის განსაზღვრისათვის სხვადასხვა ტესტს იყენებენ, – იქნება ეს რეგისტრაციის ქვეყანა, სათავო ოფისის, თუ, უბრალოდ, წარმომადგენლობის ადგილმდებარეობის ქვეყანა. საქართველო, მაგალითად, იურიდიული პირის ქმედუნარიანობის განსაზღვრისათვის იყენებს იურიდიული პირის ადმინისტრაციის ფაქტობრივი ადგილმდებარეობის ქვეყნის სამართალს.²⁶ მართლმსაჯულების

საერთაშორისო სასამართლომ კომპანია „ბარსელონა ტრეფშენის“ საქმეზე განმარტა, რომ, საერთაშორისო სამართლის ტრადიციული ნორმის თანახმად, კორპორაციის დიპლომატიური დაცვის უფლება ენიჭება იმ სახელმწიფოს, რომელშიც კომპანია ინკორპორირებულია და აქვს რეგისტრირებული წარმომადგენლობა.²⁷ ამდენად, როგორც ვხედავთ, კორპორაციის მიერ მოქალაქეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების კრიტერიუმი საკმაოდ მაღალია: კორპორაცია ქვეყნის მოქალაქედ რომ ჩაითვალოს, უნდა იყოს არა მხოლოდ ინკორპორირებული, არამედ უნდა გააჩნდეს რეგისტრირებული წარმომადგენლობაც მაშინ, როდესაც, შეიძლება, ქვეყნები ამ ორი ტესტიდან მხოლოდ ერთს იყენებდნენ.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრიტერიუმით შეიძლება თამაშს მიღმა აღმოჩნდნენ ის სახელმწიფოები, რომლებსაც გაცილებით მეტი ეკონომიკური ინტერესი აქვთ კომპანიის მიმართ, ვიდრე იმ სახელმწიფოს, რომელიც, შესაძლოა, აკმაყოფილებდეს მოქალაქეობის ქვეყნის მოთხოვნებს დიპლომატიური დაცვის მიზნებისათვის. მით უმეტეს, თანამედროვე ეკონომიკური და კომერციული ურთიერთობების პირობებში კომპანიას შესაძლოა, საერთოდ არ ჰქონდეს შეხება თავისი ინკორპორაციის სახელმწიფოსთან, მაგრამ ძალზე მჭიდროდ იყოს დაკავშირებული რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოებთან. კომპანია „ბარსელონა ტრეფშენის“ საქმის მიხედვით, კომპანიის უმეტესი წილი ბელგიის მოქალაქეების ხელში იყო, თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბელგიას არ ჰქონდა უფლება, დიპლომატიური დაცვა განეხორციელებინა კომპანიის სახელით, ხოლო კანადა, რომელიც ჩაითვალა კომპანიის სახელით დიპლომატიური დაცვის განხორციელების უფლების მქონე სახელმწიფოდ, საერთოდ არ დაინტერესებულა კომპანიის ბედით.

საქმე ისაა, რომ ასეთი ფორმალისტური მიდგომით ვერ იქნება დაკმაყოფილებული ამ ინსტრუმენტის მიზანი – სათანადო დიპლომატიური დაცვით უზრუნველყოს კორპორაციები. ამგვარ შემთხვევაში, ალტერნატიული კრიტერიუმის – ჭეშმარიტი ეკონომიკური ინტერესისა და ეფექტური კავშირის – გამოყენებით უფრო მეტად იქნებოდა კორპორაციის დაცვის მიზანი მიღწეული.

საერთაშორისო სამართლის კომისია შეეცადა, მოქალაქეობის აღნიშნული ბარიერი ცოტათი მაინც დაენია ქვემოთ და მუხლების პროექტის მე-9 მუხლში დატოვა მხოლოდ

ერთი კრიტერიუმი – ინკორპორაციის ადგილი. თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანი წინსვლა იყო გამოცხადების ამ ზოგადი წესიდან ის, რაც ჩაიდო მუხლში: „იმ შემთხვევაში, როდესაც კორპორაციას აკონტროლებენ სხვა ქვეყნის ან ქვეყნების მოქალაქეები და თავად კომპანია არ ეწევა რაიმე მნიშვნელოვან საქმიანობას ინკორპორაციის ქვეყანაში, ამავედროულად, ადმინისტრაცია მდებარეობს და ფინანსური კონტროლი ხორციელდება ამ სხვა სახელმწიფოდან, მოქალაქეობის სახელმწიფოდ ჩაითვლება ეს უკანასკნელი,“²⁸ რაც ძალზე მნიშვნელოვანი წინსვლაა – გამარტივდა მოქალაქეობის დადგენის კრიტერიუმი და ასევე გათვალისწინებულ იქნა ის ქვეყნები, რომლებიც, შესაძლოა, გაცილებით მეტად იყვნენ დაინტერესებულნი კორპორაციის უფლებათა დაცვით.

კორპორაციების დიპლომატიური დაცვის ფუნდამენტური პრინციპის თანახმად, კორპორაციის დიპლომატიური დაცვა უნდა განხორციელდეს კორპორაციის, და არა მის მენილეთა, მოქალაქეობის სახელმწიფოს მიერ.²⁹ სასამართლოს განმარტებით, „შესაძლოა ორმა სხვადასხვა ინსტიტუტმა განიცადოს ზიანი ერთი და იმავე სამართალდარღვევის შედეგად, მაგრამ მხოლოდ ერთი მათგანის უფლება ჩაითვლება დარღვეულად“.³⁰ სასამართლოს გადაწყვეტილება – დიპლომატიური დაცვის განხორციელების ექსკლუზიური უფლება მიენიჭებინა ინკორპორაციის სახელმწიფოსათვის – აიხსნა რამდენიმე მიზეზით: პირველი, კორპორაცია და მენილეები ორი განცალკევებული წარმონაქმნია. „უბრალო ფაქტი, რომ ზიანი განიცადა ორივემ, – კორპორაციამ და მენილემ, – არ ნიშნავს, იმას, რომ ორივეს შეუძლია მიიღოს კომპენსაცია“.³¹ კორპორაციის განსაკუთრებული თვისებაა ის, რომ მენილეთა პასუხისმგებლობა შეზღუდულია და განცალკევებულია კორპორაციის უფლებებისა და პასუხისმგებლობებისგან; მეორე, უცხოელი მენილეები ფულის დაბანდებისას ითვალისწინებენ იმ რისკს, რომ ინკორპორაციის სახელმწიფომ შესაძლოა, არ განახორციელოს კორპორაციის დიპლომატიური დაცვის დისკრეციული უფლება;³² ბოლოს, სასამართლოს განმარტებით, მენილეთა სახელმწიფოსათვის დიპლომატიური დაცვის განხორციელება გამოიწვევს დავათა მრავალმხრივობას.

თუკი, როგორც სასამართლო განმარტავს, მენილე და კორპორაცია ორი დამოუკიდებელი ინსტიტუტია, მაშინ გაუგებარია, რატომ არ შეიძლება, ორივე მათგანის სახელმწიფოს

ჭქონდეს დაცვის თანაბარი უფლება. თუმცა მენილის პასუხისმგებლობა კომპანიაში შეზღუდულია, წარმოუდგენელია ვამპტიცოთ, რომ კომპანიისათვის არსებითი ზიანის მიყენებამ არანაირი ეფექტი იქონიოს და არ დააზარალოს მენილე. წარმოიდგინეთ, რა დღეში აღმოჩნდება იგი, თუკი მხოლოდ კორპორაციის სახელმწიფოს მივანიჭებთ დიპლომატიური დაცვის უფლებას და ეს უკანასკნელი ამ უფლების განხორციელებაზე უარს იტყვის. რისკის აღებაზე რამდენად შეიძლება იყოს საუბარი იმ პირობებში, როდესაც, თანამედროვე სახელმწიფო პრაქტიკის თანახმად, როგორც წესი, სახელმწიფოები უცხოელ მენარმეებს უწესებენ სავალდებულო მოთხოვნას კომპანიის ინკორპორაციის სახით. ამდენად, ეს ვერ ჩაითვლება ნებაყოფლობით რისკად; და ბოლოს, თუკი პრობლემა პროცედურული თვალსაზრისით გვექნება დავების მრავალმხრივობასა და რიცხოვნობასთან, ამის გადაწყვეტაც შეიძლება წარმოებთან გაერთიანებით, რამდენიმეწარმომადგენლიანი მხარის, კონსოლიდირებული განაცხადის, ან სულაც, დასწრების პრინციპის გამოყენებით. უნდა ითქვას აგრეთვე, რომ პროცედურულ სირთულეებს გადაწონის ის რეალობა, რომელსაც სასამართლოს აღნიშნული მიდგომის გამოყენება მოგვცემს, კერძოდ, მენილეები ძალიან ხშირად ყოველგვარი დაცვის გარეშე აღმოჩნდებიან.

სასამართლომ თავისი მკაცრი ფორმალისტური მიდგომიდან დაუშვა ორად ორი გამონაკლისი, როდესაც მენილის სახელმწიფოს აქვს უფლება, დაიცვას საკუთარი მოქალაქის ინტერესები: ა) როგორც გამონაკლისი ძირითადი პრინციპიდან და ბ) როდესაც ზიანი მიადგა პირდაპირ და უშუალოდ მენილეს, მის უფლებებსა და ინტერესებს;³³ მენილის მოქალაქეობის სახელმწიფოს, თავის მხრივ, დიპლომატიური დაცვის განხორციელება გამონაკლისის სახით შეუძლია მხოლოდ 2 შემთხვევაში: ა) როდესაც კორპორაცია წყვეტს არსებობას ინკორპორაციის სახელმწიფოში³⁴ და ბ) კორპორაციის სახელმწიფო თავად არის მიყენებული ზიანის ავტორი და, შესაბამისად, მენილეთა უფლებების დაცვის ერთადერთ საშუალებად საერთაშორისო მართლმსაჯულება რჩება.³⁵

მაშასადამე, თუკი კორპორაცია „შენწყვეტს არსებობას“, მენილის სახელმწიფოს შეუძლია, გამოიყენოს დიპლომატიური დაცვის განხორციელების უფლება.³⁶ უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში სასამართლომ მეტად მკაცრ კრიტერიუმს მიმართა – კორ-

პორაცია შესაძლოა, ფორმალურად განაგრძობდეს არსებობას, თუმცა რეალურად პარალიზებული იყოს. აღნიშნული არ გაითვალისწინა სასამართლომ და დაადგინა, რომ „კომპანიის არსებობის მხოლოდ სამართლებრივად შეწყვეტის შემთხვევაში ერთმევათ მენილეებს კომპანიის მეშვეობით ზიანის ანაზღაურების საშუალება“.³⁷

კომისიის პროექტის მე-11 მუხლი კიდევ უფრო ამკაცრებს კრიტერიუმს და მიუთითებს, რომ კომპანიის მიერ არსებობის შეწყვეტა არ უნდა იყოს განპირობებული იმ ზიანით, რომელიც დიპლომატიური დაცვის შესაძლო ობიექტია.³⁸ აღნიშნული ახსნილია იმით, რომ ამ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს ისევე უშუალოდ კორპორაციის უფლების შელახვა და დიპლომატიური დაცვის პრეროგატივა განეკუთვნება ინკორპორაციის სახელმწიფოს.³⁹ თუმცა აქ ისევე გაურკვეველობა იჩენს თავს – წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება, ინკორპორაციის სახელმწიფომ დიპლომატიური დაცვა განახორციელოს არარსებული კორპორაციის სახელით.

მეორე გამონაკლისის მიხედვით, „მენილეთა სახელმწიფოს უფლება აქვს, განახორციელოს დიპლომატიური დაცვა, როდესაც სახელმწიფო, რომლის პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს, არის კორპორაციის მოქალაქეობის სახელმწიფო“.⁴⁰ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შემდგომ პერიოდში ამ გამონაკლისს მისდევდნენ სახელმწიფოები, ძირითადად, ორმხრივი ხელშეკრულებების ფორმით. თუმცა სასამართლო პრაქტიკის სახით ძალზე მნიშვნელოვანია, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *კომპანია „ელექტრონიკა სიქულას შესახებ“*.⁴¹ აქ სასამართლომ რეალურად დაუშვა აღნიშნული გამონაკლისი, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებს მიანიჭა უფლება, დაეცვა მისი მოქალაქე ორი კომპანია, რომლებიც ფლობდნენ იტალიური კომპანიის წილების აბსოლუტურ რაოდენობას, და რომელსაც ზარალი მიადგა მისი მოქალაქეობის სახელმწიფოს – იტალიის – მიერ. საქმიდან ჩანს, რომ სასამართლომ გვერდი აუარა ფორმალისტურ მიდგომას და აღიარა აღნიშნული გამონაკლისი მენილის სახელმწიფოს სასარგებლოდ.

მოცემული გამონაკლისი გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერაც, დიპლომატიური დაცვის შესახებ მუხლების პროექტში. მართალია, კომისიამ აღიარა ეს გამონაკლისი, მაგრამ ამავდროულად შეზღუდა ისეთი შემთხვევები-

სათვის, როდესაც ინკორპორაცია ამ ქვეყანაში კომპანიის მიერ საქმიანობის განხორციელების სავალდებულო მოთხოვნაა.⁴² გაუგებარია, რატომ გადაწყვიტა კომისიამ აღნიშნული გამონაკლისის კიდევ უფრო შეზღუდვა, მაშინ, როდესაც საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი ნორმა კორპორაციათა დიპლომატიური დაცვის ექსკლუზიური უფლების შესახებ ისედაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს კომპანიის მენილეებს.

გარდა ზოგადი წესიდან გამონაკლისებისა, მენილეთა მოქალაქეობის სახელმწიფოებრივ სარგებლობენ დიპლომატიური დაცვის განხორციელების ექსკლუზიური უფლებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ზიანი მიადგა უშუალოდ მენილის უფლებას. საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ყველა შემთხვევაში, როდესაც ზიანი მიადგება მის უშუალო უფლებას, მენილის სახელმწიფოს აქვს დამოუკიდებელი მოქმედების უფლება“.⁴³ არსებობს უფლებები და ინტერესები, რომლებიც მხოლოდ მენილეებს ეკუთვნით კომპანიაში. ესენი შეიძლება იყოს: უფლება დივიდენდებზე, გენერალურ შეხვედრაზე დასწრებისა და ხმის მიცემის უფლებები, ასევე, მაგალითად, ლიკვიდაციისას კომპანიის საკუთრებიდან წილის მიღების უფლება და სხვა.

მენილეთა დიპლომატიური დაცვის ეს ექსკლუზიური უფლება ჩაიდო დიპლომატიური დაცვის შესახებ მუხლების პროექტშიც. მე-12 მუხლში კომისიამ აშკარად გაავლო ხაზი კორპორაციისა და მენილის უფლებებს შორის. რა თქმა უნდა, შეიძლება არსებობდეს ინტერესთა სფეროები, სადაც კორპორაციისა და მენილეთა უფლებები და ინტერესები აუცილებლად გადაიკვეთება, თუმცა მოცემული მუხლის ფორმულირებაში, ალბათ, ეს უფლებები ვერ ჩაჯდება, რაც კიდევ უფრო ზღუდავს იმ სფეროს, სადაც მენილის მოქალაქეობის სახელმწიფოს საერთაშორისო დონეზე შეუძლია მისი მოქალაქის სახელით ინტერვენცია.

დიპლომატიური დაცვის შესახებ საერთაშორისო სამართლის ტრადიციული ნორმები იცნობს მხოლოდ ერთი სახის იურიდიული პირების, კერძოდ კორპორაციების, დიპლომატიურ დაცვას. აღნიშნული განპირობებულია მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებებით, რომლებიც მათ აძლევენ საშუალებას, განსაკუთრებული როლი დაიკავონ საერთაშორისო არენაზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არ უნდა დაგვავინყდეს, რომ ქვეყნის შიდა კანონმდებლობა იცნობს უამრავი სახის **სხვა იურიდი-**

ულ პირსაც, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფოს სუბიექტებს და თანაბრად ექცევიან სახელმწიფო დაცვის კონსტიტუციური უფლების ჩარჩოებში. მაგალითისთვის ავიღოთ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, რომლის მე-8 მუხლის თანახმად, კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი, სამენარმეოც და არასამენარმეოც, საქართველოს თუ უცხო ქვეყნის იურიდიული პირი.⁴⁴ აღნიშნული კორპორაციების გარდა, მოიცავს უამრავ იურიდიულ წარმონაქმნს, რომლებიც კორპორაციებზე არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე. ასეთ იურიდიულ პირებს შეიძლება მივაკუთვნოთ: ფონდები, კავშირები ასოციაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც არსებობენ სხვადასხვა გრანტით ან შემოწირულობით და ემსახურებიან ამა თუ იმ სფეროს განვითარებას, ბავშვთა, ქალათა და ა.შ. უფლებების დაცვას, და სხვა უამრავ მიზანს. საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმა სასამართლომ რამდენიმე ათეული წლის წინ დაადგინა, რომ თემის ადგილობრივ ორგანოს,⁴⁵ ისევე, როგორც უნივერსიტეტს,⁴⁶ შეიძლება მივანიჭოთ ქვეყნის მოქალაქის სტატუსი.

კორპორაციათა გარდა, სხვა იურიდიული პირების დიპლომატიური დაცვის არანაირ ტრადიციას არ იცნობს საერთაშორისო სამართალი. არადა, გაუგებარია, რატომ არ უნდა დაიცვას ასეთი იურიდიული პირები საკუთარმა სახელმწიფომ.

თუმცა აქვე უნდა დამაიმედებლად აღინიშნოს, რომ გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის მაღალკვალიფიციურ წევრებს არ გამორჩენიათ აღნიშნული საკითხი და დიპლომატიური დაცვის მუხლების პროექტის მე-13 მუხლში ჩადეს დებულება, რომლის თანახმად, დიპლომატიური დაცვის შესახებ კორპორაციისთვის გათვალისწინებული წესები თანაბრად ვრცელდება „სხვა იურიდიულ პირებზე“.⁴⁷ ამ შემთხვევაში მოქალაქეობის სახელმწიფოდ უნდა ჩაითვალოს ის, რომელშიც შეიქმნა ეს იურიდიული პირი.⁴⁸ იურიდიულ პირს რომ უნდა ჰქონდეს რაიმე ფორმალური საფუძველი, ანუ აღიარებულ იქნეს იურიდიულად, ხაზგასმულ იქნა ასევე საერთაშორისო სასამართლოს მიერაც.⁴⁹

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ძალზე მნიშვნელოვანი წინსვლა სხვა იურიდიული პირების დიპლომატიურ დაცვასთან დაკავშირებით: საერთაშორისო სამართლის კომისიის

დიპლომატიური დაცვის შესახებ მუხლების პროექტისა და თანდართული კომენტარების 2004 წლისათვის შემუშავებული ვერსიის თანახმად, სხვა იურიდიულ პირებზე ვრცელდებოდა მხოლოდ ის მუხლები, რომლებიც უშუალოდ კორპორაციის დაცვას შეეხება, რაც არ მოიცავდა მენილეთა დიპლომატიური დაცვის მარეგულირებელ ნორმებს. აღნიშნულის შედეგად თამაშს მიღმა რჩებოდნენ ისეთი არასაშემოსავლო ორგანიზაციის წევრები, რომლებიც დაფუძნებულნი არიან წევრობის პრინციპზე. ასეთ ორგანიზაციებში წევრებს საკუთარი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი შეაქვთ იურიდიული პირის კაპიტალში და ამ უკანასკნელის ლიკვიდაციის შემთხვევაში იღებენ წილს ორგანიზაციის ქონებიდან. ამგვარად, ასეთ ორგანიზაციათა წევრები თავისი ბუნებით, თუმცა შეზღუდული ფორმით, მაგრამ მაინც უთანაბრდებიან იმავე პოზიციას, რასაც მენილეები ფლობენ კორპორაციაში, უფრო ზუსტად, იძენენ ისეთსავე უფლებებსა და ინტერესებს ორგანიზაციის კაპიტალის მიმართ მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში. თუმცა უკვე 2006 წლის ანგარიშში დიპლომატიური დაცვის მუხლების პროექტის შესახებ შეტანილ იქნა ცვლილება და კორპორაციის მენილეთა დიპლომატიური დაცვის რეჟიმი ანალოგიის წესით გავრცელდა სხვა იურიდიული პირების წევრებზეც.⁵⁰

3.3. „დავის მოქალაქეობის“ პრინციპი

დიპლომატიური დაცვის მექანიზმი ემყარება ე.წ. „დავის მოქალაქეობის“ პრინციპს. როგორც ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ, „სწორედ მოქალაქეობრივი კავშირი სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის აძლევს სახელმწიფოს უფლებას, განახორციელოს დიპლომატიური დაცვა“.⁵¹ სახელმწიფოსა და პირს შორის ფორმალური კავშირის დამტკიცების გარეშე, რასაც წარმოადგენს მოქალაქეობა, ძალზე ძნელი დასამტკიცებელია, რომ სახელმწიფოს აქვს ამ პირის სახელით დიპლომატიური დაცვის განხორციელების ინტერესი და საფუძველი.⁵² დავის მოქალაქეობის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ დიპლომატიური დაცვის განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ მოქალაქეობის სახელმწიფოს. ეს საკითხი ძალიან მარტივი გადასაწყვეტია მაშინ, როდესაც ფიზიკური თუ იურიდიული პირი ერთი ქვეყნის მოქალაქეა. საკითხი რთულდება ორმაგი მოქალაქეობის შემთხვევაში, ვინაიდან „დავის მოქალაქეობის“ პრინციპიდან გამომ-

დინარე, მოქალაქეობის ორივე სახელმწიფოს აქვს უფლება, განახორციელოს დიპლომატიური დაცვა.

ორმაგი ან მრავალმხრივი მოქალაქეობა არ არის აკრძალული საერთაშორისო სამართლის თანახმად.⁵³ თუმცა ორმაგი მოქალაქეობა სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს ქვეყნებისთვის, რომელთაც სურთ თავიანთი მოქალაქეების მიმართ დაცვის განხორციელება.

დიპლომატიური დაცვის განხორციელებისათვის მთავარია სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის მოქალაქეობრივი კავშირის არსებობა. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ყოველი მოქალაქეობის სახელმწიფო უფლებამოსილია, დიპლომატიური დაცვა რამდენიმე მოქალაქეობის მქონე პირის სახელით განახორციელოს მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ. მიუხედავად ზემოაღნიშნული ლოგიკისა, 1955 წელს *ნოტებომის* საქმეზე⁵⁴ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო საკითხს ცოტა რთულად მიუდგა და განსაზღვრა, რომ მხოლოდ მოქალაქეობრივი კავშირი არ არის საკმარისი და აუცილებელია მოქალაქესა და მის სახელმწიფოს შორის ჭეშმარიტი კავშირის არსებობა. ამით სასამართლომ კიდევ უფრო გაამკაცრა დიპლომატიური დაცვის განხორციელებისათვის დადგენილი ისედაც მკაცრი მოთხოვნები. აღნიშნული ტესტის ფართოდ გამოყენება ყველა შემთხვევაში ძალზე შეზღუდავს დიპლომატიური დაცვის განხორციელების შესაძლებლობას, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება დიპლომატიური დაცვის ძირითად მიზანს – მისცეს სახელმწიფოს საშუალება, დაიცვას თავისი მოქალაქე საერთაშორისო დონეზე.

აღნიშნული პრაქტიკა არ შეესაბამება საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებულ პრაქტიკას. *სალემის* საქმეზე საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილების თანახმად, „მოპასუხე სახელმწიფოს არ აქვს უფლება, სადავოდ გახადოს განმცხადებელი სახელმწიფოს სარჩელის დასაშვებობა მოქალაქეობის სხვა სახელმწიფოზე მითითებით“.⁵⁶ იგივე დაადგინა იტალია-ამერიკის ტრიბუნალმა *მერჯის* საქმეზე 1955 წელს.⁵⁷

იმავე პრინციპს დაეყრდნო საერთაშორისო სამართლის კომისია მუხლების პროექტის მე-6 მუხლის შემუშავებისას. აღნიშნული მუხლის მიხედვით, ორმაგი ანდა რამდენიმე მოქალაქეობის შემთხვევაში, მოქალაქეობის ყოველ სახელმწიფოს შეუძლია, განახორციელოს დიპლომატიური დაცვა მესამე

სახელმწიფოს წინააღმდეგ.⁵⁸ კომისია უფრო შორსაც წავიდა და მე-6 მუხლის მეორე ნაწილში განსაზღვრა, რომ მოქალაქეობის რამდენიმე სახელმწიფოს ერთდროულად შეუძლია განახორციელოს დიპლომატიური დაცვა.⁵⁹

ახლა ვნახოთ, რა ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ერთი მოქალაქეობის სახელმწიფო დავობს მეორე მოქალაქეობის სახელმწიფოს წინააღმდეგ. ძველად საერთაშორისო სამართალში გამეფებული იყო ე.წ. „პასუხისმგებლობის გამორიცხვის“ დოქტრინა, რომლის მიხედვითაც ერთი მოქალაქეობის სახელმწიფოს მიერ მეორე მოქალაქეობის სახელმწიფოს მიმართ დიპლომატიური დაცვის განხორციელება დაუშვებელი იყო.⁶⁰ აღნიშნული პრინციპი ასევე ხაზგასმულ იქნა საერთაშორისო სასამართლოს მიერ, როგორც „დამკვიდრებული პრაქტიკა“ „ზიანის ანაზღაურების“ საქმეზე.⁶¹

აღნიშნულ პრაქტიკაზე დაყრდნობა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, – როდესაც ძალიან გახშირდა მიმოსვლა სხვადასხვა ქვეყანას შორის, გაადვილდა ბიზნესის გადატანა უცხო ქვეყანაში, და როცა, ასეთ პირობებში პირები, ნებით თუ მათი ნებისაგან დამოუკიდებლად, ხშირად ხდებიან უცხო ქვეყნ(ებ)ის მოქალაქეები, – ძალზე გაუმართლებელი იქნებოდა. ეს დოქტრინა დაუცველს დატოვებდა ბევრ ადამიანს. საბედნიეროდ, საერთაშორისო სამართალი მეტად სწრაფად პროგრესირებადი დარგია. მართალია, აღნიშნული დოქტრინა მთლიანად არ გაუქმებულა და ვერც გაუქმდება, სახელმწიფო სუვერენიტეტის უნივერსალური პრინციპიდან გამომდინარე, მაგრამ გამოსავალი მოინახა.⁶² იმის დასადგენად, შეიძლება თუ არა ერთი მოქალაქეობის სახელმწიფოს მეორის მიმართ განხორციელებინა დიპლომატიური დაცვა, ამერიკა-იტალიის ტრიბუნალმა *მერჯის* საქმის მიხედვით დაადგინა: „პრინციპი..., რომელიც გამორიცხავს დიპლომატიურ დაცვას ორმაგი მოქალაქეობის შემთხვევაში, ვერ გადანონის ეფექტური მოქალაქეობის პრინციპს, თუკი ასეთი მოქალაქეობა ეკუთვნის განმცხადებელ სახელმწიფოს“.⁶³ ეფექტური მოქალაქეობის პრინციპი ამავე ნელს გამოიყენა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომაც *ნოტეპომის* საქმეზე. მართალია, სასამართლომ ამ საკითხზე იმსჯელა ცოტა სხვა კონტექსტში, თუმცა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მომავალში ორმაგი მოქალაქეობის პრინციპთან მიმართებით შემდგომი გადაწყვეტილებების მიღებაში. მაგალითად, ეფექტური მოქალა-

ქეობის პრინციპით იტალია-ამერიკის, ასევე ირან-ამერიკის ტრიბუნალებმა უამრავი გადაწყვეტილება გამოიტანეს.⁶⁴ საქმეზე – ა/18 – ირან-ამერიკის ტრიბუნალმა *მერჯისა* და *ნოტეპომის* საქმეთა გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, დაადგინა, რომ ორმაგი მოქალაქეობის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო ყოველი საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით, მოქალაქის ეფექტური მოქალაქეობის განსაზღვრის გზით.⁶⁵ ტრიბუნალმა შემდგომში მრავალჯერ გამოიყენა ეფექტური მოქალაქეობის პრინციპი, მათ შორის ერთ-ერთ საქმეზე ტრიბუნალმა განაცხადა, რომ მოცემულ შემთხვევებში „ეფექტური მოქალაქეობის თეორია არის გადაწყვეტის გზა, რომელიც ყველაზე უფრო მეტად შეესაბამება საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპებს“.⁶⁶

ამდენად, როგორც ვხედავთ, თანამედროვე საერთაშორისო სამართალში პრაქტიკა იხრება „პასუხისმგებლობის გამორიცხვის“ უძველესი დოქტრინიდან გამონაკლისის დაშვებისაკენ. უფრო მეტიც, საერთაშორისო სამართლის კომისიამ აღნიშნული გამონაკლისი პროექტშიც შეიტანა. მე-7 მუხლის მიხედვით, „მოქალაქეობის სახელმწიფოს შეუძლია, განახორციელოს დიპლომატიური დაცვა პირის სახელით იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც აქვს დომინანტური მოქალაქეობა ზიანის მიყენებისას, ისევე, როგორც განაცხადის ოფიციალური წარდგენისას“.⁶⁷ აქ, როგორც ვხედავთ, ეფექტური მოქალაქეობის გარდა, აუცილებელი მოთხოვნაა, მოქალაქეობის დომინანტური კავშირი დადგინდეს, როგორც ზიანის მიყენებისას, ისევე განაცხადის ოფიციალურად წარდგენისას.⁶⁸ უამრავი ფაქტორი შეიძლება იქნეს გათვალისწინებული ეფექტური მოქალაქეობის განსაზღვრისას. როგორც საფრანგეთ-გერმანიის შერეულმა ტრიბუნალმა ერთ-ერთ საქმეზე მიუთითა, პირი მიჩნეულ უნდა იქნეს იმ ქვეყნის მოქალაქედ, რომელთანაც არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი კავშირიც აქვს.⁶⁹ ეს შეიძლება მოიცავდეს: ქვეყანაში ცხოვრების პერიოდს, მოქალაქეობის მიღების თარიღს, განათლების მიღების ადგილს, ენას, რომელზეც მიიღო განათლება, დასაქმებასა და ფინანსურ ინტერესებს, ოჯახური ცხოვრების ადგილს, ოჯახურ კავშირებს სახელმწიფოში, სოციალურ და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობას, გადასახადების გადახდას, საბანკო ანგარიშებს, დაზღვევას, ვიზიტებს სხვა მოქალაქეობის სახელმწიფოში, პასპორტის ფლობასა და გამოყენებას,

სამხედრო სამსახურს და ა.შ.⁷⁰ არბიტრაჟის მუდმივმოქმედმა სასამართლომ კანეგაროს საქმეზე ეფექტური კავშირის დასადგენად მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ პირი კენჭს იყრიდა პერუს სენატის წევრობის კანდიდატად, და ის, რომ იგი მოგვიანებით დასთანხმდა, გამხდარიყო პერუს გენერალური კონსული ნიდერლანდების სამეფოში.⁷¹ თუმცა, ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ზემოაღნიშნული ფაქტორი არ არის გადაწყვეტი ძალის მქონე და ამ ფაქტორისათვის წონისა და მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია ყოველი საქმის კონკრეტულ გარემოებებზე.⁷²

3.4. „განგრძობადი მოქალაქეობის“ პრინციპი

მოქალაქეობასთან დაკავშირებული მეორე პრობლემური საკითხი – ეს არის „განგრძობადი მოქალაქეობის“ პრინციპი, რომლის არსი ისაა რომ მხოლოდ მოქალაქეობრივი კავშირი სახელმწიფოსა და პირს შორის არ არის საკმარისი სახელმწიფოს მიერ დიპლომატიური დაცვის განხორციელების ლეგიტიმაციისათვის, არამედ აუცილებელია, პირი სახელმწიფოს მოქალაქე იყოს როგორც დანაშაულის ჩადენის მომენტში, ასევე სამართალწარმოების გარკვეული ეტაპისთვისაც. ამ წესის ერთ-ერთი მიზანია, თავიდან აირიდოს პატარა სახელმწიფოთა მოქალაქეების მიერ ძლიერი სახელმწიფოებისათვის დავის წამოწყების უფლების გადაცემა.⁷³

საერთაშორისო სამართლის მაღალკვალიფიციური მეცნიერები ფიქრობენ, სახელმწიფოები სავალდებულოდ შესასრულებელი ნორმის ძალას ანიჭებენ იმ წესს, რომ მოქალაქეობრივი კავშირი უნდა არსებობდეს როგორც ზიანის მიყენების მომენტში, ისე გარკვეულ ეტაპზეც. იან ბრაუნლის განცხადებით, შეთანხმება არ არის მიღწეული აღნიშნული წესის მეორე ნაწილთან მიმართებით, ანუ ის, – თუ რა ეტაპამდე უნდა იქნეს შენარჩუნებული მოქალაქეობა.⁷⁴ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მიდგომა არსებობს, კერძოდ, ეტაპი, რომელამდეც განგრძობადი მოქალაქეობის პრინციპი უნდა იქნეს დაცული, განსხვავდება: დიპლომატიური მოლაპარაკებების დაწყება, განაცხადის ოფიციალური წარდგენა, იმ ხელშეკრულების ხელმოწერა, რატიფიკაცია ან ძალაში შესვლა, რომელიც დავას საერთაშორისო არბიტრაჟს გადასცემს, ზეპირი მოსმენის დასრულება, სასამართლო გადაწყვეტილების მიღება, გა-

დანყვეტილების აღსრულება, და ა.შ.⁷⁵ ფელერისა და ოპენჰაიმის მოსაზრებით კი, სახელმწიფოთა პრაქტიკიდან გამომდინარე, ყველაზე მისაღებია, სახელმწიფომ მოქალაქეობა შეინარჩუნოს განაცხადის ოფიციალურ წარდგენამდე.⁷⁶ თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სულ რამდენიმე წლის წინ, როგორც საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო საარბიტრაჟო კომისიამ 2003 წლის გადაწყვეტილებაში განაცხადა, მოქალაქეობა შენარჩუნებულ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის ეტაპისთვისაც.⁷⁷

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ნორმა კიდევ ერთი შემზღუდველი ფაქტორია დიპლომატიური დაცვის განხორციელებისათვის. თან, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მოქალაქეს უნევს, ჯერ შიდა საშუალებებით ეცადოს დავის გადაწყვეტას, შემდეგ ელოდოს, როდის მიიღებს სახელმწიფო გადაწყვეტილებას, მისი სახელით განხორციელოს დიპლომატიური დაცვა, ხოლო შემდეგ დონეზე დავის დაწყებასა და სასამართლო წარმოების ამა თუ იმ ეტაპის დასრულებას, არცთუ ისე მოკლებულია ლოგიკას დასკვნა, რომ მოქალაქის მიერ ამ პერიოდში მოქალაქეობის შეცვლის ალბათობა საკმაოდ დიდია. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ხშირად მოქალაქეობის შეცვლა არ არის დამოკიდებული პირის სურვილზე და ეს ავტომატურად მისგან დამოუკიდებლად ხდება. ასეთ შემთხვევაში, გამოდის, რომ პირი ყოველგვარი დაცვის გარეშე რჩება.

განგრძობადი მოქალაქეობის პრინციპი, რალა თქმა უნდა, საერთაშორისო სამართლის კომისიამ გაითვალისწინა მუხლების პროექტში. თუმცა აქ კომისიის მაღალკვალიფიციური წევრები უფრო ღმობიერები აღმოჩნდნენ და გარკვეული გამოწვევის დაუშვეს ამ წესიდან. კომისიამ განსაზღვრა, რომ პირი სახელმწიფოს განგრძობად მოქალაქეობას უნდა ინარჩუნებდეს ზიანის მიყენების მომენტიდან სასამართლოსათვის განაცხადის ოფიციალური წარდგენის მომენტამდე.⁷⁸ თუმცა კომისიამ გაითვალისწინა, რომ საერთაშორისო საზოგადოებაში არ არსებობს შეთანხმება ამ ორ ეტაპს შორის მოქალაქეობის შენარჩუნების აუცილებლობაზე და გადაწყვიტა, თუკი ვერ მტკიცდება განგრძობითობა, მაშინ ორივე ეტაპზე მოქალაქეობის ქონა ჩაითვლება განგრძობითი მოქალაქეობის წესის შესაბამისად.⁷⁹ განგრძობადი მოქალაქეობის აღნიშნული პრინციპი გამოიყენება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების დიპლო-

მატიურ დაცვასთან მიმართებით.⁸⁰ კომისიამ სწორად განსაზღვრა ის გარემოება, რომ, თუკი ვაღიარებთ განგრძობითი მოქალაქეობის პრინციპს, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ პირთა ინტერესებიც და ამ წესიდან გარკვეული სამართლიანი გამონაკლისიც დავუშვათ. ფიზიკური პირების სახელით შესაძლებელია დიპლომატიური დაცვის განხორციელება მოცემული პრინციპის გვერდის ავლით, თუკი სამი პირობა კუმულაციურად დაკმაყოფილებულია: ა) პირს ჰქონდა სამართალმემკვიდრის წინმსწრები სახელმწიფოს მოქალაქეობა ან, უბრალოდ, დაკარგა წინა მოქალაქეობა; ბ) ახალი მოქალაქეობის მიღება არ უკავშირდება მის მიმართ დიპლომატიური დაცვის განხორციელებას; და გ) ახალი მოქალაქეობა არ არის მიღებული საერთაშორისო სამართლის დარღვევით.⁸¹

კომისიამ აქაც გამოიყენა ის წესი, რომლის მიხედვითაც, კორპორაციის მიერ მოპასუხე სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, განმცხადებელი სახელმწიფო კარგავს დიპლომატიური დაცვის განხორციელების უფლებას.⁸² თუმცა კომისიამ კორპორაციებთან მიმართებით, ნეგატიური გამონაკლისების გარდა, პოზიტიური გამონაკლისიც დაუშვა. პროექტის ავტორებმა გაითვალისწინეს ის აზრი, რომ ინკორპორაციის სახელმწიფოში, კორპორაციის მიერ არსებობის შეწყვეტის შემთხვევაში, ვერც ერთი სახელმწიფო შეძლებს დიპლომატიური დაცვის განხორციელებას კორპორაციის სახელით. აქედან გამომდინარე, კომისიამ დაუშვა გამონაკლისი და განსაზღვრა, რომ სახელმწიფო კვლავაც ინარჩუნებს დიპლომატიური დაცვის განხორციელების უფლებას იმ კორპორაციის სახელით, რომელიც იყო მისი მოქალაქე ზიანის მიყენების დროს და ამ ზიანის შედეგად შეწყვიტა არსებობა ინკორპორაციის სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.⁸³ განგრძობადი მოქალაქეობის პრინციპთან დაკავშირებით კორპორაციების მიმართ დაწესებული რეჟიმი ანალოგიის წესით ვრცელდება არაკომერციულ იურიდიულ პირებზეც.⁸⁴

დასკვნა

სტატიის დასაწყისში დაისვა საკითხი, თუ რამდენად ხელმისაწვდომი საშუალებაა დიპლომატიური დაცვა ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქისათვის, რომელსაც უცხო სახელმწიფოს ქმედებით დაერღვა უფლება, მიადგა

ზიანი. ზემოთ მოცემული დეტალური ანალიზი არ გვაძლევს საშუალებას, დიპლომატიური დაცვა მივიჩნიოთ მოქალაქისათვის ალტერნატიულ, ხელმისაწვდომ და რეალური დაკმაყოფილების მიღების საშუალებად.

მოქმედი საერთაშორისო სამართლის ფარგლებში დიპლომატიური დაცვის განხორციელება განეკუთვნება სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, ეს არის დისკრეციული პროცესი, რომლის დროსაც პირი ჯერ იძულებულია, მოლაპარაკებები და შუამავლობა აწარმოოს საკუთარ სახელმწიფოსთან, რათა შემდეგ შეძლოს დავის საერთაშორისო მართლმსაჯულებისადმი დაქვემდებარება: განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც დამრღვევი პირისათვის არ არსებობს ადეკვატური, ხელმისაწვდომი და ეფექტური საშუალება, ყოვლად გაუმართლებელია დიპლომატიური დაცვის განხორციელების დისკრეციული უფლების სახელმწიფოსათვის დატოვება. თანამედროვე სახელმწიფო პრაქტიკა იხრება იქითკენ, რომ ნაწილობრივ მაინც გახადოს სავალდებულო დიპლომატიური დაცვის განხორციელება სახელმწიფოს მიერ. თუმცა მანამ, სანამ ეს მექანიზმი ინარჩუნებს დისკრეციულ ხასიათს, მოქალაქეებისათვის იგი ვერ ჩაითვლება დაცვის ხელმისაწვდომ და ალტერნატიულ საშუალებად. სავალალო შედეგი, რაც აღნიშნულ ექსკლუზიურ უფლებამოსილებას ახლავს თან, ნათლად იქნა გამოხატული ამნისტიის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ: „სახელმწიფოები ხშირად მსხვერპლად შეწირავენ დაზარალებულთა კანონიერ უფლებებს ისეთ პოლიტიკურ ინტერესებს, როგორც არის სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელ სახელმწიფოსთან მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნება“.⁸⁵

წინამდებარე ნაშრომში მოცემულმა ანალიზმა ცხადყო, რომ დიპლომატიური დაცვის განხორციელების ვალდებულების არარსებობა არ არის ამ მექანიზმთან დაკავშირებული ერთადერთი პრობლემა. დიპლომატიური დაცვის განხორციელებას წინ უძღვის უამრავი ფორმალური და პროცედურული წინაპირობა, რაც ძალზე ამცირებს ისეთ შემთხვევათა რიცხვს, როდესაც მოქალაქეს თავისი სახელმწიფოს მეშვეობით დიპლომატიური დაცვის რეალური განხორციელების საშუალება აქვს.

პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა, რაც უკავშირდება მოქალაქეობრივ კავშირს სახელმწიფოსა და დაზარალებულ პირს შორის, მხოლოდ ასეთი კავშირის დად-

გენით არ შემოიფარგლება. დამატებით უნდა იქნეს განსაზღვრული, შეესაბამება თუ არა პირის მიერ მოქალაქეობის მოპოვების ფორმა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს. ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და ლოგიკურია, მოქალაქეობის საკითხის განსაზღვრა მთლიანად სახელმწიფოს რეგულირების სფეროში ექცეოდეს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული ისეთი შემთხვევები, როდესაც მოქალაქე, რომელიც წლებების განმავლობაში მჭიდროდ მოქალაქეობრივი კავშირით არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან, რჩება დაცვის გარეშე მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მოქალაქეობის მოპოვების ფორმა არ შეესაბამება საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს.

მოქალაქეობის საკითხი ამით არ მთავრდება. „განგრძობადი მოქალაქეობის პრინციპმა“, მისი დღემდე გაურკვეველი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება წარმოშვას ხელოვნური პრობლემები დიპლომატიური დაცვის განხორციელებისათვის. მართალია, უდავოა, რომ განგრძობადი მოქალაქეობის არსებობა ცალსახად სავალდებულო წინაპირობაა დიპლომატიური დაცვის განხორციელებისათვის, მაგრამ დღემდე დაუდგენელია, თუ რა ეტაპამდე უნდა იქნეს შენარჩუნებული მოქალაქეობა. განსაკუთრებით საშიშია ისეთი პრაქტიკის გამოყენება, რომელიც მოქალაქეობრივი კავშირის არსებობას მოითხოვს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის ან ასეთი გადაწყვეტილების აღსრულების პერიოდამდე. საერთაშორისო სასამართლო დაწესებულებაში სამართალწარმოება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. წლებია საჭირო ზოგიერთი განაცხადის მხოლოდ და მხოლოდ წარმოებაში მისაღებად, აღარაფერს ვამბობთ საქმის განხილვასა და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანაზე, მით უმეტეს, ამ გადაწყვეტილების აღსრულებაზე. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში პირის მიერ მოქალაქეობის შეცვლა არცთუ ისე არარეალურია. განგრძობადი მოქალაქეობის პრინციპის მკაცრი დაცვით კი მოქალაქემ შესაძლოა, საბოლოოდ დაკარგოს დაცვის საშუალება საერთაშორისო მართლმსაჯულების ფარგლებში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობს უამრავი სხვა მოთხოვნა თუ წინაპირობა, რომლებიც სახელმწიფომ უნდა დააკმაყოფილოს დიპლომატიური დაცვის განხორციელების მიზნით, იქნება ეს შიდა საშუალებების ამონაწერვა, სახელმწიფოს ქმედებაში საერთაშორისო სამართლებრივი დარღვევის დადგენა,

ორმაგ ან მრავალმხრივ მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები, ფიზიკური და იურიდიული პირისა და მისი მენილეების, შესაბამისად ნევრების, მიმართ დიპლომატიური დაცვის განხორციელების თავისებურებათა გათვალისწინება, თუ სხვა რამ. ყველა ამ პირობის სიმრავლისა და, ზოგ შემთხვევაში, სირთულის, ასევე კონკრეტულ მომენტში მოქალაქეობის სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური მიზნებისა და ინტერესების გათვალისწინებით, ძნელია ვიმსჯელოთ, რამდენად რეალურია სახელმწიფოს მიერ დიპლომატიური დაცვის განხორციელების შესახებ კეთილი ნების გამოვლენა.

ბოლოს, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორი, რომელზეც ნაშრომის ძირითად ნაწილში არ გვისაუბრია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შეეხება საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას და არა უშუალოდ დიპლომატიური დაცვის სამართლებრივ მექანიზმს: თუკი დადგინდა სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართლის დარღვევა, ამ უკანასკნელმა დაზარალებულ სახელმწიფოს უნდა გადაუხადოს კომპენსაცია. ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო ფლობს დისკრეციულ უფლებამოსილებას, გადაუხადოს თუ არა რეპარაციის შედეგად მიღებული ანაზღაურება სამართალდარღვევის მსხვერპლს. საერთაშორისო სამართლის კომისიამაც ღიად დატოვა საკითხი იმასთან დაკავშირებით, ვალდებულია თუ არა სახელმწიფო, დაზარალებულ პირს გადაუხადოს ის ანაზღაურება, რაც კომპენსაციის სახით მიიღო დიპლომატიური დაცვის განხორციელების გზით წამოწყებული დავის მის სასარგებლოდ გადაწყვეტის შედეგად.

ისევე, როგორც ყველა სამართლებრივი პროცედურა, რა თქმა უნდა, დიპლომატიური დაცვაც მოიცავს მთელ რიგს სავალდებულო მოთხოვნებისას – წესებისა თუ წინაპირობების დაკმაყოფილებასა და შესრულებას. აღნიშნული ძალზე ლოგიკური და მართებულია, თუმცა დიპლომატიური დაცვა მოიცავს უამრავი წვრილმანი პირობის, ტექნიკური თუ ფორმალური წესისა და მოთხოვნის დაცვის ვალდებულებას, რამაც შესაძლოა, ხელოვნური ბარიერები წარმოშვას დაცვის ამ მექანიზმის განხორციელებისათვის. დიპლომატიური დაცვა – ეს არის საშუალება სახელმწიფოსათვის, დაიცვას საკუთარი მოქალაქე სხვა ქვეყნის უკანონო ქმედებისაგან, ისევე, როგორც მოქალაქეთათვის – უცხო ქვეყანაში დაკარგული სამართალი საერთაშორისო დონეზე მოიპოვონ. ამდენად, მთავარი ამოსა-

ვალი წერტილი დიპლომატიური დაცვის განხორციელებისას უნდა იყოს მოქალაქის უფლებებისა და ინტერესების დაცვა და მისთვის მიყენებული ზიანის გამო სათანადო დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. სწორედ ამ მიზანსა და იდეაზე უნდა იყოს მორგებული ყველა ფორმალური, პროცედურული, თუ სხვა სახის წინაპირობა, რაც აუცილებელია დიპლომატიური დაცვის განხორციელებისათვის.

როგორც ნაშრომის ძირითად ნაწილში ვნახეთ, დიპლომატიური დაცვის სფეროში შეინიშნება დადებითი და საკმაოდ საიმედო ტენდენციები. გაეროს საერთაშორისო სამა-

რთლის კომისიამ დიდი წვლილი შეიტანა ამ მიმართულებით და, სახელმწიფოთა არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, მრავალ საკითხზე ყველაზე ლიბერალური გადანყვეტილება შემოგვთავაზა. საერთაშორისო სამართალი სწრაფად განვითარებადი დარგია. ვიმედოვნებთ, უახლოეს მომავალში ყველა შემოაღნიშნული პრობლემა გადანყდება და დიპლომატიური დაცვა უფრო მეტად მიუახლოვდება იმ მიზანს, რასაც სახელმწიფოს მიერ საკუთარი სუბიექტების უფლებებისა და ინტერესების დაცვა ჰქვია

¹ „*Shelter from the Storm: Rethinking Diplomatic Protection of Dual Nationals in Modern International Law*“ (შემდგომში – Shelter from the Storm), Craig Forcese, George Washington International Law Review, George Washington University, 2005, p. 1.

² *Shelter from the Storm*, p. 472; ჩვეულებითი ნორმა არის სამართლის ნორმის სახით დამკვიდრებული საყოველთაო პრაქტიკა, იხ. Article 38(1)(a), *Statute of the International Court of Justice*, <http://www.icj-cij.org/documents>

³ სასამართლო პრაქტიკა და საერთაშორისო სამართლის მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა შრომები. იხ. Article 38(1)(d), *Statute of the International Court of Justice*.

⁴ I.L.C., *Report of the International Law Commission on the work of its fifty-sixth session* (3 May-4 June and 5 July-6 August 2004) UN Doc. A/59/10, p.22.

⁵ I.L.C., *Report of the International Law Commission on the work of its fifty-eighth session* (2006) UN Doc. A/61/10 (შემდგომში - Report of the International Law Commission 2006), p. 13.

⁶ საერთაშორისო სამართლის კომისიის წევრთა ნაშრომები უნდა განვიხილოთ როგორც მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა შრომები მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდების 38(1)(დ) მუხლის კონტექსტში. იხ. Article 2(1), *Statute of the International Law Commission*, Adopted by the General Assembly in its Resolution 174 (II) of 21 November 1947.

⁷ Mavrommatis Palestine Concessions Case, p. 12.

⁸ Article 1: Definition and Scope; *Draft Articles on Diplomatic Protection*, International Law Commission, fifty-eighth session, 2006 (შემდგომში - Draft Articles on Diplomatic Protection)

⁹ იხ. Malcolm N. Shaw, „*International Law*“ (შემდგომში – M. N. Shaw, „*International Law*“), Fifth Edition, Cambridge University Press, 2003, p. 733.

¹⁰ Mavrommatis Palestine Concessions Case, p. 12.

¹¹ M.N. Shaw, „*International Law*“, p. 722.

¹² „*Case Concerning the Barcelona Traction, Light and Power Company, Limited*“ (Belgium v. Spain) Second Face, Judgment of 5 January 1970. I.C.J Reports, p. 44

¹³ იხ. იქვე, გვ. 44.

¹⁴ „*First Report on Diplomatic Protraction*“, ICL, 52 Session, Doc. A/cn.4/506, 7 March 2000, para. 80.

¹⁵ იხ. იქვე, §80.

¹⁶ *Report of the International Law Commission 2004*, p.28.

¹⁷ Article 19(a), *Draft Articles on Diplomatic Protection 2006*.

¹⁸ *Report of the International Law Commission 2004*, p. 29.

¹⁹ „*Nationality Decrees Issued in Tunis and Morocco*“, PCIJ, Advisory Opinion of 7 February 1923, Series B, No. 4, p.24.

²⁰ Article 3, Hague Convention on Certain Questions Relating to the Conflict of Nationality Laws, 1930.

- ²¹ „Nationality Decrees Issued in Tunis and Moroc“, p. 24, იხ. *Report of the International Law Commission 2004*, pp. 30-31.
- ²² Article 4, *Draft Articles on Diplomatic Protection 2006*.
- ²³ Article 9(1), *Convention on the Elimination of all forms of Discrimination against Women, 1979*.
- ²⁴ *Report of the International Law Commission 2006*, p.52.
- ²⁵ „Nationality Decrees Issued in Tunis and Moroc“, p. 24.
- ²⁶ 24-ე მუხლი, საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, 29 აპრილი, 1998, 1362 – ის.
- ²⁷ იხ. „Case Concerning the Barcelona Traction“.
- ²⁸ Article 9, *Draft Articles on Diplomatic Protection 2006*.
- ²⁹ *Report of the International Law Commission 2006*, p.58
- ³⁰ იხ. „Case Concerning the Barcelona Traction“, para 44.
- ³¹ იხ. იქვე, §44.
- ³² იხ. იქვე, §43.
- ³³ *Report of the International Law Commission 2006*, pp. 55-70.
- ³⁴ „Case Concerning the Barcelona Tractin“, para 65.
- ³⁵ იხ. იქვე, § 92.
- ³⁶ ეს პრაქტიკა გამოყენებულ იქნა ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. იხ. *Agrotexim case*, ECHR., Series A (1995), No. 330-A, para. 68.
- ³⁷ „Case Concerning the Barcelona Tract n“, para 66.
- ³⁸ Article 11, *Draft Articles on Diplomatic Protection 2006*.
- ³⁹ *Report of the International Law Commission 2006*, p. 61-62.
- ⁴⁰ „Case Concerning the Barcelona Traction“, para 92.
- ⁴¹ „Case concerning Electronica Sicula S.p.A“, United States of America v. Italy, ICJ. Reports, 20 July 1989.
- ⁴² Article 11§b, *Draft Articles on Diplomatic Protection 2006*.
- ⁴³ „Case Concerning the Barcelona Tracti n“, para 46-47.
- ⁴⁴ მე-8 მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1976 წლის 28 ივნისი, 786 – ის.
- ⁴⁵ იხ. *Case of Certain German Interests in Polish Upper Silesia, P.C.I.J. Reports, Series A, No. 7*.
- ⁴⁶ იხ. *Appeal from a Judgment of the Hungaro-Czechoslovak Mixed Arbitral Tribunal, P.C.I.J. Reports, Series A/B, No. 61*.
- ⁴⁷ Article 13, *Draft Articles on Diplomatic Protection 2006*.
- ⁴⁸ *Report of the International Law Commission 2006*, p. 70.
- ⁴⁹ „Case Concerning the Barcelona Traction“, para 38.
- ⁵⁰ *Report of the International Law Commission 2006*, p. 70.
- ⁵¹ „Nottebohm Case“, p. 13.
- ⁵² იხ. Brownlie, Ian, *Principles of Public International Law (შემდგომში - I. Brownlie, Principles of Public International Law)*, 5th edition, 1998, p. 391.
- ⁵³ Article 3, Hague Convention 1930; Chapter V, ETS 166 – *European Convention on Nationality*, 6.Sptember 1997.
- ⁵⁴ იხ. *Case of Nottebohm*.
- ⁵⁵ I. Brownlie, *Principles of Public International Law*, p. 390.
- ⁵⁶ *Report of the International Law Commission 2006*, p. 42.
- ⁵⁷ Article 6(1), *Draft Articles on Diplomatic Protection 2006*.
- ⁵⁸ Article 6(2), *Draft Articles on Diplomatic Protection 2006*.
- ⁵⁹ Article 4, *Hague Convention 1930*.
- ⁶⁰ *Case of Reparation of Injuries Suffered in the Service of the Unoted Nations*, I.C.J. General List No 4, April 11, 1949, p. 186.
- ⁶¹ *Shelter for the Storm*, pp.494-495.
- ⁶² *Shelter for the Storm*, გვ. .495.
- ⁶³ *Report of the International Law Commission 2006*, p. 45.
- ⁶⁴ *The Role of International Human Rights and the Law of Diplomatic Protection in Resolving Zimbabwe’s Land Crisis*, Jonathan Shirley, Boston College International and Comparative Law Review, Winter 2004, pp. 170-171.
- ⁶⁵ *Nasser Esphahanian v. Bank Tejarat, Iran-United States Claims Tribunal*, Case No 157, Awards No 31-157-2, 29. 03.1983, p. 12.

- ⁶⁶ Article 7, *Draft Articles on Diplomatic Protection 2006*.
- ⁶⁷ *Report of the International Law Commission 2006*, pp. 43-47.
- ⁶⁸ *Nasser Esphahanian v. Bank Tejarat*, p. 17.
- ⁶⁹ *Report of the International Law Commission 2006*, p. 46.
- ⁷⁰ *Nasser Esphahanian v. Bank Tejarat*, p. 15.
- ⁷¹ *Report of the International Law Commission 2006*, p. 46.
- ⁷² „*Case Concerning the Barcelona Traction, Light and Power Company, Limited*“, *Separate Opinion of Judge Jessup*, para 48, *Separate Opinion of Judge Fitzma-
rice*, para. 63.
- ⁷³ „*The Continuous Nationality of Claims Principle: Its Historical Development And
Curren Relevance to Investor-State Investment Disputes*“, Matthe S. Duchesne,
George Washington University, 2004, p. 4.
- ⁷⁴ იბ. იქვე, გვ.4.
- ⁷⁵ იბ. იქვე, გვ.4.
- ⁷⁶ *Case of Loewen Group Inc. v. USAICSID Reports*, vol. 7 (2005), p. 442 at para.
225 (იბ. *Report of the International Law Commission 2006*, p. 37).
- ⁷⁷ Articles 5 and 10, *Draft Articles on Diplomatic Protection 2006*.
- ⁷⁸ *Report of the International Law Commission 2006*, p. 36.
- ⁷⁹ Articles 5, paragraph 1 and 10, paragraph 1, *Draft Articles on Diplomatic Protec-
tion 2006*.
- ⁸⁰ Articles 5, paragraph 2, *Draft Articles on Diplomatic Protection 2006*; *Report of
the International Law Commission 2006*, p. 39.
- ⁸¹ Articles 10, paragraph 2, *Draft Articles on Diplomatic Protection 2006*.
- ⁸² Articles 10, paragraph 3, *Draft Articles on Diplomatic Protection 2006*.
- ⁸³ იბ. იქვე, მუხლი 13.
- ⁸⁴ *Symposium: State Immunity in Civil Proceedings for Serious Violations of Hu-
man Rights – Torture and State Immunity: Deflecting Immunity, Destroying Sover-
eignty*, Lorna McGregor, *European Journal of International Law*, November, 2007,
p. 910.

DIPLOMATIC PROTECTION OF NATURAL AND LEGAL PERSONS IN INTERNATIONAL PUBLIC LAW

1. INTRODUCTION

At the current stage of globalization nobody is astonished with the fact, that people are leaving the States of their origin and nationality and are moving to the foreign States for work, education or other purposes; the legal persons founded in one State through their branches and representations are performing their activities on the territory of the other State; multinational industries are indeed playing the leading role in rather important global process of the world economy. Therefore, the possibility for the legal and natural persons to become the victims of violation of law, infringement of rights or appear as objects of property or non-property damage on the territory of foreign State is extremely high.

Although, a State protects its citizens through its diplomatic and consular representations irrespective of their location and also in all democratic countries aliens are enjoying the same rights to apply to domestic courts and other institutional remedies for restitution of violated rights, it is interesting what is the way out when the solution of the present issue is impossible under the domestic law?

In accordance with contemporary international law the State shall be liable for the damage caused to aliens by its action or inaction. Diplomatic protection is the mechanism through which the State of nationality may protect the rights of its citizen on international level and obtain the relevant legal satisfaction or compensation for him/her.

The aim of the present paper is to define, to what extent it is possible for a State to protect its Citizens in international courts in the scope of contemporary international law. Here-with the present paper will endeavor to determine both definition of mechanism of diplomatic protection and to what extent is the mentioned

mechanism real and accessible for ordinary Citizens, in a view of restitution of violated rights in international law through the State of own nationality.

The first part of the paper provides for analyze of international law on the diplomatic protection. In order to define the principle of the mentioned mechanism precisely, the attention is drawn both on the aspects of historical as well as international law. Further chapters provide for detailed description of constituent elements of the mechanism of diplomatic protection and the legal analyze.

2. THE GIST OF MECHANISM OF DIPLOMATIC PROTECTION

Establishment of mechanisms of diplomatic protection was based on historic principle, stipulating that the damage caused to the national of one State in another State was considered on international level as the damage caused to the State of nationality. In accordance with well known words of *Emrikh De Vetel*, the damage caused to a national is an indirect damage caused to a State.¹

Mechanism of the diplomatic protection is established in contemporary international law as the customary norm.² There is no treaty instrument of general law in the contemporary law, which would regulate the legal aspects of mechanism of diplomatic protection. Throughout the years its content was defined through subsidiary means for the determination of main sources.³ Attempt of codification of existing base of international law on the diplomatic protection was carried out by the International Law Commission of the United Nations (Hereafter – International Law Commission or Commission). Text of the draft Articles on diplomatic protection (Hereafter- draft Articles or

draft) together with the comments was adopted with the first hearing in 2004,⁴ but in 2006 the draft was approved with the second hearing.⁵ Currently, mentioned document of codification of international law on diplomatic protection still remains as a draft and does not have any binding force other than subsidiary means for the determination of main sources for the Member States of the international community.⁶

Permanent Court of International Justice has defined the diplomatic protection as "an Elementary Principle of International Law", stating that "a State is entitled to protect its subject, when injured by acts contrary to international law committed, from whom have been unable to obtain satisfaction through the ordinary channels".⁷

Commission in the draft norms on the diplomatic protection defines this instrument as follows: "*diplomatic Protection consists of the invocation by a State, through diplomatic action or other means of peaceful settlement, of the responsibility of another State for an injury caused by an internationally wrongful act of that State to a natural or legal person that is a national of the former State with a view to the implementation of such responsibility.*"⁸

- ⁵⁵ I. Brownlie, *Principles of Public International Law*, p. 390.
- ⁵⁶ *Report of the International Law Commission 2006*, p. 42.
- ⁵⁷ Article 6(1), *Draft Articles on Diplomatic Protection 2006*.
- ⁵⁸ Article 6(2), *Draft Articles on Diplomatic Protection 2006*.
- ⁵⁹ Article 4, *Hague Convention 1930*.
- ⁶⁰ *Case of Reparation of Injuries Suffered in the Service of the United Nations*, I.C.J. General List No 4, April 11, 1949, p. 186.
- ⁶¹ *Shelter for the Storm*, pp.494-495.
- ⁶² See *ibidem*. p. 495
- ⁶³ *Report of the International Law Commission 2006*, p. 45.
- ⁶⁴ *The Role of International Human Rights and the Law of Diplomatic Protection in Resolving Zimbabwe's Land Crisis*, Jonathan Shirley, Boston College International and Comparative Law Review, Winter 2004, pp. 170-171.
- ⁶⁵ *Nasser Esphahanian v. Bank Tejarat*, Iran-United States Claims Tribunal, Case No 157, Awards No 31-157-2, 29. 03.1983, p. 12.
- ⁶⁶ Article 7, *Draft Articles on Diplomatic Protection 2006*.
- ⁶⁷ *Report of the International Law Commission 2006*, pp. 43-47.
- ⁶⁸ *Nasser Esphahanian v. Bank Tejarat*, p. 17.
- ⁶⁹ *Report of the International Law Commission 2006*, p. 46.
- ⁷⁰ *Nasser Esphahanian v. Bank Tejarat*, p. 15
- ⁷¹ *Report of the International Law Commission 2006*, p. 46
- ⁷² "Case Concerning the Barcelona Traction, Light and Power Company, Limited", *Separate Opinion of Judge Jessup*, paragraph 48, *Separate Opinion of Judge Fitzmarice*, paragraph. 63.

⁷³ "The Continuous Nationality of Claims Principle: Its Historical Development And Current Relevance to Investor-State Investment Disputes", Matthe S. Du-ch-esne, George Washington University, 2004, p. 4.

⁷⁴ See *Ibidem*. p. 4

⁷⁵ See *Ibidem*. p. 4

⁷⁶ *Case of Loewen Group Inc. v. USAICSID Reports*, vol. 7 (2005), p. 442 at paragraph. 225 (Please see. *Report of the International Law Commission 2006*, p. 37).

⁷⁷ Articles 5 and 10, *Draft Articles on Diplomatic Protection 2006*.

⁷⁸ *Report of the International Law Commission 2006*, p. 36.

⁷⁹ Articles 5, paragraph 1 and 10, paragraph 1, *Draft Articles on Diplomatic Protection 2006*.

⁸⁰ Articles 5, paragraph 2, *Draft Articles on Diplo-matic Protection 2006*; *Report of the International Law Commission 2006*, p. 39

⁸¹ Articles 10, paragraph 2, *Draft Articles on Diplo-ma-tic Protection 2006*.

⁸² Articles 10, paragraph 3, *Draft Articles on Diplo-ma-tic Protection 2006*.

⁸³ Please see *Ibidem*: Article 13.

⁸⁴ Symposium: State Immunity in Civil Proceedings for Serious Violations of Human Rights – Torture and State Immunity: Deflecting Immunity, Dest-roying Sovereignty, Lorna McGregor, *European Journal of International Law*, November, 2007, p. 910.

საქართველოს კანონი დიპლომატიური სამსახურის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი ადგენს საქართველოს დიპლომატიური სამსახურის ორგანიზების სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს დიპლომატიური სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს დიპლომატიურ სამსახურში მყოფი პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

2. დიპლომატიური სამსახური მონაწილეობს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირებაში, უზრუნველყოფს მის განხორციელებას და საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად კოორდინაციას უწევს ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობებს.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დიპლომატიური სამსახური – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და მისი ქვედანაყოფები ქვეყნის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ;

ბ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) – სამთავრობო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფოებრივ მართვას;

გ) დიპლომატიური წარმომადგენლობა – სამინისტროს ქვედანაყოფი საზღვარგარეთ, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობებისას წარმოადგენს საქართველოს;

დ) საკონსულო დაწესებულება – სამინისტროს ქვედანაყოფი საზღვარგარეთ, რომელიც ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან საკონსულო ურთიერთობისას და იმ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობისას, სადაც დიპლომატიური წარმომადგენლობა არ არის დაფუძნებული, წარმოადგენს საქართველოს;

ე) დიპლომატიური მისია – დიპლომატიური მისია იმ მნიშვნელობით, რომელიც მას მინიჭებული აქვს „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“ 1961 წლის ვენის კონვენციით;

ვ) ტერიტორიული ორგანო – სამინისტროს წარმომადგენლობა საქართველოს ტერიტორიაზე;

ზ) დიპლომატიური რანგი – დიპლომატიურ სამსახურში დაწესებული სპეციალური რანგი, რომელიც ენიჭება დიპლომატიური თანამდებობის პირს;

თ) დიპლომატიური თანამდებობის პირი – დიპლომატიურ სამსახურში დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშნული პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს დიპლომატიური რანგი;

ი) ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სამინისტროს სისტემაში არადიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშნული ან ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოდ მიღებული საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ადმინისტრაციულ

ულ-ტექნიკურ მომსახურებას უწევენ დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებს;

კ) დიპლომატიური სამსახურის რეზერვი – ამ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტისა და როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო გამოწვეული პირები, აგრეთვე ის პირები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს კონკურსი, მაგრამ ვაკანსიის არარსებობის გამო ვერ დაინიშნენ შესაბამის თანამდებობაზე;

ლ) დიპლომატიური სამსახურის აქტიური რეზერვი – საქართველოს პარლამენტის აპარატის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს მთავრობის კანცელარიის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საჯარო მოხელეები, აგრეთვე საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობენ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ წინადადებების შემუშავებასა და განხორციელებაში. დიპლომატიური სამსახურის აქტიურ რეზერვში ჩასარიცხი პირების თანამდებობათა ნუსხა, გარდა საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოხელეებისა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის წარდგინებით განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. დიპლომატიური სამსახურის აქტიურ რეზერვში ჩასარიცხი საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოხელეების ნუსხას ადგენს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;

მ) მომსახურე პერსონალი – ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოდ მიღებული სათანადო კვალიფიკაციის მქონე საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც, „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“ 1961 წლის ვენის კონვენციის შესაბამისად, ემსახურებიან დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებს;

ნ) როტაცია – სამინისტროს, დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების თანამდებობის პირთა ურთიერთშენაცვლება;

ო) როტაციის წესით სამუშაო მივლინება – დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში სამუშაოდ წარგზავნა ამ კანონით დადგენილი წესითა და ვადით;

პ) ოჯახის წევრი – დიპლომატიური თანამდებობის პირისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი, მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი;

ჟ) პირველადი მოწყობის ხარჯები – დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში სამუშაოდ მივლინებული თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრების საყოფაცხოვრებო მოწყობისათვის ერთჯერადად გაცემული თანხა, რომლის მიზნობრიობასა და ოდენობას, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თავისებურებათა გათვალისწინებით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ადგენს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი;

რ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში სამუშაოდ მივლინებული თანამდებობის პირი.

მუხლი 3. დიპლომატიური სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

დიპლომატიური სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) საერთაშორისო და რეგიონული მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა;

ბ) საქართველოს უსაფრთხოებისა და საერთაშორისო სტატუსის განმტკიცება;

გ) ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის ხელის შეწყობა;

დ) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

ე) საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების განუხრელი დაცვისა და შემდგომი განვითარებისათვის ხელის შეწყობა;

ვ) საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ძირითადი მიმართულებების შესახებ წინადადებების შემუშავება;

ზ) საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს ინტერესების წარმოდგენა და დაცვა;

თ) დიპლომატიური საშუალებებით საქართველოს სუვერენიტეტის, ქვეყნის უსაფრთხოების, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის და სხვა სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა;

ი) საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო და სხვა სახის კავშირების განმტკიცება;

კ) საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია;

ლ) სხვა სახელმწიფოებთან საქართველოს საკონსულო პოლიტიკის გატარება;

მ) საზღვარგარეთ განლაგებული საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობისათვის ხელის შეწყობა.

მუხლი 4. დიპლომატიური სამსახურის ფასეულობები, პრინციპები და პროფესიული ეთიკის ქარტია

1. დიპლომატიური სამსახურის ფასეულობებია:

ა) პროფესიონალიზმი, ერთგულება, პატიოსნება და მიუკერძოებლობა;

ბ) პატრიოტიზმი და ანგარიშვალდებულება ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

2. დიპლომატიური სამსახურის პრინციპებია:

ა) ეროვნული ინტერესების თანმიმდევრულად განხორციელება;

ბ) საგარეო პოლიტიკის ქმედებებისა და ინიციატივების მდგრადობა და პროგნოზირებადობა;

გ) ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა;

დ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა ზუსტი და თანმიმდევრული დაცვა;

ე) საქართველოს ყველა მოქალაქისათვის მათი უნარის, კვალიფიკაციისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად დიპლომატიურ სამსახურში შესვლის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

ვ) მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა;

ზ) დიპლომატიური სამსახურის ერთიანობა;

თ) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

3. დიპლომატიური სამსახურის პროფესიული ეთიკის ქარტიის მიზანია, ხელი შეუწყოს დიპლომატიური სამსახურის ფასეულობებისა და პრინციპების პატივისცემას.

მუხლი 5. დიპლომატიური სამსახურის ხელმძღვანელი

დიპლომატიურ სამსახურს ხელმძღვანელობს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი (შემდგომში – მინისტრი).

მუხლი 6. დიპლომატიური წარმომადგენლობები

1. საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებია:

ა) საქართველოს საელჩო;

ბ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა;

გ) საქართველოს დიპლომატიური მისია.

2. დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს საქართველოს პარლამენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

3. დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს მინისტრის წარდგინებით თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 7. საკონსულო დანესებულებები

საქართველოს საკონსულო დანესებულების სახეები და მათი სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება „საქართველოს საკონსულო დანესებულებათა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 8. გადანყვეტილებები დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დანესებულების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ

1. გადანყვეტილებებს დიპლომატიური წარმომადგენლობის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ იღებს საქართველოს პრეზიდენტი.

2. გადანყვეტილებებს საკონსულო დანესებულების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ იღებს მინისტრი.

თავი II

დიპლომატიური სამსახურის საკადრო შემადგენლობა

მუხლი 9. დიპლომატიური თანამდებობის პირის სამართლებრივი მდგომარეობა

1. დიპლომატიური თანამდებობის პირი ირიცხება საქართველოს სახელმწიფო სამსახურში.
2. დიპლომატიური თანამდებობის პირის სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირდება ამ კანონითა და საქართველოს შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

მუხლი 10. დიპლომატიურ სამსახურში თანამდებობის პირთა კატეგორიები

დიპლომატიურ სამსახურში დანესებულია თანამდებობის პირთა შემდეგი კატეგორიები:

- ა) დიპლომატიური თანამდებობის პირები;
- ბ) ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი;
- გ) მომსახურე პერსონალი.

მუხლი 11. დიპლომატიური თანამდებობის პირთა კატეგორიები

დიპლომატიური თანამდებობის პირთა კატეგორიებია:

- ა) უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირი (A კატეგორია);
- ბ) უფროსი დიპლომატიური თანამდებობის პირი (B კატეგორია);
- გ) უმცროსი დიპლომატიური თანამდებობის პირი (C კატეგორია).

მუხლი 12. უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირები (კატეგორია)

უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირები არიან:

- ა) მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილე (A1);
- ბ) სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი (A2);
- გ) საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (A2);
- დ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი (A2);
- ე) საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი (A2);

- ვ) საქართველოს გენერალური კონსული (A3);
- ზ) საგანგებო დავალებათა ელჩი (A3).

მუხლი 13. უფროსი დიპლომატიური თანამდებობის პირები (კატეგორია)

უფროსი დიპლომატიური თანამდებობის პირები არიან:

- ა) სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე (B1);
- ბ) საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი (B1);
- გ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე (B1);
- დ) სამინისტროს დეპარტამენტში შემავალი სამმართველოს უფროსი (B2);
- ე) უფროსი მრჩეველი (B2);
- ვ) კონსული (B2);
- ზ) მრჩეველი (B3);
- თ) თავდაცვის ატაშე და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი (B3).

მუხლი 14. უმცროსი დიპლომატიური თანამდებობის პირები (ჩ კატეგორია)

უმცროსი დიპლომატიური თანამდებობის პირები არიან:

- ა) ვიცე-კონსული (C1);
- ბ) პირველი მდივანი (C1);
- გ) საკონსულო აგენტი (C2);
- დ) მეორე მდივანი (C2);
- ე) მესამე მდივანი (C3);
- ვ) ატაშე (C3);
- ზ) თავდაცვის ატაშეს აპარატისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის აპარატის თანამდებობის პირები (C3).

მუხლი 15. დიპლომატიური თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობა

დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშვნის მომენტიდან პირი წყვეტს ნებისმიერ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. დიპლომატიურ სამსახურში მოღვაწეობის პერიოდში დიპლომატიური თანამდებობის პირი პოლიტიკურად ნეიტრალურია და არა აქვს უფლება, ეწეოდეს საქმიანობას/პროპაგანდას ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციის, გაერთიანების სასარგებლოდ ან წინააღმდეგ.

მუხლი 16. დიპლომატიური თანამდებობის პირის ვალდებულებანი

დიპლომატიური თანამდებობის პირი ვალდებულია:

- ა) დაიცვას საქართველოს სახელმწიფო ინტერესები;
- ბ) პატივი სცეს და დაიცვას საქართველოსა და ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობა და ჩვეულებანი;
- გ) პირადი ინტერესებისათვის არ გამოიყენოს დიპლომატიური უფლებები და იმუნიტეტი.

მუხლი 17. დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშვნა

1. სამინისტროს დიპლომატიურ თანამდებობებზე ინიშნებიან საქართველოს მოქალაქეები.
2. სამინისტროს დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშვნა ხდება გადაყვანის წესით, კონკურსის წესით ან უკონკურსოდ.
3. გადაყვანის წესით დიპლომატიურ თანამდებობაზე ინიშნებიან დიპლომატიური თანამდებობის პირები.

4. კონკურსის წესით დიპლომატიურ თანამდებობაზე ინიშნებიან პირები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას და ორ უცხოურ ენას მაინც.

5. უკონკურსოდ დანიშვნა შეიძლება შემდეგ დიპლომატიურ თანამდებობაზე:

- ა) მინისტრის მოადგილე;
- ბ) სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი;
- გ) საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი;
- დ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი;
- ე) საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი;
- ვ) საგანგებო დავალებათა ელჩი.

6. უკონკურსოდ დიპლომატიურ თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნონ:

- ა) უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირები;
- ბ) დიპლომატიურ თანამდებობაზე დროებით არმყოფი მოხელის შემცვლელი – მოხელის სამსახურში გამოსვლამდე;
- გ) კონკურსის წესით დასანიშნი თანამდებობის პირის მოვალეობის შემსრულებელი – კონკურსის შედეგების მიხედვით პირის თანამდებობაზე დანიშვნამდე;
- დ) დიპლომატიური სამსახურის რეზერვში ჩარიცხული და დიპლომატიური სამსახურის აქტიურ რეზერვში მყოფი პირები სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე;
- ე) დიპლომატიური წარმომადგენლობიდან და საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო გამონვეული პირები.

7. კონკურსის წესით ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნი პირების შეფასებას ახორციელებს სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

8. კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

9. დიპლომატიურ სამსახურში მიღებასთან და დიპლომატიური სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, მოხელის კვალიფიკაციის დასადგენად, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება დაწესდეს დამატებითი მოთხოვნები.

მუხლი 18. სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორისა და საგანგებო დავალებათა ელჩის დანიშვნა

1. სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე მინისტრი ნიშნავს პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, სათანადო კვალიფიკაცია და პროფესიული მომზადება, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, ორ უცხოურ ენას მაინც და აქვს საგარეო ურთიერთობების სფეროში მუშაობის გამოცდილება.

2. საგანგებო დავალებათა ელჩის თანამდებობაზე მინისტრი ნიშნავს პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, სათანადო კვალიფიკაცია და პროფესიული მომზადება, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და ერთ უცხოურ ენას მაინც.

თავი III

დიპლომატიური სამსახურის გავლა

მუხლი 19. დიპლომატიური სამსახურის გავლის წესი

დიპლომატიური სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 20. როტაცია

1. მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად დიპლომატიურ სამსახურში დაწესებულია თანამდებობის პირთა როტაცია.

2. როტაციის ფარგლებში ხორციელდება დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში პირთა სამუშაო მივლინება, დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში სამუშაოდ მივლინებულ პირთა გამონწვევა სამინისტროში საქმიანობის გასაგრძელებლად.

3. როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამონწვეულმა პირმა მომდევნო როტაციის წესით სამუშაო მივლინებამდე სამინისტროში უნდა იმუშაოს არანაკლებ ერთი წლისა. მინისტრი, საქმიანობის შემთხვევაში, უფლებამოსილია, ეს ვადა შეამციროს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ჩაითვლება როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამონწვეული პირის დიპლომატიური სამსახურის რეზერვში ყოფნის დრო.

მუხლი 21. როტაციის წესით სამუშაო მივლინების ხარჯების ანაზღაურება

დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინების ხარჯების ანაზღაურება რეგულირდება მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით.

მუხლი 22. დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების თანამდებობის პირები

1. დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში დიპლომატიურ თანამდებობაზე როტაციის წესით სამუშაო მივლინებით, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, აგრეთვე თავდაცვის ატაშეს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის გარდა, წარიგზავნიან სამინისტროს დიპლომატიური თანამდებობის პირები.

2. დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში არადიპლომატიურ თანამდებობაზე როტაციის წესით სამუშაო მივლინებით წარიგზავნება სამინისტროს ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი.

3. განსაკუთრებულ შემთხვევაში დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში არადიპლომატიურ თანამდებობაზე როტაციის წესით სამუშაო მივლინებით სამინისტროსთან შეთანხმებით შეიძლება წარგზავნილ იქნეს პირი, რომელიც არ არის სამინისტროს სისტემის მოსამსახურე.

მუხლი 23. დიპლომატიური წარმომადგენლობიდან და საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით გამონწვეული პირები

1. დიპლომატიური წარმომადგენლობიდან და საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო გამონწვეული პირები სამინისტროში შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის არსებობის შემთხვევაში უნდა დაინიშნონ შესაბამის თანამდებობაზე.

2. დიპლომატიური წარმომადგენლობიდან და საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო გამონწვეული პირები სამინისტროში შესაბამისი ვაკანსიის არარსებობის შემთხვევაში ირიცხებიან დიპლომატიური სამსახურის რეზერვში.

მუხლი 24. დიპლომატიური წარმომადგენლობიდან და საკონსულო დაწესებულებიდან თანამდებობის პირის ვადაზე ადრე გამონწვევის საფუძვლები

1. დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტა და თანამდებობის პირის ვადაზე ადრე გამონწვევა, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, თავდაცვის ატაშეს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის გარდა, მინისტრმა შეიძლება განახორციელოს:

ა) დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების ლიკვიდაციისას ან/და რეორგანიზაციისას;

ბ) დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების სამტაქტო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას;

გ) მივლინებული პირის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მიერ „პერსონა ნონ გრატად“ გამოცხადებისას;

დ) მნიშვნელოვანი საერთაშორისო გართულებისას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს დიპლომატიური ან საკონსულო თანამდებობის პირის შემდგომმა მუშაობამ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში;

ე) თანამდებობის პირის თანხმობით მისი სხვა თანამდებობაზე გადაყვანისას;

ვ) თანამდებობის პირის მოთხოვნისას;

ზ) თანამდებობის პირის მძიმე ავადმყოფობისას, რომელიც შეუძლებელს ხდის მის მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას;

თ) თანამდებობის პირის გარდაცვალებისას;

ი) თანამდებობის პირის მიერ დაკისრებულ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო;

კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. ვადაზე ადრე გამონწვევა ხდება მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სამინისტროს ხელმძღვანელობის, სამინისტროს გენერალური ინსპექციის ან/და დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის წარდგინებით.

მუხლი 25. საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოში არჩევა და საერთაშორისო ორგანიზაციაში სამუშაოდ მივლინება

1. დიპლომატიური თანამდებობის პირი, რომელიც არჩეული იქნება საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოში ან სახელმწიფოებრივი საჭიროების შემთხვევაში სამუშაოდ მივლინებული იქნება საერთაშორისო ორგანიზაციაში (ან საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებაში), ირიცხება დიპლომატიური სამსახურის რეზერვში და შესაბამისი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება დაინიშნოს დიპლომატიურ სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირს უნარჩუნდება დიპლომატიური რანგი, სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით და შესაძლებელია წარდგენილ იქნეს მორიგი დიპლომატიური რანგის მისანიჭებლად.

მუხლი 26. დიპლომატიური სამსახურის რეზერვი

1. ამ კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „დ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების საფუძველზე როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტისა და როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო გამონწვეული პირები, აგრეთვე ის პირები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს კონკურსი, მაგრამ ვაკანსიის არარსებობის გამო ვერ დაინიშნენ შესაბამის თანამდებობაზე, ჩარიცხული იქნებიან დიპლომატიური სამსახურის რეზერვში და ვაკანტური თანამდებობის დაკავებისას მიენიჭებათ უპირატესობა მათი დიპლომატიური რანგისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

2. საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრებული პირების დიპლომატიური სამსახურის რეზერვში ჩარიცხვის პირობები განისაზღვრება დიპლომატიური სამსახურის გავლის წესით.

3. დიპლომატიური სამსახურის რეზერვში ჩარიცხულ, როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტისა და როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო გამონწვეულ პირებს უფლება აქვთ, რეზერვში ყოფნის პერიოდში ახორციელებდნენ ანაზღაურებად საქმიანობას სხვა დაწესებულებაში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტისა და როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო გამონწვეულ იმ პირებზე, რომლებიც უარს განაცხადებენ სამინისტროს მიერ შეთავაზებულ თანამდებობაზე და სურვილს გამოთქვამენ, ჩარიცხულ იქნენ რეზერვში.

5. დიპლომატიური სამსახურის რეზერვში ყოფნის მაქსიმალური ვადაა 3 წელი. აღნიშნული ვადა არ ვრცელდება ამ კანონის 25-ე მუხლით განსაზღვრულ პირებზე.

მუხლი 27. დიპლომატიური სამსახურის აქტიური რეზერვი

1. საქართველოს პარლამენტის აპარატის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს მთავრობის კანცელარიის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საჯარო მოხელეები, აგრეთვე საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობენ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ წინადადებების შემუშავებასა და განხორციელებაში, ირიცხებიან დიპლომატიური სამსახურის აქტიურ რეზერვში.

2. დიპლომატიური სამსახურის აქტიურ რეზერვში ჩასარიცხი პირების თანამდებობათა ნუსხა, გარდა საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოხელეებისა, მინისტრის წარდგინებით განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

3. დიპლომატიური სამსახურის აქტიურ რეზერვში ჩასარიცხი საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოხელეების ნუსხას ადგენს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

მუხლი 28. დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადა

1. დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინების თითოეული ვადა დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელისათვის და გენერალური კონსულისათვის არის 4 წელი, ხოლო დიპლომატიური თანამდებობის ყველა სხვა პირისათვის – 3 წელი.

2. ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისათვის საზღვარგარეთ სამუშაო მივლინების ვადაა 3 წელი.

3. დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინებით წარგზავნა და გამოწვევა ხორციელდება მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

მუხლი 29. დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში სამუშაო მივლინების ვადის გაგრძელება

მინისტრი უფლებამოსილია:

ა) საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადა გაუგრძელოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს;

ბ) დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინებით წარგზავნილი თანამდებობის პირის მივლინების ვადა განსაკუთრებულ შემთხვევაში გააგრძელოს 1 წლამდე, ხოლო გენერალური კონსულის მივლინების ვადა – 2 წლამდე;

გ) დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ან გენერალური კონსულის წარდგინების საფუძველზე, მისი მივლინების ვადის გასვლამდე, გაუგრძელოს მივლინების ვადა დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში მომუშავე ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს.

მუხლი 30. საქმეთა დროებითი რწმუნებულის დანიშვნა

1. დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მიერ მოვალეობათა დროებით შეუსრულებლობის შემთხვევაში დიპლომატიური წარმომადგენლობის მუშაობას ხელმძღვანელობს საქმეთა დროებითი რწმუნებული.

2. შესაბამისი დიპლომატიური თანამდებობის პირი საქმეთა დროებით რწმუნებულად ინიშნება მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 31. საკონსულო დანესებულების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა

საკონსულო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ მოვალეობათა დროებით შეუსრულებლობის შემთხვევაში საკონსულო დანესებულების მუშაობას ხელმძღვანელობს მინისტრის მიერ განსაზღვრული პირი – საკონსულო დანესებულების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი.

მუხლი 32. თავდაცვის ატაშე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი და მათი აპარატები

1. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, სამინისტროსთან შეთანხმებით, დიპლომატიურ წარმომადგენლობაში შეიძლება სამუშაოდ მიავლინოს თავდაცვის ატაშე, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციაში – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, რომლებიც შედიან დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალის შემადგენლობაში და სამხედრო ხასიათის ურთიერთობებში თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენენ საქართველოს.

2. თავდაცვის ატაშე და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი იმყოფებიან დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ოპერატიულ და საქართველოს თავდაცვის მინისტრის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში.

3. ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან შეთანხმებით, თავდაცვის ატაშე შეიძლება აკრედიტებულ იყოს ორ ან ორზე მეტ სახელმწიფოში.

4. ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან შეთანხმებით შეიძლება დაფუძნებულ იქნეს თავდაცვის ატაშეს აპარატი, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციასთან შეიძლება დაფუძნებულ იქნეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის აპარატი, რომლებშიც შედიან აპარატის უფროსი და უმცროსი დიპლომატიური თანამდებობის პირები, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი და მომსახურე პერსონალი.

5. თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის და მათი აპარატების საქმიანობის წესი და თანამდებობების დასახელებები განისაზღვრება დებულებით, რომელსაც სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

6. თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელს და მათ აპარატებს მატერიალურ-ტექნიკურად უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. ამ პირებისა და მათი აპარატების თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოები და აპარატების შენახვის ხარჯები განისაზღვრება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით.

7. თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის და მათი აპარატების თანამდებობის პირთა მიერ სამსახურის გავლის, მათი გამოწვევის, სოციალური დაცვისა და გარანტიების მიმართ გამოიყენება ამ კანონით დადგენილი წესები.

8. თავდაცვის ატაშე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, მათი აპარატების თანამდებობის პირები და მათი ოჯახის წევრები პირველადი საყოფაცხოვრებო მონყობისათვის ერთჯერადად იღებენ თანხას, რომლის მიზნობრიობასა და ოდენობას, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თავისებურებათა გათვალისწინებით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ადგენს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

9. თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის ან მათთან მცხოვრები ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დაფარავს ყველა ხარჯს, მათ შორის, გარდაცვლილის საქართველოში გადმოსვენების საფასურს.

თავი IV

დიპლომატიური რანგები

მუხლი 33. დიპლომატიური რანგების მინიჭება

1. დიპლომატიური თანამდებობის პირებს სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე, მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, დაკავებული

თანამდებობის, ნამსახურები წლების, პროფესიული მომზადებისა და დამსახურების შესაბამისად ენიჭებათ დიპლომატიური რანგები, უმაღლესი დიპლომატიური რანგების გარდა.

2. დიპლომატიური რანგების მინიჭების წესს განსაზღვრავს მინისტრი.

3. დიპლომატიური რანგისათვის დაწესებულია შესაბამისი დანამატი, რომლის ოდენობაც განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

4. დიპლომატიური რანგი ასევე მიენიჭებათ დიპლომატიური სამსახურის აქტიურ რეზერვში მყოფ პირებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 34. უმაღლესი დიპლომატიური რანგების მინიჭება

1. უმაღლესი დიპლომატიური რანგები შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ, მინისტრის წარდგინებით.

2. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ იმ უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირებს, რომლებსაც უკავიათ ან ეკავათ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანამდებობა.

მუხლი 35. დიპლომატიური რანგების კატეგორიები

დიპლომატიურ სამსახურში დაწესებულია დიპლომატიური რანგების შემდეგი კატეგორიები:

ა) უმაღლესი დიპლომატიური რანგები:

ა.ა) საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი;

ა.ბ) საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი;

ბ) უფროსი დიპლომატიური რანგები:

ბ.ა) უფროსი მრჩეველი;

ბ.ბ) მრჩეველი;

ბ.გ) უმცროსი მრჩეველი;

გ) უმცროსი დიპლომატიური რანგები:

გ.ა) პირველი მდივანი;

გ.ბ) მეორე მდივანი;

გ.გ) მესამე მდივანი;

გ.დ) ატაშე.

მუხლი 36. დიპლომატიური რანგების მინიჭების ვადები

1. დიპლომატიური რანგების მინიჭებისათვის განსაზღვრულია დიპლომატიური სამსახურის გავლის შემდეგი ვადები:

ა) „ატაშეს“ პირველადი დიპლომატიური რანგის მინიჭებისათვის – დიპლომატიური სამსახურის გავლის 1 წელი;

ბ) „მდივნის“ დიპლომატიური რანგის მინიჭებისათვის – დიპლომატიური სამსახურის გავლის 2 წელი;

გ) „მრჩეველის“ დიპლომატიური რანგის მინიჭებისათვის – დიპლომატიური სამსახურის გავლის 3 წელი.

2. შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის ან განსაკუთრებული დამსახურების გამო დასაშვებია დიპლომატიური რანგის ვადაზე ადრე მინიჭება.

3. თითოეული კატეგორიის ფარგლებში დიპლომატიური რანგის ვადაზე ადრე მინიჭება დასაშვებია მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 37. დიპლომატიური რანგების კატეგორიებისა და დიპლომატიური თანამდებობების თანაფარდობა

1. უმაღლესი დიპლომატიური რანგები შეიძლება მიენიჭოთ უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირებს.

2. უფროსი დიპლომატიური რანგები შეიძლება მიენიჭოთ უფროსი დიპლომატიური თანამდებობის პირებს. უფროს დიპლომატიურ თანამდებობაზე პირველად დანიშნულ პირს ენიჭება „უმცროსი მრჩევლის“ დიპლომატიური რანგი.

3. უმცროსი დიპლომატიური რანგები შეიძლება მიენიჭოთ უმცროსი დიპლომატიური თანამდებობის პირებს.

მუხლი 38. დიპლომატიური რანგების მოქმედების ვადა

1. უმაღლესი დიპლომატიური რანგის მინიჭება ხდება სამუდამოდ.

2. დიპლომატიური თანამდებობის პირის მიერ დიპლომატიური თანამდებობის დატოვების შემთხვევაში ხდება მინიჭებული უფროსი ან უმცროსი დიპლომატიური რანგის მოქმედების შეჩერება დიპლომატიურ თანამდებობაზე მის ხელახალ დანიშვნამდე.

3. დიპლომატიური თანამდებობის პირის დიპლომატიურ სამსახურში დაბრუნებისას ხდება იმ დიპლომატიური რანგის მოქმედების აღდგენა, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა დიპლომატიური თანამდებობიდან გათავისუფლებამდე.

4. დიპლომატიური რანგის მინიჭება დასტურდება შესაბამისი მოწმობის გაცემით.

5. უმაღლესი დიპლომატიური რანგის მინიჭება დასტურდება შესაბამისი მოწმობის გაცემითა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ სათანადო სიგელის გადაცემით.

მუხლი 39. საკლასო ჩინის მინიჭება

ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება მიენიჭოს სახელმწიფო მოხელეთათვის დაწესებული საკლასო ჩინები.

თავი V

სამსახურიდან გათავისუფლება

მუხლი 40. სამსახურიდან გათავისუფლება

1. დიპლომატიური თანამდებობის პირს და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს (შემდგომში – პირი) სამსახურიდან ათავისუფლებს მინისტრი.

2. პირის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) დანიშვნის შესახებ ბრძანებით გათვალისწინებული ვადის გასვლა;

გ) საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირება;

დ) სხვა სამსახურში გადასვლა;

ე) არაკანონიერად გათავისუფლებული პირის სამსახურში აღდგენა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე;

ვ) დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობა, კერძოდ:

ვ.ა) ატესტაციის არაადამაკმაყოფილებელი შედეგები;

ვ.ბ) ჯანმრთელობის არაადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;

ვ.გ) გამოსაცდელი ვადის არაადამაკმაყოფილებელი შედეგები;

ზ) სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევა, თუ პირის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა, ან სამსახურებრივი დისციპლინის უხეში დარღვევა;

თ) დანაშაულის ჩადენა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე;

ი) თანამდებობრივი შეუთავსებლობა, თუ იგი არ აღმოიფხვრა შეუთავსებლობის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში;

კ) ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების უკანონო მოხმარება;

ლ) სამსახურის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია;

მ) 65 წლის ასაკის მიღწევა;

ნ) გარდაცვალება;

ო) მოქალაქეობის შეცვლა;

პ) უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;

ჟ) ქმედუვნაროდ აღიარება;

რ) როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტა ამ კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“, „დ“, „ვ“, „ზ“ ან „თ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

თავი VI

სოციალური დაცვა და გარანტიები

მუხლი 41. დიპლომატიური და საკონსულო იმუნიტეტი

1. როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილი პირი და მისი ოჯახის წევრები საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად სარგებლობენ დიპლომატიური და საკონსულო იმუნიტეტით.

2. პირისა და მისი ოჯახის წევრებისათვის დიპლომატიურ და საკონსულო იმუნიტეტზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი.

მუხლი 42. როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილი პირისა და მისი ოჯახის წევრების სოციალური დაცვა

1. საზღვარგარეთ დიპლომატიური და საკონსულო საქმიანობის განხორციელებამ არ უნდა მიაყენოს ზიანი პირსა და მისი ოჯახის წევრებს.

2. სამინისტრო ვალდებულია, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილ პირსა და მისი ოჯახის წევრებს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში.

3. სამინისტრო, დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება ვალდებული არიან, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მყოფ პირების ოჯახებს.

4. დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილი პირის მეუღლეს საქართველოში დაბრუნებამდე უნარჩუნდება თანამდებობა იმ სახელმწიფო სამსახურში, რომელშიც იგი მუშაობდა მეუღლის მივლინებამდე.

მუხლი 43. დიპლომატიური ან საკონსულო საქმიანობის განხორციელება რთულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საყოფაცხოვრებო, კრიმინოგენულ და კლიმატურ პირობებში

1. დიპლომატიური ან საკონსულო საქმიანობის განსახორციელებლად დიპლომატიური თანამდებობის პირის მივლინება იმ ქვეყნებში, სადაც რთული პოლიტიკური, ეკონომიკური, საყოფაცხოვრებო, კრიმინოგენული და კლიმატური პირობებია, დასაშვებია მხოლოდ დიპლომატიური თანამდებობის პირის თანხმობით.

2. მივლინების ადგილებში შეიარაღებული ან სამოქალაქო კონფლიქტების, სტიქიური უბედურებების ან სხვა ისეთი ვითარების წარმოშობისას, რომელიც საფრთხეს უქმნის სამუშაოდ მივლინებული პირისა და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლესა და ქონებას, საქართველო იღებს ყველა საჭირო ზომას მათი სიცოცხლისა და ქონების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და დასაცავად.

მუხლი 44. როტაციის წესით სამუშაო მივლინების განხორციელებისათვის საჭირო მგზავრობის, პირველადი მოწყობისა და განსაკუთრებული მდგომარეობის შექმნასთან დაკავშირებული ხარჯები

დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილ პირს და მისი ოჯახის წევრებს, მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად, მგზავრობის ორივე მიმართულებით უნაზღაურდებათ მგზავრობისა და პირადი ტვირთის გადაზიდვის ხარჯები, ადგილსამყოფელ სახელმწიფოში პირველადი მოწყობის ხარჯები და ყოველწლიური შვებულების დროს მგზავრობასთან დაკავშირებული ხარჯები (არა უმეტეს საქართველოში გამომგზავრებასთან და საქართველოდან გამგზავრებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობისა).

მუხლი 45. როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილი პირის საყოფაცხოვრებო და სოციალური უზრუნველყოფა

1. საზღვარგარეთ დიპლომატიური და საკონსულო საქმიანობის განხორციელებისას პირი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საცხოვრებელი მასთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა რაოდენობის, მისი თანამდებობრივი მდგომარეობისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

2. როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილი პირი და მისი ოჯახის წევრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სავალდებულო სამედიცინო დაზღვევითა და სამედიცინო მომსახურებით.

3. დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილი პირის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში სამინისტრო დაფარავს ყველა ხარჯს, მათ შორის, გარდაცვლილის საქართველოში გადმოსვენების საფასურს.

მუხლი 46. როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილი თანამდებობის პირის შვებულება

დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილ თანამდებობის პირს უფლება აქვს, ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით, რომლის ხანგრძლივობაა წელიწადში 30 კალენდარული დღე.

თავი VII

დიპლომატიური სამსახურის ფინანსური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა

მუხლი 47. დიპლომატიური სამსახურის ფინანსური უზრუნველყოფა

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს დიპლომატიური სამსახურის, მისი პერსონალისა და ქონების უსაფრთხოების განსაკუთრებულ დაცვას როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. დიპლომატიური სამსახურისა და მისი პერსონალის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფა როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ, ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

3. დიპლომატიური თანამდებობის პირთა სოციალური დაცვის სხვა გარანტიები განისაზღვრება მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 48. დიპლომატიური სამსახურის საკომუნიკაციო და საარქივო უზრუნველყოფა

1. დიპლომატიურ სამსახურს აქვს საკურიერო მომსახურების დამოუკიდებელი სისტემა. იგი სარგებლობს სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემებით, საერთო დანიშნულების საფელდღეგერო სამსახურით და კავშირგაბმულობისა და ფოსტის სისტემებით.

2. დიპლომატიურ სამსახურს აქვს საკუთარი არქივი, რომელშიც დაცულია დიპლომატიური ურთიერთობების ამსახველი მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

თავი VIII

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 49. გარდამავალი დებულებანი

1. ამ კანონის დებულებები ვრცელდება სამინისტროს სისტემის ყველა თანამდებობის პირზე, მათი დანიშვნის თარიღის მიუხედავად.

2. ამ კანონის ამოქმედებისათვის დიპლომატიური თანამდებობის პირებთან გათანაბრებული პირები ჩაირიცხებიან დიპლომატიური სამსახურის აქტიურ რეზერვში.

3. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით:

ა) ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში მიიღოს ნორმატიული აქტები „დიპლომატიური სამსახურის აქტიურ რეზერვში ჩასარიცხ პირთა თანამდებობრივი ნუსხის შესახებ“ და „დიპლომატიური რანგისათვის დაწესებული დანამატის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“;

ბ) ეთხოვოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში დაადგინოს საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოხელეების ნუსხა, რომლებიც უნდა ჩაირიცხონ დიპლომატიური სამსახურის აქტიურ რეზერვში;

გ) საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების გამოცემა:

გ.ა) „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში სამუშაოდ მივლინებული მოსამსახურისა და მისი ოჯახის წევრთა პირველადი მოწყობის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“;

გ.ბ) „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ატესტაციისა და კონკურსის ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“;

გ.გ) „დიპლომატიური სამსახურის გავლის წესის შესახებ“;

გ.დ) „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების წესის შესახებ“;

გ.ე) „დიპლომატიური რანგის მინიჭების წესის შესახებ“;

გ.ვ) „დიპლომატიური თანამდებობის პირთა სოციალური დაცვის სხვა გარანტიების განსაზღვრის შესახებ“;

დ) საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა:

დ.ა) „თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის და მათი აპარატების საქმიანობის წესისა და თანამდებობების დასახელებების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

დ.ბ) „თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის და მათი აპარატების თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოებისა და აპარატების შენახვის ხარჯების განსაზღვრის შესახებ“;

დ.გ) „თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის, მათი აპარატების თანამდებობის პირებისა და მათი ოჯახის წევრების პირველადი საყოფაცხოვრებო მოწყობისათვის ერთჯერადი თანხის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

მუხლი 50. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.
2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს 1999 წლის 25 ივნისის კანონი „diplomatiuri სამსახურის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №30(37), 1999 წელი, მუხ. 161).

**საქართველოს პრეზიდენტის
მოვალეობის შემსრულებელი
ნ. ბურჯანაძე**

**თბილისი,
2007 წლის 7 დეკემბერი.
№5568—III**

თარჯიმნები:	მიხეილ ჩიქობავა ქეთევან ხუციშვილი
რედაქტორი/კორექტორი კომპ. უზრუნველყოფა	თამარ გაბელაია ლალი კურდღელაშვილი

Translation:	Micheil Chikobava Ketevan Khutsishvili
Editor/Corrector	Tamar Gabelaia
IT Support	Lali Kurdgelashvili